


ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი

№4, 2021



Orbeliani

Academic Journal of Sulikhan-Saba Orbeliani University

N4, 2021

მთავარი რედაქტორი

პროფ. ვაჟა ვარდიძე

აღმასრულებელი რედაქტორი

პროფ. დიმიტრი გეგენავა

სარედაქციო საბჭო

პროფ. თამთა მიქაბერიძე

პროფ. გიორგი გორაძე

პროფ. გოჩა ბარნოვი

ასოც. პროფ. გიორგი მესხი

ტექნიკური რედაქტირება

ციცინო ხითარიშვილი

EDITOR IN CHIEF

Prof. Vaja Vardidze

EXECUTIVE EDITOR

Prof. Dimitry Gegenava

EDITORIAL BOARD

Prof. Tamta Mikaberidze

Prof. George Goradze

Prof. Gocha Barnovi

Assoc. Prof. Giorgi Meskhi

COPY EDITOR

Tsitsino Khitarishvili

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2021

© ავტორები/Authors, 2021

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, Sulkhan-Saba Orbeliani University, 2021

ISSN 2667-9124
9772667912002

შინაარსი

თეოლოგია და რელიგიის კვლევები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა
(1997 წლამდე და შემდეგ)..... 1

დავით თინიკაშვილი

THE ORTHODOX CHURCH OF GEORGIA AND THE ECUMENICAL MOVEMENT (BEFORE
AND AFTER 1997)30

David Tinikashvili

რელიგიის ნაციონალიზაცია საქართველოს მართლმადიდებელ
სამოციქულო ეკლესიაში – დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორი
დემოკრატიზაციის პროცესში? 31

პამელა იავადი, ოლივერ რაისნერი

გერმანულიდან თარგმნა მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზ ღონღაძემ

NATIONALIZATION OF RELIGION IN THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH –
POSITIVE OR NEGATIVE FACTOR IN THE PROCESS OF DEMOCRATIZATION?.....68

Pamela Jawad, Oliver Reisner

Translated by Fr. Nikoloz Ghonghadze

სამართალი

მომხმარებლის ცნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს
პრაქტიკაში..... 71

თამარ ლაკერბაია

DEFINITION OF CONSUMER IN THE CASE-LAW OF THE COURT OF JUSTICE OF THE
EUROPEAN UNION.....89

Tamar Lakerbaia

გონივრული მისადაგების პრინციპი გააერთიანებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) მიხედვით90
მარინა კობახიძე

PRINCIPLE OF REASONABLE ACCOMMODATION ACCORDING THE UNITED NATIONS CONVENTION ON THE RIGHTS OF THE PERSONS WITH DISABILITIES (UNCRPD).....99
Marina Kobakhidze

საჯარო მმართველობა

პრივატიზაცია, როგორც საჯარო მმართველობის შემადგენელი ფუნდამენტური ელემენტი 103
შალვა ყიფშიძე

PRIVATIZATION AS A FUNDAMENTAL ELEMENT OF PUBLIC MANAGEMENT 113
Shalva Kipshidze

საჯარო სამსახური და საჯარო მოსამსახურე ევროკავშირში..... 114
პეტრუ ტარჩილა, ვიორიკა კორნელია გრაჟდეანუ
ინგლისურიდან თარგმნა გვანცა გუგეშაშვილმა

PUBLIC OFFICE AND THE CIVIL SERVANT IN THE EUROPEAN UNION 134
Petru Tărchilă, Viorica Cornelia Grăjdeanu
Translated by Gvantsa Gugeshashvili

საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების კონსტიტუციური საფუძვლების კონტექსტში 135
ფიქრია თათარაშვილი

BUDGETARY AUTHORITY OF THE LEGISLATIVE BODY ACCENTUATING THE CONSTITUTIONAL FOUNDATIONS OF AN AUTHORITY OF PARLIAMENT OF GEORGIA.....157
Pikria Tatarashvili

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

მარქსიზმი და ქალთა სტატუსი 161

ნანი მანველიშვილი

MARXISM AND STATUS OF WOMEN 171

Nani Manvelishvili

მარცხისტვის განწირული: ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის
აღმასვლა და დაცემა.....172

ჯონ ჯ. მერშეიმერი

ინგლისურიდან თარგმნა ირაკლი ჯავახიშვილმა

BOUND TO FAIL: THE RISE AND FALL OF THE LIBERAL
INTERNATIONAL ORDER 222

John J. Mearsheimer

Translated by Irakli Javakhishvili

თეოლოგია და რელიგიის კვლევები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა (1997 წლამდე და შემდეგ)¹

წინასიტყვა

რატომ შეიძლება ვინმეს სურდეს ამ პრობლემის შესახებ წერა? საერთოდ, რატომ არის ეს თემა ღირებული? რას ვკარგავთ, თუკი არ შევუდგებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის (სმე) მიერ ეკუმენური მოძრაობის დატოვების მიზეზების გარკვევას? მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის სმე ერთადერთია, რომელიც სრულიად მოულოდნელად და სამუდამოდ გაემიჯნა ეკუმენურ მოძრაობას². ეს უჩვეულო გარემოებები კი ბევრად ზრდის ინტერესს ამ მოვლენისადმი.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ საქართველო ნაციონალურ-რელიგიური თვითგამორკვევის იმავე პროცესებს უნდა დაქვემდებარებოდა, რაც სხვა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში განვითარდა, მაგრამ მხოლოდ საქართველოსა და ქართულ რელიგიურ სივრცეში წარმოიქმნა უნიკალური ვითარება, რამაც ასეთი მტკივნეული იზოლაციისკენ უბიძგა ქვეყნის დომინანტურ ეკლესიას. როგორ გახდა შესაძლებელი ამგვარი გადაწყვეტილების მიღება და საიდან იყო ის ინსპირირებული: ზემოდან (იერარქია) თუ ქვემოდან (ხალხი)? ამ საკითხთან დაკავშირებული პერიპეტტიების სათანადო წარმოჩენა და მათი სიღრმისეული გააზრება წარსულის გაკვეთილების უკეთ გათავისებაში დაეხმარება როგორც თავად საქართველოს, ისე სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წევრებს. ეს კი, თავის მხრივ, მომავალში მსგავსი საშიშროებების წარმოქმნისას უფრო მომზადებულ დახვედრას გულისხმობს.

სამწუხაროდ, არც ქართულ და არც, მით უმეტეს, უცხო ენაზე არ არსებობს პუბლიკაცია, რომელიც ინტენსიურად, სისტემურად განიხილავს აღნიშნულ თემას. ამიტომ ვეცდები სწორედ ამგვარი, შეძლებისდაგვარად ვრცელი და ფოკუსირებული ანალიზი შემოგთავაზოთ.

* ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. <https://orcid.org/0000-0002-0057-3314>

¹ თავდაპირველად ტექსტი 2017 წლის 15 სექტემბერს მოხსენების სახით იქნა წარდგენილი საერთაშორისო სემინარზე, რომელზეც მიმინვია რედბოუდის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) აღმოსავლური ქრისტიანობის კვლევის ინსტიტუტმა. აღნიშნული მოხსენება განვრცობილი სტატიის სახით გამოქვეყნდა ჟურნალში: *Journal of Eastern Christian Studies* 71:1-2, 2019, pp. 127-159. წინამდებარე ქართულენოვანი სტატია კი ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სტატიისგან მცირედით განსხვავდება, რადგან დაზუსტებულია სხვადასხვა დეტალი და შენარჩუნებულია ზოგიერთი სტრიქონი, რომლებიც უცხოელმა რეცენზენტებმა დასავლური საზოგადოებისთვის აუცილებლად არ მიიჩნიეს.

² მართალია, საქართველოს შემდეგ, 1998 წელს, ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც დატოვა ეკუმენური ორგანიზაციები. 2006 წელს მან განაცხადა ემსში დაბრუნების თაობაზე, თუმცა მაშინ ამ ეკლესიას არ აღუდგენია ამ ორგანიზაციების წევრობა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კი მსგავსი განცხადება არასდროს გაუკეთებია.

შესავალი: ეკუმენური მოძრაობის მიზანი

სიტყვა „ეკუმენიზმი“ წარმოდგება ბერძნული სიტყვისგან *oikoumene*, რაც ნიშნავს „დასახლებულ მიწას“. ქრისტიანები კი ამ სიტყვით აღნიშნავდნენ ქრისტიანულ სამყაროს. ამიტომაც, მაგალითად, „ეკუმენურად“ მოიხსენიებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებები. მართალია, ეკუმენური მოძრაობა მეოცე საუკუნის დასაწყისში პროტესტანტულ დასავლეთში წარმოიშვა და 1948 წელს აღნიშნული მოძრაობის საფუძველზე შეიქმნა ყველაზე მსხვილი ეკუმენური ორგანიზაცია – ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს), თუმცა არ იქნება სწორი, თუ გასულ საუკუნეში ქრისტიანთა გაერთიანების ან ურთიერთდაახლოების ინიციატორებად მხოლოდ პროტესტანტებს მივიჩნევთ.

ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს იმ გაბედული ეკუმენური ინიციატივის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წელს კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) პატრიარქმა გამოიჩინა თავისი ცირკულარული ენციკლიკით – „ქრისტეს ყველა ეკლესიას, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი“³. ენციკლიკა მიმართული იყო სხვადასხვა ტრადიციის ქრისტიანული ეკლესიებისადმი, „რომლებიც ქრისტეს წმინდა სახელს ატარებენ“⁴ და რომელთაც მსოფლიო საპატრიარქო მოუწოდებდა იმ სფეროებში თანამშრომლობისკენ, რითაც მათ შორის „მეგობრობა“ და „კეთილგანწყობა“ უნდა დამყარებულიყო და განმტკიცებულიყო. ენციკლიკა, მაგალითად, ხაზს უსვამდა საერთო კალენდრის შემუშავების, თეოლოგიური სკოლების მჭიდრო ურთიერთობის, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების, „დოქტრინული განსხვავებების“ ობიექტური შესწავლის, შერეული ქორწინებების საკითხის განხილვის აუცილებლობას.

თავდაპირველად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიების აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდა ემს-ის ფარგლებში მიმდინარე ეკუმენური დიალოგის მიმართ. მაგალითად, 1948 წელს მოსკოვში შეკრებილი მართლმადიდებელი იერარქების კრებაზე, რუსი მთავარეპისკოპოსი სერაფიმე მკაცრად გამოხატა ეკუმენურ მოძრაობას⁵. ცხადია, თავის როლს თამაშობდა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის არსებული ცივი ომიც. თუმცა ხსენებული მართლმადიდებელი ეკლესიები ემს-ში 1960-იან წლებში აქტიურად წევრდებიან. მიიჩნევენ, რომ ამ ქმედების უკან კვლავ საბჭოთა კავშირის ინტერესი იდგა: გამოეყენებინა ეკლესია თავისი გავლენის გასაზრდელად დანარჩენ სამყაროზე.

ქრისტიანთა ერთობისკენ სწრაფვა ღვთის ნების აღსრულებისთვის ზრუნვად განიხილება. წმინდა წერილიდან ეკუმენური მოძრაობის კლასიკურ ბაზისად იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმული ლოცვის შემდეგი სიტყვები მიიჩნევა: „რათა ყველანი

³ “Unto the Churches of Christ Everywhere”, Encyclical of the Ecumenical Patriarchate, 1920, in: Orthodox Visions of Ecumenism. Statements, Messages and Reports on the Ecumenical Movement 1902-1992, Compiled by G. Limouris. Geneva, 1994, 9-11.

⁴ იქვე, 11.

⁵ Archbishop Serafim, Should the Russian Orthodox Church Participate in the Ecumenical Movement?, July, 1948, in: Eastern Orthodox Christianity: The Essential Texts, Edited by B. Geffert and T. Stavrou, Yale University Press, 2016, 410-412.

ერთ იყვენ“ (ინ. 17:21)⁶. დაყოფილი ან განყოფის პირას მყოფი ქრისტიანული გაერთიანებების მორიგების მცდელობანი ისეთივე ძველია, როგორც თავად საეკლესიო განხეთქილება. ამრიგად, ერთობის შენარჩუნება ან დარღვეული ერთობის აღდგენა ყოველთვის ღირებული იყო ეკლესიის ისტორიაში. „მამასადამე, ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელთა მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის ბუნებასა და მის ისტორიას. ამგვარი მონაწილეობა სამოციქულო რწმენის ბუნებრივი გამოხატულებაა ახალ ისტორიულ გარემოებებში“⁷.

2016 წელს კუნძულ კრეტაზე გამართულმა პან-ორთოდოქსულმა წმინდა და დიდმა კრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა და მოიწონა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობა ეკუმენურ დიალოგებში, „მიუხედავად იმ ღრმა კრიზისისა, რაც გაჩენილია ეკუმენურ მოძრაობაში“⁸.

ცხადია, თანამედროვე ეკუმენურ მოძრაობას თავისი სირთულეები ახლავს. მაგრამ განა წარსულში ეკლესიათა გაერთიანების მცდელობებიც უმეტესად წარუმატებელი არ იყო? სწორედ ამის გამო წერდა გიორგი ფლოროვსკი: „და არაფერი ისე ხელს არ უშლის [ქრისტიანთა] ნამდვილ დაახლოებასა და გაერთიანებას, როგორც სწორედ ეს წარუმატებელი მცდელობები“⁹. მაგრამ ეს ვერ იქნება პასიურობისა თუ პესიმიზმის საფუძველი, რადგან ცნობილი კათოლიკე თეოლოგის, ივ კონგარის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, – „სქიზმა და ერესი მოუთმენლობისა და ძალმომრეობის ნაყოფია. კვლავ გაერთიანება კი ხანგრძლივი და დაუღალავი მოთმინების ნაყოფი იქნება“¹⁰.

ეკუმენისტები ვერ ასცდებიან ორ ცეცხლს შორის ყოფნას ფუნდამენტალისტებისა და ლიბერალების მხრიდან, რადგან გარდაუვლად წაანყდებიან კრიტიკას, როგორც სარწმუნოების ღალატის, ისე სხვა კონფესიებისადმი არასაკმარისი გახსნილობის გამო¹¹. მაგრამ, როგორც იოანე მეიენდორფი წერდა, – „ყველაზე დიდი შე-

⁶ საინტერესოა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის განჩინების თანახმად, მაცხოვრის ეს ლოცვა „მართლმადიდებლური გაგებით“ უნდა აღვიქვათ, რადგან მასში „არ არის მითითება „ეკლესიათა“ გაერთიანებაზე, არამედ ერთ წმინდა კათოლიკე ეკლესიაში პიროვნებების ერთობაზე“ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება, საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნები, 08.10.1998. თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, 1999, 13. კერძოდ, იხ., სინოდის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი „საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნა ბალამანდის 1993 წლის დოკუმენტის შესახებ“).

⁷ The Orthodox Churches and World Council of Churches, para. 15, Report of the inter-Orthodox Consultation of orthodox WCC Member Churches, 12-16 September 1991, in: Orthodox Visions of Ecumenism: Statements, Messages and Reports on the Ecumenical Movement 1902-1992, Compiled by G. Limouris, Geneva, 1994, 191.

⁸ წმინდა და დიდი კრება, კრეტა, ივნისი 2016, დოკუმენტი: „მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენი ქრისტიანული სამყაროსადმი“, პარ. 7, <<http://www.kreba2016.ge/მართლმადიდებელი-ეკლესია-4/>> [12.05.2021]

⁹ Флоровский Г., Проблематика Христианского Воссоединения, В Книге: Флоровский Г., Вера и Культура: Избранные труды по Богословию и Философии, Санкт-Петербург, 2002, 497.

¹⁰ Congar Y., Dialogue between Christians: Catholic Contributions to Ecumenism, Westminster, 1966, 174, იხ. ციტირება: Evans, Gillian. Method in Ecumenical Theology: The Lessons So Far. Cambridge: Cambridge University Press 1996, p. 225.

¹¹ Nelson D., Charles R.II, Ecumenism: A Guide for the Perplexed, New York, 2017, 163.

ცდომა, რაც მართლმადიდებლებმა შეიძლება დაუშვან, არის სწორედ იმის ფიქრი, რომ ისინი თავს აარიდებენ ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობასა და პასუხისმგებლობას¹². ეს შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანები ვალდებულნი არიან უწყვეტი დიალოგი ჰქონდეთ სხვებთან, მიუხედავად მცირე შედეგისა ან უშედეგობისა, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც სხვა ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგი იონ ბრია წერს, ეკუმენური დიალოგის ფარგლებში, არამართლმადიდებელთა მხრიდან არსებობს, „რეალური სურვილი მოუსმინონ მართლმადიდებლებს და ისწავლონ მათი ტრადიციიდან“¹³.

გარდა იმისა, რომ დიალოგი ქრისტიანის პირდაპირი ვალდებულებაა, ზოგადად, „სხვასთან“ დიალოგი უკვე თავისთავად ღირებულებაა. ამ თვალსაზრისით, სამართლიანად შენიშნავდა ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელი, მთავარეპისკოპოსი ანასტასი იანულატოსი, რომ „როცა ვცდილობთ სხვას უკეთესად გავუგოთ, ამ დროს საკუთარ თავსაც უფრო ღრმად ვიაზრებთ“¹⁴.

განა ეკლესიის ისტორიის მანძილზე სწორედ ჰეტეროდოქსებთან დისკუსიები არ უწყობდა ხელს ორთოდოქსული თეოლოგიის განვითარებასა და მის გაღრმავებას? დღეს კი მართლმადიდებლები თითქოს უფრო ხიან სხვა ქრისტიანებთან დიალოგს, ერთგვარ თავდაცვით პოზიციაში არიან და მხოლოდ ჰეტეროდოქსების დაგმობით იფარგლებიან. როგორც მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი წერს, – „ხშირად შეხვედრებზე მართლმადიდებლები თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ, თითქოს თანხმობას კი არა შეუღეს ეძიებენ. ეკუმენიზმის წინააღმდეგ გარკვეულწილად სულიერი ტერორიც არსებობს, რის გამოც ეკლესიის ლიდერები ერიდებიან „კარგი რეპუტაციის“ დაკარგვას; ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა ხომ უარყოფასა და პოლემიკასთანაა გაიგივებული“¹⁵.

ქრისტიანული ერთობის გაგება არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი და ამ საკითხის გამორკვევაც ეკუმენური დიალოგის ამოცანაა. ზოგისთვის საკმარისია ეკლესიებს შორის ურთიერთობის აღდგენა ფორმალური და სტრუქტურული გაერთიანების გარეშე, ანუ რასაც ხშირად უწოდებენ „ერთობას მრავალფეროვნებაში“, ზოგისთვის კი საკმარისია ერთობლივი ჰუმანიტარული და სოციალური აქტივობა ანუ მჭიდრო თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა ყოველგვარი ინტერკომუნიონის გარეშე.

ეკუმენურ დიალოგს თავისი წარმატებებიც ჰქონდა. ამ კუთხით, შესაძლებელია დასახელდეს, მაგ., დოკუმენტი სახელწოდებით – *Baptism, Eucharist, and Ministry*

¹² მეიენდორფი ი., ჭეშმარიტი და ცრუ-ეკუმენიზმი (1969 წ.), წიგნში: აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა, დ. თინიკაპვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 447.

¹³ Bria I., *The Sense of Ecumenical Tradition: The Ecumenical Witness and Vision of the Orthodox*, Geneva, 1991, 27.

¹⁴ Yannoulatos A., *Problems and Prospects of Inter-religious Dialogue: An Eastern Orthodox Perspective*, *The Ecumenical Review*, Vol.52, No.3, 2000, 351.

¹⁵ ზიზიულასი ი., მართლმადიდებლების თვითშეგნება – მათი მონაწილეობა ეკუმენურ მოძრაობაში (1995 წ.), თ. გრძელიძის თარგმანი, წიგნში: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 152.

(BEM)¹⁶. მართლმადიდებლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საფუძველმდებარე დოკუმენტის მომზადებაში, რის შედეგადაც „მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობამ პოზიტიურად შეაფასა ეს ტექსტი“¹⁷. აშშ-სა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კი ეს დოკუმენტი „არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა, არამედ ასევე ინტეგრირდა თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში“¹⁸. არანაკლები წარმატება იყო ასევე, მაგ., ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ანგლიკანებსა და პროტესტანტებს შორის ურთიერთობის აღდგენაც (ე.წ. *Porvoo Agreement*)¹⁹. იგივე მოხდა ევროპაშიც ლუთერანულ და რეფორმატორულ ეკლესიებთან დაკავშირებით (*Communion of Protestant Churches in Europe*)²⁰.

ამგვარი რელიგიური გაერთიანებებისა თუ განსხვავებული თეოლოგიური ხედვების დაახლოების პრეცედენტების გარდა, რეგულარული ეკუმენური დიალოგების შედეგად ასევე მნიშვნელოვნად შერბილდა მტრული განწყობა ემს-ის წევრ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის. როგორც ეკუმენური დიალოგის მკვლევარი და მონაწილე ჯილიან ევანსი წერს, – „შედეგად, ჩვენ ხშირად აღარ ვუყურებთ ეჭვის თვალით ერთმანეთს. მცირე გამოწვევების გარდა, ქრისტიანები აღარ ახასიათებენ ერთმანეთს როგორც ანტიქრისტებს მიმდევრებს, რაც ჩვეული გამოხატულება იყო მანამდე ერთმანეთისგან უკიდურესი გაუცხოების დროს“²¹.

ემს-ში მართლმადიდებელთა კრიტიკული მონაწილეობა

მოკლედ გადავავლოთ თვალი მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან ემს-სადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამოვლინებებს 1990-იან წლებამდე. ემს-სადმი მართლმადიდებლური სამყაროს ზოგადი დამოკიდებულების საერთო კონტექსტის გასააზრებლად, საჭიროდ მიმაჩნია გაკვირვებით მაინც ვახსენოთ ის მომენტები, რომლებსაც გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ემს-თვის, ისე მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის.

მართლმადიდებელთა პირველი პროტესტი ემს-ის მისამართით 1948 წელს გაისმა. მოსკოვში გაიმართა მართლმადიდებელ ეკლესიათა თათბირი, სადაც აღინიშნა, რომ ეკუმენურმა მოძრაობამ პატივი უნდა სცეს აღმოსავლური ეკლესიოლოგიის პრინციპებს და უფრო მკაფიოდ გამოთქვას თავისი პოზიცია ეკლესიოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ეკუმენური

¹⁶ Baptism, Eucharist and Ministry (BEM), Faith and Order Paper No. 111, the “Lima Text”, Lima, Peru 1982, <ibit.ly/NqFv>[20.10.2017]

¹⁷ Metropolitan Gennadios of Sassima, Memory Against Forgetting – the BEM Document After Twenty-Five Years, in: BEM at 25: Critical Insights into a Continuing Legacy, Edited by T.F. Best and T.Grdzelidze, Geneva, 2007, 165.

¹⁸ იქვე, 164.

¹⁹ Evans G., Method in Ecumenical Theology: The Lessons So Far, Cambridge University Press, 1996, 219.

²⁰ Христианский Экуменизм Сегодня: Кризис или Трансформация? Беседа с Экуменистами разных конфессий, Журн. “Государство, Религия, Церковь в России и за Рубежом”, №1 (35), 2017, 306.

²¹ Evans G., Method in Ecumenical Theology: The Lessons So Far, Cambridge University Press, 1996, 224.

მოძრაობის პრაქტიკული²² ამოცანა“ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებაა და რომ ემს საერთაშორისო გავლენის მოპოვებას „სოციალურ-პოლიტიკური აქტივობით“ ცდილობს. ასევე აღინიშნებოდა, რომ ეკუმენურმა მოძრაობამ „ძალიან ნაჩქარევად უარყო იმედი ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის კვლავ შეერთებისა“²³ და რომ „გაერთიანების პირობების მოთხოვნის დაყვანა მხოლოდ იესო ქრისტეს ჩვენ უფლად გამოცხადებამდე, აკნინებს ქრისტიანულ მოძღვრებას მხოლოდ იმ რწმენამდე, რომელიც, მოციქულის სიტყვით, ეშმაკისთვისაც კი შესაძლებელია (იაკ. 2:19; მთ. 8:29, მკ. 5:7)“²⁴. დოკუმენტის ბოლოს ნათქვამია, რომ ყოველივე ამის გამო მართლმადიდებელი ეკლესიები იძულებულნი იქნებიან ემს-თან თანამშრომლობა შეწყვიტონ.

პასუხად 1950 წელს ემს-მა „ტორონტოს დეკლარაციის“ სახელით ცნობილი დოკუმენტი შეიმუშავა, რომელშიც დადასტურებულია, რომ ემს არანაირად უარყოფს ქრისტიანთა გაერთიანების იმედს. ეკლესიოლოგიურ სტატუსთან დაკავშირებით კი ნათქვამია, რომ ემს არ არის ეკლესია ან ზე-ეკლესია და რომ ის ვერ იქნება ერთი რომელიმე ეკლესიის ან თეოლოგიის გამომხატველი (III.3). ასევე განმარტებულია, – „საბჭოს წევრობა არ ნიშნავს, რომ თითოეულმა ეკლესიამ აუცილებლად უნდა აღიაროს საბჭოში შემავალი სხვა ეკლესიები, როგორც ეკლესიები“ (პარაგ. IV.4)²⁵. ასევე ცხადი გახდა, რომ ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი ნამდვილად არ იყო პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის, როგორც მოსკოვში შეკრებილი მართლმადიდებელი იერარქები შიშობდნენ.

მართლმადიდებელთა საერთო პროტესტის სხვა ცნობილი შემთხვევა გვექონდა 1998 წელს თესალონიკში მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ გამართული შეკრებაზე. ამჯერად უკმაყოფილება უმთავრესად პროცედურულ საკითხებს უკავშირდე-

²² რეზოლუციის ქართულ თარგმანში სიტყვა „პრაქტიკული“ გამოტოვებულია (შესაძლოა ამის მიზეზი ის იყოს, რომ ქართული თარგმანი შესრულებულია რუსული ენიდან).

²³ Resolution on the Ecumenical Question, Moscow, USSR 1948, in: *Orthodox Visions of Ecumenism: Statements, Messages and Reports on the Ecumenical Movement 1902-1992*, Compiled by G. Limouris, Geneva, 1994, 18-19. ქართული თარგმანი: დოკუმენტი „რეზოლუცია საკითხზე ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია“, მოსკოვი, 1948, წიგნში: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 203-205.

²⁴ იქვე, 204.

²⁵ „ეკლესია, ეკლესიები და ემს“, ტორონტო 1950, რუსულიდან თარგმან ლევან აბაშიძემ, წიგნში: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 206-216. (მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ათნლეულების შემდეგ დანერს: „ტორონტოს დეკლარაცია უნდა განთავისუფლდეს ეკლესიოლოგიური პლურალიზმისგან. მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ემს-მ არ უნდა განავითაროს ეკლესიოლოგია. პირიქით, ეს მისი პრიორიტეტი უნდა იყოს (...) ჩვენ უნდა განვასხვავოთ ეკლესია ისეთი ერთეულისგან, რომელსაც ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება (და რომელსაც, – ზიზიულასისვე სიტყვით, – არ აქვს უნა სანქტას ნიშნები, დ.თ.). სწორედ ასეთია ეკუმენური მოძრაობა და ემს, რადგან მათი დანიშნულება და უპირველესი ამოცანაა ეკლესიების ერთობა. სწორედ ეს უკანასკნელი ანიჭებს ემს-ს ეკლესიოლოგიურ მნიშვნელობას“ (ზიზიულასი ი., მართლმადიდებლების თვითშეგნება – მათი მონაწილეობა ეკუმენურ მოძრაობაში (1995 წ.) (დასკვნები, პუნქტები ბ და გ), ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 153).

ბოდა: მართლმადიდებელი ეკლესიები ემს-ში სათანადო გავლენას ვერ ახდენენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე უმცირესობაში ყოფნის მიზეზით (14 მართლმადიდებელ ეკლესიაზე 350-მდე პროტესტანტული ეკლესია მოდიოდა). ამის გამო მათ ერთგვარ ბოიკოტს მიმართეს, რომელიც ეკუმენურ ლოცვასა და ხმის მიცემის პროცედურაში დროებით არმონაწილეობას გულისხმობდა. მართლმადიდებლების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ბოიკოტი „შენარჩუნდება მანამ, სანამ არ დასრულდება ემს-ის რადიკალური გარდაქმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის მართლმადიდებელთა სათანადო მონაწილეობას (პარაგ. 13.დ)“²⁶.

ემს-მა მართლმადიდებელთა ეს პრეტენზიებიც განიხილა. იმავე 1998 წელს იქმნება სპეციალური კომისია, რომელმაც სამწლიანი მუშაობის შემდეგ წარმოადგინა დოკუმენტი-გამოკვლევა სათაურით – „სპეციალური კომისიის საბოლოო ანგარიში ემს-ის მუშაობაში მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის თაობაზე“²⁷. დოკუმენტი ითვალისწინებდა ემს-ის შეკრებებზე კენჭისყრის სისტემის რადიკალურ ცვლილებას: ე.წ. „კონსენსუსის მოდელს“, რომელიც ხმის მიცემის პროცედურაში უმცირესობაში მყოფი წევრების თანაბარ მონაწილეობას უზრუნველყოფს. სხვა სიტყვებით, თუკი ერთი ხმა მაინც წინააღმდეგია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისა, ეს გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული.

შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ წამოყენებული დროებითი ზომებიც ავტომატურად მოიხსნა: ემს-ის მომდევნო გენერალურ ასამბლეაზე 2006 წლის 14-23 თებერვალს ქ. პორტუ ალეგრიში (ბრაზილია) ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო მონაწილეობა როგორც ხმის მიღების პროცესში, ასევე ეკუმენურ ლოცვაში (თესალონიკში მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ 1998 წელს მიღებული ეს დროებითი ზომა, – არამართლმადიდებლებთან თანალოცვაში არმონაწილეობასთან დაკავშირებით, – რატომღაც საბოლოო და უცვლელ გადაწყვეტილებად არის აღქმული საქართველოს ეკლესიის სინოდის განჩინებაში²⁸. ქართველი რადიკალი ანტიეკუმენისტებიც იმავენაირად აღიქვამენ თესალონიკის დეკლარაციას და მართლმადიდებელთა მიერ ეკუმენურ თანალოცვებში თანამონაწილეობის აღდგენას თესალონიკის შეთანხმების „დარღვევად“ აფასებენ²⁹).

²⁶ „შეხვედრა თემაზე „მართლმადიდებლობასა და ეკუმენურ მოძრაობას შორის ურთიერთობაში ახალი ფაქტების შეფასება“ (ე.წ. „თესალონიკის დეკლარაცია“, 1998), ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 240.

²⁷ Final Report of the Special Commission on Orthodox Participation in the WCC, September 2002, <ibit.ly/EI0c>[13.10.2017].

²⁸ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება, 09.10.1998, თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, 1999, 23 (იხ., დოკუმენტი „საღვთისმეტყველო კომისიის დასკვნა ეკლესიოლოგიის შესახებ“).

²⁹ აროშვილი გ., აროშვილი ზ., ეკუმენიზმი: ანტიქრისტეს რელიგია, თბილისი, 2002, 195; ასევე იხ., აროშვილი გ., აროშვილი ზ., საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997-2001 წლებში, თბილისი, 2001, 11.

ეკუმენიზმის შეტეობა საქართველოს ეკლესიაში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმე) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (ემს) 1962 წელს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ინიციატივით განწევრდა. ამავე წელს პატრიარქი ემს-ის კონფერენციაზე სიტყვით გამოდის და განსაზღვრული ორმოცი წუთის ნაცვლად, სამი საათი საუბრობს³⁰. ქართველი დელეგატები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ემს-ის ასამბლეებში უპსალასა (1968) და ნაირობიში (1975). ეს ის დროა, როცა საბჭოთა ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა საერთაშორისო ვიზიტებს, რის გამოც ქართველი იერარქებისთვის ხშირად შეუძლებელი იყო ქვეყნიდან გამგზავრება და მსგავს შეკრებებში სურვილისამებრ მონაწილეობა. ეკუმენურ ურთიერთობებში ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ეპისკოპოსი ილია შიოლაშვილიც, რომელიც 1977 წელს ხდება სმე-ის კათალიკოს-პატრიარქი; 1979 წელს კი მას ემს-ის თანაპრეზიდენტად ირჩევენ (ემს-ის სულ ექვსი თანაპრეზიდენტი ჰყავდა), რაც ერთგვარი „ნიშანი იყო ილია მეორისა და საქართველოს ეკლესიის მიერ ქართული საზოგადოების გარდაქმნაში შეტანილი წვლილის აღიარებისა“³¹.

სმე-ის ახალგაზრდა საჭეთმპყრობელი ილია II ქრისტიანთა ერთობის იდეის ენერგიული მხარდამჭერი იყო, რაც მის საჯარო განცხადებებშიც აისახა. ასე მაგალითად, 1979 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შეკრებაზე ის თამამად აცხადებდა, რომ ქრისტიანი ყველაფერთან ერთად ეკუმენისტიც უნდა იყოს, რაც, მისი აზრით, არა მხოლოდ აზროვნებით, არამედ პრაქტიკულადაც უნდა გამოიხატებოდეს, მაგ., „ურთიერთდასწრებაში ჩვენს ღვთისმსახურებებსა და ქადაგებებს“³².

პატრიარქი ილია II ამგვარი „პრაქტიკული ეკუმენიზმის“ მხურვალე მომხრე მხოლოდ საერთაშორისო არენაზე გამართულ ეკუმენურ შეკრებებზე როდი იყო. იგი საკუთარ ქვეყანაშიც იმავს ქადაგებდა. ამის ყველაზე მკაფიო გამოვლინება, ალბათ, 1988 წელს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას, სხვადასხვა სოფელში წარმოთქმული ქადაგებებია. სოფელ ვალეს კათოლიკურ ტაძარში მან ამგვარად მიმართა კათოლიკე მოსახლეობას: „მე შემძლია გამოგიგზავნოთ ისეთი მღვდელი, რომელიც თანაბარი სიყვარულით ილოცებს თქვენთან ერთად, როგორც მართლმადიდებლურ, ასევე კათოლიკურ ტაძარში“³³. სოფელ უდემი კი პატრიარქი შემდეგ სიტყვებით მიმართავს ხალხს: „თქვენს მხარეში ხშირად კამათობენ, რომ მე კათოლიკე ვარ, შენ მართლმადიდებელი და ამიტომ სხვანი ვართო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და გვწამს სამება – მამა, ძე და სულიწმინდა. და თუ მაინც მოხდა რომსა და ბიზანტიას შორის განხეთქილება მე-11 საუკუნეში, ეს უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და არა დოგმატურ-ღვთისმეტყველურს, თანაც ამ განხეთქილების მიუხედავად არ მომხდარა განხეთქილება

³⁰ ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ მეორე, 1960-1972, თბილისი, 2007, 39.

³¹ Crego P., *The Georgian Orthodox Church*, in: *Eastern Christianity and Politics in the Twenty-First Century*, Edited by Lucian N. Leustean, London, 2014, 146.

³² პატრიარქი ილია II, „უნდა ვეძიოთ ახალი გზები“. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, 1979 წ., ჟურნ. „ზღვარი“, №1, 2005, 4 (სიტყვა თავდაპირველად გამოქვეყნდა: ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, 1979, 24).

³³ ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №4, 1988, 29.

რომსა და საქართველოს შორის³⁴. ამავე მოგზაურობისას პატრიარქი ასევე იხსენებს, თუ როგორ ლოცულობდა კათოლიკეებთან ერთად რომში მომლოცველობისას.

პატრიარქი ილია II შინ და გარეთ არა მხოლოდ სიტყვებით ქადაგებს ეკუმენურ იდეებს, არამედ მათ პრაქტიკაშიც ახორციელებს, ამასთან, საკმაოდ თამამი ფორმით. მაგალითად, მან 1984 წლის აპრილში საქართველოში სტუმრად მყოფი კათოლიკე მღვდლები, ერნსტ სუტნერი და აბატი ცელესტინ პატოკი, სიონის საკათედრო ტაძარში ლიტურგიაზე საკუთარი ხელით აზიარა, რის თაობაზეც საპატრიარქოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოც იუწყებოდა³⁵ (მოგვიანებით ინტერკომუნიონის ამ აქტის გამო იგი იძულებული იქნება საჯარო სინანული გამოთქვას).

მგზნებარე ეკუმენურ სულისკვეთებას არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის პატრიარქი ავლენდა, არამედ ეპისკოპატიც. მაგალითად, მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე ერთ თავის სტატიაში სიამაყით აღნიშნავდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიების ეკუმენური მოძრაობაში ჩართვა „გარდაუვალია“ და რომ პატრიარქი „ეკუმენური მოძრაობის ფუძემდებელია საქართველოში“³⁶.

პატრიარქი ილია II გულთბილად იღებდა ასევე ემს-ის წარმომადგენლებს. 1983 წელს საქართველოს ემს-ის გენერალური მდივანი ფილიპ პოტერი ეწვია. ამ შეხვედრისას პატრიარქი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ დოქტორმა პოტერმა „ბევრი რამ გააკეთა ეკლესიათა და საერთოდ ქრისტიანთა დაახლოებისათვის“³⁷. მანამდე საქართველოში ემს-ის რწმენისა და საეკლესიო წყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, დოქტორ ლუკას ფიშერსაც უმასპინძლეს. საქართველოს ეკლესიის ეკუმენური ურთიერთობების ისტორიას სხვა ეკუმენური ორგანიზაციის, ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივნის, დოქტორ გლენ უილიამსის, სტუმრობაც ახსოვს³⁸.

როგორც აღინიშნა, ეს ვიზიტები დიდი ძალისხმევის შედეგად ხორციელდებოდა, რადგან მოსკოვი ყველანაირად ხელს უშლიდა ამგვარი საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას საქართველოში³⁹. მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს (კომუნისტური) ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაენია საქართველოში სტუმრობის მსურველი უცხოელი დელეგატების ინიციატივებისთვის.

ამრიგად, დაახლოებით 1990-იან წლებამდე საქართველოში საუკეთესო ვითარება იყო ინტერკონფესიური ურთიერთობების თვალსაზრისით. ამის შესახებ თავად რელიგიური უმცირესობებიც აღნიშნავენ. 2006-2012 წლებში საშუალება მქონდა სახალხო დამცველის ოფისის ჟურნალისთვის – „სოლიდარობა“ (მოგვიანებით აგრეთვე დამოუკიდებელი ჟურნალისთვის „ლიბერალი“) სტატიები მენერა საქართვე-

³⁴ იქვე, 31.

³⁵ ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, 1984, 17.

³⁶ მახარაძე ნ., საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1983, 11.

³⁷ ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, 1983, 15.

³⁸ მახარაძე ნ., საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1983, 12.

³⁹ Witness Through Troubled Times: A History of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present, Edited by T. Grdzeldze, M. George, L. Vischer, London, 2006, 235.

ლოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების შესახებ, მათ გამოწვევებსა და პრობლემებზე. ამ სტატიათა ციკლის შედეგად მე, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრს, ახლო მეგობრული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა საქართველოში პროტესტანტ და კათოლიკე ქრისტიანებთან. ამ ეკლესიების ხელმძღვანელნი ჩემთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, თუ როგორი ძვირფასი იყო მათთვის ხსენებული პერიოდი. მაგალითად, ერთ-ერთი მსხვილი პროტესტანტული ეკლესიის⁴⁰ ხელმძღვანელის, ეპისკოპოს ოლეგ ხუბაშვილის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ მართლმადიდებლები და ეს ყველამ კარგად იცოდა, 1990-იან წლებამდე „ქართველი ხალხი მონონებით ხვდებოდა ჩვენს რელიგიურ მსახურებს“⁴¹.

საყოველთაოდ ცნობილია ასევე, თუ როგორ ქადაგებდნენ ბაპტისტი პასტორები სიონის საკათედრო ტაძრის ამბიონიდან; როგორ მიიწვია პატრიარქმა ილია მეორემ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ხელმძღვანელი, მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი საპატრიარქოში ბიბლიის ახალქართულ თარგმანზე სამუშაოდ. უფრო მეტიც, 1979 წელს შეიქმნა თეოლოგიური კომისია, რომელშიც ირიცხებოდნენ ევანგელურ-ბაპტისტური და მართლმადიდებელი ეკლესიების სასულიერო პირები. ბაპტისტური ეკლესია იმ დროისთვის საქართველოში ყველაზე მსხვილი რელიგიური გაერთიანება იყო სმე-ის შემდეგ. კომისიის მიზანი იყო ამ ორი ეკლესიის „შერიგება და გაერთიანება“⁴², ასევე, ერთობლივი ლიტურგიის ჩატარება. მიაღწიეს შეთანხმებას რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, ექსკლუსიული ერთიანობა კი სამომავლო მიზნად დაისახა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საპატრიარქოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში თავისუფლად იბეჭდებოდა არამართლმადიდებელ ეკლესიათა წმინდანების შრომები, მაგ., ცნობილი კათოლიკე მოღვაწის, წმინდა თომა კემპიელის (1378-1471) ასკეტური თხზულება „მიბაძვა ქრისტესი“⁴³.

ავისმომასწავებელი ნიშნები

ანტიეკუმენისტური ტალღა წარმოიშვა არა მალაღ იერარქებს შორის, არამედ ქვემოდან, ბერ-მონაზონთა წრეში. მორწმუნეთა შორის თანდათან ისეთი ბროშურები და გაზეთები ჩნდებოდა, რომლებშიც აშკარად ფუნდამენტალისტური მოსაზრებანი გადმოიცემოდა და რომლებიც ექსკლუსივისტურ თეოლოგიურ იდეებს ავრცელებდნენ.

⁴⁰ თინიკაშვილი დ., ევანგელურ-ორმოცდაათიანელთა ეკლესია, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5, 2006, 20.

⁴¹ თინიკაშვილი დ., საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის სოციალური მსახურება, 19 ივნისი 2012, იხ., <ibit.ly/OmzL> [12.05.2021]

⁴² Fiddes P., Songulashvili M., A dialogue between the Orthodox Church of Georgia and the “Evangelical Christians-Baptists” of Georgia (1979-1980) with its wider Baptist context, *International Journal for the Study of the Christian Church*, Vol.13, No.3, 2013, 222.

⁴³ თომა კემპიელის ნაშრომის – „მიბაძვა ქრისტესი“ – გაგრძელებებით გამოქვეყნება დაიწყო ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“, №2, 1982, 38-39.

ნათელი იყო, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნებაში საბჭოთა კავშირის დაშლას არანაირი ცვლილება გამოუწვევია: ხალხისთვის ისევ ლოზუნგები და არა ანალიზის უნარი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. კომუნისტური იდეოლოგია მართლმადიდებლური ნაციონალიზმით ჩანაცვლდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველა განსხვავებული აზრი და რწმენა უნდა ჩახშობილიყო, განდევნილიყო. პლურალიზმი და რწმენის თავისუფლება ანტიქრისტიანულ მოვლენებად გამოცხადდა. ქართული ნაციონალური იდენტობის აუცილებელ კომპონენტად მართლმადიდებლობა იქცა. ამიტომ კათოლიკე ან პროტესტანტი ქართველი აღარ უნდა მიჩნეულიყო ქართველად, რადგან ამით ქართულ ეროვნულ და რელიგიურ თვითმყოფადობას საფრთხე ექმნებოდა⁴⁴. როგორც თავის დროზე ერთ-ერთი ქართველი ავტორი შენიშნავდა, „პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ანტიეკუმენური და, ასევე, ანტიდასავლური ტენდენციები ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიიმპერიული მოძრაობის პარალელურად იკიდებდა ფეხს“⁴⁵.

სმე-ის მრევლსა და სასულიერო პირთა შორის ინტერკონფესიური ურთიერთობებისადმი მძაფრად ნეგატიური დამოკიდებულების გაჩენის საილუსტაციოდ, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი შემთხვევაა გამოსაყოფი: 1989 წელს პატრიარქ ილია II-ის მიერ საქართველოში მონვეული კათოლიკე მღვდლის, პროფესორ მიხეილ არანცის არშეშვება სასულიერო აკადემიაში (ლექცია უნდა წაეკითხა). ამ სამარცხვინო მოქმედებას თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგები, კერძოდ, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი (ამჟამად მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი) და არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი ხელმძღვანელობდნენ თავის ერთგულ სტუდენტებთან ერთად⁴⁶. აქ აღარაფერს ვიტყვი ეკლესიაში ისეთი დესტრუქციული ელემენტების წარმოშობაზე, როგორც იყო მღვდელი ბასილი მკალავიშვილი თავისი ფანატიკოსი მრევლით, რომელნიც არამართლმადიდებელი რელიგიური საკრებუ-

⁴⁴ პოსტსაბჭოთა საქართველოში რელიგიური და ნაციონალისტური იდენტობების კავშირისა და ზოგადად, ქართული რელიგიური ნაციონალიზმის შესახებ იხ., Chelidze A., *Ethno-Nationalistic and Religious-Nationalistic Components of Identity in Post-Soviet Georgia*, Occasional Papers on Religion in Eastern Europe, Vol.34, No.2, 2014; Crego P., *Religion and Nationalism in Georgia*, Occasional Papers on Religion in Eastern Europe, Vol.14, No.3, 1994; Aydingun A., *The Ethnification and Nationalisation of Religion in the Post-Soviet Georgian Nation-State Building Process: A Source of Discrimination and Minority Rights Violations?*, The International Journal of Human Rights, Vol.17, No.7-8, 2013, 810-828; Zedania G., *The Rise of Religious Nationalism in Georgia*, Identity Studies, Vol.3, 2011, 120-128; Ratiani S., *Differing Political Theologies of Differing Eras*, Identity Studies, Vol.3, 2011, 51-75; Eastwood W., *Reframing National Locality: Religious Minorities Using History to Transform Local Experience in Georgia*, National Identities, Vol.17, No.1, 2015, 25-43; Sabanadze N., *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and the Basque Country*, Central European University Press, 2010, 67-114. Grdzeldze T., *The Orthodox Church of Georgia: Challenges under Democracy and Freedom (1990-2009)*, International Journal for the Study of the Christian Church, Vol.10, No.2-3, 2010, 160-175.

⁴⁵ პაპუაშვილი ნ., *აზროვნების ოკუპაცია და ანტიეკუმენური აჯანყება საქართველოში*, ჟურნ. „აფრა“, №15, 2009, 280. (ეს სტატია ოდნავ შემოკლებული სახით ადრეც გამოქვეყნდა, იხ., პაპუაშვილი ნ., *ანტიეკუმენური აჯანყების ათი წლისთავი*, ჟურნ. „არჩევანი“, №5, 2007, 7-16.

⁴⁶ ამ მოვლენის შესახებ იხ. სტატია: პაპუაშვილი ნ., *ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს – ბნელად ანუ ობსკურანტიზმი გარეთ და შინ*, ჟურნ. „თავისუფლება“, №5 (17), 2003, 21-31.

ლოების რბევა-დანოკებას თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევდნენ (აღნიშნული მღვდელი საპატრიარქო 1996 წელს ეკლესიიდან განკვეთა).

ამრიგად, ნაციონალური და რელიგიური იდენტობის ძიების ამ რთულ პროცესში საქართველოში ვითარება უარესობისკენ იცვლება, მათ შორის, რელიგიური გახსნილობისა და შემწყნარებლობის თვალსაზრისითაც. როგორც მოსალოდნელი იყო, მასების ამგვარმა ობსკურანტულმა მისწრაფებებმა და განწყობებმა ეკლესიის მაღალ იერარქებზეც იქონია გავლენა. სამწუხაროდ, ამ მხრივ, არც პირველი იერარქი აღმოჩნდა გამონაკლისი.

ვითარების ამგვარ გაუარესებას, ვფიქრობ, ყველაზე ნათლად გამოხატავს 1991 წელს სვეტიცხოველში პატრიარქ ილია მეორის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

„ყოველი, რომელიც მართლმადიდებლობას, ჩვენს ეკლესიას, სვეტიცხოველს უღალატებს, მოღალატე იქნება მშობელი ერისაც, ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენში სექტანტური მოძღვრებებისა და სხვადასხვა რელიგიის გავრცელებას, ქართველი ერის მტრად გამოცხადდება“⁴⁷.

1994 წლის საშობაო ეპისტოლეში კი სმე-ის პირველი იერარქი სხვა ქრისტიანულ ეკლესიებს საკმაოდ მკაცრად ადანაშაულებს პროზელიტიზმში. პროტესტანტული ეკლესიები და გაერთიანებები, რომლებიც მათთვის შეურაცხმყოფელი ზედწოდებით, „სექტებად“ იხსენიება, „რელიგიური ექსპანსიის განხორციელებას ცდილობენ“ და „თესენ ანტაგონიზმს და შულს ადამიანებს შორის“⁴⁸.

რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, პატრიარქი საჯარო სინანულს გამოხატავს და სამწყსოს ბოდიშს უხდის უახლოეს წარსულში არამართლმადიდებლბთან თანალოცვისა და თანაზიარების (ინტერკომუნიონის) გამო. 1991 წლის 21 თებერვალს, მიტევების კვირას, ტაძრის ამბიონიდან მან შემდეგი განაცხადა:

„ყოფილა შემთხვევა, როცა მოსულან ჩვენთან არამართლმადიდებლები, მაგალითად, კათოლიკები, და გვიზიარებია ისინი. ეს შეცდომაა. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ეს გავაკეთეთ არა იმიტომ, რათა ვზიარებოდით იმათ მრწამსს, არამედ იმისთვის, რომ გვექადაგა მათთვის მართლმადიდებლობა და მოგვეზიდა ისინი. ყოფილა შემთხვევა, როცა ესა თუ ის სასულიერო პირი დასწრებია საერთო ლოცვას არამართლმადიდებლბთან. ესეც დიდი შეცდომაა. მაგრამ მე ისევ უნდა აღვნიშნო, რომ არასდროს ჩვენს სასულიერო პირებს არ უღალატიათ მართლმადიდებლობისთვის და თუ ისინი ესწრებოდნენ იმ საერთო ლოცვას, ჩვენი ლოცვებით ლოცულობდნენ, ჩვენი წესით,

⁴⁷ სვეტიცხოველი, 13 ივლისი 1991, სიტყვა იხ. კრებულში: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, ნ. II. თბილისი, 1997, 314.

⁴⁸ კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 1994 წელი, ტექსტის ელ-ვერსია ხელმისაწვდომია საპატრიარქოს ვებგვერდზე: <<http://patriarchate.ge/geo/1994-2/>> [22.01.2017]

ჩვენი ტრადიციით, ქართული წესით, სუფთა მართლმადიდებლური წესით ლოცულობდნენ⁴⁹.

ანტიკუმენისტური ტალღის აზვირთება

საქართველოში ანტიკუმენისტური განწყობის გაღვივება რამდენიმე ფაქტორმა და გარემოებამ განაპირობა. ბუნებრივია, ამის უპირველესი და ყველაზე თვალსაჩინო მიზეზი იმ ბერებს უკავშირდებოდა, რომლებიც ემს-დან გამოსვლას რწმენის სინმინდის დაცვის განზრახვით ითხოვდა. მაგრამ, ალბათ, ამ პროცესის პოლიტიკური, უფრო ზუსტად, საეკლესიო პოლიტიკური შემადგენელიც არ უნდა გამოვრიცხოთ.

საქართველოს ეკლესია მოსკოვის დირექტივებისგან დამოუკიდებლად დიდწილად ვერ აწარმოებდა ეკუმენურ ურთიერთობებს. ემს-ის ფორუმებზე ის მოსკოვის საპატრიარქოს ერთსულოვანი მოკავშირე უნდა ყოფილიყო. თავისთავად ის ფაქტი, რომ რუსეთის მრავალრიცხოვანი ეკლესია და საქართველოს მცირერიცხოვანი ეკლესია თითო-თითო ხმის უფლებით იყვნენ წარმოდგენილნი, მოსკოვში დიდ გაღიზიანებას იწვევდა. მაგრამ, ვინაიდან ამ მდგომარეობის შეცვლა ჩვენ ჩრდილოელ ერთმორწმუნეებზე არ იყო დამოკიდებული, ამიტომ ქართულ ხმას აუცილებლად მათ სასარგებლოდ უნდა ემუშავა. ცნობილია, რომ ემს-ს ასამბლეებზე ქართული დელეგაციის მთავარ წევრებს მოსკოვი ადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ხდება რუსული პოლიტიკური და რელიგიური გავლენისგან. 1990 წლის იანვარში მსოფლიო საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც აღიარა⁵⁰. როგორც ჩანს, მოსკოვი უწინდელ გავლენას ვეღარ ინარჩუნებდა საქართველოზე. ამიტომ არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ რუსეთს ხელს აღარ აძლევდა ქართული რელიგიური თუ პოლიტიკური ისტებლიშმენტის ურთიერთობანი შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რადგან ქართველები, შესაძლოა, არა მხოლოდ აღარ დარჩენილიყვნენ რუსების მოკავშირედ, არამედ საერთაშორისო ტრიბუნებით მსოფლიოსთვის ემცნოთ, თუ როგორ ექცეოდა დიდი მეზობელი თავის პატარა და სუსტ მეზობელს (იქნებოდა ეს გარკვეული ტერიტორიების და მათ ფარგლებში არსებული ეკლესია-მონასტრების ანექსია, თუ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი სხვა „გმირობანი“).

ბუნებრივია, აქ არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ საქართველოს ეკლესიამ ეკუმენური მოძრაობა მოსკოვის პირდაპირი მოთხოვნით დატოვა, მაგრამ, ვფიქრობ, არც იმის უარყოფა იქნებოდა გონივრული, რომ ამგვარი იზოლაციონისტური ნაბიჯი რუსეთის ინტერესებში შედიოდა და ამ პროცესის ხელშეწყობისთვის (არაპირდაპირ) ყველაფერს გააკეთებდა.

⁴⁹ კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა მიტევების კვირას, 21 თებერვალი 1999, ჟურნ. „ივერიის გაბრწყინება“, №2 (30), 1999, 4. სიტყვა გადმობეჭდილია გაზეთიდან – „საპატრიარქოს უწყებანი“, №8, 1999, 3.

⁵⁰ ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2012, 247.

თუ თვალს გავადევნებთ მოვლენებს, ეკუმენური მოძრაობიდან სმე-ის გამოსვლა ამგვარად დაიწყო:

1990-იანი წლებიდან სულ უფრო საგრძნობი ხდება ე.წ. რწმენის სინმინდის „დამცველთა“ აქტიურობა, ძირითადად, ბერ-მონაზონთა წრიდან, რომელთაც ანტიეკუმენისტურ პროპაგანდა გააჩაღეს, რაც ხშირად ეპისკოპოსების გაკიცხვასაც გულისხმობდა.

1997 წლის 27 აპრილს ოთხი მონასტრისა და ერთი ეპარქიის (ბეთანიის, შიომღვიმის, დავით გარეჯის, ზარზმის მონასტრებისა და შემოქმედის ეპარქიის) ბერ-მონაზვნებმა პატრიარქ ილია II-ს ღია წერილით მიმართეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეკუმენურ ერესში მონაწილეობის გამო ევქარისტიულ კავშირს წყვეტდნენ მასთან⁵¹. მათი მოთხოვნის მიხედვით, თუ სმე დაუყოვნებლივ არ დატოვებდა ეკუმენურ ორგანიზაციების წევრობას, საეკლესიო განხეთქილებაში გავიდოდნენ და ცალკე ეკლესიას ჩამოაყალიბებდნენ.

ეს სერიოზული განაცხადი იყო და მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველიც, რადგან ხსენებული მონასტრები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში. ერში მოღვაწე თეთრი სამღვდლოების წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ ბერების მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მათთან ერთად გავიდოდნენ სქიზმაში⁵².

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, როცა მოჭარბებული პატრიოტული გრძნობების მქონე პოლიტიკოსებისა და მედიასაშუალებების დიდმა ნაწილმა მხარი სწორედ რწმენის სინმინდის „დამცველ“ ბერებს დაუჭირა. როგორც თავის დროზე მახვილგონივრულად შენიშნეს, „ეკუმენიზმი ასოცირდა დასავლეთთან და საქართველოში ანტიეკუმენურმა ისტერიამ ანტიდასავლური კამპანიის შინაარსი შეიძინა. ამიტომ უცნაურია ის ფაქტი, რომ ანტიეკუმენურ ლოზუნგებს ჩვენში ის პოლიტიკური პარტიებიც ეთანხმებოდნენ, რომლებსაც, მათი თქმით, კურსი დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნებისკენ ჰქონდათ აღებული“⁵³.

როგორც ჩანს, ბოლო წვეთის როლი ითამაშა ქვეყნის პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის განცხადებამ, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ, მისთვის, როგორც მორწმუნე ადამიანისთვის, „ეკლესიის გათიშვაზე ლაპარაკიც კი მიუღებელია“⁵⁴.

ანტიეკუმენისტური ტალღის თეოლოგიური შემადგენელი

მიმდინარე დაპირისპირებისას აჯანყებულ ბერთა „თეოლოგიის“ მრავალი ნაკლის წარმოჩენა პრობლემა ნამდვილად არ იყო. ყველაფერთან ერთად, საკმაოდ უცნაური და გაუგებარი იყო მათეული მიდგომები შესაბამისი საკითხების განხილვისას.

⁵¹ “An Open Letter to Patriarch Ilia II of Georgia” (წერილს ხელს აწერენ მონასტრების წინამძღვარნი), 27 April 1997, <<http://orthodoxinfo.com/ecumenism/georgia.aspx>> [22.10.2017]

⁵² Кобахидзе В., Выход Грузинской Православной Церкви из Экуменического Движения, Беседа Протоиерея Василия Кобахидзе, руководителя пресс-службы Грузинской Патриархии, 19 июня 1997, журнал “Церковь и Время”, №1, 1998, 56.

⁵³ პაპუაშვილი ნ., ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს – ბნელად ანუ ობსკურანტიზმი გარეთ და შინ, ჟურნ. „თავისუფლება“ №5, 2003, 29.

⁵⁴ გაზეთი „ასავალ-დასავალი“, №21, 20-26 მაისი 1997, 3.

მაგალითად, ამკარა იყო, რომ ისინი ე.წ. „დარგობრივი აღრევის“ (category error) მსხვერპლნი იყვნენ. თავისი არსით სრულიად სეკულარული ორგანიზაციის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წესდება თუ კონსტიტუცია მათ რატომღაც საეკლესიო სწავლებად მიიჩნიეს, რომელიც „ანათემას უნდა გადაეცეს“⁵⁵.

გაუგებარია, როგორ შეიძლება ეკუმენური მოძრაობა იყოს ერესი, რომელიც თავისთავად არანაირ საეკლესიო, თეოლოგიურ დოქტრინას არ გულისხმობს. ის მხოლოდ მოძრაობაა, სწრაფვაა ეკლესიების ურთიერთდაახლოებისკენ, ცდილობს რა, შექმნას შესაბამისი გარემო, სადისკუსიო სივრცე. ჯერ კიდევ 1950 წელს, მართლმადიდებელი ეკლესიების პასუხად, ე.წ. „ტორონტოს დეკლარაციაში“ ემს-ის ცენტრალურმა კომიტეტმა გასაგებად განმარტა, რომ „ემს არ არის ზეეკლესია. ის არ არის მსოფლიო ეკლესია“ (პარაგ. 3:1) და „საბჭო შორსაა იმ აზრისგან, რომ ნევრ ეკლესიათა კუთვნილი ფუნქციები მიიტაცოს, ან აკონტროლოს ისინი და კანონები გამოსცეს მათთვის“⁵⁶. გარდა ამისა, თუნდაც რომ ეკუმენური ორგანიზაცია რომელიმე თეოლოგიური დოქტრინის გამომთქმელი იყოს, მისი ერეტიკულად გამოცხადება საეკლესიო კრების პრეროგატივაა! როგორც ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგი პაულ ლადუსირი სამართლიანად შენიშნავს, „დოქტრინა ერეტიკულად რომ იყოს მიჩნეული, ის ასეთად ეკლესიამ და არა უბრალოდ ცალკეულმა პირმა უნდა გამოაცხადოს, არ აქვს მნიშვნელობა ეს პირი ეპისკოპოსია, მღვდელია თუ ბერი“⁵⁷.

ქართველი ანტიეკუმენისტები (რომლებიც, პირობითად, ზომიერ და რადიკალ ანტიეკუმენისტებად შეგვიძლია დავყოთ) იმის დამტკიცებასაც ცდილობდნენ, რომ თეოლოგიური დიალოგი აკრძალული იყო ემს-ის შეხვედრებზე. ზომიერი ანტიეკუმენისტი არქიმანდრიტი ლაზარე აბაშიძე წერდა: „თვით წესდება ეკუმენისტური ყრილობებისა კრძალავს სარწმუნოების დოგმატებზე კამათს“⁵⁸. ცხადია, რადიკალი ანტიეკუმენისტებიც იზიარებდნენ ამ ბრალდებას, რომელთა აზრით, „ემს-ის ფარგლებში ოფიციალურად აკრძალულია საკუთარი სარწმუნოების ქადაგება“⁵⁹. ცამეტი წლის შემდეგაც ხსენებული რადიკალები იმავე პრეტენზიას ამგვარი ფორმულირებით გამოთქვამდნენ: „ემს-ს ფარგლებში ოფიციალურად აკრძალულია საკუთარი სარწმუნოების ქადაგება. აკრძალულია ასევე „პროზელიტიზმი“⁶⁰. ქართველ ანტიეკუმენისტთა შედარებით ახალგაზრდა წარმომადგენელი ვლადიმერ წამალაშვილი კი შემდეგს წერდა: „ჩვენ ეკუმენიზმს სწორედ იმიტომ ვენინააღმდეგებით, რომ ის

⁵⁵ ბეთანიის მონასტრის ძმობის 12 შეკითხვა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და სინოდს, გაზეთი „ახალი თაობა“ №205, 28 ივლისი 1997, 6.

⁵⁶ „ეკლესია, ეკლესიები და ემს“ (შესავალი), ტორონტო 1950, რუსულიდან თარგმნა ლევან აბაშიძემ, წიგნში: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 208, 206.

⁵⁷ ლადუსირი პ., ეკუმენიზმმებრძოლების შესახებ 3: ვინ არის ერეტიკოსი?, 16 იანვარი, 2017, <<https://davidtinikashvili.wordpress.com/2017/01/16/1816/>> [22.10.2017].

⁵⁸ აბაშიძე ლ., აღდგომა ჯვარცმის გარეშე ანუ ეკუმენიზმი, თბილისი, 1997, 8.

⁵⁹ აროშვილი გ., აროშვილი ზ., ეკუმენიზმი: ანტიქრისტეს რელიგია, თბილისი, 2002, 16.

⁶⁰ აროშვილი გ., მართლმადიდებლობა და კაცთმადიდებლობა: კათოლიციზმი, ეკუმენიზმი, ნომინალიზმი, თბილისი, 2015, 57.

ხელს უშლის მწვალებლებისა და წარმართების მართლმადიდებლობაზე მოქცევას და მართლმადიდებლებსაც მწვალებლებისკენ მიაქცევს⁶¹.

უცნაურია, მაგრამ მღვდლები – გელასი და ზურაბ აროშვილები იმონებდნენ წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვისა და სხვათა ციტატებს, რომელთა მიხედვითაც, ერეტიკოსებთან დიალოგი ან მათ წინაშე ქადაგება აზრს მოკლებულია, რადგან ისინი მაინც თავის აზრზე რჩებიან. ამ ფონზე, გაუგებარია მათ მიერ გამოთქმული პრეტენზია, რომ ეკუმენური მოძრაობის ფარგლებში თეოლოგიური დიალოგის საშუალება არ ჰქონდათ.

მათი ამგვარი მოსაზრებების გაცნობის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ როგორც რადიკალი, ისე ზომიერი ანტიეკუმენისტები არც ემს-ს წესდებას და არც მის კონსტიტუციას არ იცნობდნენ, რადგან შეუძლებელია ამ საფუძველმდებარე ტექსტებში ვერ შეამჩნიო ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა, „თეოლოგიური დიალოგი“, „დისკუსია“, „აზრთა გაცვლა“⁶². 2002 წლის საბოლოო ანგარიშშიც ემს-ის სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც კვლავ განიხილა მართლმადიდებელთა შეკითხვები და პრეტენზიები, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „ემს აუცილებელი და სასარგებლო ინსტრუმენტი იმისათვის, რომ ეკლესიებმა (...) პატიოსნად შეადარონ საკუთარი განსხვავებები დოქტრინის, ლიტურგიკული ცხოვრებისა და წმინდა წერილის საფუძველზე“ (IV.30.დ)⁶³.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ მართლმადიდებელ ფუნდამენტალისტებს თეოლოგიურ დიალოგზე მეტად ე.წ. ქადაგება და საკუთარ რწმენაზე სხვათა დაუყოვნებლივი და უსიტყვო მოქცევა ხიბლავთ. მათი ინტერკონფესიური თეოლოგიური აზროვნება ადამიანების ოდენ ერთი ეკლესიიდან მეორეში მარტივი „მოქცევით“ შემოიფარგლება. ქრისტიანთა გაერთიანება გაიგება მხოლოდ როგორც მართლმადიდებლობაზე გადასვლა და მოქცეულთა მიერ მათი უწინდელი ქრისტიანული ტრადიციის სრული დაგმობა.

ნათელი იყო, მათ არ ესმოდათ, რომ ემს შექმნილია დიალოგისთვის და არა ცალმხრივი ქადაგებისთვის. მაგ., რადიკალი ანტიეკუმენისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პროზელიტიზმის აკრძალვით, „ეკუმენისტები ჭეშმარიტების მაძიებელ არამართლმადიდებლებს ხელს უშლიან ქრისტეს წმინდა ეკლესიის წიაღში ჰპოვონ იგი“⁶⁴. როგორც ჩანს, ჩვენი ზილოტი მეგობრებისთვის უცნობი იყო ის ნეგატიური შინაარსი, რასაც სიტყვა „პროზელიტიზმი“ გულისხმობს⁶⁵.

⁶¹ წამალაშვილი ვ., ეკუმენიზმისა და ეკუმენისტური შემწყნარებლობისათვის: პასუხი ლევან აბაშიძის წერილზე „მართლმადიდებლობა და ეკუმენიზმი“, თბილისი, 2005, 15.

⁶² Constitution and Rules of the WCC, 30 October 2013, <ibit.ly/3Uuo> [13.10.2017]

⁶³ Final Report of the Special Commission on Orthodox Participation in the WCC, September 2002, <ibit.ly/7FWx> [13.10.2017].

⁶⁴ აროშვილი გ., აროშვილი ზ., საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997-2001 წლებში, თბილისი, 2001, 45.

⁶⁵ პროზელიტიზმის მახასიათებლების შესახებ იხ., “The Challenge of Proselytism and the Calling to Common Witness” (para. IV.19), 25 September 1995 in: Growth in Agreement II: Reports and Agreed Statements of Ecumenical Conversations on a World Level, 1982-1998, Edited by J. Gross et al., Geneva, 2000, 895.

მართლმადიდებელი თეოლოგი ალექსანდრე შმემანიც საუბრობდა ეკუმენური დიალოგის ფარგლებში მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების სხვებისთვის გაზიარებაზე, მის დამონშებაზე, რომელიც, ცხადია, არ გამორიცხავდა სხვების მოქცევასაც (თუმცა შმემანი სიტყვა „მოქცევაზე“ მეტად სიტყვა „მისიას“ ანიჭებდა უპირატესობას). მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების „მისია შეუძლებელია სიყვარულის რაღაც წილის გარეშე დასავლეთისა და მისი კულტურის ბევრი, ჭეშმარიტად ქრისტიანული ფასეულობებისადმი“⁶⁶. შმემანის აზრით, მართლმადიდებლებმა სხვებთან დიალოგისას უნდა გადალახონ „ბავშვური თვითდაჯერებულება“, რომლის მიხედვითაც, ყველა ვალდებულია გაიზიაროს მათი სიყვარული „ბრწყინვალე“ ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობისადმი. ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელის, მთავარეპისკოპოს ანასტასი იანულატოსის მითითებით, დღეს მულტიკულტურულ გარემოში ერთი რომელიმე რწმენის ბატონობა და სხვებისთვის მისი „თავსმოხვევა“ ხელოვნურია, რადგან „რელიგიური მრავალფეროვნების არსებობა მსოფლიოში არ აღიქმება რაღაც არანორმალურად და, როგორც ჩანს, ამ მრავალფეროვნებას არც არანაირი საფრთხე არ ემუქრება“⁶⁷.

ამრიგად, დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია. აქ მსურს მოვიხმო მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ის შესანიშნავი სიტყვა, რომელიც მან 2003 წლის სექტემბერში, საქართველოში ვიზიტისას წარმოთქვა:

„ზოგი იმასაც ამბობს, რომ დიალოგი ზედმეტია, და მას ზიანი მოაქვს, ვინაიდან სხვა აღმსარებლობის ეკლესიები კვლავ თავიანთ განსხვავებულ მოძღვრებებს მიჰყვებიან, მოციქული პავლე კი გვეუბნება, რომ ნუ ვიმსჯელებთ ერეტიკოსებთან, განვეშორეთ მათ პირველი და მეორე შეგონების შემდეგო. მოციქულის რჩევა, რა თქმა უნდა, ყურადსაღებია, პატივისცემას და დაცვას იმსახურებს, მაგრამ ისიც უნდა გავიაზროთ, რომ მოციქული ლაპარაკობს ცალკეული ერეტიკოსის შესახებ, დღევანდელი დიალოგები კი მიმდინარეობს სხვა აღმსარებლობის ეკლესიათა დელეგაციებთან, ხოლო მათი მეშვეობით ამ ეკლესიათა მილიონობით წევრთან, რომელთაც გააზრებულად კი არ მიუღიათ გადაწყვეტილება მართლმადიდებელ ეკლესიას გამოჰყოფოდნენ, არამედ თავიანთი წინაპრებისგან გადმოეცათ მემკვიდრეობით. დიალოგი მიმდინარეობს სწორედ მათი და მათ შორის მყოფ კეთილგანწყობილ პირთა მეშვეობით (...) დიალოგის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანთა შორის მტრობის შესუსტება, რაც უსათუოდ წინ უნდა უსწრებდეს ჭეშმარიტების ქადაგებას (შდრ. საქ. 17:22-34). რელიგიებსა და დოგმატებს შორის არსებულმა მრავალწლიანმა პოლემიკამ, მტრობამ და შეტაკებებმა ვერ მიიყვანეს მონა-

⁶⁶ შმემანი ალ., „მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ამოცანა დღეს“, მოხსენება წაკითხული ამერიკის მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა პირველ კონფერენციაზე (26-27 სექტემბერი 1966), წიგნში: შმემანი ალ., ლიტურგია და ღვთისმეტყველება (შრომები, სტატიები), ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, თბილისი, 2014, 461; იხ. ციტატა იხ. Шмеман, Александр. Церковь, Мир, Миссия: Мысли о Православии на Западе. Пер. с Англ. Ю. Терентьева. М., Православный Свято-Тихоновский Богословский Институт, 1996, 148).

⁶⁷ Yannoulatos A., Facing the World: Orthodox Christian Essays on Global Concerns, Geneva, 2003, 16.

ნიებაზე განსხვავებული დოგმატიკისა და რელიგიების წარმომადგენლები. ვალდებულნი ვართ მოვსინჯოთ მეთოდი ურთიერთგაგების, კეთილი ნების გამომუდგენების, შერიგებისა და დიალოგისა⁶⁸.

სამწუხაროდ, მართლმადიდებელი ანტიეკუმენისტებისთვის ოცდამეერთე საუკუნეში მცხოვრებ არამართლმადიდებლებს და მეოთხე საუკუნის ერეტიკოსებს შორის განსხვავება არ არსებობს. მაგ., არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, ეკუმენური მოძრაობის კრიტიკის კონტექსტში, შემდეგს წერს: „წმინდა ათანასე და არიოზი ერთობის ლოზუნგებს არ სკანდირებდნენ; წმინდა კირილე ალექსანდრიელი და ნესტორი არ ადგენდნენ ერთობლივ კომუნიკეს იმის შესახებ, რომ მათი სწავლება მხოლოდ ფორმულირებით განსხვავდება, ხოლო არსი იგივეა“⁶⁹.

მღვდელი გელასი აროშვილი წერილში – „ეკუმენიზმი, როგორც ეკლესიოლოგიური ერესი“, შემდეგს აღნიშნავს: „წმინდა მსოფლიო კრებებზე ერეტიკოსები ანათემას გადასცეს ანუ განკვეთეს ეკლესიიდან, მაგრამ ეკუმენისტები არ აღიარებენ წმინდა მსოფლიო კრებათა ავტორიტეტს. ეს კი მთელი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის უარყოფის ტოლფასია“⁷⁰.

ვლადიმერ წამალაშვილი, ეხმიანება რა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, დღევანდელი კათოლიკეები და პროტესტანტები არ არიან „იმ ერესთა დამფუძნებელნი, რომელთაც, ძირითადად, გულისხმობდნენ ეკლესიის მამები. პირიქით, ისინი ერესების დამფუძნებელთა ძალიან შორეული შთამომავლები არიან და ამიტომ დიდი უსამართლობა იქნება, რომ მათ მიმართ იგივე სიმკაცრე გამოვიჩინოთ“⁷¹, ამგვარ კითხვას სვამს: „ნუთუ მსოფლიო კრებებმა მხოლოდ ერესების დამფუძნებლებთან ლოცვა აკრძალეს?“⁷².

ცხადია, ადრეულ საუკუნეებში საეკლესიო კრებებზე იგმობოდნენ არა მხოლოდ ერესიარქები, არამედ მათი შეგნებული და დაჟინებული მიმდევარნიც. მაგრამ სერგი ბულგაკოვი მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ თანალოცვის ამკრძალავი კანონები გარდასულ საუკუნეებში ერეტიკოსებთან „ბრძოლის მწვავე სტადიას შეესაბამებოდა. მაგრამ თავდაცვა აზრს კარგავს იქ, სადაც აღარ არსებობს თავდასხმა, რასაც ვხედავთ დღევანდელ აღმსარებლობათა ურთიერთობაში“⁷³. ბერძენი მართლ-

⁶⁸ მსოფლიო პატრიარქი საქართველოში: სიტყვათა კრებული. ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. მესხმა, თბილისი, 2004, 67-69.

⁶⁹ Карелин Р., Вызов Новомодернизма: Об Искажениях Истины в Богословских Опытах диакона Андрея Кураева, Москва, 1999, 4.

⁷⁰ აროშვილი გ., მართლმადიდებლობა და კაცთმადიდებლობა: კათოლიციზმი, ეკუმენიზმი, ნომინალიზმი, თბილისი, 2015, 46.

⁷¹ ვლადიმერ წამალაშვილის მიერ ციტირებული ეს სიტყვები ეკუთვნის ეკუმენიზმის მხარდამჭერ მართლმადიდებელ თეოლოგს, ლევან აბაშიძეს, რომელიც გამოთქმულია ამ უკანასკნელის შემდეგ სტატიაში: აბაშიძე ლ., მართლმადიდებლობა და ეკუმენიზმი, ჟურნ. „ემაოსი“, №3, 2004, 82-94.

⁷² წამალაშვილი ვ., ეკუმენიზმისა და ეკუმენისტური შემწყნარებლობისათვის: პასუხი ლევან აბაშიძის წერილზე „მართლმადიდებლობა და ეკუმენიზმი“, თბილისი, 2005, 22. (სამწუხაროდ, თეოლოგ ლევან აბაშიძეს არ უპასუხია ბატონი წამალაშვილის ამ საპასუხო წერილზე).

⁷³ ბულგაკოვი ს., იაკობის ჭასთან, წიგნში: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 66. რუსულად

მადიდებელი თეოლოგი ნიკოს მაცუკასიც იმავეს მიუთითებდა, რომ წარსულში მიღებული თანალოცვის შესახებ აკრძალვები უბრალოდ რეაქცია იყო იმ მტრულ განწყობაზე, რომლითაც მაშინდელი ერეტიკოსები გამოირჩეოდნენ ორთოდოქსების წინააღმდეგ, რადგან ერესი არა მხოლოდ „გარკვეული აზრების ქონაა, არამედ – მტრობა. ამიტომაც ეკრძალებოდათ ეკლესიის წევრებს თანალოცვა რწმენისადმი მტრულად განწყობილ ხალხთან“⁷⁴.

დღევანდელი არამართლმადიდებელი ქრისტიანები, – აღნიშნავს მიტროპოლიტი კალისტოს უერი, – „კეთილგანწყობილნი არიან მართლმადიდებლობისადმი, რასაც ვერ ვიტყვით იმ მწვალებლებზე, რომელთა შესახებაც სჯულისკანონში და პატრისტიკულ ლიტურატურაში გვაქვს ცნობები“⁷⁵. იოანე მეიენდორფი წარსულში რელიგიურ დაპირისპირებასთან დაკავშირებულ პიროვნულ არჩევანზე ამახვილებს ყურადღებას: „სჯულისკანონის აკრძალვა მწვალებლებთან ერთად ლოცვის შესახებ გულისხმობს ეკლესიიდან განდგომილებს, და არა იმ მხურვალე ქრისტიანებს, რომელთაც ეკლესია პირადად არ დაუტოვებიათ“⁷⁶.

ამრიგად, ძველი საეკლესიო კანონების ბრმა გადმოტანა და მათი მექანიკური მისადაგება ნებისმიერი ეპოქისთვის (განსაკუთრებით, დღეს) ეწინააღმდეგება ეკლესიის არსისა და მისი ბუნების მართლმადიდებლურ გაგებას. განსხვავებული რელიგიური რწმენის მქონე ადამიანებთან ყველანაირი (მათ შორის საყოფაცხოვრებო⁷⁷) ურთიერთობის ამკრძალავი კანონები არ განეკუთვნება დოგმატურ სფეროს, რომელიც უცვლელი რჩება ნებისმიერ ეპოქაში. ამგვარი კანონები თავის დროზე ეკლესიის მამებმა შესაბამისი ვითარების გამო მიიღეს. დღეს კი მდგომარეობა კარდინალურად შეცვლილია, რაც განსხვავებულ დამოკიდებულებას ითხოვს ეკლესიისგან. ამ კუთხით, შესანიშნავ აზრს გამოთქვამდა ცნობილი მართლ-

ციტატას ამგვარი სახე აქვს: „соответствующих острой стадии борьбы с ересью или расколом. Но оборона теряет свое значение там, где уже отсутствует наступление, что мы и имеем в ряде междувероисповедных отношений в наши дни“. „Русская Православная Церковь и экуменического движение“ (Булгаков С., У Кладезя Яковля, Православие и Экуменизм: Документы и Материалы 1902-1998, Ред. В. Боровой, А. С. Буевский, Москва, 1999, 120).

⁷⁴ მაცუკასი ნ., ეკუმენურობა ქრისტიანული აპოკალიფსის მიხედვით „სავსებას“ ნიშნავს, ინტერვიუ თესალონიკის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორთან, ნიკოს მაცუკასთან, ივლისი 1997, იხ., რაითა ყოველნი ერთ იყვნენ: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. მესხის რედაქტორობით, თბილისი, 2002, 184.

⁷⁵ უერი კ., მარილი მართლმადიდებლობისა, საუბარი მიტროპოლიტ კალისტოს უერთან, ჟურნ. „ემაოსი“, №1, 2004, 91.

⁷⁶ მეიენდორფი ი., ჭეშმარიტი და ცრუ-ეკუმენიზმი (1969 წ.), წიგნი: აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა, დ. თინიკაშვილის რედაქტორობით, 2009, 447-448.

⁷⁷ იხ. მაგ., ტრულის კრების მეთერთმეტე კანონი, რომლითაც ეკლესიის წევრებს იუდეველებთან ყოველგვარი კავშირი ეკრძალებოდათ. საკმაოდ მკაცრი სასჯელით (ეკლესიიდან განკვეთის მუქარა) ქრისტიანებს ეკრძალებოდათ იუდეველებთან მკურნალობა, მათთან საერთო აბანოებში ბანაობა და სხვა. საინტერესოა, დღეს რატომ არ ითხოვენ ფუნდამენტალისტები ამ კანონის დაცვას?

მადიდებელი თეოლოგი ნიკოლოზ აფანასიევი, რომლის აზრითაც, სულიწმინდა ყველა ეპოქაში განსხვავებულად ხელმძღვანელობს ეკლესიას⁷⁸.

ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ დასახელებულ მართლმადიდებელ თეოლოგებს აქვთ, არამედ ის არც ადრეულ საუკუნეებში მოღვაწე წმინდა მამებისთვისაც იყო უცხო. თვით იმ დაძაბულ ეპოქაშიც კი, როცა ეს კანონები მიიღეს, ეკლესიის მამებს დასაშვებად მიაჩნდათ შემოქმედებითი და თავისუფალი მიდგომა მსგავსი შეზღუდვებისადმი. მაგ., წმინდა იოანე კლემაქსი „მწყემსის მიმართ“ თავის სიტყვაში წერდა: „როგორც მამების მიერ არის დანერილი, უძღურებმა მწვალებლებთან ერთად არ ჭამონ; ხოლო ძლიერები, თუ უფლის სადიდებლად მათთან წასვლა და ჭამა სურთ, დაე წავიდნენ“⁷⁹.

მაგრამ მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტები შეუვალნი იყვნენ და მაინც მტკიცედ იცავდნენ საკუთარ მოსაზრებებს. მაგ., ხსენებული რაფაელ კარელინის შეხედულება ადრეული საუკუნეების ერეტიკოსთა შორეულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ამგვარია: „როგორც შეილება მამის ვალების თამასუქები, ნესტორიანელებსაც მემკვიდრეობით გადაეცემათ თავიანთი თემის ცოდვა, იმის მიუხედავად, იცნობენ თუ არა ისინი თავიანთ სწავლებას“⁸⁰. ავტორის აზრით, ეს ზუსტად ისევე ხდება, როგორც „ადამის პირველქმნილი ცოდვა გადაეცემა მის შთამომავლობას, თუმცა პიროვნულად არ მიუღიათ მონაწილეობა ამ ცოდვაში“⁸¹. აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, წინაპართა ცოდვები, სხვა სიტყვებით, მცდარ სულიერ არჩევანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა მათ სისხლისმიერ შთამომავლობასაც გადაეცემა, შეუთავსებელია ქრისტიანულ თეოლოგიასთან (იხ., მაგ., ედიშერ ჭელიძის სტატია⁸², რომელშიც, ეკლესიის მამათა სწავლების საფუძველზე, საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული აღნიშნული მოსაზრება).

ქართველი ანტიეკუმენისტების მოულოდნელი გამარჯვება

რაც არ უნდა უსაფუძვლო და გაუმართლებელი ყოფილიყო ხსენებული ფანატიკოსი ბერების მოთხოვნები, როგორც ჩანს, მათმა მუქარამ განხეთქილებაში

⁷⁸ აფანასიევი ნ., სიყვარულის ძალაუფლება, ჟურნ. „ემაოსი“, №1(4), 2005, 12. (ეს ტექსტი ბოლო თავია ავტორის სადოქტორო დისერტაციიდან – „სულიწმინდის ეკლესია, 1971 წ.).

⁷⁹ წმინდა იოანე სინელი, სიტყვა მწყემსისა და წინამძღვრისადმი, თავი 12:15, იოანე სინელი, კლემაქსი ანუ კიბე, თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტ. ცომაიამ, თბილისი, 2008, 328 (რუსულ თარგმანში ციტატა დანომრილია როგორც 12:12. იხ. ასევე ციტატის ინგლისური თარგმანი აკადემიურ გამოცემაში: John Climacus, Letter to the Sheperd, para. 65, Translated by J. Chrystavgis, in: La theologie Byzantine et sa tradition, vol. I/1. Edited by Carmelo G. Conticello. Turnhout: Brepols, 2015 [pp. 313-325] p. 319).

⁸⁰ კარელინი რ., გამოწვევა მოდერნიზმს: პასუხი დიაკონ ანდრეი კურაევის წიგნზე „ეკუმენიზმის გამოწვევა“, რუსულიდან თარგმნა ა. ხარანაულმა, თბილისი, 2000, 46.

⁸¹ Карелин Р., Вызов Новомодернизма: Об Искажениях Истины в Богословских Опытах диакона Андрея Кураева, Москва, 1999, 55.

⁸² ჭელიძე ე., ეკლესიის მამათა სწავლება ცოდვისა და სასჯელის შესახებ, პატროლოგიური გა-ზეთი „საეკლესიო სინამდინდე“, №1, 2000, 6-7 (სტატია მეორედ გამოქვეყნდა ჟურნალში „გული გონიერი“, №1, 2011, 26-37); ასევე იხ., ჭელიძე ე., მართლაც ვის შემოაქვს შფოთი და დამღუპველი მოძღვრებანი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში?, თბილისი, 2004, 175.

გასვლასთან დაკავშირებით გადამწყვეტი როლი ითამაშა და 1997 წლის 20 მაისს პატრიარქის თავმჯდომარეობით სინოდმა ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. სხვათა შორის, დადგენილების ტექსტში გაკვირვებით ისიც აღინიშნებოდა, რომ ბოლო ხანს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო „ეკლესიოლოგიურ ხასიათს“ იძენს და რომ ეს მიუღებელია მართლმადიდებლებისთვის.

აჯანყებულ სასულიერო პირებთან დაკავშირებით კი სინოდმა შემდეგი განაჩინა: ექვარისტიული კავშირის, ანუ ლიტურგიული ერთობის განწყვეტისთვის, რაც დადგენილებაში „ანტიეკლესიურ და ანტიეროვნულ ქმედებად“ არის შეფასებული, მათ სხვადასხვა სახის სასჯელი დაედოთ (მონასტრის წინამძღვრობიდან გათავისუფლება, მღვდელმოქმედების შეჩერება თუ ზიარების აკრძალვა)⁸³.

ცხადია, რომ პატრიარქსა და ეპისკოპატს ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლა მიუღებლად მიაჩნდა. ამის დასტურად გამოდგება, მაგალითად, პატრიარქის ის სიტყვა, რომელიც 1997 წლის 18 მაისს საკვირაო ქადაგებისას წარმოთქვა (სინოდის სხდომამდე ორი დღით ადრე): „ემს-ში მართლმადიდებელი ეკლესიების ყოფნამ ბევრი სიკეთე მოიტანა (...) მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანების [ქართველი ანტიეკუმენისტების] უკან სხვა, არაეკლესიური, არამორწმუნე ძალები დგას“⁸⁴.

ამ ანტიეკუმენისტური აჯანყების მოთავედ არქიმანდრიტი იოანე შეყლაშვილი ითვლებოდა. სხვებთან ერთად, მასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არქიმანდრიტ ლაზარე აბაშიძესაც, რომელიც მანამდე ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ბეთანიის მონასტერს. 1997 წლის მაისის სინოდის სხდომის შემდეგ იგი აქვეყნებს ბროშურას, რომელშიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ანტიეკუმენისტი ბერების რეალურ განზრახვასთან დაკავშირებით.

გაირკვა, რომ იოანე შეყლაშვილს თავიდანვე ჰქონდა გამიზნული სმე-სგან გამოყოფა. „ეკუმენიზმის ერესი“ კი მხოლოდ საბაბი იყო ამ მიზნის მისაღწევად. მამა ლაზარეს დაყინებული მტკიცებით, მამა იოანე ნამდვილად არ იმედოვნებდა სინოდის მიერ ემს-ის დატოვების გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ თუ ამგვარი სასწაული მაინც მოხდებოდა, მაშინ მის ჯგუფს მზად ჰქონია სხვა გეგმა: უნდა მოეთხოვათ ყველა იმ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ექვარისტიული კავშირის განწყვეტა, რომლებიც ემს-ის წევრებად რჩებოდნენ. ამ მოთხოვნას, ბუნებრივია, არავინ დააკმაყოფილებდა, რის შემდეგაც საქართველოს ეკლესიის გასვლის „ლეგიტიმური“ და „ღირსეული“ საფუძველი ექნებოდათ. არქიმანდრიტი ლაზარე წერს:

„არც მამა იოანე და არც მისი თანამოაზრენი თითქმის ერთი წამითაც არ ვარაუდობდნენ, პატრიარქის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას (ემს-ს დატოვება, დ.თ.). მამა იოანემ და მისმა თანამოაზრეებმა თავიანთი პირველი განცხადება იმ ანგარიშით გააკეთეს, რომ რალა თქმა უნდა, პატრიარქი მათ დასჯიდა, ხოლო სინოდის კრება ემს-ში დარჩენას გადაწყვეტდა; ეს კი ყველას ალაშვოთებდა და მრავალი გაჰყვებოდა მათ! (ზუსტად ასე იყო და ჩვენ ეს ვიცით).

⁸³ გაზეთი „მადლი“, №6-7 (1 ივლისი 1997), 2.

⁸⁴ იქვე, 3; ასევე იხ., გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №114, 20 მაისი 1997, 2.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, „თუ მოულოდნელად მაინც გამოვიდოდნენ“, უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ (და ესეც უტყუარად ცნობილი იყო ჩვენთვის ჯერ კიდევ ემს-დან გამოსვლამდე) შემდგომი მოქმედება – „მაშინ ჩვენ მოვითხოვთ კავშირი განწყვიტონ ყველა იმ ეკლესიასთან, რომელიც იქიდან არ გამოსულა, ამაზე კი ისინი ნამდვილად არ ნავლენ“. გამოყოფა, სხვა „იურისდიქციაში“ თავშეფარება თავიდანვე იყო გადაწყვეტილი და ახლა ნუ ცდილობენ ჩვენს მოტყუებას“⁸⁵.

ამგვარია არქიმანდრიტ ლაზარესეული ვერსია, რომელსაც თავად არქიმანდრიტ იოანეს სიტყვებიც ადასტურებს. ამ უკანასკნელმა რუსულ რელიგიურ საინფორმაციო სააგენტო „მეტაფრასისს“ შემდეგი განუცხადა: „ჩვენ ხანგრძლივ ბრძოლას მოველოდით და ვფიქრობდით, რომ სინოდი სპეციალურ კომისიას შექმნიდა, რომელიც ამ საკითხის განხილვას განეღებდა“⁸⁶.

1997 წლის 22 მაისს პატრიარქი ილია მეორე ემს-სადმი გაგზავნილ წერილში ეკუმენური ორგანიზაციების დატოვების შესახებ იუწყება. წერილში, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიამ ემს დატოვა „განხეთქილების რეალური საშიშროების“ გამო, მეორე მხრივ კი, გამოთქმულია მწუხარება, როგორც ემს-ის მუშაობის არაეფექტურობის თაობაზე („ემს მართლმადიდებელთა ინტერესებს არ ითვალისწინებს“), ისე ამ ორგანიზაციის „ეკლესიოლოგიურ ხასიათთან“ დაკავშირებით⁸⁷.

მოგვიანებით პატრიარქი ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის, რომ ემს-დან გამოსვლა დაკავშირებული იყო მორწმუნეთა ნაწილში შექმნილი „განწყობის“⁸⁸ გათვალისწინებასთან. რაიმე თეოლოგიური სახის პრეტენზიას კი აღარ ახსენებს.

ამრიგად, ნათელია, რომ პატრიარქის და სხვა ეპისკოპოსების⁸⁹ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების მიხედვით, უპირველესი და უმთავრესი მიზეზი ეკუმენური ორგანიზაციების დატოვებისა სწორედ ზენოლასა და განხეთქილების საშიშროებას უკავშირდებოდა და ამას საჯაროდაც აცხადებდნენ. სწორედ, ეს იწვევდა ყველაზე მეტ გაღიზიანებას რადიკალ ანტიეკუმენისტებში, ადასტურებდნენ რა ამ სიმართლეს, ისინი აცხადებდნენ, რომ ემს-დან გამოსვლას „არა სარწმუნოებრივი, არამედ დიპლომატიური მიზეზი ჰქონდა“⁹⁰, რომ საქართველოს საპატრიარქომ ამიტომაც არ განწყვიტა ევქარისტიული კავშირი ემს-ის წევრ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

⁸⁵ აბაშიძე ლ., ნუთუ მართლაც ეკუმენიზმს შეაქვს განხეთქილება საქართველოს ეკლესიაში? თბილისი, 1997, 25.

⁸⁶ Zolotov A., Georgian Orthodox Church to Leave WCC and CEC, Ecumenical News International, ENI News Service, 26 May 1997, <ibit.ly/RTAC> [04.09.2017].

⁸⁷ Country profile: Georgia, 1 January 2004, <ibit.ly/sQKh> [04.09.2017].

⁸⁸ Патриарх Всея Грузии Илия II, Я Думаю по-Грузински и Поступаю по-Грузински, Огонек №06, 23.02.2004, <<https://www.kommersant.ru/doc/2293198>> [წვდომა 22.10.2017].

⁸⁹ მაგ., ეპისკოპოსი ნიკოლოზიც ემს-დან გამოსვლის მიზეზად განხეთქილების თავიდან აცილებას ასახელებდა (გაზ. „მადლი“, №12-13, 1998, 220).

⁹⁰ აროშვილი გ., აროშვილი ზ., საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997-2001 წლებში, თბილისი, 2001, 46. (პირველწყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 17.07.1997).

სიებთან, რადგან ეკუმენიზმთან არანაირი დოქტრინული ხასიათის პრობლემა არ ჰქონია.

ზომიერ ანტიეკუმენისტებს კი, რომლებიც რადიკალებთან ერთად განხეთქილებაში არ გავიდნენ, უსამართლოდ მიაჩნდათ ამგვარი მტკიცება, რომ სინოდმა არა რელიგიური, არამედ ე.წ. დიპლომატიური მიზეზის გამო განიზრახა ემს-დან გამოსვლა. მათი აზრით, „მოვლენის ასეთი აღქმა ძლიერ აკნინებს როგორც წმინდა სინოდს, ასევე ჩვენი ეკლესიის ყველა იერარქს“⁹¹. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სმე-ის პატრიარქიც და სხვა მაღალი იერარქებიც საჯაროდ და სრულიად არა-ორაზროვნად საუბრობდნენ ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლის არარელიგიურ მიზეზზე: შიდა განხეთქილების თავიდან აცილებაზე.

საინტერესოა, რომ სინოდის ამ სხდომამდე აჯანყებულ ბერებთან თეოლოგიურ დიალოგში არავინ შესულა. ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლის გადანყვეტილება ისე იქნა მიღებული, რომ არავის გაუცია პასუხი მათ ბრალდებებზე. მხოლოდ ეკუმენური მოძრაობის დატოვების შემდეგ, 1997 წლის აგვისტოში ბეთანიის მონასტრის ბერების მიერ გამოქვეყნებულ წერილს⁹² უპასუხა საპატრიარქომ⁹³. საპასუხო წერილში ყველა მათი „ანათემატიზმი“ მოკლედ და განხილული და გაკრიტიკებული.

ამრიგად, ანტიეკუმენისტ ბერებს სხვადასხვა სახის ეპიტიმია დაედოთ „განხეთქილების შემოტანის მცდელობისთვის“, როგორც სინოდის განჩინებაშია აღნიშნული. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ნაწილს თავიდანვე ჰქონდა გადანყვეტილი შემდგომი ნაბიჯის გადადგმა, რაც ყველა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ექვართისტიული კავშირის განყვეტის მოთხოვნას გულისხმობდა, რადგან ეს ეკლესიები კვლავ „ეკუმენიზმის ერესში“ იმყოფებოდნენ. მაგრამ მათ ვეღარ შეძლეს საპატრიარქოს წინააღმდეგ დაწყებული ამ ბრძოლის „მეორე რაუნდის“ მოგება. შედეგად, ქართველი ანტიეკუმენისტების ულტრარადიკალური ფრთა საეკლესიო განხეთქილებაში გავიდა.

საქართველოში ანტიეკუმენისტურად განწყობილ სამღვდელთა და საეროთა გაძლიერების მიზეზებზე საუბრისას, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ინფორმაციული ვაკუუმი იყო, რომელიც როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური მიზეზებით იყო წარმოქმნილი. მაგალითად, თამარ მესხის მითითებით (რომელიც 1995 წლამდე მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილებაში), საერთაშორისო ეკუმენურ შეხვედრებზე გამგზავრების უფლება სულ სამიოდე ადამიანს ჰქონდა, რომლებიც „გამუდმებით გზაში იყვნენ“ და ამიტომ ვერასდროს იცლიდნენ სასულიერო პირებისა და მრევლისთვის ობიექტურად გაეცნოთ ეკუმენური ორგანიზაციების საქმიანობა, მიზნები, მუშაობის სტილი. მაგ., ავტორი ახსენებს 1990 წლის

⁹¹ ვის შემოაქვს შფოთი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში? თბილისი, 2003, 16.

⁹² „ეკუმენისტური მწვალებლობის ანათემატიზმები“, ბეთანიის მონასტრის ბერთა წერილი, გაზეთი „ახალი თაობა“, 14 აგვისტო 1997, 5-6.

⁹³ „პასუხი ბეთანიელ ბერთა ანათემატიზმებს“, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, გაზ. „კავკასიონი“, №149, 30 აგვისტო 1997, 4-5. აღნიშნული პასუხი მომზადდა პროტო-პრესვიტერ გიორგი გამრეკელის (ამჟამად ეპისკოპოსი იოანე გამრეკელი) ხელმძღვანელობით მომუშავე საღვთისმეტყველო ჯგუფის მიერ.

3-12 სექტემბერს თბილისში ჩატარებულ ევროპის ეკლესიათა კონფერენციის (ეეკ) საკონსულტაციო კომიტეტის სხდომას, რომელიც საერთოდ არ გაშუქდა ქართული მედია საშუალებებით. მას ამ შეკრებაზე ინტერვიუ ჩაუწერია ეეკ-ის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან, დოქტორ ალექსანდროს პაპადეროსთან. ინტერვიუს ტექსტი გაზეთ „მადლისთვის“ (საპატრიარქოს ოფიციალური პერიოდული გამოცემა) გადაუცია, თუმცა რედაქციიდან უარყოფითი პასუხი მიუღია მის გამოქვეყნებაზე. მიზეზი: საპატრიარქოს პრეს-ცენტრი შიშობდა, რომ ეკუმენური ორგანიზაციის წარმომადგენელთან ინტერვიუს გამოქვეყნება ეკლესიაში „პოლემიკას გამოიწვევდა“⁹⁴.

ზომიერ და რადიკალ ანტიეკუმენისტა შიდა პაექრობა

ზომიერ ანტიეკუმენისტა ერთ-ერთი ლიდერი, არქიმანდრიტი ლაზარე აბაშიძე რადიკალ ანტიეკუმენისტა მოთხოვნასთან დაკავშირებით (ყველა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ექვარისტიული კავშირის განწყვეტის თაობაზე) შემდეგს წერდა, „არ ვდავობთ, რომ კანონები სერიოზულად ირღვეოდა. ანგარიშის მოთხოვნა ეკლესიის მოძღვართაგან აუცილებელია, მაგრამ მოთხოვნა ექვარისტიული კავშირის განწყვეტისა არის უკიდურესი და ბოროტი ნაბიჯი“⁹⁵. არქიმანდრიტ ლაზარეს აზრით, თუ საქართველოს ეკლესია ექვარისტიულ კავშირს განწყვეტდა ემს-ში მონაწილე ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მაშინ ამ ეკლესიების კლერიკოსებსა და რიგით ქრისტიანებზე „ლოცვაც უნდა შეეწყვიტათ“⁹⁶. ეს უკანასკნელნი კი შეიძლება ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი (ე.ი. ანტიეკუმენისტები) ყოფილიყვნენ, რომელთაგან ყველა როდია თავის ეკუმენისტ იერარქებთან განხეთქილებაში.

რადიკალ ანტიეკუმენისტა საპასუხო აზრს ამ საკითხზე შეიძლება შევხვდეთ მღვდელ გელასი არომვილის წერილში, რომელიც არქიმანდრიტ რაფაელის წინააღმდეგაა მიმართული:

„თუკი პატრიარქები და ეპისკოპოსები მწვალებლებთან – კათოლიკებთან, მონოფიზიტებთან, პროტესტანტებთან და ა.შ. – ერთად ლოცულობენ, მხოლოდ აქედან უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათთან ერთობაში მყოფი ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ისინი სავსებით პატიოსანი და სათნოებათათვის მოღვაწენი იყვნენ, აღარ არიან ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის თანაზიარნი. რადგანაც მართლმადიდებლური სწავლება მწვალებლობისაგან განშორების შესახებ გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ გონებაში არ ვეთანხმებოდეთ ერესს, არამედ იმასაც, რომ არ გვქონდეს ერთობა იმ ეპის-

⁹⁴ რაითა ყოველნი ერთ იყვნენ: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. მესხის რედაქტორობით, თბილისი, 2002, 16.

⁹⁵ აბაშიძე ლ., ორლესული მახვილი: საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა შესახებ, თბილისი, 1997, 8.

⁹⁶ იქვე, 9.

კოპოსებთან, რომლებიც ამ მწვალებლობას სიტყვითა და საქმით ქადაგებენ⁹⁷.

ზომიერთა ბანაკის სხვა ლიდერი, რაფაელ კარელინი, ამგვარად მსჯელობდა აღნიშნულ საკვანძო საკითხზე: „სარწმუნოების საკითხებში შეიძლება ცდებოდნენ იერარქები, პატრიარქებიც კი, იყო შემთხვევები, როცა მწვალებლობაში ვარდებოდნენ ადგილობრივი ეკლესიები, მაგრამ არასოდეს ისტორიაში მსოფლიო ეკლესიის სისავსეს – ყველა ადგილობრივი ეკლესიის ერთობლიობას, – არ მიუღია ცრუ დოგმატი“⁹⁸. იგივე ავტორი რადიკალ ანტიეკუმენისტა პოზიციის შინაგანი წინააღმდეგობის გამოვლენასაც ცდილობდა, აცხადებდა რა, რომ „მრწამსში“ ერთიან და ერთადერთ ეკლესიაზეა საუბარი და იქვე ამგვარ კითხვას სვამდა: „განდგომილთაგან რომელ ჯგუფს შეიძლება ეწოდოს „ერთი მსოფლიო ეკლესია“? განხეთქილთა ერთი ნაწილი ხომ ებრძვის მეორეს ისეთივე შეურიგებლობით, როგორადაც თითოეული მათგანი უპირისპირდება მსოფლიო ეკლესიას“⁹⁹.

როგორც ქართველი ანტიეკუმენისტების ბანაკში მიმდინარე შიდა პოლემიკიდან გამოჩნდა, ზომიერ ანტიეკუმენისტებს ეკუმენიზმი მოცემულ ეტაპზე ჯერ კიდევ არ მიაჩნდათ ერესად. ლაზარე აბაშიძე წერდა: „ეკუმენიზმი ყველა დონეზე არ არის მწვალებლობის მსგავსი. გარკვეულ ეტაპზე ის სულიერი ხიბლია, მწვალებლობა კი სხვაა... ეკუმენიზმი ცდილობს გვერდი აუაროს დოგმატებს და მწვალებლობასთან მიგვიყვანოს სხვა გზით (...) არ შეიძლება ნებისმიერ ეკუმენისტს მწვალებელი ვუნოდოთ, შესაძლოა, ის ხიბლში იყოს, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს მადლის დაკარგვას“¹⁰⁰.

მისი აზრით, ეკუმენიზმი გზაა მწვალებლობისკენ ანუ მადლის დაკარგვისკენ, თუმცა ამ გზიდან მობრუნება შეიძლება. ამ აზრის განსამტკიცებლად ავტორი უფრო მეტ კონკრეტიკას მიმართავდა და განხეთქილებაში გასული ანტიეკუმენისტებისთვის ამგვარ „ჩამჭრელ“ კითხვას სვამდა: „ადამიანებს დღეს მხოლოდ იმიტომ ეშინიათ თქვან, რომ მადლი უკვე აღარ არის ჩვენს ეკლესიაში, რომ მაშინვე ვკითხავთ: როდიდან?“¹⁰¹. რადიკალ ეკუმენისტთა მოთავენი, მღვდლები – გელასი და ზურაბ აროშვილები კი არქიმანდრიტ ლაზარესადმი მიმართულ წერილში ამ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავენ: „ბევრი ამბობს, ჯერ უკანასკნელ ზღვარს არ გადავსულვართო. მაგრამ მაშინ გვითხარით, რა არის ან სად არის ეს უკანასკნელი ზღვარი, საიდან იცით, რომ ახლანდელი ზღვარი უკანასკნელის წინაა და რაღაც მომავალი ზღვარი კი უკანასკნელი?“¹⁰².

სასულიერო აკადემიის პროფესორი, ედიშერ ქელიძე ამ საკითხზე წერდა, რომ ვინაიდან „ეკუმენიზმში ყოფნა სწორედ დოგმატურ გაუკუღმართებას ნიშნავდა“,

⁹⁷ აროშვილი გ., ეკლესია სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა: არქიმანდრიტ რაფაელის ეკლესიოლოგიის წინააღმდეგ. თბილისი, 2003, 33-34.

⁹⁸ კარელინი რ., ტრაგიკული შეცდომა, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს, თბილისი, 1997, 5.

⁹⁹ იქვე, 10.

¹⁰⁰ აბაშიძე ლ., ნუთუ მართლაც ეკუმენიზმს შეაქვს განხეთქილება საქართველოს ეკლესიაში? თბილისი, 1997, 10.

¹⁰¹ იქვე, 7.

¹⁰² აროშვილი გ., აროშვილი ზ., ეკუმენიზმი: ანტიქრისტეს რელიგია, თბილისი, 2002, 166.

საქართველოს ეკლესიამ ის ამიტომ უარყო და დაგმო. მისი აზრით, ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილე სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ექვარისტიული კავშირის არგანყვეტა არ ნიშნავს ეკუმენიზმის ერესის გაზიარებას (ამ ეკლესიებთან ერთობაში დარჩენის გამო), რადგან ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველოს ეკლესია „ფუჭ თვითდამშვიდებას“ მიეცემა და არ მიმართავს „თავის მოღვაწეობას სხვა (ეკუმენიზმში მყოფი) ეკლესიების შეგონება-დამოძღვრისკენ“¹⁰³.

თავი რომ დავანებოთ ამგვარ ნაძალადეგ ინტერპრეტაციასა და ზოგადად აროგანტულ პოზიციას, რომლის მიხედვითაც თურმე საქართველოს ეკლესიამ უნდა „დამოძღვროს“ და „შეაგონოს“ მსოფლიოს ყველა დანარჩენი მართლმადიდებელი ეკლესიები ეკუმენიზმის ერეტიკულობის თაობაზე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ვერანაირ ნიშანს (ღიას თუ ფარულს) ვერ ვხედავთ ამ მიმართულებით წარმართული მოღვაწეობისა საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან.

ბოლოსიტყვა

ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლა სმე-სთვის არ ნიშნავდა ყოველგვარი ეკუმენური აქტივობის შეჩერებას. მაგ., ის კვლავ მონაწილეობს ოფიციალურ თეოლოგიურ დიალოგებში რომის კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებთან¹⁰⁴. რამდენად ნაყოფიერია ქართული დელეგაციის მონაწილეობა ამ დიალოგებში, ეს სხვა მტკიცენული საკითხია.

ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლის შემდეგ სმე-ს არც ე.წ. „პრაქტიკულ ეკუმენიზმზე“ აუღია ხელი ამ სიტყვის იმ გაგებით, რომელიც დასაწყისში ვახსენე. თავად პატრიარქი და მისი კურთხევით, სხვა ქართველი ეპისკოპოსები 1997 წლის შემდგომაც არაერთხელ იღებდნენ მონაწილეობას საერთო ლოცვებში სხვა ქრისტიანულ თუ არაქრისტიანული რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებთან ერთად.

ასე მაგალითად, 2005 წლის 7-11 ოქტომბერს საქართველოში არსებული მართლმადიდებელი, კათოლიკური, პროტესტანტული და იუდაური რელიგიური გაერთიანებების წევრთაგან დაკომპლექტებული დელეგაცია ოსლოში იმყოფებოდა. დელეგაციამ მონაწილეობა ოსლოს სინაგოგა, მუსლიმური მეჩეთი, კათოლიკური, ლუთერანული და ბაპტისტური ტაძრები. ბოლოს კი დელეგაცია, ქართველ მართლმადიდებელ ეპისკოპოსებთან, დანიელ დათუაშვილთან და გერასიმე შარაშენიძესთან ერთად, საღვთო ლიტურგიას დაესწრო¹⁰⁵. ამავე წლის 7 ივნისს კი თავად პატრიარქმა ილია II-მ ბაქოში აზერბაიჯანელი ერისთვის პარაკლისი აღასრულა,

¹⁰³ ჭელიძე ე., დოგმატი და იკონომია, ჟურნ. „გული გონიერი“, №3, 2011, 130.

¹⁰⁴ Grdzeldze T., Ecumenical Dialogue in the Perspective of the Orthodox Church of Georgia, in: Orthodox Handbook on Ecumenism: Recourses for Theological Education, Edited by P. Kalaitzidis et al., Regnum Books International, 2014, 382.

¹⁰⁵ იხ. ხსენებული ვიზიტის ერთ-ერთი მონაწილის, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის, გაბრიელე ბრავანტინის წერილი „მოგზაურობა ოსლოში“, ჟურნ. „საბა“, №8, 2005, 13.

რომელსაც ესწრებოდნენ ბაქოს კათოლიკური სამრევლოს წინამძღვარი მამა იანი და აზერბაიჯანის ებრაული თემის წარმომადგენელი, სემიონ იხილოვი¹⁰⁶.

1997 წლის შემდეგ ქვეყნის შიგნით არაქრისტიანული რელიგიების წარმომადგენლებთან ლოცვითი ურთიერთობის კუთხით კი გამოსაყოფია 2005 წლის 29 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ინიციატივით შემდგარი შეხვედრა საქართველოს მთავარ რაბინთან, აბრაამ მიქელაშვილთან. შეხვედრისას პატრიარქმა ებრაელ ხალხს ჰანუკას დღესასწაული მიულოცა, ჰანუკის სანთლები დაანთო და მთავარ რაბინთან ერთად პირველი ფსალმუნი იგალობა¹⁰⁷. ამ კონკრეტულმა ფაქტმა საკმაო აღშფოთება გამოიწვია ქართველ ფუნდამენტალისტებში.

2006 წლის 6 ივლისს მოსკოვში რუსეთის პატრიარქი ალექსი II-ის მიერ აღსრულებულ ლიტურგიას, რუსეთში ვატიკანის ნუნციის, მთავარეპისკოპოს ანტონიო მენინთან ერთად ქართველი ეპისკოპოსები, დანიელ დათუაშვილი და ნიკოლოზ ფაჩუაშვილიც ესწრებთან¹⁰⁸. ამგვარი ფაქტების ჩამოთვლის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია.

საქართველოს ეკლესიის გამოსვლას ეკუმენური ორგანიზაციებიდან, ბუნებრივია, ვერ ექნებოდა დადებითი გავლენა ვერც ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე და ვერც მის საერთაშორისო იმიჯზე. გარეშე დამკვირვებლისთვის საკმაოდ უცნაური სურათი წარმოდგა: ერთი მხრივ, საერო ხელისუფლება ენერგიულად მიისწრაფვის დასავლურ ორგანიზაციებში ინტეგრაციისკენ, მეორე მხრივ კი, საეკლესიო ხელისუფლება დასავლურ რელიგიურ ორგანიზაციებს ტოვებს.

ქვეყნის შიგნით კი „ეკუმენიზმის ერესის“ უკუგდება „ქართული მართლმადიდებლობის“ გამორჩეულობისა და სინმინდის შეგრძნება კიდევ უფრო განამტკიცა, რამაც საგრძნობლად გააუარესა მდგომარეობა ინტერკონფესიური ურთიერთობების თვალსაზრისით. მაგ., 1999 წლის ოქტომბრიდან 2003 წლის ივლისამდე „მართლმადიდებელ ქრისტიანებზე ძალადობრივი თავდასხმის ასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა“¹⁰⁹. 1990-იან წლების საქართველოში სახარბიელო არც ეთნიკური უმცირესობებისადმი ქართველების დამოკიდებულება იყო.

ოფიციალური ურთიერთობების დონეზე საქართველოს საპატრიარქო კვლავ ცდილობს ქვეყანაში არსებულ რელიგიურ უმცირესობებთან პოზიტიური ურთიერთობების შენარჩუნებას (ფორმალურად მაინც). მაგ., 2001 წლის იანვარსა და თებერვალში დომინანტი ეკლესია ერთმანეთის მიყოლებით აფორმებს მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს იუდეურ თემთან, სომხურ, ბაპტისტურ და ლუთე-

¹⁰⁶ В Баку Патриарх всея Грузии Побывал в Православной и Католической церквях, 7 июня 2005, <<http://www.regnum.ru/news/466688.html>> [20.06.2017]

¹⁰⁷ Патриарх-Католикос Илия II и Раввин Абрам Михелашвили Зажгли Ханукальные Свечи, 30 декабря 2005, <ibit.ly/MiGa> [20.06.2017]

¹⁰⁸ First Performance of Divine Liturgy Composed by Bishop Hylarion of Vienna and Austria, 7.07.2006, <<https://mospat.ru/archive/en/2006/07/32168/>> [17.07.2017]

¹⁰⁹ Ramet S., The Way We Were – And Should Be Again? European Orthodox Churches and the “Idyllic Past”, Religion in an Expanding Europe, Edited by T. Byrnes and P. Katzenstein, Cambridge University Press, 2006, 162.

რულ ეკლესიებთან, რომლებშიც მხარეები გამობენ პროზელიტიზმს და ადასტურებენ ურთიერთპატივისცემას¹¹⁰.

ამ კონტექსტში საინტერესოა ასევე აღინიშნოს 2004 წელს საქართველოს ეკლესიის განვერიანება დსთ-ის რელიგიათა საბჭოში (Commonwealth of Independent states (CIS) Interreligious Council). თავად დსთ საქართველომ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დატოვა. თუმცა საქართველოს ეკლესია დღემდე რჩება დსთ-ის რელიგიათშორისი საბჭოს მონაწილედ. როგორც ცნობილია, მოსკოვში დაფუძნებულ ამ საბჭოში განვერიანების საშუალება არ მიეცათ „დასავლური წარმოშობის“ (ე.ი. კათოლიკურ და პროტესტანტულ) ეკლესიებს. სამაგიეროდ, ხსენებულ საბჭოში მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად მუსლიმები, იუდეველნი და ბუდისტებიც კი არიან წარმოდგენილნი. როგორც ჩანს, ამ აღმოსავლურ პან-ეკუმენური საბჭოს წევრობა ქართველ რელიგიურ ფუნდამენტალისტებში არ იწვევს რაიმე მნიშვნელოვან გაღიზიანებას. მხოლოდ ანტიეკუმენისტების რადიკალურმა ფრთამ ირონიულად განაცხადა, რომ ამ საბჭოს წევრობით „საქართველოს საპატრიარქო ეკუმენისტურ ნოსტალგიას იქარვებს“¹¹¹.

დასასრულს, მსურს გამოვხატო იმედი, რომ მომავალში საქართველოს ეკლესიას კვლავ ეყოლება წმინდა გრიგოლ ფერაძის მსგავსი თეოლოგები და სასულიერო პირები, რომელთათვისაც ქრისტიანული ერთობა კვლავ უპირველესი ქრისტიანული ფასეულობა იქნება. შეგახსენებთ წმინდა გრიგოლის ცნობილ სიტყვებს, რომლებიც ვენისა და ლოზანის კონფერენციებზე (1926, 1927 წწ.) მის ეკუმენურ აზროვნებასა და განწყობას განსაზღვრავდა:

„გაერთიანდებიან არა მარტო რომაული და ბერძნული ეკლესიები, არამედ ევანგელიკურიც შეუერთდება მათ, რომელიც ასევე წარმოადგენს ჩვენი უფლის ტაძარს და რომელზეც ვერ ვიტყვი – „ისიც არსებობს“, რამეთუ ნამდვილად არსებობს და თავის მიზნებს და ამოცანებს ახორციელებს (...) ქრისტიანობის არსი მტრობაში, შურში, ეჭვსა და ავაზაკობაში როდია. იგი უფლის მრევლის ძმურ სიყვარულში სულდგმულობს და ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენი მაცხოვრის ხეზე ეს სამი ტოტი ერთმანეთს გადაეჭდობა“¹¹².

¹¹⁰ აროშვილი გ., აროშვილი ზ., საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997-2001 წლებში, თბილისი, 2001, 42-45.

¹¹¹ იქვე, 24.

¹¹² წმინდა გრიგოლის სიტყვები გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა თამარ ჭუმბურიძემ. იხ. კრებული: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თ. გრძელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2000, 177. წმინდა გრიგოლის ეს დიადი სიტყვები (ჟურნალიდან Der Orient no. 7-8, 1926) ნაწილია არა ლოზანის კონფერენციაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვისა, არამედ იმ სტატიისა, რომელიც გრიგოლმა ამ კონფერენციის მიმოხილვის სახით დაწერა (ინფორმაცია ქართულენოვანი მკითხველისთვის: გრიგოლ ფერაძის ლოზანის სიტყვა და შესავალი სტატია გადაბეჭდილია ასევე შემდეგ გამოცემებში: ლმობიერების გზაზე: გრიგოლ ფერაძე, ქართველი თეოლოგი ევროპაში [სემინარი, 18 თებერვალი 2004]. თბილისი, გოეთეს ინსტიტუტი 2004, 13-16; ჟურნ. „დიალოგი“, №1 (4), 2006, 44-51).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას გამოკვეთილად ეკუმენური სულისკვეთების მქონე სასულიერო პირები წმინდა გრიგოლ ფერაძემდეც ახსოვს. მაგ., მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ქართველი ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, რომელმაც ანგლიკან მღვდელ სოლომონ სიზარ მალანს 1872 წელს ქუთაისის მართლმადიდებლურ ტაძარში ლოცვის, სახარების წაკითხვისა და ქადაგების წარმოთქმის ნება დართო¹¹³. შეიძლება სხვა მაგალითების დასახელებაც ინტერკონფესიური გახსნილობის წარმოსაჩენად საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან (და არა მხოლოდ¹¹⁴), თუმცა მსგავსი შემთხვევების უდანაკარგოდ ჩამოთვლა ამ სტატიის მიზანი არაა.

¹¹³ პაპუაშვილი ნ., ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ ანუ: იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე?, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(36), 2010, 41.

¹¹⁴ აქვე ერთ მაგალითს რუსული სინამდვილიდანაც მოვიყვან, სადაც აგრეთვე ძლიერია არა-მართლმადიდებლებთან რელიგიური ურთიერთობის მიუღებლობა. მაგ., პასტორ უოტსონის მოწვევით ანგლიკანურ ტაძარში მთავარეპისკოპოსმა იუსტინემ და წმინდა იოანე კრონშტადტელმა რუს და ინგლისელ მორწმუნეებთან ერთად, რის შემდეგაც წმინდა იოანემ არაორაზროვნად განაცხადა: „მე მხურვალედ ვლოცულობ ჩვენი მაცხოვრის წინაშე ქრისტიანულ ეკლესიათა გაერთიანებისთვის“. Никитин А., Святой Иоанн Кронштадтский и Инославие, Живое Предание, Матери-алы Международной Богословской Конференций, Москва, 1999, 260.

THE ORTHODOX CHURCH OF GEORGIA AND THE ECUMENICAL MOVEMENT (BEFORE AND AFTER 1997)

Abstract

The article analyzes the stance of the Orthodox Church of Georgia (OCG) towards the Ecumenical Movement before and after OCG's departure from the World Council of Churches (WCC) and the Conference of European Churches (CEC) in 1997, and documents the controversies accompanying this development. Up until the 1990s, the hierarchy of the OCG was outstanding for its energetic ecumenical activities within the country as well as in the international arena. After the collapse of the Soviet Union and the gaining of independence, religious nationalism and a hostile attitude towards religious and ethnic minorities grew stronger in Georgia. Having been tainted by a Soviet past, a mass mentality found such phenomena as pluralism, equality, religious freedom, etc, characteristic of the free world, to be foreign. A contingent of Orthodox fundamentalists is gradually growing stronger in the OCG, which considers the defense of Orthodoxy against 'sects' and the 'ruinous' innovations of the West its holy obligation. Since the middle of the 1990s, this group intensified its agitation against 'ecumenism', and its pressure on the church hierarchy to keep its distance, threatening with schism in the worst case. This anti-ecumenical propaganda organized by monks is supported by a part of the married clergy, their parishes, the media, and some politicians. The OCG was eventually forced to leave the WCC and the CEC, although it inflicted church penances upon the monks leading the rebellion. Some of the anti-ecumenist monks go even further and are demanding the OCG to cease Eucharistic communion with all the Orthodox churches who are still members of ecumenical organizations. As the OCG would not satisfy this demand, the result was an actual schism of the radical anti-ecumenists and the foundation of their own 'Truly Orthodox' Church in Georgia.

Keywords: Orthodox Church of Georgia, Ecumenical Movement, Georgian Orthodox Fundamentalism, Ecumenism in Georgia, Antiecumenism in Georgia, WCC

* Ph.D. in History, Professor at the Caucasus University. <https://orcid.org/0000-0002-0057-3314>

რელიგიის ნაციონალიზაცია საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში - დადაბითი თუ უარყოფითი ფაქტორი დემოკრატიზაციის პროცესში?*

გერმანულიდან თარგმნა მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზ ღონლაძემ**

1. შესავალი

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის პერიოდში მან დაკარგა თავისი გავლენა ქართულ საზოგადოებაზე, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს რეპრესიებით, ნაწილობრივ კი – საბჭოთა ხელისუფლებასთან მისი თანამშრომლობით. ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგია, სოციალური ინსტიტუტის მნიშვნელობის დაკარგვის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს მოსახლეობაში, არა როგორც ღრმა ღვთისმოსაობის სიმბოლო, არამედ როგორც საბჭოთა სისტემაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალება. ამგვარი წარსულის მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991), განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, კვლავ დაიბრუნა მზარდი სოციალური და პოლიტიკური აქტუალობა. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მნიშვნელობა საქართველოში ნაციონალიზმთან და რელიგიასთან არის შერწყმული.

ნაციონალიზმმა, რომელმაც ქართულ მართლმადიდებლურ რელიგიაში ჰპოვა გამოვლინება, დიდად შეუწყო ხელი ქართველთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას 1980-იანი წლების ბოლოს და ეროვნული ოპოზიცია 1990 წლის ოქტომბერის საპარლამენტო არჩევნებში საბჭოთა ძალების წინააღმდეგ გამარჯვებამდე მიიყვანა, რაც 1991 წელს საბოლოოდ სახელმწიფოებრიობის მოპოვებით დაგვირგვინდა. მან ასევე დიდი როლი ითამაშა პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიული გარდატეხის შეტანაში. თუმცა, მეორე მხრივ, ნაციონალიზმისა და რელიგიის შერწყმამ (დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მართლმადიდებელმა ეკლესიამ ნელ-ნელა კვლავ მოიპოვა სოციალური ინსტიტუტის სტატუსი) მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი სახელმწიფოსა და ერის ჩამოყალიბების ჯერ კიდევ დაუსრულებელ პროცესს, რაც ეთნიკური ნიშნით მიმდინარეობდა და ხელს უშლიდა საზოგადოების ყველა ნაწილის ინტეგრაციას. ქვეყნის ღია დემოკრატიის გარდამტეხი პერიოდის და მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი მახასიათებელია ქართველი

* თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Pamela Jawad, Oliver Reiser, Die Nationalisierung der Religion in der Orthodoxen Apostolischen Kirche Georgiens – Begünstigung oder Hindernis im Demokratisierungsprozess?, *Religiöse Akteure in Demokratisierungsprozessen Konstruktiv, destruktiv und obstruktiv*, Julia Leininger (Hrsg.), Deutsches Institut für Entwicklungspolitik (DIE), Springer, 2013, 149-190.

** თეოლოგიის მაგისტრი. orcid.org/0000-0002-4869-5599

ერის წარსული სიდიადის მუდმივი შეხსენება, ანუ ე.წ. ოქროს ხანის – XII საუკუნიდან XIV საუკუნემდე. აღნიშნულზე დაფუძნებული სამომავლო გეგმები მჭიდროდ უკავშირდება ქართველთა ეროვნულ ერთობას. შედეგად, სეკულარიზაცია, ანუ საზოგადოების გათავისუფლება ეკლესიის გავლენისგან, რომელიც მისტიკის ქართული მონარქიის გაიდებულ წარსულს, შეუძლებელი გახდა¹. მართლმადიდებელმა ეკლესიამ პოლიტიკური ელიტის სისუსტისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის გამო კიდევ უფრო დიდი ძალა მოიპოვა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მთავრობის მიერ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კარგი ურთიერთობის მოპოვების მცდელობის გარდა, განსაკუთრებით პოლიტიკური კრიზისების დროს, ეკლესიის მიერ დიდი გავლენის ფლობა ცხადი გახდა საქართველოს ახალის დროშის შემოღებამაც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. დროშაზე სიმბოლურად ხუთი ჯვარია გამოსახული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნის ყველაზე დიდი რელიგიური ორგანიზაციაა, ეს ქვეყანა ისტორიულად არასოდეს ყოფილა მონორელიგიური. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი აყალიბებს არსებული რელიგიების ფართო სპექტრს. 1980-იანი წლების შუა ხანებიდან და განსაკუთრებით 1991 წელს დამოუკიდებლობის შემდეგ, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ღიად აღმსარებელი მართლმადიდებელი მორწმუნეების რიცხვი, ხოლო 1993 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 65% თავს ქართველ მართლმადიდებლად მიიჩნევდა. ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა და 2002 წლის იანვრის ბოლო აღწერით უკვე 78,2% მიიჩნევდა თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად. 2007 წლისთვის მან 87.8%-მდე მიაღწია. მართლმადიდებელი ეკლესია ქართველი მოსახლეობის მხრიდან სარგებლობდა იმგვარი ნდობით, რაც აკლდა სახელმწიფო ინსტიტუტებს. ამგვარად, იგი ავსებდა იმ სიცარიელეს, რაც გამონვეული იყო სახელმწიფოს სისუსტით. ამ სტატიაში გავანალიზებთ, რამდენად მართებულად მოირგო ეკლესიამ ეს როლი; ხელი შეუწყო, თუ პირიქით, – შეაფერხა ქვეყნის დემოკრატიზაციის რთული პროცესი.

ქვემოთ განხილულია, თუ როგორ მოახერხა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გასული ოცი წლის განმავლობაში, სულიერების საფარველ ქვეშ, გამხდარიყო სახელმწიფო და პოლიტიკურ ელიტაზე რელიგიური და პოლიტიკური გავლენის მქონე აქტორი. წინამდებარე სტატიაში საქართველოში მოქმედ ძალებს შორის ურთიერთობის განხილვა სხვადასხვა პერიოდში საქართველოს არამდგრადი დემოკრატიზაციის პროცესის გათვალისწინებით მოხდება (მოვლენების მიმოხილვა იხილეთ ქვემოთ, ცხრილი 8). 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სხვა რელიგიური და პოლიტიკური აქტორების მსგავსად, თავისუფლების გარდამავალი ეტაპის (1987-1991

¹ სეკულარიზაციის კონცეფციის შესახებ იხილეთ წინამდებარე ანთოლოგიის შესავალში. (სტატია ანთოლოგიის ნაწილია, შესაბამისად, ცხრილების, დიაგრამებისა და სურათების წუმერაცია სწორედ ანთოლოგიის ერთიანი დანომვრის ფარგლებშია და თარგმანშიც უცვლელადაა მითითებული).

ნლამდე) და გარდაქმნების გამკლავების გამოწვევის წინაშე დადგა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ პატრიარქის მეთაურობით ვერ ითამაშა კონსტრუქციული როლი და კონფლიქტების ნაციონალისტური ხასიათის მიღებას შეუწყო ხელი. ეკლესიაში სხვადასხვა ფრაქციის ფორმირება, რომელთაგან იმ დროს ვერავინ ახერხებდა დომინირებას, მოხდა ედუარდის შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს გარკვეულწილად სტაბილიზაციის შემდეგ (1991 წლიდან 1995 წლამდე). საქართველოს ახალ კონსტიტუციაში დემოკრატიული პრინციპების შეტანის პარალელულად დაწყებული კონსოლიდაციის ფაზა ღია დისკუსიის თემა გახდა, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას, ანუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს და მოსახლეობის დამოკიდებულებას რელიგიური პლურალიზმის მიმართ (1995 წლიდან 2003 წლამდე). 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით „ახალგაზრდა რეფორმატორების“ ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა, რელიგიური პლურალიზმის საკითხის გარშემო დაპირისპირება დაცხრა, თუმცა მაინც ეჭვქვეშ იდგა ქართული საზოგადოების ტოლერანტობისა და ინტეგრაციის საკითხი. რა როლი ითამაშა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თითოეულ ამ საკითხში, ქვემოთ იქნება გაანალიზებული. უპირველეს ყოვლისა, მოკლედ წარმოგიდგინთ ისტორიულ კონტექსტს.

2. მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული როლი გასაბჭოებამდე საქართველოში

IV საუკუნეში საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, „აღმოსავლური სამყაროს“ სხვა მართლმადიდებლური ეკლესიების მსგავსად. ეს ყველაფერი მოხდა „ეროვნული ეკლესიების“ ჩამოყალიბებამდე, რამაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანა თანამედროვე ერების ჩამოყალიბებაში. V-VI საუკუნეებში ბიბლიის ქართულად თარგმნით მართლმადიდებელმა ეკლესიამ ჩამოყალიბა საკუთარი სამწერლობო და სამეტყველო ენა, რელიგიური და სალიტერატურო ტრადიცია, რომლებმაც გაუძლეს ნატურალურ რელიგიებსა და ზოროასტრულ რწმენა-წარმოდგენებს, ხოლო VII-X საუკუნეებში არაბ დამპყრობლებს². მე-9 საუკუნის შემდეგ მღვდლები და ბერები მხარს უჭერენ ბაგრატიონებს, როგორც მეფეთა მოდგმას, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონი ერთი პიროვნების ქვეშ გააერთიანა. „ოქროს ხანაში“ (XII-XIV საუკუნეები) ადგილობრივი ეკლესიის მეთაურნი ისეთ მმართველებს, როგორებიც იყვნენ – დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე – ქრიტესსწორად მოიხსენიებენ და ამგვარად, „სიმფო-

² Fähnrich, Geschichte Georgiens von den Anfängen bis zur Mongolenherrschaft, (1993), 76 – 82; Heiser, Die georgische orthodoxe Kirche und ihr Glaubenszeugnis, (1989), 16 – 65; Tarchnišvili und Assfalg, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidse bearbeitet xvii, (1955); Suny, The Making of the Georgian Nation, (1994), 20 – 41; Shatirishvili, Una Sancta da natsionalizmi, (2005), 187 – 190; Esbroeck, Von welcher Kirche hängt die georgische Kirche geschichtlich ab ?, (1996).

ნიის“ ბიზანტიურ ტრადიციას, რაც ნიშნავს ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის მიწიერ ხელისუფლებასთან ჰარმონიულ არსებობას, წარმატებული ადაპტირებით საფუძველი დაუდეს „ცეზაროპაპიზმს“ საქართველოში. ბაგრატიონთა საგვარეულოდან და სხვა დიდგვაროვანი ოჯახებიდან ხშირად ხდებოდა ეკლესიაში საეკლესიო მოხელეთა რეკრუტირება, რომლებიც, თავის მხრივ, მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიისა და ბაგრატიონების მონარქიის გაუქმების შემდეგ, მეფის რუსეთის იმპერიის მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციულმა ორგანომ, წმინდა სინოდმა, 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ იურიდიქციაში მიიერთა როგორც საეგზარქოსო, ანუ როგორც რუსეთის მართლმადიდებლური ეპარქია დიასპორაში. 1817-დან 1917 წლამდე საქართველოს საეგზარქოსო მხოლოდ რუსი ეგზარქოსების (ე.ი. თითოეული ეპარქიის ან სამიტროპოლიტოს მეთაური დიასპორაში) მიერ იმართებოდა. ავტოკეფალიის გარეშე დარჩენის და მძლავრი „რუსიფიკაციის“ შედეგად, ეკლესიამ დაკარგა თავისი მნიშვნელოვანი ადგილი დეგრადაციის გზაზე მყოფ ფეოდალურ წყობილებაში³.

მეფის რუსეთის მიერ ქართველთა „გაკეთილშობილების“ მისიას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წინ აღუდგა „თერგდალეულთა“ ახალგაზრდა, ეროვნული ინტელიგენცია, ილია ჭავჭავაძის (იხ. ქვემოთ) მეთაურობით, რომელიც 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. რუსეთში განათლებამიღებულ ქართველ დიდებულთა ამ ჯგუფმა ქართულ მართლმადიდებლობას, რუსული მართლმადიდებლობის საპირისპიროდ, ახლებური ინტერპრეტაცია მისცა და ეროვნული იდენტობის განუყოფელ ნაწილად დასახა⁴. სწორედ ამგვარად მოხდა ნაციონალიზმისა და რელიგიის ერთმანეთთან აღრევა საქართველოში.

3. ეკლესია, როგორც სახელმწიფო და პარტიული ინსტრუმენტი საბჭოთა საქართველოში – რელიგია, როგორც ნაციონალიზმის გამოვლინება (1921-1987)

მეფის რუსეთის დაშლის შემდეგ, 1918 წელს, საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებლობის მოკლე, სამწლიანი პერიოდი. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ლეგიტიმურობა, დღესაც ამ პერიოდს უკავშირდება. ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა პირველად სწორედ ამ პერიოდში დაიბრუნა, როდესაც ქვეყანას, „პირველ სოციალ-დემოკრატიულ, გლეხთა რესპუბლიკას“, ქართველი მენშევიკები ხელმძღვანელობენ. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ანექსიას მოჰყვა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს საეკლესიო იერარქიაში რამდენიმეჯერ „წმენდის“ ჩატარება და საეკლესიო ქონების მნიშვნელო-

³ Gvosdev, *The Russian Empire and the Georgian Orthodox Church in the First Decades of Imperial Rule, 1801 – 1830*, (1995).

⁴ უფრო დეტალური ინფორმაცია ქართველი ერის ფორმირების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ Reisner-თან: *Die Schule der georgischen Nation. Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der, Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern (1850-1917)*, (2004).

ვანი ნანილის ნაციონალიზაცია. აღნიშნულმა ეკლესიას მოუშალა ეკონომიკური საფუძველი და გაუნადგურა ინფრასტრუქტურა. მრავალი ეკლესია განადგურდა ან საერო ნაგებობებად გადაკეთდა. მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევრობა იდევენობდა მაშინ, როდესაც ბოლშევიკების მიერ მხარდაჭერილი „სინდისის თავისუფლების“ იდეა პრაქტიკულად რელიგიური რწმენისგან იძულებით გათავისუფლებას ნიშნავდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკებმა რელიგიური ძეგლები ეროვნულ კულტურულ ძეგლებად გამოაცხადეს⁵.

მეორე მსოფლიო ომში ვერმახტის წინააღმდეგ ბრძოლაში მორალის ასამაღლებლად, საქართველოში დაბადებულმა იოსებ სტალინმა რელიგიურ თემებს რელიგიური მოღვაწეობის უფლება მისცა. 1943 წელს, სტალინის ჩარევით, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას მოსკოვის საპატრიარქომ ავტოკეფალია აღუდგინა, ხოლო 1952 წელს კვლავ დაიბრუნა საკუთარი კათოლიკოს-პატრიარქის ყოლის უფლება⁶. 1959 წლის მარტში, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობიდან ცოტა ხნის შემდეგ, პარტიის იმჟამინდელმა ლიდერმა ვასილ მჟავანაძემ გამოაცხადა ხრუშჩოვის ათეისტური კამპანიის დაწყება საქართველოში. სახელმწიფო რეპრესიები და ეკლესიის ინსტრუმენტად გამოყენება ხელს უშლიდა მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებელ განვითარებას საქართველოში. უფრო მეტიც, საბჭოთა სახელმწიფო საქართველოს ეკლესიას იყენებდა ცივი ომის დროს საგარეო პოლიტიკაში, ისევე, როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ეკუმენურ მოძრაობაში⁷. ეკლესიას მხოლოდ სოციალური ინსტიტუტის ფუნქცია შერჩა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ინსტიტუციურად დაასუსტეს და საიდუმლო სამსახურების მეშვეობით შეძლეს მის შიგნით შეღწევა, პარტიის ხელმძღვანელობა მაინც ნუხდა იმის გამო, რომ თვით კომუნისტები, „საბჭოთა საზეიმო და სამოქალაქო ახალ რიტუალებში“ მონაწილეობის ნაცვლად, ჯერ კიდევ რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობდნენ⁸. მართალია, უმეტესწილად მხოლოდ ხანდაზმული ადამიანები ბედავდნენ, გვერდი აევლოთ სახელმწიფო უსაფრთხოების ოფიცრებისთვის და ჯერ კიდევ ღია ეკლესიებში წასულიყვნენ, მაგრამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დამოუკიდებლად ზრუნავდა საეკლესიო ტრადიციებისა და

⁵ საბჭოთა რუსეთში წმინდა სიმბოლოებისა და რიტუალების პოლიტიზირებისა და გარდაქმნის შესახებ იხილეთ: Kharkhordin, *The Collective and the Individual in Russia: A Study of Practice*, (1999).

⁶ ბენდელიანი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში; Kistauri, *Die Georgische Orthodoxe Kirche in den zwanziger und dreißiger Jahren des 20. Jahrhunderts*, (2006); Papuašvili, *Antireligiöse Hysterie und Verfolgung. Die Georgische Orthodoxe Kirche zwischen den beiden Weltkriegen*, (1996); Kolarz, *Religion in the Soviet Union*, (1961), 97-106, bes. 104. ამ პერიოდის პატრიარქები იყვნენ მელქისედეკ III (1952-1960), ეფრემ II (1960-1972), დავით V (1972-1977) და ილია II (25.12.1977-დან დღემდე). საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებული 2 455 საეკლესიო ნაგებობიდან 1951 წელს დაახლოებით 100 ნაგებობა იყო ოფიციალურად გახსნილი, აქედან თერთმეტი თბილისში.

⁷ Jones, *Soviet Religious Policy and the Georgian Church: From Khrushchev to Gorbachev*, (1989), 295. Gerber, *Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956*, (1997), 103.

⁸ Gerber, *Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956*, (1997), 104.

ნეს-ჩვეულებების შენარჩუნებაზე. ამგვარად, ქრისტიანული სარწმუნოების შინა-არსი იკარგებოდა და 60-იან და 70-იან წლებში ნელ-ნელა ეროვნულ თვითშეგნებას შეერწყა. ქართველი მორწმუნენი, ინტელექტუალები, სახელმწიფო მოხელენი თუ სოფლის მცხოვრებნი რელიგიურ პრაქტიკას „ქართულ ტრადიციებთან“ და ხშირად „ქართულ ფოლკლორთან“ აიგივებდნენ, რომელთაც სტაბილურობისა და მორალის წყაროდ მიიჩნევდნენ⁹. სწორედ ამის გამო რელიგიამ ორგვარი – „მართლმადიდებლური“ და „არამართლმადიდებლური“ ნაციონალიზმის სახე შეიძინა.

ნაციონალიზმის „მართლმადიდებლური“ ფორმის მიმართ კომუნისტური პარტია ტოლერანტული იყო. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მკვლევრების მიერ ნაციონალიზმის „მართლმადიდებლური“ ფორმა ვლინდებოდა რელიგიური კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული ისტორიისა და კულტურის განუყოფელ ნაწილად, ინტერპრეტაციაში. „არამართლმადიდებლური“ ნაციონალიზმი იდევნებოდა¹⁰. დისიდენტური მოძრაობის სახით, იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დეგრადაციას, მისი სახელმწიფოს, პარტიის და კვბ-ის (სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის) უბრალო ინსტრუმენტად ქცევას. დისიდენტური მოძრაობა ღიად აკრიტიკებდა კორუფციას საეკლესიო იერარქიაში, სხვაგვარად – „წითელ სამღვდლოებაში“, სამიზდატის ფორმით, ანუ სისტემის სანინაღმდეგო ლიტერატურის გავრცელებით არაოფიციალურ არსებზე, რითაც თავის სოციალურ და პოლიტიკურ უკმაყოფილებას გამოხატავდა¹¹. 1974 წლის მარტში „მორწმუნე ქართველ ქრისტიანთა ჯგუფმა“ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ავტორებიც მიიჩნევდნენ, რომ ქართულ ეკლესიას, ერთი მხრივ, საეკლესიო ნაგებობების განადგურებითა და წართმევით ემუქრებოდა სახელმწიფო, ხოლო, მეორე მხრივ, ავტოკეფალიის წართმევით – რუსეთის ეკლესია¹².

⁹ Dragadze, *Rural Families in Soviet Georgia: A Case Study in Ratcha Province*, (1988), 72 f.

¹⁰ განსხვავების შესახებ იხილეთ: Rakowska-Harmstone, *The Dialectics of Nationalism in the USSR*, (1974), 1 – 32.

¹¹ მას შემდეგ, რაც დავით V ახალ პატრიარქად გამორჩევა მოხდა 1972 წელს, საპატრიარქოდან საეკლესიო წმინდა ნივთების ქურდობით ინტერესდებიან სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოები. დისიდენტთა ჯგუფმა დიდი ენთუზიაზმით მოითხოვა, პროკურორის მიერ ქურდობის გამოძიება. გამოძიება გავიდა კვბ-ზე, პარტიის მაღალი რანგის წევრებზე, სხვადასხვა სასულიერო პირზე და პარტიის ლიდერის მუჟავანაძის მეუღლეზე. ასევე ცნობილი გახდა, რომ დავით V არჩევა მოხდა კვბ-ის ჩარევით. გამომძიებელი პროკურორი ქორიძე დაპატიმრებულ იქნა საიდუმლო სამსახურის მიერ, რომელიც ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს. ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ახალი ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნურდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან და რომელიც ბრეჟნევიმ განამნესა ქვეყანაში არსებული მძლავრი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, არ სურდა საქმის ბოლომდე გამოძიება. მას არ სურდა გამოენჭია კორუფციული სკანდალი და გამჟღავნებულყო კვბ-სა და პარტიის მაღალ ეშელონებს შორის კავშირები.

¹² Gerber, *Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956*, (1997), 105 f.; იხ. ასევე Suny, *The Making of the Georgian Nation*, (1994), 292 – 316. ცენტრალური ადგილი ეკავა აზერბაიჯანის საზღვარზე არსებული დავით გარეჯის მღვიმის სამონასტრო კომპლექსის მასიური განადგურებისაგან დაცვას, რომელიც მუზეუმად გადაკეთდა და რომლის მახლობლად საბჭოთა არმია 1952 წლიდან სამხედრო წვრთნებს ატარებდა. ამიერკავკასიის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მიმართ

1975 წლის ბოლოს ედუარდ შევარდნაძე, იმდროინდელი საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, მზად იყო ეკლესიის მიმართ დათმობებზე წასულიყო, უმაღლეს დონეზე¹³. როდესაც 1977 წლის 25 დეკემბერს საეკლესიო საბჭოს მიერ ილია მეორე არჩეულ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ახალ კათოლიკოს-პატრიარქად, მას „მართლმადიდებლური“ ნაციონალიზმის ფარგლებში, უფრო მეტი თავისუფლება მიეცა, ვიდრე მის წინამორბედს. იმ დროისთვის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დაახლოებით 40 სასულიერო პირამდე იყო დასული, რომლებიც 48 მოქმედ ეკლესიას ემსახურებოდნენ. ამგვარად, მათმა რაოდენობამ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. კომუნისტურმა პარტიამ ილია მეორეს უფლება მისცა, საკუთარი მოვალეობის შესრულების პირველივე წლებში ეწარმოებინა აქტიური კამპანია, შეეცაო შვიდი ვაკანტური ეპისკოპოსის ადგილი და ამგვარად, 1980 წელს ქვეყნის მასშტაბით უკვე 15 ეპარქია არსებობდა და რეგულარული მსახურება 200-მდე ეკლესიაში აღესრულებოდა. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა და არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურების დამატებით, საპატრიარქოს პოზიციები კიდევ უფრო გაძლიერდა. პირველი დაკავებული იყო ეკუმენური საკითხებით, ხოლო მეორე – უძველესი ეკლესიების რესტავრაციით. 1978 წელს პირველად გამოვიდა ექვსთვიანი საეკლესიო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ საეკლესიო კალენდართან ერთად. 1979 წელს სემინარიას უკვე 20 სემინარიელი ჰყავდა, რაც ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მაღალი რაოდენობა იყო. იმავე წელს ილია მეორის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ექვსი თავმჯდომარიდან ერთ-ერთად არჩევამ ეს პროცესი საბოლოოდ დააგვირგვინა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულმა ამ ღონისძიებებმა ოპოზიციური დისიდენტების შემართებაში ბზარი შეიტანა და პარტიული ინტერესებისთვის ეკლესიის შემდგომი ინსტრუმენტალიზაცია კიდევ უფრო გააიოლა.

1975 წლის სექტემბერს გაგზავნილ წერილში დისიდენტმა და მოგვიანებით დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც იმ დროს მუშაობდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, მოითხოვა აღნიშნული მოქმედებების შეწყვეტა და განაცხადა, რომ ეს „ქართული კულტურის უნიკალური ძეგლი“ იყო საფრთხის წინაშე. უარყოფითი პასუხის შემდეგ, მან მიმართა „საბჭოთა კავშირის და მსოფლიო საზოგადოებას ემოქმედა (...) ვანდალიზმის წინააღმდეგ (...), რომელიც აბუჩად იგდებდა ხალხის კულტურულ ფასეულობებს“. 1976 წლის მარტში მან ღიად დაგმო ის, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მიმდინარეობდა კულტურული ძეგლების დასაცავად გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების მითვისება. შემდეგ მან გააკრიტიკა მილიციისა და სასამართლო სისტემის უმოქმედობა და დაასკვნა, რომ ქართული კულტურული ძეგლები საფრთხის ქვეშ იყვნენ „არა ცალკეული ინდივიდების დაუდევრობისა და კორუფციის გამო, არამედ ხელისუფლების მიზნობრივი პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიმართული იყო ზოგადად ქრისტიანული რელიგიის და ასევე საქართველოს ისტორიის წინააღმდეგ“. 1976 წლის აგვისტოში, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისა და მუზეუმის ხელმძღვანელებმა დავით გარეჯთან დაკავშირებით, სამხედროების წინააღმდეგ, სარჩელი შეიტანეს საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურატურაში, რომელისგანაც პასუხი არ მიუღიათ.

¹³ ძალაუფლების შენარჩუნების ამ პრაგმატულმა პოლიტიკამ შევარდნაძე ერთგვარი „რეფორმატორი“ გახადა სკკპ-ში და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი დანიშვნას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად, პარტიის ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის დროს, 1985 წელს.

ამის მიუხედავად, იმ დროისთვის ეკლესიის თავისუფლება ჯერ კიდევ ძალზე შეზღუდულად კონტროლირებადი რჩებოდა, ხოლო პარტიის წევრებს ევალუბოდათ, მკაცრად ებრძოლათ რელიგიური წეს-ჩვეულებების და რიტუალების წინააღმდეგ¹⁴. 1985 წლის მარტში მოსკოვმა საქართველოში პარტიის პირველ მდივანად დანიშნა ტექნოკრატი ჯუმბერ პატიაშვილი, რომელმაც შევარდნაძის თანამოაზრენი კომუნისტურ პარტიაში უფრო რადიკალური კადრებით შეცვალა და დისიდენტებისა და უბრალო მორწმუნეების (მართლმადიდებელი ქრისტიანები) წინააღმდეგ მკაცრ რეპრესიებს მიმართა¹⁵. რეფორმების ტალღა, რომელიც ძლიერდებოდა ბალტიის რესპუბლიკაში, არ დაწყებულა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში.

4. პოლიტიკური სისტემის მიერ კარის გაღება: ეკლესია ნაციონალიზმის ან სახელმწიფოს მხარდამჭერ ინსტიტუტად დარჩენის დილემის წინაშე (1987-1991)

საბჭოთა პერიოდში საქართველოში, სასულიერო პირებისა და დისიდენტების გარდა, სხვა რელიგიური ჯგუფები ან პოლიტიკური მოთამაშეები საზოგადოებაში არ გამოჩენილან. აპოლიტიკური, უკლასო და სოციალური ჯგუფებისგან იდეოლოგიურად განმედილ საბჭოთა საზოგადოების წევრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომელიმე სხვა სოციალური ჯგუფისთვის მიეკუთვნებინათ თავი. ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვა „სოციალური სტრუქტურის პრივატიზება“¹⁶.

საბჭოთა საქართველოში ქართული ეთნიკური წარმომავლობა და ძალაუფლებასთან სიახლოვე სოციალური დაყოფის მთავარი მახასიათებელი იყო. ეს უკანასკნელი კი ნომენკლატურის ნიშა იყო სახელმწიფო და პარტიულ აპარატში. იგი პრივილეგირებულ ელიტად მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევდა, ჰქონდა საკუთარი ინტერესები და ამრიგად, ერთადერთი აქტორია, რომელსაც პოლიტიკური აქტიურობა შეეძლო. ამ ჯგუფის მიერ კანონების დარღვევამ, წესების ფეხქვეშ გათევვამ, კორუფციამ და პოლიტიკურმა მაქინაციებმა მისი ფართო მოსახლეობისგან იზოლაცია გამოიწვია. საკუთარი მოთხოვნების გარშემო გაერთიანებული ნომენკლატურის ერთ დროს არაფორმალური ორგანიზმი ოფიციალურ მმართველ სისტემად იქცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წევრების უკიდურესი დამოკიდებულება თავიანთ ზემდგომებზე. საბჭოთა იდეოლოგიის მორალური კატასტროფის შემდეგ, ეთნიკური კუთვნილება სოციალური ერთობის არსებითი მახასიათებელი გახდა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაიმკვიდრა თავი, რომელიც ინტერნაციონალისტური რიტორიკის მიმართ მტრულად იყო განწყობილი. რელიგია,

¹⁴ იხილეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია „მავენე ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“, 1975 წლის 25 ნოემბერი: Gerber, Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956, (1997), 261 f.

¹⁵ იქვე., 152 f.

¹⁶ Hanf und Nodia, Georgia Lurching to Democracy. From Agnostic Tolerance to Pious Jacobinism: Societal Change and Peoples' Reactions, (2000), 44 – 46, Zitat 50.

როგორც ნაციონალიზმის ნიშანი, ეთნიკურ კუთვნილებას დაქვემდებარებული გახდა¹⁷.

ამგვარად, 1970-იანი წლების ბოლოს, განსაკუთრებით კი 80-იანი წლებში, ეკლესია ორგვარი გამოწვევის წინაშე იდგა. ერთი მხრივ, იგი იღებდა სახელმწიფო მხარდაჭერას, რათა „მართლმადიდებლური“ ნაციონალიზმის მეშვეობით შეეცაო მზარდი იდეოლოგიური ვაკუუმი, მას ასევე ევალეობდა, დაესუსტებინა დისიდენტური მოძრაობა. დისიდენტები ცდილობდნენ, ეკლესია „არაორთოდოქსულ“ ნაციონალიზმთან დაეკავშირებინათ. დისიდენტები ეკლესიის მორალურ ავტორიტეტსა და ინტეგრაციაზე აპელირებდნენ და სურდათ ეკლესია მძლავრი სახელმწიფო აპარატისგან გაეთავისუფლებინათ¹⁸.

1987 წელი საქართველოში შეიძლება შეფასდეს „პერესტროიკის დასაწყისად“, რომელიც გეგმის მიხედვით, კომუნისტური პარტიის მიერ კონტროლირებადი რეფორმების პროცესი უნდა ყოფილიყო, თუმცა პოლიტიკური კონტრკულტურის ჩამოყალიბებასა და გავრცელებასთან ერთად, მას სახელმწიფო უკვე ვეღარ აკონტროლებდა. დისიდენტური წრებიდან და სტუდენტური მოძრაობიდან გამომდინარე პოლიტიკური ლიდერები, რომლებმაც საქართველოში (პოლიტიკურ) პროცესს დინამიკა შემატეს, რაც 1991 წელს საბოლოოდ გადაიზარდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობაში. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დისიდენტი და ანთროპოსოფი ზვიად გამსახურდია¹⁹, იმედოვნებდა, რომ საბჭოთა მატერიალიზმის იდეოლოგიურ ვაკუუმს შეავსებდა ქართულ ქრისტიანობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მისტიციზმ-ეზოთერიზმის სინთეზით²⁰. გამსახურდია თავის ტრაქტატში – „საქართველოს სულიერი მისია“, ქრისტიანობას მიიჩნევს „ერის დასაცავ საბრძოლო იდეოლო-

¹⁷ Wheatley, Georgia from National Awakening to Rose Revolution. Delayed Transition in the Former Soviet Union, (2005), 20 – 30; Brubaker, Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe, (1996), 23 – 31.

¹⁸ Gerber, Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956, (1997), 111 – 113.

¹⁹ ცნობილი რომანისტის, კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი, ზვიად გამსახურდია (1939-1993), როგორც დისიდენტი 1978 წელს ცენტრალურ ტელევიზიაში გაკეთებული „პატიების თხოვნით“ გაემიჯნა დისიდენტურ მოძრაობას. მხოლოდ მოგვიანებით უფრო პოპულარული დისიდენტის მერაბ კოსტავას დახმარების წყალობით მიიღეს იგი ეროვნულ მოძრაობაში და გადაიქცა ქარიზმატულ ლიდერად, შემდეგ კი გახდა დამოუკიდებელ საქართველოში პირველი, თავისუფლად არჩეული პრეზიდენტი. გამსახურდია, გამოვედი თუ არა ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მასიში?, (1978), 61 – 72.

²⁰ ეს იდეა საქართველოში არ არის ძალიან გავრცელებული, მაგრამ მეტაფიზიკური აზროვნება ხშირად გვხვდება გამსახურდიას მტკიცე მომხრეებთან. ანთროპოსოფები იყვნენ გამსახურდიას მთავარი მხარდამჭერები დასავლეთში. Gerber, Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956, (1997), 220 f., 277 – 279. გამსახურდიასა და პოპულიზმის ანალიზი იხ. Jones, Populism in Georgia: The Gamsakhurdia Phenomenon, (1994). Fazit: „The support for Gamsakhurdia did represent a revolt against the liberal technocratic elite of the Georgian establishment, but as so often happens, degenerated into a different sort of elitism. (...) the scapegoating of non-Georgian minorities and the emphasis on unity undermined participation and political diversity“ (141 f.)..

გიად” და საქართველოს, როგორც შუამავალს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის²¹.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან 90-იანი წლების დასაწყისამდე მართლმადიდებლურ ეკლესიას, როგორც რელიგიურ ინსტიტუტს, რომელიც იმართებოდა კვბ-ის მიერ, მოუწია გადაეხედა საკუთარი ურთიერთობისთვის საბჭოთა კავშირის სულ უფრო და უფრო არაპოპულარულ სახელმწიფო ხელისუფლებასთან, ისევე, როგორც რადიკალიზებულ ოპოზიციურ, ნაციონალურ მოძრაობასთან. ერთი მხრივ, ეკლესიის ხელმძღვანელობა ილია მეორის მეთაურობით ტრადიციულად „სახელმწიფოს მხარდამჭერის“ სახეს ინარჩუნებდა და წინააღმდეგობას უწევდა ოპოზიციური ეროვნული მოძრაობის მიერ მასზე დაუფლების მცდელობას. მოსკოვში პერესტროიკისა და საჯაროობის (Гласность), შიდა ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი ეროვნული მოძრაობის ფონზე, პარტია და სახელმწიფო აპარატი ეკლესიის მიმართ გარკვეულ დათმობებზე წავიდა, როგორც იყო, მაგალითად, ახალი ეკლესიების კურთხევის ან ძველი ეკლესიების გახსნის ნებართვა. მართლმადიდებლურ ეკლესიას სახელმწიფოს გადასარჩენად უნდა შეეეცა ის იდეოლოგიური ვაკუუმი, რომელიც ქართულ საზოგადოებაში გაიზარდა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის ხელმძღვანელობას საეკლესიო იერარქიასთან დალაგებული ურთიერთობა ჰქონდა, უბრალო რელიგიური მოსახლეობა მაინც განიცდიდა სხვადასხვა სახის რელიგიურ რეპრესიებს 1980-იან წლებში. მაგალითისთვის, უთვალთვალდნენ მათ, ვინც ეკლესიაში დადიოდა. რელიგიურობით უფრო მეტად და მეტად ინტერესდება ეროვნული მოძრაობა, რომელიც 1987 წლიდან უფრო და უფრო რადიკალურ სახეს იღებს. მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნულს უპასუხა 1987 წელს, 1907 წელს მოკლული თერგდალეულების ახალგაზრდა ეროვნული ინტელიგენციის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვით. ამ ნაბიჯით მან ეროვნულ მოძრაობას საკუთარი კარი გაუღო. ჭავჭავაძეს პატივი მიაგეს მე-19 საუკუნის ბოლოს ქართველი ერის კულტურულ მოდერნიზაციაში შეტანილი წვლილისთვის. ამრიგად, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ერთმანეთს შეარიგა „მართლმადიდებლური“ ნაციონალიზმი, რომელსაც მანამდე იწყნარებდა სახელმწიფო და „არაორთოდოქსული“ ნაციონალიზმი, რომელის გამოც დისიდენტები იღვენებოდნენ. ამგვარად, ჭავჭავაძე გახდა დასუსტებული კომუნისტური იდეოლოგიის ეროვნული ალტერნატივა. იმავე დროს, დისიდენტურ მოძრაობასა და კრიტიკულად განწყობილ ინტელექტუალურ ელიტას შორის არსებული ზღვარგამყოფი მოიშალა. დისიდენტებმა და პატიმრობიდან გათავისუფლებულმა სტუდენტების ლიდერებმა შემოდგომაზე დააარსეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, როგორც პირველი „არაფორმალური დაჯგუფება“, რომელსაც მოკლე დროში უკვე რამდენიმე ათასი წევრი ჰყავდა და ამგვარად გახდა ოპოზიციური და ეროვნული მოძრაობის ძალების სტაბილურად მზარდი ძალა²².

²¹ Gamsakhurdia (Hg.), *The Spiritual Mission of Georgia. A Lecture Delivered at the IDRIART Festival in Tbilisi, 2 May 1990, (1991), 7 – 23.*

²² აღნიშნული ეროვნული მოძრაობა ცუდად ორგანიზებული მასობრივი მოძრაობა იყო, რომელიც გადაიზარდა ფრაქციულ დაპირისპირებებში. არ გააჩნდა ინსტიტუციურად და პროგრამულად გამყარებული ოპოზიცია და ხასიათდებოდა რადიკალიზმით. ამ მოძრაობიდან

ცხრილი 1-ლი: ძირითადი პოლიტიკური მოვლენები საქართველოში 1921 წლიდან

- 1921 საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ანექსია; საქართველოს საეკლესიო იერარქიის „წმენდა“ და მნიშვნელოვანი საეკლესიო ქონების ნაციონალიზაცია
- 1943-45 სტალინი რელიგიურ თემებს რწმენის გამოხატვის უფლებას აძლევს; საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ აღიარებულია ავტოკეფალურად, 1943 წ.
- 1959 საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი იწყებს ხრუშჩოვის ათეიზმის კამპანიის წარმოებას საქართველოში; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინსტრუმენტალიზაცია საგარეო პოლიტიკაში
- 1960 ქართული მართლმადიდებლური რელიგიის ეროვნულ შეგნებასთან შერწყმა
- 1975 საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი შევარდნაძე დათმობაზე მიდის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან
- 1985 კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის, ჯუმბერ პატიაშვილის, მეთაურობით ქართველებში მორწმუნეთა და დისიდენტთა მიმართ განახლდა სახელმწიფო რეპრესიები
- 1980 ოპოზიციური ქართული ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაცია
- 1989 9 აპრილის მასობრივი დემონსტრაციის ძალადობრივი ჩახშობა უმაღლესი საბჭოს შენობის წინ (დღევანდელი პარლამენტი).
- 1990 გარდამავალი პერიოდის დასაწყისი: ეროვნული ოპოზიციის გამარჯვება ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით (87%), რომელმაც საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ
- 1991 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება
- 1991 დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია
- 1992 იანვარის გადატრიალება გამსახურდიას მთავრობის წინააღმდეგ, ანუ „ზამთრის ომი“
- 1992 ედუარდ შევარდნაძე ინიშნება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ და ამრიგად, ფაქტობრივად სახელმწიფოს მეთაური ხდება

განიდევნენ კომუნისტური პარტიის რეფორმის მსურველი ძალები და ამგვარად შეუძლებელი გახდა ფართო ფრონტის შექმნა, მაგალითად როგორც ეს მოხდა ბალტიის ქვეყნებში. ეს იყო ერთგვარი „ანტიორგანიზაციული“ მოძრაობა, რომელსაც არ შეეძლო რაიმე შეთანხმების მიღწევა სახელმწიფო ძალაუფლებასთან; იხ. Gerber, Georgien: National Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956, (1997), 160 – 163; Wheatley, Georgia from National Awakening to Rose Revolution. Delayed Transition in the Former Soviet Union, (2005), 32.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

- 1995 საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც ოფიციალურად აცალიბებს მმართველობის დემოკრატიულ სისტემას
- 1995 დემოკრატიზაციის დასაწყისი. კონსოლიდაცია კონსტიტუციური დემოკრატიის დამყარების შემდეგ: ედუარდ შევარდნაძის არჩევა დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტად (70%)
- 1999-2002 რელიგიური უმცირესობების მიმართ ძალადობის საგანგაშო ტალღა. განსაკუთრებით აქტიურობს ჯგუფი, რომელსაც მართლმადიდებელი, ყოფილი მღვდელი ბასილ მკალავიშვილი ხელმძღვანელობს
- 2001 შევარდნაძესა და კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ დადებული კონკორდატი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ; კონსტიტუციის ტექსტში შედის 2001 წლის მარტის ჩანაწერი
- 2003 „ვარდების რევოლუცია“: მასობრივი დემონსტრაციები საპარლამენტო არჩევნების მასიური გაყალბების წინააღმდეგ. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და შევარდნაძის გადადგომა
- 2004 მიხეილ სააკაშვილის არჩევა დამოუკიდებელი საქართველოს მესამე პრეზიდენტად (96%) და ხუთჯვრიანი ახალი სახელმწიფო დროშის შემოღება
- 2007 მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ, დემონსტრაციის ძალადობრივი დარბევა, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და სააკაშვილის გადადგომა
- 2008 ახალი არჩევნები: პრეზიდენტად სააკაშვილის მეორედ და კონსტიტუციის თანახმად, უკანასკნელად არჩევა (53,47%)

წყარო: ჩვენივე ნაკრები

მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ საკუთარი კარი გაუხსნა ეროვნულ მოძრაობას, განსაკუთრებით გამძაფრდა ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, როდესაც კომპარტია ემზადებოდა მასობრივი დემონსტრაციის დასაშლელად თბილისში უმაღლესი საბჭოს (დღევანდელი პარლამენტის) შენობის წინ, ილია მეორემ პირადად სთხოვა დემონსტრანტებს ნასულიყვნენ მასთან ერთად მიმდებარე ეკლესიაში სალოცავად, რათა თავიდან აცილებულიყო სისხლისღვრა. ილია მეორემ ეკლესიაში წასვლაზე უარი მიიღო და ამის ნაცვლად მოედანზე „მამაო ჩვენოს“ ლოცვა დაიწყეს. რამდენიმე წუთის შემდეგ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილიდან ჩამოყვანილმა სპეცრაზმმა პოზიციები დაიკავა, რათა მომიტინგეები მოედნიდან შხამიანი გაზითა და ნიჩბებით განედევნათ. პანიკის დროს 20 მომიტინგე დაიღუპა და რამდენიმე ასეული დაშავდა. ამ მოვლენამ დამოუკიდებლობის მოძრაობა კიდევ უფრო გააძლიერა და სრულიად ჩამოშალა არა მხოლოდ საქართველოს კომუნისტური პარტია, არამედ მთლიანად სა-

ხელმწიფო ავტორიტეტი²³. 1991 წელს ჯერ კიდევ სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ეროვნულმა ოპოზიციამ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, მის მიერ დაარსებულ პარტიასთან, „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“, 1990 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში უდიდეს წარმატებას მიაღწია, რაც დემოკრატიული გარდამავალი ეტაპის დასაწყისს ნიშნავდა²⁴, მიუხედავად ამისა, ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესს ხშირად თან ახლდა ძალადობა და ასევე ხშირი იყო უკან გადადგმული ნაბიჯებიც ამ მიმართულებით²⁵.

5. ეკლესია, როგორც საერთო აზრის შემქნელი ძალა გარდამავალი ეტაპის პირველ ეტაპზე (1991 - 1995)?

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სახელმწიფოებრიობის პირველი წლები ძალიან მღელვარე იყო და ხასიათდებოდა ძალადობრივი დაპირისპირებებით. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს უფრო მეტი ავტონომიური ტერიტორიული ერთეული ჰქონდა, ვიდრე სხვა რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკას (რუსეთის გარდა)²⁶. იმის გამო, რომ ამ ავტონომიურ ერთეულებს ახლა უკვე ეშინოდათ საკუთარი ავტონომიის დაკარგვის – განსაკუთრებით გამსახურდიას ქართული ნაციონალისტური პოლიტიკის ფონზე – დამოუკიდებელ საქართველოს სერიოზული სირთულეები გაუჩნდა ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის კუთხით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რეგიონში, ტერიტორიული კონტროლისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ 1990 წლის ბოლოს გამძაფრდა²⁷. სახელმწიფოს მართვაში გამოცდილების ნაკლებობის და პოლიტიკური უკომპრომისობის გარდა (რომლის საპირისპირო მაგალითია ბალტიისპირეთი), გადამწყვეტი როლი ითამაშა გამსახურდიას პირადმა, პოლარიზებამა მართვის სტილმა, რომელიც თავს ეროვნული მოძრაობის ლიდერად მიიჩნევდა. „...ეთნიკურად არაქართველი უმცირესობების დადანაშაულებამ და ქართველთა ერთობის ხაზგასმამ შეაფერხა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა და მისი მრავალფეროვნება“²⁸. 1991 წელს, გამსახურდიას ხელმძღვანელობის ქვეშ, ქართველ და არაქართველ ელიტურ

²³ 1989 წლის 9 აპრილის შესახებ იხ.: Wheatley, Georgia from National Awakening to Rose Revolution. Delayed Transition in the Former Soviet Union, (2005), 177 – 186. თანამედროვე კრიტიკა იხ.: ნიქარიშვილი, ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა), (2003), 59 – 73.

²⁴ იხილეთ ამვე ტომის შესავალში გარდამავალი პერიოდის კონცეფცია, რომელიც მიჰყვება Schmitter/O'Donnell-ის გარდამავალი პერიოდის მოდელს. აქ ავტორიტარული რეჟიმის გარდაქმნისას ერთმანეთისაგან განირჩევა პოლიტიკური ელიტის ცვლილების და კონსოლიდაციის ფაზა, რომელიც როგორც წესი იწყება კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საკანონმდებლო პირველ პერიოდში.

²⁵ იხ. ასევე Jawad, Democratic Consolidation in Georgia after the ‚Rose Revolution‘ ?, (2005), 1 f.

²⁶ Slider, Democratization in Georgia, (1997), 169.

²⁷ სამხრეთ ოსეთის კრიზისის შესახებ იხ. International Crisis Group, Georgia: Avoiding War in South Ossetia, (2004); International Crisis Group, Georgia – South Ossetia: Refugee Return the Path to Peace, (2005).

²⁸ Jones, Populism in Georgia: The Gamsakhurdia Phenomenon, (1994), 141 f.

ჯგუფებს შორის დაიწყო დაპირისპირება შეზღუდული რესურსების გადასანაწილებლად. ეროვნული მოძრაობის თავდაპირველი ერთიანობა ნელ-ნელა ქრებოდა პარტიკულარული ინტერესების მიზეზით²⁹. პოლიცია და უსაფრთხოების ძალები სულ უფრო მეტად იძირებოდა კრიმინალურ სამყაროში, ჩრდილოვან ეკონომიკაში, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში. ამით ისინი ხელს უწყობდნენ „ძალისმიერი ბიზნესის“ წარმოქმნას³⁰. 1992 წლის იანვარში ე.წ. „ზამთრის ომის“ დროს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, შეიარაღებულმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა დაამხეს ყოფილი დისიდენტის, გამსახურდიას მთავრობა და აიძულეს საზღვარგარეთ გაქცეულიყო. გამსახურდიას მომხრეები ორ ერთმანეთის მონინაალმდევე ფრაქციად გაიყვნენ. 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთში დაძაბულობა ომში გადაიზარდა³¹.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევას უვნებელი გადაურჩა, რის შედეგადაც სოციალური ცვლილებების პროცესში საერო აზრის შემქმნელის და ეროვნული ღირებულებების მცველის სტატუსი მოიპოვა, მან კონსტრუქციულ როლი ვერ შეასრულა ამ ძალადობრივი კონფლიქტის პერიოდში. უფრო მეტიც, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სეპარატისტულ რეგიონებში ომის დროს, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გამოაცხადა, რომ ქართველის ყველა მკვლელის, როგორც ხალხის მოღალატის, სახელი, სპეციალურ წიგნში ჩაინერებოდა და ამგვარად, სამუდამო დაწყვეტილი იქნებოდა³². ამით მან ხელი შეუწყო აფხაზეთის კონფლიქტისთვის ეთნიკური ხასიათის მიცემას, რომელსაც თავდაპირველად უფრო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ხასიათი ჰქონდა³³. ილია მეორის აღნიშნული განცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ ოსები მართლმადიდებლები არიან, ისევე, როგორც აფხაზების ნახევარი. ეს განცხადება ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ეთნიკური კუთვნილება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სარწმუნოება. აქედანვე გამოჩნდა, რომ ეკლესიას განზრახული ჰქონდა დამოუკიდებელ საქართველოში უფრო პოლიტიკური როლი ეთამაშა, ვიდრე რელიგიური.

1992 წლის იანვარში გამსახურდიას ძალადობრივი დამხობის შემდეგ, რომლის მონაწილეებმაც გამოიყენეს მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება რეჟიმის მიმართ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის ბოლო საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე 1992 წლის მარტში მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა და სახელდახელოდ შექმნილი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა. ამგვარად, იგი, დემოკრა-

²⁹ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით და საქართველოს ტერიტორიული დაშლის შესახებ იხ. თავი 2-ე Jawad-თან, *Europas Neue Nachbarschaft an der Schwelle zum Krieg: Zur Rolle der EU in Georgien*, (2006).

³⁰ *Elwert*, *Intervention in Markets of Violence*, (2003), 219 – 242.

³¹ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ იხ., *Coppieters*, *The Georgian-Abkhaz Conflict*, (2004); *Antonenko*, *Frozen Uncertainty: Russia and the Conflict over Abkhazia*, (2005); *Auch*, *Der Konflikt in Abchasien in historischer Perspektive*, (2004).

³² გელაშვილი (გამომ.), ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება. საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისში, (2001), 5 – 10.

³³ *Antonenko*, *Frozen Uncertainty: Russia and the Conflict over Abkhazia*, (2005), 206.

ტიული ლეგიტიმაციის გარეშე, გახდა სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაური. ეს დემოკრატიზაციის პროცესის ადრეულ გარდამავალ ეტაპზე აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან 1995 წლის ნოემბრამდე არ მომხდარა მისი პრეზიდენტად არჩევა (იხ. ქვემოთ). 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მწვავე შეიარაღებული კონფლიქტისა და 1992/93 წლებში „ზვიადისტების“ (გამსახურდიას მომხრეების) მიერ ძალაუფლებაში დასაბრუნებლად ძალადობრივი მცდელობების შედეგად, შევარდნაძე ახალგაზრდა სახელმწიფოს გარდაუვალი კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, მან ზურგი აქცია გამსახურდიას მიერ თავდაპირველად გატარებულ პოლიტიკას, რომელიც მაქსიმალურად ზღუდავდა რუსეთის გავლენას საქართველოზე და 1993 წლის ბოლოს (საკუთარი ინტერესების კარნახით) რუსეთს უფლება მისცა, მშვიდობისმყოფელის როლი აეღო³⁴. ამასთან, როგორც სახელმწიფოს დე ფაქტო მეთაურმა და იმ პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც 24 პარტიად იყო დაყოფილი, მან წარმატებით მოახერხა სამხედრო მეთაურებისა და მათი შეიარაღებული ბანდების განადგურება, რითაც დაამყარა გარკვეული საზოგადოებრივი წესრიგი და სტაბილურობა ქვეყანაში³⁵.

6. კონსოლიდაციის პროცესის შეფერხება და სოციალური ფრაგმენტაცია შევარდნაძის დროს: მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც დემოკრატიზაციის პრობლემა? (1995-2003)

შევარდნაძის მიერ დამყარებული სტაბილურობის სისუსტე აჩვენა, სხვათა შორის, 1995 წლის 29 აგვისტოს უცნობი პირების მიერ მასზე თავდასხმამ, რომელსაც იგი მცირედი დაზიანების მიუხედავად გადაურჩა³⁶. შევარდნაძემ ვერ შეძლო³⁷ ქვეყანაში მზარდი პოლიტიკური და კულტურული ფრაგმენტაციის შეჩერება. მაგრამ 1995 წლის აგვისტოში პარლამენტის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა ქვეყნის სტაბილიზაციის გზაზე. საკონსტიტუციო კომისიის შიგნით არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების ფონზე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების დახმარებამ გადამწყვეტი კატა-

³⁴ Jawad, *Democratic Consolidation in Georgia after the 'Rose Revolution'?*, (2006), 9 f. რუსეთი ცდილობდა რამდენადაც შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებიდან გამოყოფის მომხრეები თავს ამ მიზნის მისაღწევ „ბერკეტად“ თვლიდნენ. ნეიტრალური სამშვიდობო როლის ნაცვლად, რუსეთი ატარებდა პოლიტიკას, რომელიც ხშირად იხსენიება, როგორც „კონტროლირებადი არასტაბილურობა“. Bielawski und Halbach, *Der georgische Knoten – Die Südossetien-Krise im Kontext georgisch-russischer Beziehungen*, (2004).

³⁵ King, *Potemkin Democracy: Four Myths about Post-Soviet Georgia*, (2001), 96.

³⁶ შევარდნაძეზე კიდევ ერთი თავდასხმა განხორციელდა 1998 წლის 9 თებერვალს, როდესაც მის შეჯავშნულ მანქანას ცეცხლი გაუხსნეს ავტომატებითა და ყუმბარმტყორცნებით.

³⁷ Wheatley, *Georgia from National Awakening to Rose Revolution. Delayed Transition in the Former Soviet Union*, (2005), 41 – 66 and 67 – 102; Baev, *Civil Wars in Georgia: Corruption Breeds Violence*, (2003), 127 – 144; Gerber, *Georgien: Nationaler Dissens und kommunistische Herrschaft seit 1956*, (1997), 187 – 228; Gaul, *Verfassungsgebung in Georgien – Ergebnisse internationaler rechtlicher Beratung in einem Transformationsstaat*, (2001).

ლიბატორული ეფექტი შექმნა კონსტიტუციის შემუშავების და მიღების პროცესში³⁸. ახალმა კონსტიტუციამ საქართველოს დემოკრატიულ კონსტიტუციურ სახელმწიფოს მისცა პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით. მიუხედავად ამისა, შევარდნაძემ, რომელიც 1995 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხმების 70%-ით ქვეყნის ლეგიტიმური მეთაური გახდა, მანიპულაციის გზით დაარღვია ფორმალური დემოკრატიული ნორმები. მისი წინამორბედი გამსახურდიასგან განსხვავებით, შევარდნაძემ შეძლო საკუთარი პოზიციების გაძლიერება 1993 წელს საკუთარი პოლიტიკური პარტიის, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ დაარსების შედეგად³⁹. მიუხედავად იმისა, რომ მისი ყველა მომხრე ძველი კომუნისტური ნომენკლატურის ნაწილი იყო, „მოქალაქეთა კავშირი“ თავისთავად არაერთფეროვანი იყო. ამიტომ, მან თავისი მმართველობა დააფუძნა მოქნილ კორუფციულ კავშირებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარად მოხერხდა ქაოსისა და ძალადობის დაძლევა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. იღებდნენ კანონებს, მაგრამ მათი შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მათი შინაარსი ემთხვეოდა შესაბამისი ორგანოების პირად ინტერესებს⁴⁰. ქვეყანაში არსებული საყოველთაო უკანონობა, ორგანიზებული დანაშაულის სიძლიერე და სამართალდამცავი ორგანოების უმართავი სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა შევარდნაძის მთავრობის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქმედითობას და ზოგადად მის სამართლებრივ ლეგიტიმურობას⁴¹. კორუფცია და ეკონომიკური სტაგნაცია აფერხებდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების განხორციელებას, რაც წარმატებული დემოკრატიული კონსოლიდაციის აუცილებელი წინაპირობაა. ამრიგად, შევარდნაძემ საკუთარი პრეზიდენტობის პერიოდში შექმნა კონსტიტუციური დემოკრატიის ერთგარი ფასადი.

ყოველივე ზემოდ ნათქვამის ფონზე, რთულია საქართველოში დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესზე საუბარი. თუმცა, 1995 წელს ახალი კონსტიტუციის მიღებამ ამგვარი კონსოლიდაციის ფაზას ერთგვარი სანყისი მისცა, რამდენადაც არამდგრადი არ უნდა ყოფილიყო ის⁴². ამგვარად, ახალი კონსტიტუციით საქართველოში, მართალია, დემოკრატია დამყარდა, ანუ ახალ კონსტიტუციაში დემოკრატია დამტკიცდა როგორც მმართველობის ფორმა, მაგრამ პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების ქცევაში, ისევე როგორც მოსახლეობის წარმოდგენაში, დემოკრატიულმა ფასეულობებმა ძლიერად ვერ მოკიდეს ფეხი.

1995 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლი უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე, ხოლო მე-19 მუხლის პირველი პუნქტი იცავს თავისუფლებებს, მათ შორის რელიგიის თავისუფლებას; მე-2 პუნქტი კრძალავს სიტყვის, აზრის,

³⁸ Gaul, Verfassungsgebung in Georgien – Ergebnisse internationaler rechtlicher Beratung in einem Transformationsstaat, (2001), 106, 177 f; Allison et al., Problems of Democratization in the Republic of Georgia, (1996), 523 ff.

³⁹ 1995 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ მიიღო ხმების 23,71%, 1999 წლის ოქტომბერში კი 41,8%.

⁴⁰ Huber, State-Building in Georgia. Unfinished and at Risk ?, (2004), 47.

⁴¹ Jawad, Democratic Consolidation in Georgia after the ‘Rose Revolution’?, (2005), 16 f.

⁴² გარდამავალი პერიოდის კონცეფციის, გარდაქმნისა და კონსოლიდაციის ფაზების შესახებ იხილეთ ამავე ტომის შესავალში.

რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დევნას. მე-9 მუხლის პირველ პუნქტში გარანტირებულია „რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება“, მაგრამ აღიარებულია „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლი საქართველოს ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან“⁴³. 1995 წლის კონსტიტუციაში წარმოდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ადგილი წარმოადგენს კომპრომისის მრავალი ქართველის მოთხოვნის მიმართ, რომ საბჭოთა რეჟიმის დაშლის შემდეგ მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული როლი მინიჭებოდა საქართველოს კანონმდებლობაში და აღიარებულიყო იგი როგორც სახელმწიფო ეკლესია და უფრო ლიბერალური ძალების მოთხოვნას შორის, რომ ეკლესია და სახელმწიფო განცალკევებული უნდა ყოფილიყვნენ და დაცული უნდა ყოფილიყო რელიგიური პლურალიზმი⁴⁴.

შიდა საეკლესიო გადანაწილება

მართლმადიდებლური ეკლესიის სტატუსთან და რელიგიური პლურალიზმის დაცვასთან დაკავშირებით არსებული ეს ურთიერთსაპირისპირო პოზიციები ეკლესიის შიგნითაც აქტიუალური იყო, რამაც ეკლესიის შიგნით ორი ჯგუფის წარმოქმნა გამოიწვია, რომლებიც დამოუკიდებლობის უკვე პირველივე წლებში გაჩნდა. თავდაპირველად ვერცერთი ჯგუფი აერხებდა გაბატონებას, რადგან არც „ტრადიციონალისტებს“ და არც „რეფორმატორებს“ არ ჰქონდათ საკმარისი მხარდაჭერა არც საეკლესიო იერარქიაში და არც მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის. თუმცა, სულ უფრო და უფრო იზრდება „ტრადიციონალისტების“ გავლენა.

„ტრადიციონალისტები“ აცხადებდნენ, რომ მართლმადიდებლური რელიგია ტრადიციულ ჭეშმარიტ გზას უნდა დადგომოდა და ამიტომ მტრულად იყვნენ განწყობილნი სხვა აღმსარებლობების მიმართ და ცდილობდნენ საკუთარი შეხედულებები საზოგადოებისთვის მოეხვიათ თავს. მათ წიაღში წარმოიქმნენ ისეთი ასოციაციები, როგორიცაა „მძლეველები“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. ისინი მჭიდრო კავშირში იყვნენ სასულიერო პირებთან, რომლებიც იყენებდნენ თავიანთ რელიგიურ ავტორიტეტს რათა თავიანთი მრევლი განემტკიცებინათ აბსოლუტური ჭეშმარიტების რწმენაში, იზოლაციონისტურ მენტალიტეტში, რაც მრევლს აყენებდა „ჩვენსა“ და „სხვებს“ არჩევანს შორის. ისინი ყველაფერში საფრთხეს და მტრებს ხედავდნენ. საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ კონტროლის გარდა, ისინი „მართლმადიდებლური მალაზიების“ მზარდ ქსელს ფლობდნენ, რომლის საშუალებითაც ავრცელებდნენ საკუთარ პრესას და ლიტერატურას. მათ ასევე კავში-

⁴³ კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს და ბოლოს შესწორდა 2006 წლის 27 დეკემბერს, შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე. იქ ასევე მითითებულია ცვლილებები. იხილეთ http://www.parliament.ge/files/68_1944_951190_CONSTIT_27_12.06.pdf [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 13 ივნისს].

⁴⁴ Nodia und Scholtbach, *The Political Landscape of Georgia – Political Parties: Achievements, Challenges and Prospects*, (2007), 70.

რი ჰქონდათ საბერძნეთში და რუსეთში მყოფ თანამოაზრეებთან. მათი ვინრო მსოფლმხედველობა დიალოგს შეუძლებელს ხდიდა, რაც გვახსენებს მტრის საბჭოურ წარმოდგენას, სადაც ასევე არსებობდა მკაცრი განყოფა „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის და მასთან აბსოლუტურად იდენტური იყო ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლური ორიენტაციის კუთხით⁴⁵.

ამის საპირისპიროდ, „რეფორმატორები“, იგივე „პროგრესულები“ შიდა საეკლესიო რეფორმების განხორციელებისთვის იბრძოდნენ, რაც ასევე გულისხმობდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეკუმენური იდეისთვისაც ბრძოლას. ისინი, ზოგადად, უფრო ღიანი იყვნენ დანარჩენი სამყაროს მიმართ, ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტი სხვა ქვეყნებთან და ძირითადად დაკომპლექტებულები იყვნენ საუნივერსიტეტო გარემოდან. ბევრ მათგანს მიღებული ჰქონდა თეოლოგიური განათლება. თუმცა, ეს ჯგუფი იმდენად მარგინალიზებული იყო ეკლესიასა და საზოგადოებაში, რომ მათმა შეხედულებებმა შიდაეკლესიო დემოკრატიზაციასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, ეკლესიასა და საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება ვერ ჰპოვა⁴⁶.

„ტრადიციონალისტების“ ბრალდებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ „რეფორმატორებს“ სურდათ მართლმადიდებლობის არსის შეცვლა, „რეფორმატორები“ პასუხობდნენ, რომ ისინი თავიანთი ეთნო-რელიგიური ექსკლუზიურობით იგნორირებას უწევდნენ მრავალრელიგიურ და კულტურულად მრავალფეროვან გარემოს ქვეყანაში და ასევე უარს ამბობდნენ ტოლერანტულ-პრაგმატულ დამოკიდებულებაზე სხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მიმართ⁴⁷.

„ტრადიციონალისტების“ შეხედულების გამო, რომლის მიხედვითაც შეუძლებელი იყო ქართული მართლმადიდებლობის ეროვნული ცნობიერების, კულტურის, ისტორიისა და მოსახლეობის ღირებულებებითი სისტემისგან განცალკევება, გაჩაღდა ერთგვარი „კულტურული ბრძოლა“. ამრიგად, რელიგია ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორგანიზაციის მსგავს სისტემად, რომელსაც საკუთარი ღირებულებების საფუძველზე შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა პოლიტიკური ისტებლიშმენტი, ანუ მაგალითად, მმართველი რეჟიმი. უფრო მეტიც, ტოტალიტარულმა მემკვიდრეობამ რელიგია „იმ დონემდე მიიყვანა“, რომ მის არსებობას მხოლოდ ნაციონალიზმთან ჰარმონიაში ჰქონდა აზრი. ამან ეკლესიას საშუალება მისცა გავლენა მოეპოვებინა მოსახლეობაზე, რამაც დემოკრატიულ გარდაქმნებთან დაკავშირებით პოტენციური საფრთხე გააჩინა. ვერც „ტრადიციონალისტებმა“ და ვერც „რეფორმატორებმა“ შეძლეს საკუთარი თავის ტრადიციულ ღვთისმოსაობასთან იდენტიფიკაცია. პირველები ამოფარებულნი იყვნენ ტრადიციული რიტუალების დაცვას, ხოლო უკანასკნელებს არ შეეძლოთ ეკლესიის ახლებური გაგების და მისთვის ახალბურთი სა-

⁴⁵ Кобахидзе, О Современное положение Грузинской Православной Церкви (2004), 181 – 183; Crego, Religion and Nationalism in Georgia, (1994), 1 – 9; Crego, Wende zum Gottesstaat ? Religiöser Nationalismus in Georgien nach 1989, (1996).

⁴⁶ მამა ზენონი, მამა ზაზა (თევზაძე), სასულიერო აკადემიის ზოგიერთი სტუდენტი, ასევე ყოფილი მღვდელი, მამა ბასილ კობახიძე, რომელმაც ეკლესია დატოვა 2007 წლის თებერვალში. იხ. ბექა მინდიაშვილი, ეკლესია შებრუნებული პერსპექტივით, (2008), 80-87 და 186-192.

⁴⁷ Areshidze, Democracy and Autocracy in Eurasia: Georgia in Transition, (2007), 292 f.

ფუძვლის მიცემის აუცილებლობის წარმოჩენით სარწმუნოების მაძიებელთა დარწმუნება. ამ დილემის მოგვარება ამ მოკლევადიან პერიოდში ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ „რეფორმატორებმა“, რომლებიც რელიგიური უმცირესობების უფლებების დასაცავად ეკლესიისა და სახელმწიფოს რადიკალურ გამიჯვნას მოითხოვდნენ, მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისგან⁴⁸ მიიღეს მხარდაჭერა, მოსახლეობის უმეტესობამ მხარი დაუჭირა „რელიგიურ ტრადიციონალისტებს“, რომლებიც მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას ითხოვდნენ. „ტრადიციონალისტები“ აქტიურ მორწმუნეთა დაახლოებით 15-25% შეადგენენ და ძირითადად რეგიონებში არიან გადანაწილებულნი⁴⁹. საზოგადოების ამგვარმა დამოკიდებულებებამ გავლენა მოახდინა ეკლესიაში განვითარებულ მოვლენებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში „ტრადიციონალისტებმა“ ვერ შეძლეს საეკლესიო იერარქიაში გაბატონება, 1990-იანი წლების ბოლოდან რადიკალური პოზიციების წარმომადგენლები უკვე ახერხებენ დომინირებას. ეს ცხადი გახდა, როდესაც 1997 წლის მაისში ბერების, მღვდლებისა და ერისკაცთა ჯგუფმა, რომლებმაც „დასავლური“ ქრისტიანული სექტების მისიონერული საქმიანობით აღძრულებმა, პატრიარქს და სინოდს მოსთხოვეს ყველა ეკუმენური ორგანიზაციიდან გამოსვლა. „გარე გავლენების“ და „შემოჭრილი“ რელიგიური თემებისაგან თავდაცვითი განწყობის პირობებში, ეკლესიის ლიდერებმა განხეთქილების საშიშროების გამო უკან დაიხიეს. პატრიარქი და სინოდი იძულებულნი გახდნენ შეესრულებინათ ამ ჯგუფის ყველა მოთხოვნა. იმავე თვეში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს და ევროპული ეკლესიების კონფერენციიდან, რომელშიც წლების განმავლობაში იგი აქტიურად იყო ჩართული, წმინდა სინოდის დადგენილებით⁵⁰. კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთობლივი ლოცვა უნინ საეკლესიო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. 2000 წლიდან საპატრიარქოს მონაწილეობა აღარ მიუღია სხვადასხვა აღმსარებლობების „საერთო ლოცვებში კავკასიის ხსნისთვის“. დღეს, ამ რადიკალური პოზიციების მომხრეებს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, რომელიც მათ საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციეს, გარკვეული გავლენა აქვთ საქართველოს ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებასა და მის პოლიტიკურ ელიტაზე, რომელსაც ხშირად ისინი გარკვეულ საკითხებს და ტაბუდადებულ თემებს ახვევენ თავს (იხილეთ შემდეგი თავი). ამგვარი პოზიციების წარმომადგენელთა რადიკალიზმის, პოლიტიკური პარტიების და სახელმწიფოს სისუსტის ფონზე, შეიქმნა იმის დიდი პოტენციალი, რომ ეს ყველაფერი უარყოფითად ასა-

⁴⁸ ესენი არიან, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების ინსტიტუტი, Human Rights Watch და კავკასიური სახლი, რომლებიც მხარს უჭერენ რელიგიურ ტოლერანტობას, სახელმწიფოს და ეკლესიის მკაფიო გამიჯვნას და რეფორმების პროცესს ეკლესიაში, ასევე რელიგიას მიიჩნევენ როგორც კერძო საკითხს. ისინი „ტრადიციონალისტებს“ ეკლესიის საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებდნენ.

⁴⁹ Areshidze, *Democracy and Autocracy in Eurasia: Georgia in Transition*, (2007), 293.

⁵⁰ საქართველოს ეკლესია 1962 წლიდან იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი, ხოლო ამჟამინდელი პატრიარქი ილია მეორე იყო მისი თანაპრეზიდენტი რამდენიმე წლის განმავლობაში.

ხულიყო დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესზე და მოსახლეობის დამოკიდებულებაზე, რომელიც ჯერ ვერ შეეგუა დემოკრატიულ ღირებულებებს. მაშინ როდესაც საეკლესიო ხელმძღვანელობა დაემორჩილა „ტრადიციონალისტების“ წნეხს, დაიწყო „რეფორმატორების“ მარგინალიზაცია „ტრადიციონალისტების“ მიერ ეკლესიის შიგნით და მის გარეთ და ისინი მთლიანად ჩამოაშორეს ეკლესიის ხელმძღვანელობას⁵¹. იმაზე თუ როგორ აისახა ეს საზოგადოების განწყობაზე შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

7. რელიგიური პლურალიზმისა და სახელმწიფო-ეკლესიის შორის ურთიერთობის შესახებ დაპირისპირება

1995 წლის კონსტიტუციაში მიღწეული კომპრომისი, სახელმწიფოსა და ეკლესიის მკაცრ გამიჯვნასა და მართლმადიდებლური ეკლესიისთვის სახელმწიფო ეკლესიის სტატუსის მინიჭებას შორის, დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა ეკლესიის მხურვალე დამცველთათვის, ანუ „ტრადიციონალისტებისთვის“. შევარდნაძის მთავრობის პოპულარობის დაცემის შედეგად, რასაც თან ახლდა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის ისედაც დაბალი ნდობის დაკარგვა და ასევე „ტრადიციონალისტური“ შეხედულებების მზარდ გავლენასთან ერთად, იზრდებოდა საზოგადოების ზენოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის წინ ნამონევის მიზნით. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკლესია იყო ის დანესებულება, რომელიც უდიდესი ნდობით სარგებლობდა მოსახლეობაში (იხ. ცხრილი 9)⁵². „ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში გარე ძალებისადმი არსებული შიში და მტრული განწყობა“⁵³, განსაკუთრებით მისიონერული, „დასავლური“, რელიგიური თემების მიმართ⁵⁴, მივიდა „არატრადიცი-

⁵¹ არეშიძე ამტკიცებს, რომ „რეფორმატორებმა“ დემოკრატიის პოსტმოდერნული გაგებით უგულებელყვეს ის ფაქტი, რომ ისეთი ღირებულებები, როგორცაა მაგალითად თავისუფლება, პირველად რელიგიურ გარემოში გამოიხატებოდა საუკუნეების განმავლობაში, სანამ ის გახდებოდა საყოველთაოდ აღიარებული. იგი ეკლესიის ზოგიერთ ლიდერს კარიერული მიზნების გამო რეფორმატორთა ბანაკში განწევრიანებაში ადანაშაულებს. იხ. Areshidze, *Democracy and Autocracy in Eurasia: Georgia in Transition*, (2007), 292 f.

⁵² კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის (ICCN) მიერ 2003 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 1000 რესპონდენტიდან 38,6% საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას „პოზიტიურად“ აფასებს, ხოლო 38,2% „უფრო პოზიტიურად“ ვიდრე „ნეგატიურად“. შედარებისთვის, 1,1% აფასებს მთავრობას „პოზიტიურად“, ხოლო 4,2% „უფრო პოზიტიურად“, ვიდრე „ნეგატიურად“; Nodia and Scholtbach, *The Political Landscape of Georgia – Political Parties: Achievements, Challenges and Prospects*, (2007), 66.

USAID-ის და International Republican Institute (IRI)-ის მიერ დაფინანსებულ ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც ჩატარდა 2003 წლის მაისში, გამოკითხულთა 80% ენდობა ეკლესიას, ხოლო 17% კაბინეტს. იმავე გამოკითხვის თანახმად, 58% უარყოფითად პასუხობს კითხვას: „ეთანხმებით თუ არა, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლოა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლის არსებობა?“, 29% კი – დადებითად.

⁵³ იქვე, 71.

⁵⁴ ეს რელიგიური თემები, რომლებიც „სექტებად“ იწოდებიან და რომლებიც არც ისე მტკიცე ქართულ საზოგადოებაში „შეჭრას“ ცდილობდნენ, საბჭოთა კავშირში უკვე უფრო მკაცრად იდევნებოდნენ ვიდრე მართლმადიდებელი ეკლესია, ხოლო შემდგომ მათში დაინახეს

ული“ რელიგიური თემების აკრძალვის მოთხოვნამდე (იხ. სურათი 6)⁵⁵. პარლამენტში რელიგიური ორგანიზაციების შესახებ რამდენიმე შესაბამისი კანონპროექტი, რომელთაც მხარს უჭერდა მართლმადიდებელი ეკლესია, ჩავარდა⁵⁶.

ცხრილი 2. სხვადასხვა ინსტიტუტის რეიტინგი საქართველოში (2003-2004)

ინსტიტუტი	პოზიტიური		უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი		უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი		უარყოფითი		პასუხი არ მაქვს	
	2003	2004	2003	2004	2003	2004	2003	2004	2003	2004
პარლამენტი	1,2	9,6	4,7	35,0	22,7	29,6	71,5	23,9	0	1,7
ალმასრულ.	1,1	15,5	4,2	35,9	19,3	25,4	75,4	22,4	0	0,7
არას. ორგან.	5,9	15,0	25,0	32,7	28,1	22,1	38,6	24,5	2,4	5,6
მართ. ეკლესია	38,6	52,1	38,2	32,1	12,7	6,8	9,0	4,1	1,5	4,8
მასმედია	25,6	31,7	41,3	36,6	18,3	17,0	14,5	13,6	0,3	0,8
პოლიცია	2,3	17,5	5,7	26,1	16,7	23,1	75,2	31,3	0,1	2,0
პროკურატურა	3,0	11,1	5,5	20,0	17,1	27,1	73,8	38,7	0,7	3,0
სასამართლო	3,1	10,2	8,0	20,2	20,3	25,6	67,6	40,2	0,7	3,8

წყარო: International Centre for Conflicts and Negotiations (ICCN), საქართველოს სამ დიდ ქალაქში 1000 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგები (2003 წლის გაზაფხული და 2004 წლის გაზაფხული), წარმოდგენილია ნოდისა და შოლტბახის ნაშრომში, *The Political Landscape in Georgia*, (2007), 66.

„სხვები“, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივ „ჩვენ“-ს. უფლებადამცველი ემილ ადელხანოვი აღნიშნავს, რომ ამ რელიგიური თემების მიმართ რელიგიურად მოტივირებული ძალადობა ხდებოდა 1990-იანი წლების დასაწყისიდან, მაგრამ მედიაში მას ადრეც და ეხლაც ადევს ტაბუ. *Адельханов, Факты нарушение свободы вероисповедания в Грузии, (2004), 83 – 103.*

⁵⁵ 2003 წლის მაისის გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა 81% მიიჩნევს, რომ იეჰოვას მოწმეები „სერიოზული პრობლემაა ქართული საზოგადოებისთვის“; *Georgian National Voter Study (May 2003)*, www.iri.org [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის ივლისში], დიაგრამა 1.

⁵⁶ მაგალითად, 2002 წლის ივლისში იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტის წევრებს, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს წარუდგინა კანონპროექტი რელიგიის შესახებ. ეკლესიის სპიკერის თქმით, ეკლესია მხარს უჭერდა პროექტს მასში არსებული რამდენიმე პუნქტის მიმართ წინააღმდეგობის მიუხედავად, მაგალითად იმ პუნქტის, რომელიც რელიგიურ ჯგუფებს, რომელთაც, სულ მცირე, 50 წევრი ჰყავდა, დარეგისტრირების უფლებას აძლევდა; იხ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=2279> [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 1 მარტს].

მართალია, 1980-იანი წლების ბოლოდან მოსახლეობაში უკვე არსებობდა ერთ-გვარი ინკვიზიტორული განწყობა⁵⁷, მაგრამ 1999 წლიდან 2002 წლამდე, რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ ძალადობრივმა ქმედებებმა საგანგაშო ნიშნულს მიაღწია, განსაკუთრებით, მაგრამ არა მხოლოდ, იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ⁵⁸. თავდასხმებს აწყობდა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა განკვეთილი მართლმადიდებელი მღვდელი ბასილ მკალავიშვილი და სხვა ფუნდამენტალისტური რელიგიური ჯგუფები⁵⁹. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია საჯაროდ გაემიჯნა მკალავიშვილს, მას არაფორმალური მხარდაჭერა ჰქონდა ეკლესიის ზოგიერთი წევრისგან⁶⁰. ხელისუფლება არავითარ მექანიზმს მიმართავდა ძალადობის წინააღმდეგ⁶¹.

მთავრობის, ანუ ხელისუფლების მხრიდან მკალავიშვილის ძალადობრივი ჯგუფისადმი „ტოლერანტობა“ გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას სახელმწიფოს სისუსტითა და შევარდნაძის მთავრობის მზარდი არაპოპულარულობით, რომელსაც არ სურდა დაპირისპირებოდა ისედაც დამუხტულ საზოგადოებრივ განწყობას⁶². ქარ-

⁵⁷ ჯერ კიდევ 1989 წელს სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტებმა ჩაშალეს აღმოსავლური ეკლესიების ისტორიისა და ლიტურგიის შესანიშნავი სპეციალისტის რომის კათოლიკური უნივერსიტეტიდან, პროფესორი მაიკლ არანცის ლექცია. კათოლიკოს პატრიარქმა, რომელიც იყო მასპინძელი, არ დაგმო ეს ფაქტი. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო სხვა კონ-ფესიების მიმართ დევნის დაწყებას, რამაც მხარდაჭერა მოიპოვა უმაღლეს საეკლესიო წრეებში და უფრო და უფრო ფართო მასშტაბით გავრცელდა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილში. 1989 წლიდან მართლმადიდებელმა მორწმუნეებმა დაიკავეს კათოლიკური ეკლესიები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას „სახელმწიფო საკუთრებაში“ ჰქონდა შეტანილი. ამ ქმედებების გამართლება მოხდა ნაციონალისტურ-ფუნდამენტალისტური ლოზუნგებით. **Адель-ханов, Факты нарушение свободы вероисповедания в Грузии, (2004), 83 – 103.**

⁵⁸ 2007 წლის სექტემბერში გამოკითხულთა 42% „იეჰოვას მოწმეებს“ ჯერ კიდევ განიხილავდა, როგორც რელიგიურ ჯგუფს, რომლებიც პრობლემებს უქმნიდა ქართულ საზოგადოებას: საქართველოს ამომრჩეველთა ეროვნული კვლევა (2007 წლის 21 აგვისტო - 10 სექტემბერი), (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, [ციტირება დეკემბერი 2007]), დი-გრამა 1 [ბოლოს შემონმებული იქნა 2008 წლის ივლისში]; **Tskepladze, Case of Jehovah's Witnesses, (2007).**

⁵⁹ ეკლესიიდან განკვეთილი ბასილ მკალავიშვილი, თბილისის ღარიბი უბნის, „გლდანის ცნობილი სამრევლოს“ პროტოპრესვიტერი (პირველი მღვდელი), მედიის მიხედვით მოქმედებს 1999 წლის 17 ოქტომბრიდან. მკალავიშვილი აცხადებს, რომ გააკეთა ის, რაც მართლმადიდებელი მორწმუნეების დიდ ნაწილს სურდა.

⁶⁰ **Nodia and Scholtbach, The Political Landscape of Georgia – Political Parties: Achievements, Challenges and Prospects, (2007), 71.**

⁶¹ 2003 წლის ივნისში სასამართლომ მკალავიშვილს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა იეჰოვას მოწმეებისა და ბაპტისტების მიმართ ძალადობის გამო და მათი რელიგიური ლიტერატურის დანვაში განმეორებით მონაწილეობისთვის. პოლიციას იგი ძებნაში ჰყავდა, მაგრამ ვერ დააკავეს. 2003 წლის 14 ოქტომბერს ბასილ მკალავიშვილმა დატოვა სამალავი და საჯაროდ გამოჩნდა გურამ შარაძესთან, მაშინდელ პარლამენტის წევრთან და თბილისის საარჩევნო ოლქში შევარდნაძის მთავრობის ბლოკის „ახალი საქართველოსთვის“ კანდიდატთან ერთად. მთავარ პროკურორს, ვალერი გრიგალაშვილს, სავარაუდოდ, არ ჰქონდა ინფორმაცია მკალავიშვილის გამოჩენის შესახებ და პოლიციამ კვლავ ვერ შეძლო მისი დაკავება; იხ., <http://www.civil.ge/eng/article.php?id=6415> [ბოლოს შემონმებულ იქნა 2008 წლის 5 მაისს]

⁶² 2003 წლის მაისის გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა 68% მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ლიდერების შეფასებისას შევარდნაძე „არასასურველია“ და მხოლოდ 6% -ს სურს, რომ ის იყოს შემდეგი პრეზიდენტი. კითხვაზე, „ზოგადად, საქართველო რა მიმართულებით მიდის?“, გამოკითხულთა 83% -მა უპასუხა „არასწორი მიმართულებით“ და

თული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მკალავიშვილის დაჯგუფების მიმართ სიმპატიით იყო განწყობილი⁶³. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არ ეთანხმებოდა ძალადობის გამოყენებას⁶⁴, ისინი პრობლემის საფუძველს ხედავდნენ სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებიც ვერ ახერხებდნენ „ეროვნული ტრადიციების დაცვას სხვადასხვა სექტის შემოღწევის საფრთხისგან“⁶⁵.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრის განმავლობაში შევარდნაძის მთავრობის ავტორიტეტი კიდევ უფრო მეტად დაეცა, ერთი მხრივ, შიდა უთანხმოებებისა და კონფლიქტების, მეორე მხრივ კი, ოპოზიციის გაძლიერების გამო. 1999 წელს „მოქალაქეთა კავშირი“ გაიყო ე.წ. რეფორმისტთა ფრთად და პრეზიდენტის ერთგულ ნაწილად. გარდა ამისა, ოპოზიციურმა ალიანსმა პირველად, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიღო⁶⁶. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი, შევარდნაძის პოპულარობის დაკარგვის გარდა, პარტიული სისტემის გაჩენაზეც მიუთითებდა, პოლიტიკური პარტიები საქართველოში ჯერ კიდევ სუსტი და არასტაბილური იყო, ისინი უფრო მეტად პოლიტიკურ ლიდერებზე იყვნენ ფოკუსირებულნი, ვიდრე პროგრამებზე⁶⁷, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტი არ ჰქონდათ და ამიტომაც ვერ წევდნენ შესაფერის შუამავლობას მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის. მმართველობის ავტორიტეტი

11% -მა „სწორი მიმართულებით“. კითხვაზე, „რამდენად კმაყოფილი ხარ იმით, როგორც ხარ? ვითარდება დემოკრატია საქართველოში?“ 40% „ძალიან უკმაყოფილოა“, 29% „გარკვეულწილად უკმაყოფილო“. კითხვაზე, „რომელ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია გაუმკლავდეს ყველაზე წარმატებულად და მოაგვაროს პრობლემები, რომლის წინაშეც დგას საქართველო?“ გამოკითხულთა მხოლოდ 4% დაასახელა შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“, 47% ამბობს, რომ არასდროს მისცემს ხმას შევარდნაძის პარტიის ბლოკს „ახალი საქართველო“; **Georgian National Voter Study (May 2003).**

⁶³ ICCN– ის მიერ 2003 და 2004 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვების თანახმად (იხ. სქოლიო 52), გამოკითხულთა 45,2% მკალავიშვილის საქმიანობას „დადებითად“ ან „გარკვეულწილად დადებითად“ აფასებს. 2003 წლის ივლისის გამოკითხვა ჩატარდა ქალაქებში: თბილისში, ქუთაისსა და გორში მცხოვრებ მართლმადიდებელ მორწმუნეებს შორის; ციტირებულია: **Нижарадзе, Городское население Грузии о вопросах связанных с религией. Результаты Социологического исследования, (2004), 104 – 121.**

⁶⁴ 2003 წლის მაისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა 84% თვლიდა, რომ იეჭოვას მონშეების პრობლემა უნდა მოგვარდეს ამ რელიგიური ჯგუფის აკრძალვით; 8% -ს სურდა, რომ მთავრობამ/ეკლესიამ უზრუნველყოს გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება საქართველოში ყველა ჯგუფისა და რელიგიისთვის - ტრადიციული და არატრადიციული; საქართველოს ამომრჩეველთა ეროვნული კვლევა (2003 წლის მაისი), [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის ივლისში].

⁶⁵ Nodia und Scholtbach, *The Political Landscape of Georgia – Political Parties: Achievements, Challenges and Prospects* (2007), 71.

⁶⁶ ადრე მაგ. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მთლიანობაში 53 პოლიტიკური პარტიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში ხმების 39% -ით მხოლოდ სამმა მოიპოვა საპარლამენტო სავარდლები, რადგან ფრაგმენტაციის მაღალი დონის გამო პარლამენტში შემოღებულ იქნა ხუთპროცენტის ბარიერი; **Slider, Democratization in Georgia, (1997), 181 f.**

⁶⁷ კითხვაზე „რომელიმე პარტიისთვის ხმის მიცემის საკითხის განხილვისას რომელია უფრო მნიშვნელოვანი: პარტიის ლიდერი თუ პარტია?“, გამოკითხულთა 69% -მა უპასუხა „პარტიის ლიდერი უფრო მნიშვნელოვანია“. **Georgian National Voter Study (May 2003),** [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის ივლისში].

რულმა სტილმა თითქმის მთლიანად შეარყია მთავრობის დარჩენილი ლეგიტიმურობა (იხ. ცხრილი 10). ამან არა მხოლოდ გააღრმავა არსებული განხეთქილებანი სამთავრობო ბანაკში, არამედ მოსახლეობა გულგრილობიდან სასონარკვეთილებაზე მიიყვანა სიღარიბის და კორუფციის იმ ფონზე, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში იყო გავრცელებული და არ იძლეოდა უსაფრთხოების განცდის შესაძლებლობას⁶⁸.

ცხრილი 3. საქართველოში დემოკრატიის განმსაზღვრელი კატეგორიების რეიტინგი (1999 -2008)

	1999	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
არჩევ. პროცესი	4.00	4.50	5.00	5.25	5.25	4.75	4.75	4.50	4.75
სამ. საზოგადოება	3.75	4.00	4.00	4.00	3.50	3.50	3.50	3.50	3.50
დამოუკ. მედია	3.75	3.50	3.75	4.00	4.00	4.25	4.25	4.00	4.25
მთავრობა*	4.50	4.75	5.00	5.50	5.75	n/a	n/a	n/a	n/a
დემოკრატიული ცენტ. ხელისუფ.	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	5.50	5.50	5.50	5.75
დემოკრატიული ადგ. ხელისუფ.	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	6.00	5.75	5.50	5.50
სამართლებრივი ჩარჩო და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა	4.00	4.00	4.25	4.50	4.50	5.00	4.75	4.75	4.75
კორუფცია	5.00	5.25	5.50	5.75	6.00	5.75	5.50	5.00	5.00
დემოკრატიის საშუალო	4.17	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79

* 2005 წლის გამოცემით, Freedom House-მა დაწერა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული მმართველობის სრულიად განსხვავებული ანალიზის და კლასიფიკაციის მეთოდი, რათა ამგვარად მკითხველს მიანოდოს უფრო დეტალური და დაბალანსებული ანალიზი ამ ორი უმნიშველოვანესი რგოლის შესახებ.

რეიტინგებში გამოყენებულია 1-დან 7-მდე შკალა, 1-ი ყველაზე მაღალი დემოკრატიული პროგრესის მაჩვენებელია, ხოლო 7 ყველაზე დაბალის. დემოკრატიის საშუალო არის აღნიშნული კატეგორიების ერთი წლის განმავლობაში წარმოებული გამოკითხვებიდან გამოყვანილი საშუალო.

⁶⁸ იხ. სქოლიო 62.

წყარო: Nodia, Nations in Transit 2008: Georgia, (2008).

ზოგადი ცხოვრების პირობების დაბალი დონის მიუხედავად, შესაძლოა მისი მიზეზითაც, დემოკრატიზაციის პროცესის ამ ეტაპზე საჯარო დისკუსია კონცენტრირებული იყო რელიგიურ პლურალიზმსა და მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსზე. საქართველოში ურთულესი სოციალური ვითარების გათვალისწინებით, ადამიანები ფიქრობდნენ, რომ სარწმუნოებისკენ შემობრუნების გზით შეძლებდნენ ყოველდღიური ცხოვრების მზარდ სირთულეებთან გამკლავებას. ეკლესიის კარნახით ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირებამ საქართველოში გამოიწვია მოქალაქეთა უნარების დაქვეითება, ხელი შეუშალა ინიციატიურობის განვითარებას, პასუხისმგებლობის განცდას და დამოუკიდებლობას, როგორც სამოქალაქო ღირებულებებს. ეკლესიამ, საკუთარი ფუნდამენტალისტური მსოფლმხედველობითა და შინაგანი გამჭვირვალობის ნაკლებობით, ხელი შეუწყო ამგვარ ტენდენციას, იგი მასობრივ გავლენას ახდენდა სახელმწიფო განათლების სისტემაზე, ხელოვნებასა და მეცნიერებაზე და მოსახლეობას მობილიზებას უწევდა უმცირესობების (რელიგიური) წინააღმდეგ. როდესაც აქტივისტებმა გამოაცხადეს, რომ საეკლესიო საქონელი სახელმწიფო მუზეუმებში კარგავენ რელიგიურ ძალას „ურწმუნო უცხო ქვეყნების“ გამოფენებში მონაწილეობის გამო, ხატების თაყვანისცემიდან კერპთაყვანისმცემლობისკენ შორი აღარ იყო. ეკლესიის კრიტიკოსები ასკვნდნენ, რომ მრევლს და მღვდლებს განათლება აკლდათ და სწორედ ამიტომ იყო მათი აზროვნების დიპაზონი ვიწრო (იხ. ზემოთ)⁶⁹. საქართველოს მოსახლეობაში „ინკვიზიტორული“ განწყობის, რელიგიური უმცირესობების მიმართ ძალადობის, სახელმწიფოს სისუსტის და მთავრობის არაპოპულარობის ფონზე 2001 წლის თებერვალში დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება პრეზიდენტ შევარდნაძეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, როგორც ეკლესიის მეთაურს, შორის, რითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიენიჭა განსაკუთრებული სტატუსი. ამ ხელშეკრულებას, რომელიც არაფორმალურად ცნობილია როგორც „კონკორდატი“, არ გაუვლია პარლამენტის საკანონმდებლო პროცედურა, სადაც რელიგიასთან დაკავშირებული კანონების წინა პროექტები ჩავარდა; მისი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების ურთიერთშეთანხმებით. ამ კონკორდატის საშუალებით, მართლმადიდებლური ეკლესია ერთადერთი რელიგიური საზოგადოება გახდა, რომელიც სახელმწიფომ აღიარა და პრივილეგიებულ იქნა, როგორც საჯარო სამართლის პირი. ეს განსაკუთრებული პრივილეგიები მოიცავდა ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოს-პატრიარქის იმუნიტეტს, საქართველოს

⁶⁹ გელაშვილი (გამომც.), ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება. საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისში, (2001), 5-10; Centre, State of Freedom of Religion in Georgia since the Adoption of the Constitutional Agreement between Government and the Orthodox Church of Georgia. Religious Freedom Report, (2008); Ладария Нодар. Несколько разрозненных мыслей о месте православной церкви в обществе на фоне российско-грузинских отношений // Роль православия в государствах и обществах России и Грузии. Материалы грузино-российской конференции, Тбилиси, 23-25 января 2004. Ред. Н.Лежава. Тбилиси: Фонд им. Генриха Белля, 2004, 53 – 63.

მართლმადიდებელი ეკლესიის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულების უქმე დღეებად გამოცხადებას, მართლმადიდებლური ეკლესიის ექსკლუზიურ სახელმწიფო აღიარებას. აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, მხოლოდ მართლმადიდებელი სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან, მხოლოდ მართლმადიდებელ სამღვდლოებს მიეცა უფლება, იყვნენ წარმოდგენილი ჯარში და ციხეებში, სახელმწიფოს დაევალა ეკლესიასთან ერთად იმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამებზე, მართლმადიდებლური ეკლესია ექსკლუზიურად თავისუფლდება სახელმწიფო გადასახადებისაგან⁷⁰. რადგან 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია ითვალისწინებს რელიგიის თავისუფლებას ყველა რელიგიური თემისთვის და არ ანიჭებს სახელმწიფო ეკლესიის როლს მართლმადიდებლობას, სხვა რელიგიურმა თემებმაც შეძლეს ამ სახელმწიფოებრივი აღიარების შენარჩუნება⁷¹. 2001 წლის 30 მარტს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და ზემოთხსენებული კონსტიტუციური შეთანხმება შეტანილ იქნა კონსტიტუციის ტექსტში. ზემოხსენებულ მე-9 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, რომელსაც კონსტიტუციური შეთანხმება საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და ნორმებთან, უფრო ზუსტად ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თანხმობაში მოყავს.

ისტორიულად დომინანტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან, პოლიტიკურ ელიტასთან და სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობასთან კონსტიტუციურად კონსოლიდირებული⁷² დემოკრატიისთვის პირველად საფრთხის შემცველი გახდა 90-იანი წლებში, რისი მიზეზიც არადემოკრატიული გარემო, პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების არალიბერალური ქმედებები იყო. „ლიბერალი მორწმუნეები“, ანუ „პროგრესულები“, ან „რეფორმატორები“ რამდენიმე მიზეზს ასახელებდნენ, თუ რატომ თამაშობდა მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგია უარყოფით როლს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და დემოკრატიული, კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩამოყალიბე-

⁷⁰ Centre, *State of Freedom of Religion in Georgia since the Adoption of the Constitutional Agreement between Government and the Orthodox Church of Georgia. Religious Freedom Report* (25. April 2008).

⁷¹ Abashidze, *Das Recht der Religionsgemeinschaften in Georgien*, (2005), 195 ff. სხვა რელიგიურ თემებს ასეთი პრივილეგიები არ მიუღიათ. ვატიკანის მცდელობა, უზრუნველყოს კათოლიკური ეკლესიისთვის უფრო მეტი სამართლებრივი უსაფრთხოება ორმხრივი ხელშეკრულებით სახელმწიფოსთან, დიდი წინააღმდეგობის შეხვედრის შემდეგ წარუმატებლად დასრულდა. ამის მაგალითია პაპის ვიზიტი 1999 წელს. ტელევიზიით გადაცემა, რომ საეკლესიო კანონები უკრძალავს მორწმუნე მართლმადიდებლებს მის მიერ აღვლენილ წირვაში მონაწილეობის მიღებას. მოსახლეობის აშკარად უარყოფითი განწყობის გამო, პატრიარქის მოწოდების შემდეგ, პაპი იოანე პავლე II იძულებული გახდა, მსახურება ბოლო წუთს გადაეტანა ღია სივრციდან (რიყე) სპორტის დახურულ სასახლეში. უმცირესობების წინააღმდეგ მობილიზაციის კიდევ ერთი მაგალითია კათოლიკოს პატრიარქის განცხადება მარნეულის ეკლესიის კურთხევის დროს, სადაც ძირითადად მუსლიმი აზერბაიჯანელები ცხოვრობენ: „საქართველოს არ აქვთ უფლება ბაპტისტები, იეჰოვას მოწმეები და სხვა სექტები შეეშვას, არამედ მან უნდა გააძევოს ისინი“. იხ.: *Orthodoxe boykottieren Papst – Handgreifliche Intoleranz*, (1999), 3 – 4.

⁷² იხილეთ პოლიტიკური სისტემის მიმართულებები, რომლებიც წარმოდგენილია ამ ანთოლოგიის შესავალში. კონსოლიდირებულ დემოკრატიაში დემოკრატიული ღირებულებები საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს დაცული.

ბაში. უპირველეს ყოვლისა, ისინი აკრიტიკებდნენ სასულიერო პირების კვალიფიკაციის დაბალ დონეს და ეკლესიის გამჭვირვალობის ნაკლებობას⁷³. იმის გამო, რომ ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველი ხალხისგან მაღალი ნდობით სარგებლობდა, შეეძლო გავლენა მოეხდინა მართლმადიდებელი მორწმუნეების შეხედულებებზე, რომლებიც ცდილობდნენ ეპოვათ ორიენტირი, განსაკუთრებით, სახელმწიფოს სისუსტის (რომელიც შევარდნაძის დროს სულ უფრო და უფრო კარგავდა გავლენას) და მოსახლეობის მიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. მართლმადიდებელი ეკლესია ამ როლს, დოგმატურად და ეთნიკური ნიშნით ასრულებდა. ის ღირებულებები, რომლებსაც იგი იზიარებდა, ხელს უშლიდა დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესის განვითარებას.

8. „ვარდების რევოლუცია“ – დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის ახალი იმპულსი? (2003 წლიდან დღემდე)

შევარდნაძის მმართველობის ქვეშ გაუსაძლისი ეკონომიკური ვითარების, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან უკანონობის და სახელმწიფო ინსტიტუტების უუნარობის – გაენიათ მოქალაქეებისთვის შესაბამისი მომსახურებება – გამო საქართველო წარუმატებელ სახელმწიფოდ იქცა⁷⁴. შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროში მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებამ (იხ. ცხრილი 10) გამოიწვია დონორი ქვეყნების მხარდაჭერის თანდათანობითი დაკარგვა⁷⁵ და ბოლოს, 2003 წელს ფინანსური დახმარების შეჩერება⁷⁶. მაგალითისთვის, ევროკავშირმა გადაწყვიტა გადაეხედა საკუთარი პოლიტიკისთვის საქართველოს მიმართ⁷⁷. მოსახლეობის უკმაყოფილება შევარდნაძის მთავრობის მიმართ გადაიზარდა არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ფართო-

⁷³ 2004 წლის შემოდგომაზე თავისუფლების ინსტიტუტმა სცადა, ზოგიერთი პარლამენტარის დახმარებით, კონფლიქტის გამოწვევა სასულიერო აკადემიაში, მართლმადიდებლური ეკლესიის სასწავლო დაწესებულებაში. მათი მხარდაჭერით, ზოგიერთმა სემინარიელმა დაწერა ლია წერილი, რომელშიც ისინი აკრიტიკებდნენ დოგმატიზმს სემინარიაში და ხელმძღვანელობას ადანაშაულებდნენ პლურალიზმის ნაკლებობაში. აკადემიის მენეჯმენტისა და ეკლესიის მაღალი იერარქების მიმართ არაპირდაპირი კრიტიკის გამო, ისინი გაირიცხნენ სასწავლებლიდან. პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ზეწოლამ თავისუფლების ინსტიტუტზე, შეეწყვიტა ამგვარი ქმედებები ხელი შეუშალა სიტუაციის შემდგომ ესკალაციას. იხ., გელაშვილი (გამომც.), ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება. საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისში, (2001)

⁷⁴ Halbach, Georgien: Staatsversagen als Folge von Korruption und territorialer Desintegration, (2004).

⁷⁵ დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზი საქართველოში, გამოწვევების იდენტიფიკაციის და დემოკრატიის ხელშეწყობის თვალსაზრისით იხ. Jawad, Conflict Resolution through Democracy Promotion? The Role of the OSCE in Georgia, (2008), 613 – 618.

⁷⁶ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) Poverty Reduction and Growth Facility-ის ფარგლებში უარი თქვა 2002 წელს 30 მილიონი აშშ დოლარის დახმარების მიცემაზე; (PRGF), Commission, Country Strategy Paper 2003 – 2006. Tacis National Indicative Programme 2004 – 2006, (2003), 11.

⁷⁷ ვითარების გაუარესების ფონზე, ევროკომისიამ 2003 წლის სექტემბერში გადახედა თავისი სტრატეგიას ამ ქვეყნის მიმართ.

მასშტაბიან პროტესტში, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოდან ძალიან გახშირდა, მთავრობის პოპულარობის დაცემასთან ერთად, თუმცა, იმავდროულად, გახდა უფრო მეტად გამჭვირვალე საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არჩევნების მონიტორინგის შედეგად.

მასობრივი დემონსტრაციებისა და საერთაშორისო ზენოლის შედეგად შევარდნაძე იძულებული გახდა გადამდგარიყო და ხელისუფლება გადაეცა 2003 წლის ნოემბერის „ვარდების რევოლუციის“ ლიდერ მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელმაც „ახალგაზრდა რევორმატორების“ ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა. სააკაშვილი 2004 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტად ხმათა 96%-ით იქნა არჩეული. 2004 წლის 25 იანვრის ოფიციალურ ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე სააკაშვილმა კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა მიიღო, რომელშიც ნათქვამი იყო: „იბარებთ გასაჭირში მყოფ საქართველოს, რომელიც თქვენგან გაერთიანებას ელის და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ამას ღვთის დახმარებით შეძლებთ“⁷⁸. ცერემონიალს 10 000 ადამიანი ესწრებოდა. ახალი მთავრობის ინაუგურაციის შემდეგ დაუყოვნებლივ, პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2004 წლის იანვარს შემოღებულ იქნა ახალი ეროვნული დროშა. მის ცენტრში ვერცხლისფერ ან თეთრ ფონზე გამოსახულია მართკუთხა ჯვარი, ასევე ოთხი პატარა ჯვარი კუთხეებში. არსებობს აზრი, რომ ასეთი დროშა საქართველოში გამოიყენებოდა XV საუკუნემდე. თავდაპირველად ეს იყო იერუსალიმის დროშა, სადაც ცენტრალური ჯვარი ქრისტეს სიმბოლოა, ხოლო ოთხი პატარა ჯვარი – ოთხ მახარებელს განასახიერებდა, ან ერთად – ქრისტეს ხუთ ძრილობას. ამ ნაბიჯით და უძველესი ეკლესიების და სამონასტრო კომპლექსების აღდგენით, ისევე, როგორც ეკლესიაში პრეზიდენტის რამდენიმეჯერ გამოჩენით, ახალმა მთავრობამ მართლმადიდებლურ ეკლესიას მის მნიშვნელობაზე მიუთითა. ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხუთჯვრიანი დროშის შემოღების მიღწევას; 2003-2004 წლებში იგი იყო სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული დროშა.

საერთაშორისო საზოგადოება, ისევე, როგორც ქართველი ხალხი დიდ იმედს ამყარებდა „ვარდების რევოლუციის“ გამიერებზე, რომ ისინი ახალ იმპულსს შეიტანდნენ დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში. ამ მხრივ, საინტერესოა მოსახლეობის ნდობის შედარება სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ, „ვარდების რევოლუციის“ დაწყებამდე და მის შემდეგ (იხ. ცხრილი 9). ყველა ინსტიტუტი ერთბაშად იქნეს მაღალ რეიტინგს, რაც მათ მიმართ ნდობის ზრდას ნიშნავს. ამის ახსნა ამგვარად შეიძლება, 2003 წლის მონაცემები შევარდნაძის მმართველობის დროს მიუთითებდა მოსახლეობის უნდობლობასა და უიმედობაზე, ხოლო 2004 წლის მონაცემები, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ასახავენ ოპტიმიზმსა და იმედს ახალი ელიტის მიმართ.

საკაშვილის დროს ახალმა მთავრობამ შეძლო წარმატების მიღწევა. კერძოდ, ეს ეხებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, სახელმწიფო შემოსავლების გაზრდას

⁷⁸ ციტირებულია RIA Novosti-ის მიხედვით, იხ. <http://eng.kavkaz-uzel.ru/newstext/engnews/id/627374.html> [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის ივლისში].

და სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტურობის ზრდას. მაკროეკონომიკური მონაცემებიც გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, სიღარიბე და უმუშევრობა კვლავ მაღალი იყო⁷⁹. ცხრილი 10 ასევე გვიჩვენებს საარჩევნო პროცესის შეფასების გაუმჯობესებას სააკაშვილის მთავრობაში მოსვლის შემდეგ.

მისი წინამორბედისგან განსხვავებით, სააკაშვილის მთავრობამ მოახერხა რელიგიური ძალადობის მოსპობა, რასაც მკალავიშვილი და მისი ზოგიერთი მიმდევარი ეწოდება. 2004 წლის მარტში პოლიციამ იგი დიდი ძალისხმევით შემდეგ დააპატიმრა ეკლესიაში, სადაც თავის მიმდევრებთან ერთად იმყოფებოდა⁸⁰. 2005 წლის ივლისში იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა რეგისტრაციები რელიგიური ჯგუფებისთვის. მათ მიეცათ უფლება, დარეგისტრირებულიყვნენ ასოციაციებად ან ფონდებად, მაგრამ არა დამოუკიდებელ რელიგიურ თემებად⁸¹. თუმცა ეს მათ არ ანიჭებდა საგადასახადო პრივილეგიებს და არც სახელმწიფო სუბსიდირებას და მედიასთან წვდომას უზრუნველყოფდა. სახელმწიფოს მხრიდან მათ ეძლეოდათ მხოლოდ ორგანიზაციებად აღიარება. ახალი მთავრობა ცდილობდა შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში შემოღებული შეზღუდვების როგორმე შემსუბუქებას⁸².

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური პლურალიზმის მწვავე თემა როგორღაც განიმუხტა, იგი კვლავ დაპირისპირების საგნად რჩებოდა ქართულ საზოგადო-

⁷⁹ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მშპ) იყო 3,880 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე; Nodia, Nations in Transit 2008: Georgia, (2008). შედარებისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2003 წელს იყო 2,664 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი); Nodia, Nations in Transit 2003: Georgia, (2003). ამასობაში, მსოფლიო ბანკისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის „ბიზნესის კეთების“ ანგარიშის მიხედვით, საქართველო ბიზნესისთვის საუკეთესო ქვეყნების 25-ეულშია; ესენი არიან ქვეყნები, რომლებიც თავიანთი კანონმდებლობის საფუძველზე კომპანიებს უადვილებენ ბიზნესის წარმოებას; Doing Business 2008, (2008).


⁸⁰ იგი ადრე შეხვდა თავის მიმდევრებს და ახალი მთავრობა დაადანაშაულა რელიგიური სექტების მხარდაჭერის გზით მართლმადიდებლური ქრისტიანობის განადგურების მცდელობაში და საქართველოს ჯორჯ სოროსის მიერ მართულ აშშ – ს ერთ-ერთ შტატად გადაქცევაში. ეს ბრალდება ეფუძნებოდა სააკაშვილის მთავრობის მჭიდრო კავშირებს შეერთებულ შტატებთან.

⁸¹ მეშვიდე დღის ადვენტისტებმა და იესო ქრისტეს უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესიამ მიიღო ორგანიზაციად დარეგისტრირების უფლება. 2005 წლის განმავლობაში მთავრობამ თორმეტი ორგანიზაცია დაარეგისტრირა. International Religious Freedom Report 2007 – Georgia, (2007).

⁸² 2002 წლის აპრილში შევარდნაძემ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა შეადარა ტერორისტულ საქმიანობას და მოითხოვა ამ ინსტიტუტების უფრო მეტი ფინანსური კონტროლი, რომლებიც ძირითადად გარე დონორების მიერ ფინანსდებოდა. 2003 წლის თებერვალში, უშიშროების სამინისტრომ გამოაქვეყნა კანონპროექტი „ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ კონტროლირებადი უცხოური ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერების, ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ“, მაგრამ უკან წაიღო იგი ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფების პროტესტის შემდეგ. 2003 წლის მარტში, ფინანსთა სამინისტრომ გასცა განკარგულება სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების ყველა შემოწირულობის კონტროლის ქვეშ აყვანის შესახებ. სამი თვის შემდეგ, ეს განკარგულება გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ. იხ. Piano, Georgia – Countries at the Crossroads 2004, (2004), 5f.

ებაში⁸³. რელიგიური უმცირესობები იზღუდებიან თავიანთი მრწამსის გამოხატვაში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სალოცავი ადგილების მშენებლობა სამართლებრივად არ იზღუდება, ადგილობრივი თემები ამას ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ, რასაც მთავრობა ვერ, ან არ ეწინააღმდეგება⁸⁴. საგანმანათლებლო რეფორმა ამის მაგალითია. განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი სასწავლო პროგრამების მიუხედავად, რომელიც სხვადასხვა რელიგიური თემის შესახებ ცოდნის მიწოდებას არეგულირებს „რელიგიის ისტორიის“ საგნის ფარგლებში, ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოება ძირითადად ცალმხრივად ისწავლებოდა. საგანი ძირითადად ითვალისწინებდა ღვთისმსახურების სახვადასხვა რიტუალზე დაკვირვებას⁸⁵.

დიაგრამა 1. ტოლერანტობა ქართულ საზოგადოებაში (2003 წლის მაისი)



წყარო: Georgian National Voter Study (May 2003), 54, 56-58, [ივლისის მონაცემები 2008]

⁸³ Nodia und Scholtbach, *The Political Landscape of Georgia – Political Parties: Achievements, Challenges and Prospects*, (2007), 72. იხ. აგრეთვე 58-ე სქოლიოში მოყვანილი გამოკითხვა.

⁸⁴ Nodia, *Nations in Transit*: Georgia, (2007), 246.

⁸⁵ ამი შესახებ იხ. ქართველი ფილოლოგის კომენტარები, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მუშაობდა გაზეთ „24 საათში“ და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში სამოქალაქო უფლებების საკითხებზე. ცინცაძე, დახურული და დაუხურავი საქმეები, (2006).

„ვარდების რევოლუციით“ დამოუკიდებელ საქართველოში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება მას შემდეგ, რაც პირველი პრეზიდენტი გამსახურდია ძალადობრივი გადატრიალების შედეგად თანამდებობას ჩამოაშორეს. ამის მიუხედავად, ხელისუფლების ეს ცვლილება არ მომხდარა დემოკრატიული არჩევნების გზით, რადგან არჩევნების მასობრივად გაყალბების შემდეგ საზოგადოებრივი პროტესტის შედეგად შევარდნაძე იძულებული გახდა გადამდგარიყო. ისევე, როგორც შევარდნაძესა და მის პარტიას ალტერნატივა არ ჰყავდა 1992 წლის ოქტომბერსა და 1995 წლის ნოემბერში, არც სააკაშვილსა და მის პარტიას ჰყავდა ალტერნატივა 2004 წლის იანვარში. საერთო ჯამში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, შეუძლებელია საუბარი ქვეყნის კონსოლიდაციის პროცესის გადამწყვეტ პოზიტიურ ცვლილებაზე (იხ. აგრეთვე ცხრილი 10)⁸⁶. პირიქით, სააკაშვილის მთავრობამ, რომელსაც სურდა შეეცვალა არაეფექტური, პოსტსაბჭოთა ადმინისტრაციული სტრუქტურები, ეკონომიკის სტიმულირება, სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია და მისი დიდი მეზობელი რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ავტორიტარული სახე მიიღო⁸⁷. პატარა, ერთმანეთის თანამოაზრე, ახალგაზრდულმა ელიტამ პრეზიდენტ სააკაშვილის გარშემო ძალაუფლების კონცენტრირება მოახდინა და სულ უფრო და უფრო ვერ იტანდა წინააღმდეგობასა და კრიტიკას. იმის ნაცვლად, რომ შეექმნა დაბალანსებული პოლიტიკური ინსტიტუტები, რაც პროცედურულ ლეგიტიმურობასა და პოლიტიკურ ბალანსს უზრუნველყოფს, სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაფართოებაზე. 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებამ გააფართოვა საპრეზიდენტო უფლებამოსილებები და შეასუსტა პარლამენტის უფლებამოსილება, სადაც უკვე აღარ არსებობდნენ გავლენიანი ოპოზიციური ძალები. მმართველი პარტიის და სამთავრობო ბლოკის უსაზღვრო ძალაუფლება ერთ მთლიანობა იყო საქართველოს პარლამენტთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის შემოდგომაზე პოლიტიკური კრიზისის დროს სამთავრობო ბლოკიდან უამრავი პარლამენტარი გადავიდა ოპოზიციაში, პარლამენტის 235 წევრიდან ოპოზიციონერი მხოლოდ 50 იყო⁸⁸. კვლავ იმძალავრა ნეპოტიზმმა ადმინისტრაციის მაღალ დონეზე. პოლიტიკური ვითარების ანალიტიკოსები აკრიტიკებდნენ იმ ფაქტს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ზენოლას ახდენდა სასამართლო ხელისუფლებაზე, რაც მისი თანამშრომლების დაბალი კვალიფიკაციის გამო ძალზედ იოლი იყო, ხოლო ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენდა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პროცესების მიმდინარეობაზე⁸⁹.


⁸⁶ Jawad, Democratic Consolidation in Georgia after the ‚Rose Revolution‘ ?, (2005).

⁸⁷ Icg, Georgia: Sliding towards Authoritarianism?, (2007).

⁸⁸ Nodia, Nations in Transit 2008: Georgia, (2008), 238 f.

⁸⁹ Nodia, Nations in Transit 2007: Georgia, (2007), 244.

დიაგრამა 2. „რელიგიურობა“ ქართულ საზოგადოებაში (2003, 2004, 2007)



წყარო: Georgian National Voter Studies-ის აღწერის შედეგები (2003 წლის მაისი, 2004 წლის ივნისი, 2007 წლის თებერვალი და სექტემბერი).

დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებიდან თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ, ზოგადი მდგომარეობა არ არის უფრო მკაფიო და სტაბილური. რუსეთის მიერ საქართველოს საშინაო პოლიტიკაში შესაძლო ჩარევის საბაბით შეზღუდულმა სამოქალაქო თავისუფლებებმა გაამძაფრა არსებული შიშები⁹⁰. პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო კონსტრუქციულად მოკიდებოდა სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციის მოთხოვნებსა და კრიტიკას. მოსახლეობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ადგილობრივ, რეგიონულ ან სახემწიფო დონეზე. სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის ნაკლებობა აძლიერებდა უძღურებისა და გულგრილობის განცდას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და მოსახლეობას მართლმადიდებელი ეკლესიისკენ უბიძგებდა (იხ. სურათი 7). ყოველივე ეს ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ სააკაშვილი გახდებოდა მყიფე საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი და თავდაპირველ პოპულარობას დაკარგავდა⁹¹. საზოგადოების შეხედულების გაუმჯობესების მიუხედავად, მთავრობას მაინც არ ჰქონდა კარგი იმიჯი. საზოგადოება მიიჩნევდა, რომ მთავრობაში ზრუნავდნენ მხოლოდ კარიერასა და პირად სარგებელზე. ამ მხრივ, კვლავაც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნეოდა გამონაკლისად. ქართველთა უმეტესობა ეკლესიის საქმიანობას დადებითად აფასებდა (93%). როგორც ინსტიტუტს, მას

⁹⁰ 2007 წლის და 2003 წლის კვლევის შედეგების შედარებისას, 2007 წელს მთლიანობაში 89% რუსეთთან ურთიერთობებს „უარყოფითად“ აფასებს, 71% რუსეთში „უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხეს“ ხედავს და მხოლოდ 22% თვლის რუსეთს „საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად“; Georgian National Voter Study (February 2007); 2003 წელს 60% ხედავდა „საფრთხეს“ რუსეთში და 42% თვლიდა მას „მნიშვნელოვან პარტნიორად“; იქვე.

⁹¹ Jawad, Democratic Consolidation in Georgia after the “Rose Revolution”?, (2005), 35.

საზოგადოებაში ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა (მას მოსდევს ჯარი 86% და მედია 83%)⁹². ქართველების ღირებულებათა იერარქიაში იგი მესამე ადგილზე გადიოდა ოჯახისა და სამსახურის შემდეგ⁹³.

რადგან ფართო მოსახლეობის ინტერესები პოლიტიკურ სისტემაში ასახვას ვერ პოულობდა, ადამიანები ცდილობდნენ თავი აერიდებინათ სახელმწიფო ორგანოების კონტროლისთვის და მიმართავდნენ არაკანონიერ გზებს საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ნაკლებობა და ხალხის იმედგაცრუება სააკაშვილის მთავრობისადმი დასრულდა 2007 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში მასობრივი პოლიტიკური კრიზით⁹⁴. ამ დაძაბულ ვითარებაში მართლმადიდებლური ეკლესიაც აქტიურად ერეოდა მმართველობის ფორმების შესახებ დისკუსიაში. საპარლამენტო ოპოზიცია კრიზისის პირობებში გაერთიანდა სააკაშვილის წინააღმდეგ (თუმცა 235 დეპუტატიდან მხოლოდ 50 იყო ოპოზიციონერი) და საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა მოითხოვა⁹⁵. იმავდროულად, პატრიარქმა ილია მეორემ 2007 წლის 7 ოქტომბერს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში წირვის დროს განაცხადა, რომ უკვე დრო იყო, დაფიქრებულიყვნენ კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებაზე. 1801 წელს რუსეთის იმპერიის ანექსიის შემდეგ ბაგრატიონების დინასტიის გაუქმებიდან მოყოლებული ქართველი ხალხი ოცნებობდა მის აღდგენაზე. არა „სხვა სახელმწიფოებს“, არამედ „ქართველ ხალხს და საქართველოში მცხოვრებს მოსახლეობას“ უნდა აერჩია მმართველობის სისტემა⁹⁶. ეს უჩვეულოდ ღია ჩარევა პოლიტიკაში შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სააკაშვილის მთავრობის კრიტიკა.

პოლიტიკური კრიზისის გამწვავებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის რეიტინგის საზოგადოებაში ამალღების ფონზე, პრეზიდენტი სააკაშვილი განსაკუთრებით ცდილობდა ეკლესიასთან დაახლოებას. 2007 წლის 13 ოქტომბერს, კონს-

⁹² იხილეთ სლაიდები 6 და 67 Georgian National Voter Survey-ში (21. 08. – 10. 09. 2007) [ბოლოს შემონიშნულ იქნა 13. 1. 2008].

⁹³ ეს კვლევა ჩატარდა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ ჯორჯ სოროსის დაფინანსებით, OSGF, ქართული საზოგადოების ღირებულებები, (2006).

⁹⁴ ამის მიზეზი გახდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის, პოპულისტ-ნაციონალისტი პოლიტიკოსის ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება. მან მანამდე განაცხადა, რომ პოლიტიკაში დაბრუნდება საკუთარ ოპოზიციურ პარტიასთან ერთად, დაადანაშაულა სააკაშვილი ნეპოტიზმში და ასევე საჯაროდ ეჭვქვეშ დააყენა პრემიერ-მინისტრ ჟვანიას იდუმალი გარდაცვალების ოფიციალური ვერსია 2005 წლის იანვარში. შემდეგ მას ბრალი დასდეს გამოძალვაში, ფულის გათეთრებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში. იგი გაათავისუფლეს და ეროვნული ტელევიზიით დანაშაულის აღიარების შემდეგ ქვეყნიდან გაქცევის საშუალება მისცეს. დაქუცმაცებულმა ოპოზიციამ, რომელიც გაერთიანებული იყო მხოლოდ სააკაშვილის და მისი უკონტროლო ძალაუფლების წინააღმდეგ, ახლა საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო რესპუბლიკაში გადასვლა მოითხოვა. იხ. Halbach, Die Krise in Georgien: Das Ende der „Rosenrevolution“ ?, (2007).

⁹⁵ ამასთან, 2008 წლის იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, ოპოზიციის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ პირველად მიიღო ხმების თითქმის 25%.

⁹⁶ იხ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=15973> [ბოლოს შემონიშნულ იქნა 2008 წლის 1 მარტს].

ტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომე I-ის ვიზიტის დროს⁹⁷, მან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს მომავალი განახლებისა და გაერთიანების გზაზე „მანათობელ შუქურად“ და „მამოძრავებელ ძალად“ გამოაცხადა. განსაკუთრებით შეაქო კათოლიკოს-პატრიარქი: „მისი ხელმძღვანელობით მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეიძინა ძალზე მნიშვნელოვანი როლი“. 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ილია მეორისა და ბართლომე I-ის მიერ ერთობლივად აღვლენილ წირვაზე იმყოფებოდა თავად პრეზიდენტი რამდენიმე მაღალჩინოსანთან ერთად. 2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო მხარდაჭერა გაორმაგდა, რამაც 9.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 0.2% იყო, ხოლო სხვა რელიგიური თემები კვლავ უგულვებელყოფილნი დარჩნენ⁹⁸. გარდა ამისა, მრავალი ახალი ეკლესიის მშენებლობა ასევე ფინანსდებოდა კერძო შემონიშნულობებით. მართლმადიდებლურ ეკლესიაში დღეს დასაქმებულია 1000-ზე მეტი სასულიერო პირი, 800-მდე ეკლესიასა და 35 ეპარქიაში⁹⁹.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გადადგა 2007 წლის ნოემბერში დემონსტრაციების ძალადობრივი დარბევისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, რამაც საერთაშორისო კრიტიკა გამოიწვია¹⁰⁰, 2008 წლის 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს, პატრიარქმა ილია მეორემ ამომრჩეველს მოუწოდა აერჩიათ პრეზიდენტი, ვინც „პატივს სცემდა რელიგიასა და წმინდა ადგილებს“¹⁰¹. 2008 წლის იანვარში ხელმეორედ არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ, ქუთაისში ბაგრატის ტაძარში გაიმართა სასულიერო ინაუგურაცია, ისევე, როგორც ეს მოხდა ოთხი წლით ადრე. სააკაშვილმა აღუთქვა, რომ ტაძარი მის მეორე ვადაში აღდგებოდა. 2007 წლის შემოდგომაზე პოლიტიკური კრიზისის დროს და პრეზიდენტად არჩევის შემდეგ (2008 წლის იანვარი) სააკაშვილის ქმედებებში, ისევე, როგორც, კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებებში იკვეთებოდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ფაქტორად რჩებოდა.

⁹⁷ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართლომე I ითვლება მსოფლიოში მართლმადიდებლური ქრისტიანობის სულიერ ლიდერად, მაგრამ მას არ აქვს პირდაპირი იურისდიქცია სხვა პატრიარქებზე ან ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიებზე. იხ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=16020> [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 1 მარტს].

⁹⁸ იხ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=16708> [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 1 მარტს].

⁹⁹ Survey des International Republican Institutes (IRI) vom Juni 2005, zitiert nach Areshidze, Democracy and Autocracy in Eurasia: Georgia in Transition, (2007), 292; Jiqashvili, mravaljamier, tkveni sitsotskhle ! [Auf Euer langes Leben !], (2007), 22 – 23.

¹⁰⁰ იხ. <http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/189-georgia-slidingtowards-authoritarianism.aspx> [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 15 მარტს].; იხ. <http://www.hrw.org/en/reports/2007/12/19/crossing-line> [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 15 მარტს].

¹⁰¹ იხ. http://www.civil.ge/eng_/article.php?id=16751 [ბოლოს შემოწმებულ იქნა 2008 წლის 1 მარტს].

9. დასკვნა

საქართველოსთვის დემოკრატიზაციის პროცესი უკიდურესად რთული აღმოჩნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას მმართველობის დემოკრატიული ფორმების გამოცდილება არ გააჩნია. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 15 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ ერის და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესები ჯერ კიდევ არ დასრულებულა; პოლიტიკური ინსტიტუტები არ არიან სტაბილური, ადმინისტრაცია კვლავ ავლენს სისუსტეს ეფექტურობის თვალსაზრისით, არსებობს სიღარიბე, უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობა, პოლიტიკური პარტიები სუსტები არიან და როგორც წესი, ლიდერის მხარდაჭერას უფრო დიდ დროს უთმობენ, ვიდრე პროგრამების შემუშავებას. სამოქალაქო ორგანიზაციების უმეტესობასაც არ აქვს საკმარისი კავშირი მოსახლეობასთან, რათა ეფექტური შუამავლის ფუნქცია შეასრულოს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის¹⁰². ამ სიტუაციაში, დემოკრატიზაციის პროცესი არ ყოფილა მუდამ წრფივი, არამედ მას თან ახლდა მრავალი უკან გადადგმული ნაბიჯი და პოლიტიკური კრიზისი. საქართველოს სახელმწიფოს სისუსტე და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოქალაქეების ნდობის ნაკლებობა განსაკუთრებულ წიაღმდეგობას უქმნის დემოკრატიზაციის პროცესს, თუ გავითვალისწინებთ ტრანსფორმაციის პერიოდის კვლევის დროს გამოთქმულ აქსიომას, რომ სუვერენული სახელმწიფო დემოკრატიის ფუნქციონირების წინაპირობაა¹⁰³. წინამდებარე ნაშრომი არ ვამტკიცებთ, რომ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი წარმატებული არ არის, არამედ იმას, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ახერხებენ შეასრულონ მათი მთავარი ამოცანები, ერთი მხრივ და ხაზს ვუსვამთ მოსახლეობის დაბალ ნდობას ამ ინსტიტუტების მიმართ, მეორე მხრივ, რაც საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილია და უზარმაზარი დაბრკოლება ტრანსფორმაციის პროცესში. ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მოპოვებული, თუ ისინი დაიცავენ კანონის უზენაესობას და შეძლებენ მოქალაქეთა სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამასთან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, ნდობის მაღალი დონით სარგებლობს 1990-იანი წლებიდან.

მართლმადიდებლური ქრისტიანობა საბჭოთა პერიოდში ეროვნული იდენტობის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა და აშკარა აქტუალობა მოიპოვა ყოველდღიურ ცხოვრებაში. საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობის გამო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, როგორც სოციალურმა ინსტიტუტმა, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მისდამი მოსახლეობის ნდობა გაიზარდა და იგი იქცა რელიგიური იდენტობის განმსაზღვრელად და ქართველი ერის ერთიანობის განსახიერებად. სწორედ ამგვარად მოირგო ეკლესიამ ქართულ საზოგადოებაში „ავტორიტეტული ინს-

¹⁰² Jawad, *Democratic Consolidation in Georgia after the 'Rose Revolution'?*, (2005), 33 f.

¹⁰³ Linz and Stepan, *Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*, (1996), 17.

ტიტუტის“ როლი, 70 წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ¹⁰⁴. შესაბამისად, მას შეუძლია განსაკუთრებული გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პოლიტიკურ ცვლილებებსა და დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში. იმავდროულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საზოგადოებაში იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ საქართველოში დემოკრატიის წარმატებული კონსოლიდაცია მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის გარეშე წარმატებული ვერ იქნება.

დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში მართლმადიდებელმა ეკლესიამ კონსტრუქციული როლი ვერ შეასრულა. იმის ნაცვლად, რომ არეულობის პერიოდში საკუთარი პოტენციალი ქართული საზოგადოების სასარგებლოდ გამოიყენებინა, მან ხელი შეუწყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მწვავე კონფლიქტების ეთნიკური ნიშნით განვითარებას, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ოსების, ასევე აფხაზების ნახევარი მართლმადიდებელია. შევარდნაძის მთავრობისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან „არატრადიციული“ რელიგიური თემების დისკრიმინაციამ და დევნამ იდეოლოგიისა და რელიგიის საშიში აღრევა გამოიწვია ისეთ მრავალეთნიკურ და მრავალ რელიგიურ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მთავრობის დროს დასრულდა რელიგიური ძალადობა, მოსახლეობა კვლავ ფიქრობს, რომ რელიგიური უმცირესობების მიმართ შემწყნარებლური პოლიტიკა ქვეყანას უცხოური გავლენის ქვეშ მოქცევის საშოშრობას უქმნის. დაბალი დონის განათლების მქონე სასულიერო პირებს უჭირავთ მკაცრად „ანტიდასავლური“ და „ანტიეკუმენური“ პოზიციები, ხოლო საპატრიარქო ცდილობს განხეთქილების თავიდან აცილებას. აქტიური, პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, ასევე რელიგიური უმცირესობების თავისუფლება არის დემოკრატიული კონსოლიდაციის წარმატების ფაქტორი, მაგრამ მას ხელს უშლის „ტრადიციონალისტების“ რადიკალური ფრთა, რომელიც საეკლესიო იერარქიაში მძლავრობს.

ქართულ საზოგადოებაში მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვანი როლის გამო, არაპოპულარულობისა და ლეგიტიმურობის დაკარგვის ფონზე, შევარდნაძე იძულებული იყო, დაახლოებოდა ეკლესიას, რათა თავიდან აეცილებინა ძალაუფლების სრული დაკარგვა, რაზეც მასსა და პატრიარქს შორის დადებული კონკორდატი მიუთითებს. ანალოგიური მოვლენა განმეორდა სააკაშვილთან მიმართებითაც. მან ვერ შეძლო ან არ სურდა კონსტრუქციულად გამკლავებოდა ოპოზიციას და მის კრიტიკას, არ იყო კომპრომისული და სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის დროს. პარლამენტისა და სასამართლო დამოუკიდებლობის გაძლიერების ნაცვლად, იგი ზრუნავდა საკუთარი საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაფართოებაზე, რამაც იგი თავისი წინამორბედების მსგავსად არასტაბილურ საზოგადოებრივ განწყობაზე დამოკიდებული გახადა. ხელისუფლების ავტორიტარულმა

¹⁰⁴ იხ. საპატრიარქოს ვებგვერდი <http://www.patriarchate.ge/?action=home> [ბოლოს შემოწმებული იქნა 2009 წლის მაისში].

სტილმა და დემოკრატიული კონსოლიდაციის არარსებობამ¹⁰⁵, გამოიწვია მისი პოპულარობის დაცემა და პოლიტიკური კრიზისი, რომლის კომპენსაციაც მან მართლმადიდებელ ეკლესიასთან სიახლოვის დემონსტრირებით სცადა.

ეკლესიაში გაბატონებული თეოლოგიური დოგმატიზმის გათვალისწინებით, მართლმადიდებლური ეკლესიის მონაწილეობა საქართველოში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში, შეუძლებელი ჩანს. თუმცა, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, კონსერვატორულ-რელიგიური იდეების პოლიტიკური დისკურსიდან ჩამოცილება არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რელიგიური რიტორიკა, პოპულიზმი და დემაგოგია ძალიან მარტივად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მართლმადიდებელი მორწმუნეების მობილიზებისთვის თბილისის ინტელექტუალური და არასამთავრობო ელიტის, ანუ ე.წ. „mainstream“-ის წინააღმდეგ.

მართლმადიდებელი რელიგიის მართლმადიდებელი მორწმუნეების (ქართველები, აფხაზები, ოსები და ა.შ.) და ზოგადად, საქართველოში მცხოვრები ყველა ქრისტიანის ინტეგრაციის ფაქტორად გამოყენების პოტენციული ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შეფასებული და გამოყენებული. პირიქით, ეკლესია ცდილობს მართლმადიდებლური სარწმუნოების ექსკლუზიური, ეთნიკური ნიშნით ინტერპრეტაციას. ამგვარი პოზიციის და ზოგადად, აფხაზების და ოსების მიერ ქართველების მიმართ ნდობის დაკარგვის გამო, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ გააჩნია მხარდაჭერა კონფლიქტურ რეგიონებში. ამიტომაც, აფხაზი და ოსი მართლმადიდებელი ქრისტიანები რუსეთისკენ არიან ორიენტირებულნი. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნდობა მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ შეიძლება საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციის რეალური საშუალება გახდეს. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გადაწყდება, თუ რა გზას აირჩევს საქართველო, იქნება ეს დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზა, სადაც დაცულია სამოქალაქო უფლებები, მათ შორის, რწმენის თავისუფლება და რელიგიური თანასწორობის პრინციპები, თუ ავტორიტარულ და კორუმპირებული მმართველობის ფორმას, რომელიც ეკლესიის ავტორიტეტს გამოიყენებს საკუთარი მიზნებისა და ინტერესებისათვის და გახდება მისი მოკავშირე ძალაუფლებისა და გავლენის შესანარჩუნებლად; და რა როლს ითამაშებს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველივე ამაში? როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, საქართველოსა და ქართველებს დიდი გამოწვევები ელით წინ.

¹⁰⁵ ტერმინი „კონსოლიდაცია“ იხილეთ ამავე ანთოლოგიის შესავალში.

Pamela Jawad
Oliver Reisner

**NATIONALIZATION OF RELIGION IN THE
GEORGIAN ORTHODOX CHURCH – POSITIVE OR NEGATIVE
FACTOR IN THE PROCESS OF DEMOCRATIZATION?**

Translated by Fr. Nikoloz Ghonghadze*

Abstract

The Orthodox Church has always had a special place in the history of Georgia, although there are some concerns about its role in recent years. This article is a translation from german (*Pamela Jawad, Oliver Reisner, Die Nationalisierung der Religion in der Orthodoxen Apostolischen Kirche Georgiens – Begünstigung oder Hindernis im Demokratisierungsprozess?, Religiöse Akteure in Demokratisierungsprozessen Konstruktiv, destruktiv und obstruktiv, Julia Leininger (Hrsg.), Deutsches Institut für Entwicklungspolitik (DIE), Springer, 2013, 149-190*) and analyzes the influence of the Orthodox Church in Georgia. The focus is on the role of the Church after Georgia's independence, what function it was assigned to her, and whether she was able to cope with the challenges she faced after gaining independence and make a positive contribution to the country's difficult process of development.

Keywords: Georgia, Georgian Church, Democracy, Independence, Nationalism, Development, Georgian Patriarchate.

* MA in Theology. orcid.org/0000-0002-4869-5599

სამართალი

მომხმარებლის ცნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში

I. შესავალი

2012 წელს, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შედეგად, გაუქმდა საქართველოში 1996 წლიდან მოქმედი კანონი „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა მომხმარებლის ცნების ზოგად კონცეფციას. მას შემდეგ მომხმარებლის ცნება უნიფიცირებული შინაარსით საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება. მართალია, ცალკეული სამართლებრივი აქტები¹ ვიწრო მიზნებისთვის იყენებენ მომხმარებლის ცნებას, თუმცა მათი მოქმედების სფერო ამავე აქტების მიზნებითაა შეზღუდული და სხვა ურთიერთობებზე არ ვრცელდება.

ამავდროულად, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება მიმდინარეობს ევროკავშირის უნიფიცირებული სამართლის საფუძველზე, საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ასოცირების შეთანხმების მე-13 თავი, რომელიც ეხება მომხმარებელთა პოლიტიკას და ადგენს ამ მიმართლებით თანამშრომლობის სივრცეს. ასოცირების შეთანხმების 29-ე დანართში – „მომხმარებელთა პოლიტიკა“, ჩამოთვლილია ევროკავშირის ის დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც მომხმარებელთა უფლებების დაცვას ეხება და უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში. შეთანხმებაში მოცემული დირექტივები დაჯგუფებულია შემდეგ თემებად: პროდუქტის უსაფრთხოება, მარკეტინგი,

* სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. orcid.org/0000-0001-9079-4526

¹ მაგალითად, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბაკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N32/04 ბრძანების მეორე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, *მომხმარებელი არის საფინანსო პროდუქტის მიმღები ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა ფინანსური ორგანიზაციისა*. „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილების მესამე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, *მომხმარებელი არის ბოლო მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებელზე*. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანების მეორე მუხლის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, *მომხმარებელი არის დამზღვევი ფიზიკური პირი ან სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკური პირი, გარდა მე-6 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-6 მუხლის მიზნებისათვის – სადაზღვევო მომსახურების მიმღები (დამზღვევი, დაზღვეული, მოსარგებლე) ფიზიკური და იურიდიული პირები და სხვ.*

სახელმწიფოებო სამართალი, ფინანსური მომსახურება, სამომხმარებლო კრედიტი, კომპენსაცია და აღსრულება.²

სტატიის მიზანია მომხმარებლის ცნების განხილვა ევროკავშირის დირექტივებისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ურთიერთშეჯერების საფუძველზე და მომხმარებლის ცნების საბაზისო კონცეფციის წარმოჩენის გზით, ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომების გაზიარება.

II. მომხმარებლის ცნების განსაზღვრის აუცილებლობა

მომხმარებლის ცნების ზოგადი კონცეფციის დაზუსტებამდე, უნდა გავერკვეთ, თუ რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი პირის მომხმარებლად აღიარება, რა იცვლება იმით, რომ ხელმწიფოებოების ერთი მხარე მომხმარებელია ან/და ასეთ შემთხვევაში რატომ მოქმედებს მასზე დაცვის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი თავისი ბუნებით *lex specialis* სამართალს მიეკუთვნება,³ რომელიც ნაწარმოებია და გამომდინარეობს სახელმწიფოებო სამართლისაგან.⁴ შესაბამისად, მასზე ვრცელდება სახელმწიფოებო სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა, სახელმწიფოებო სამართლიანობა, თანასწორობა და ხელმწიფოებოების დადების თავისუფლება. თუმცა, კერძო სამართალში დამკვიდრებული ხელმწიფოებოების სამართლიანობის ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირებულია მომხმარებელზე და არა თავად ხელმწიფოებოებაზე.⁵

მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელმწიფოებოების სამართლიანობის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, აქცენტი გადატანილია ხელმწიფოებოების დადების პროცედურულ ნაწილზე. ამ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმად გამოიყენება მოლაპარაკებების წარმოების თავისებურებანი, ხელმწიფოებოების პირობების ფორმირებაში მომხმარებლის მონაწილეობის ხარისხი და მომხმარებელთა ინფორმირების დონე.⁶

² ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება; ასევე იხ., რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, თბილისი 2019.

³ Zimmermann R., *The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press, 2005, 177.

⁴ Reich N., *Protection of Consumers' Economic Interests by EC Contract – Some Follow-up Remarks*, *Sydney Law Review*, Vol.28, No.1, 2006, 54, დამატებით იხ. ლაკერბაია თ., ხელმწიფოებოების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელმწიფოებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 23.

⁵ Wei D., *Consumer Protection in the Global Context: The Present Status and Some New Trends*, *Consumer Law and Socioeconomic Development, National and International Dimensions*, Springer, 2017, 4.

⁶ Wilhelmsson Th., Willett Ch., *Unfair Terms, and Standard Form Contracts*, *Handbook of Research on International Consumer Law*, Edward Elgar Publishing, 2011, 159.

მეორე მხრივ, სახელშეკრულებო პირობათა სამართლიანობა არანაკლები მნიშვნელობისაა, რომლის შეფასების ტესტად გამოიყენება ხელშეკრულების მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა და სტანდარტულ პირობათა შინაარსი.⁷ ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო პირობათა სამართლიანობის ტესტად მიიჩნევა პირობათა სიცხადე და აღქმადობა, რამდენად პასუხობს სახელშეკრულებო პირობები მომხმარებლის მოლოდინს და იძლევა თუ არა ხელშეკრულების პირობა მოვაჭრისათვის ნებით თუ უნებლიედ გაუმართლებელი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას,⁸ ანდა ხომ არ იწვევს მომხმარებლის საზიანოდ სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს.⁹

მაგალითად, **Mohamed Aziz-ის** საქმეში ლუქსემბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო პირობათა სამართლიანობა გულისხმობს აშკარა დისბალანსის არარსებობას, ხოლო იმის დასადგენად, მხარეთა შორის უფლებრივი დისბალანსი კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევით წარმოიშვა თუ არა, უნდა შეფასდეს მოვაჭრეს, სამართლიანი/თანაბარი მოლაპარაკების გამართვის პირობებში, შეეძლო თუ არა ევარაუდა, რომ მომხმარებელი იმავე სადავო (უსამართლო) პირობას მისი ინდივიდუალურად შეთანხმების შემთხვევაშიც დაეთანხმებოდა.¹⁰

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დირექტივებისათვის დამახასიათებელია სექტორული მიდგომა, ვინრო რეგულირების დადგენა ურთიერთობის სპეციფიკისა და მასში მონაწილე პირების სამართლებრივი მდგომარეობისა და სტატუსის მიხედვით. რაც იმას ნიშნავს, რომ დირექტივების ფარგლებში დადგენილი მომხმარებელთა უფლებრივი დაცვა დამოკიდებულია სწორედ იმაზე, ჩაითვლება თუ არა კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში ერთი პირი მომხმარებლად, ხოლო მეორე – მოვაჭრედ. ამიტომაც, გადაჭარბებული იქნება იმის აღნიშვნა, რომ ევროკავშირის დირექტივებში მოცემული მომხმარებლის ცნების საერთო კონცეფცია უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ხელშეკრულების მიმართ უპირობოდ მოქმედებს. ცალკეულ შემთხვევებში პირისთვის მომხმარებლის სტატუსის მინიჭება დამატებით განმარტებებს საჭიროებს, ვინაიდან სწორედ პირის მომხმარებლად აღიარებაზეა დამოკიდებული მის მიმართ დირექტივებით გარანტირებული უფლებების დაცვითი ფუნქციის გავრცელება.¹¹

სახელშეკრულებო ურთიერთობებში პირის მომხმარებლად აღიარებასთან დაკავშირებით არსებულ მიდგომათა არაერთგვაროვნებას ცხადყოფს ევროკავშირის

⁷ იქვე.

⁸ Twigg-Flesner Ch., *The Europeanisation of Contract Law*, Routledge, 2008, 123.

⁹ საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა 93/13/EEC - სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 95, 21.04.1993, გვ. 29).

¹⁰ Judgement of 14 March 2013, C-415/11 [CJEU].

¹¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 29; ლაკერბაია თ., ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 239 და შემდგომნი; Hedegaard J.S., Wrba S., *The Notion of Consumer Under EU Legislation and EU Case Law: Between the Poles of Legal Certainty and Flexibility, Legal Certainty in a Contemporary Context, Private and Criminal Law Perspectives*, Springer, 2016, 77.

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის ანალიზი თვალსაჩინოს ხდის იმას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასამართლოები სამომხმარებლო დავების განხილვისას არცთუ ისე იშვიათად თავს იკავებენ საკითხის ცალსახა გადაწყვეტისაგან ისეთი სახელშეკრულებო დავების განხილვის დროს სადაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე მის მომხმარებლად აღიარებაზე უთითებს და ითხოვს შესაბამისი სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფას. ასეთ შემთხვევებში წევრი სახელმწიფოების სასამართლოები იყენებენ თავიანთ უფლებას, მიმართონ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი განმარტებისათვის, რათა მიიღონ შესაბამისი მითითებები ხელშეკრულების სათანადო კვალიფიკაციისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების შესაბამისად შეფასებისათვის. აქედან გამომდინარე, პირის მომხმარებლად აღიარებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მის მიმართ ევროკავშირის კანონმდებლობით მინიჭებული დაცვითი ღონისძიებების გამოყენების თავლსაზრისით.

III. სუსტი მხარის კონცეფცია

როგორც ეროვნულ ისე ევროპულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ტერმინი „მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულების სუსტი მხარე“. მეტიც, დღეს ევროპულ ქვეყნებში მომხმარებლები, ფაქტობრივად, ავტომატურად მიიჩნევიან ხელშეკრულების სუსტ მხარეებად.¹² მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში პრეზუმირებულად მიიჩნევა მათი უფლებების შესაძლო ხელყოფის რისკი,¹³ რის გამოც ევროკავშირის სამართალი პატერნალისტური მზრუნველობით გამოირჩევა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ.¹⁴ იმის წარმოსაჩენად, თუ რითია განპირობებული მომხმარებლის სისუსტე ან რატომ გამოიყენება ეს ნიშნული მომხმარებელთა მდგომარეობის გამოსაკვეთად, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს მომხმარებლის მონაწილეობით დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურება.

მომხმარებელთა უთანასწორობა მოვაჭრესთან მიმართებით და მათი ხელშეკრულების სუსტ მხარედ აღიარება ეფუძნება შემდეგ ძირითად ნანამძღვრებს: **1. არაინფორმირებულობა** – სათანადო ინფორმაციის პარადიგმა, რომელიც ეფუძნება საკმარისი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, ამავდროულად, სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპია და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ელემენტი – მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია მოვაჭრისაგან ხელშეკრულების დადებამდე. მომხმარებლები ხშირად არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ, რაც ზრდის არაინფორმირე-

¹² Straetmans G., Information Obligations and Disinformation of Consumers, in: Information Obligations and Disinformation of Consumers, Edited by G. Straetmans, Springer, 2019, 6.

¹³ Friant-Perrot M., The Vulnerable Consumer in the UCPD and Other Provisions of EU Law, The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National legal Systems, Ashgate, 2014, 89.

¹⁴ Wilhelmsson Th., Willett Ch., Unfair Terms, and Standard Form Contracts, Handbook of Research on International Consumer Law, Edward Elgar Publishing, 2011, 158.

ბული გადაწყვეტილების მიღების რისკს; **2. არათანაბარი სავაჭრო ძალაუფლება და ხელშეკრულების სტანდარტული პირობები** – მოვაჭრე, როგორც წესი, აკონტროლებს ხელშეკრულების პირობების უმეტესობას, თუ ყველას არა, სტანდარტული პირობების დადგენით, სადაც მომხმარებლის არჩევანი შეზღუდულია ამ პირობების მიღებით ან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმით (**Take it or leave it principle**); **3. მომხმარებელთა ეკონომიკური ქცევა** – მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაზვიადებული ფასდაკლებები, დროის ფაქტორი, რეკლამა, ინფორმაციის კონტექსტი და გამოსახულება, პირველი შთაბეჭდილება და სხვ. მოვაჭრე ხშირად იყენებს მომხმარებლის ქცევით ტენდენციებს, რის შედეგადაც მომხმარებელი მოვაჭრის არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის მსხვერპლი ხდება; **4. სამართალწარმოების ტრადიციული ფორმების მარცხი** – მომხმარებელთა დარღვეული უფლებების დაცვა ხდება ტრადიციული კერძოსამართლებრივი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ხშირად არაეფექტურია, განსაკუთრებით, მცირე ღირებულების დავის პირობებში. ანგარიშგასაწვევია სამართალწარმოების ხანგრძლივობა და ხარჯი. მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია სამართლებრივი პროცედურებისა და საკანონმდებლო რეგულირების შესახებ საკმარისი ცოდნა, რაც ხშირად იწვევს „ფსიქოლოგიურ ბარიერს“ და აბრკოლებს უფლების სასამართლოს წესით დაცვას.¹⁵

ევროკავშირის სამართალი მნიშვნელოვნად უწევს ანგარიშს მომხმარებლის სტრუქტურულ დისბალანსს მოვაჭრესთან ურთიერთობაში, რომლის გამოსწორება მიუღწეველ ამოცანად რჩება მომხმარებელთა მხოლოდ თვითგამორკვევის უფლების აღიარებით. ამიტომაც აქცენტი გადატანილია რეგულირებაზე. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის კანონმდებლობა მეტწილად ორიენტირებულია განაწილება სამართლიანობაზე, ვიდრე გათანაბრებით სამართლიანობაზე, მისი კლასიკური გაგებით, რაც ვლინდება მომხმარებლის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების იმპერატიულ მოწესრიგებაში.¹⁶

IV. მომხმარებლის ცნების ზოგადი შინაარსი

ევროკავშირის სამართალში მომხმარებლის ცნების ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბება უკავშირდება ევროკავშირის ძალისხმევას, შეიქმნას მოქნილი და აღსრულებადი მექანიზმები მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების რეგულირებისათვის. მომხმარებლის ცნება პირველად გამოიყენა ევროკავშირის 85/577 დირექტივამ, რომლის მიხედვით, **მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს თავისი სავაჭრო და პროფესიული საქმიანობის მიღმა.**¹⁷ ამ

¹⁵ Yuthayotin S., Access to Justice in Transnational B2C E-Commerce, A Multidimensional Analysis of Consumer Protection Mechanisms, Springer, 2015, 26-33.

¹⁶ Somma A., Towards a European private law? The Common Frame of Reference in the Conflict Between EC Law and national Laws, European Private Law after the Common Frame of Reference, Edward Elgar, 2010, 19.

¹⁷ Council Directive of 20 December 1985 to protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated away from Business Premises (85 /577/EEC), Official Journal of the European Communities, 31.12.85, No L 372/31

დირექტივის ნევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის მიუხედავად, მისი შინაარსი ყოველთვის ერთგვაროვნად არ აღიქმებოდა. ხშირად მომხმარებელი განიმარტებოდა გაცილებით ფართოდ, ზოგჯერ კი პირიქით, კონკრეტული ურთიერთობის მიზნებისათვის.¹⁸ ამ საკითხის დასაძლევად არაერთი ინიციატივა განხორციელდა, რასაც ცხადყოფს DCFR-ის ფარგლებში ჩატარებული კვლევა.¹⁹

ევროკავშირის ნევრი ქვეყნების კანონმდებლობაში მომხმარებლის ცნებისა და ზოგადად, მომხმარებელთა უფლებების ურთიერთგანსხვავებული რეგულირება გამონეული იყო, ერთი მხრივ, დირექტივათა სიმრავლით და მეორე მხრივ, მათი მინიმალური ჰარმონიზაციის ეფექტით.²⁰ ამ თვალსაზრისით, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მომხმარებლის ცნების დაზუსტებაზე. ამ დირექტივის თანახმად, **მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს თავისი სავაჭრო სამენარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიღმა.**²¹ საგულისხმოა, რომ დირექტივის იმპლემენტაციის შედეგად, ერთი შეხედვით, ცნების უნიფიცირებული შინაარსი დადგინდა, თუმცა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გამონევეები, ამ თვალსაზრისით, კვლავაც არსებობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომხმარებლის ცნება სრულად ჰარმონიზებული კვლავაც არაა.²²

ზოგადი კონცეფციის მიხედვით, პირის მომხმარებლად აღიარება დამოკიდებულია ორ წანამძღვარზე: პირველი სუბიექტურ კრიტერიუმს გულისხმობს და განსაზღვრავს, რომ მომხმარებლად მიიჩნევა მხოლოდ ფიზიკური პირი, ხოლო მეორე ნიშანი ფუნქციურ კრიტერიუმს ეფუძნება და მოქმედების მიზანში გამოიხატება.²³ პირის მომხმარებლად მიჩნევის ეს კრიტერიუმები კარგადაა განმარტებული DCFR-ის მოდელურ პრინციპებში, სადაც მომხმარებლის მოქმედების მიზანი ახსნილია ორ ასპექტში: პირველი ფოკუსირებულია იმაზე, რომ მომხმარებელი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (ამ შემთხვევაში სახეზეა ქმედების პოზიტიური აღწერილობა). ქმედების განმსაზღვრელი მეორე ელემენტი კი მიმართულია იმის დადგენაზე, თუ რამდენად ექცევა მომხმარებლის ქმედება მისი სავაჭრო, სამენარმეო, სახელობო ან სხვა პრო-

¹⁸ იხ., ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 68.

¹⁹ Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. von Bar, E. Clive and H. Schulte-Nölke and others. <http://www.euro-lex.europa.eu/lexicon.nsf/0/12.06.2021> [12.06.2021].

²⁰ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 49.

²¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2011/83/EC მომხმარებელთა უფლებების, საბჭოს დირექტივასა 93/13/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 1999/44/EC შესწორებების შეტანის და საბჭოს დირექტივისა 85/577/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 97/7/EC გაუქმების შესახებ.

²² მიკლიცი ჰ.ვ., მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით), თბილისი, 2018, 54.

²³ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 70; ლაკერბაია თ., ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 108 და შემდგომი.

ფესიული საქმიანობის მიღმა, ანუ ცნებაში მოცემულია ქმედების უარყოფითი აღწერაც. საბოლოო ჯამში, საკითხის მომხმარებლის სასარგებლოდ გადანყვეტა დამოკიდებულია იმაზე, გამოირიცხება თუ არა მომხმარებლის ქმედებაში მოგების მიღების მიზანი.²⁴

V. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა მომხმარებლის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, მომხმარებლის ცნების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს კონკრეტული დირექტივით დარეგულირებული ურთიერთობების სპეციფიკით და თავად დირექტივით მისაღწევი მიზნებით. სწორედ სასამართლოს ასეთი მიდგომა წარმოაჩენს იმას, რომ ევროკავშირის სამართალში და შესაბამისად, წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში მომხმარებლის სტატუსი დამოკიდებულია შესაფასებელი ურთიერთობის შინაარსზე.

1. მომხმარებელი მხოლოდ ფიზიკური პირია

Patrice Di Pinto ერთ-ერთი პირველი საქმეა, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სარენ გარეთ დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლად შეიძლება მიიჩნეს მხოლოდ სავაჭრო/სამეწარმეო მიზნის მიღმა მოქმედი ფიზიკური პირი.²⁵ გადანყვეტილება ემყარება 1985/577 დირექტივის განმარტებას, რომლის მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ სარენ გარეთ დადებული ხელშეკრულებებით, ხოლო მიზანი თავსმოხვეული სახელშეკრულებო ბოჭვისაგან მომხმარებელთა დაცვაა.²⁶

მოცემული სახელშეკრულებო ურთიერთობის რისკები უკავშირდება მოვაჭრეთა მოულოდნელ და დამარწმუნებელ, ხშირ შემთხვევაში აგრესიული მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკას. ასეთი მოლაპარაკებების შედეგად დადებული ხელშეკრულებისაგან გათავისუფლების უზარუნველსაყოფად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტურ ინსტრუმენტად დაინერგა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რომელიც ხელშეკრულების იმპერატიულ დათქმად იქნა მიჩნეული სარენ გარეთ დადებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოვაჭრეებს დაეკისრათ ამ უფლების თაობაზე მომხმარებელთა სავალდებულო ინფორმირების ვალდებულება.²⁷

Patrice Di Pinto-ის საქმეში სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა მომხმარებლად მიიჩნეს იურიდიული პირი, რომელსაც მოვაჭრე იყოლიებს ხელშეკრულების დადებაზე სარენ გარეთ წარმოებული მო-

²⁴ Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. von Bar, E. Clive and H. Schulte-Nölke and others, 565, <t.ly/Fin5> [12.06.2021].

²⁵ Judgement of 14 March 1991, C-361/89 [CJEU].

²⁶ იხ., ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 82-ე და შემდგომი გვერდები.

²⁷ იქვე; დირექტივა 85/577/EEC.

ლაპარაკების შედეგად და რამდენად შესაძლებელია ასეთ იურიდიულ პირზე გავრცელდეს დირექტივის დაცვის მექანიზმები, მათ შორის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.²⁸

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დირექტივის იმ დათქმაზე, რომლის მიხედვით დირექტივის მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ მომხმარებელთა ისეთი ქმედებით, რომელიც არ ექცევა სავაჭრო ან პროფესიულ საქმიანობაში. ხელშეკრულების დადება პერიოდულ სარეკლამო გამოცემასთან, უკავშირდება პროფესიულ აქტივობას ან ვაჭრობას. მას მენეჯერული ხასიათი აქვს და არ ექცევა მენარმის საოჯახო ან პირადი ინტერესებით მოქმედების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, შესაძლებელია მენარმეც დაუცველი გამოჩნდეს სხვა მოვაჭრესთან მიმართებით, არსებობს მყარი საფუძველი იმის რწმენისათვის, რომ საშუალო, კარგად ინფორმირებულმა მენარმემ იცის თავისი საქმიანობის არსი, ამიტომ, თუ ის დებს ხელშეკრულებას სხვა მოვაჭრესთან, მისი ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს წინდაუხედავ ქმედებად, რომელიც გამონვეულია მხოლოდ მოულოდნელობის ფაქტორით. შესაბამისად, მენარმე, რომელმაც დადო ხელშეკრულება თავისი ბიზნესის რეკლამის მიზნით, არ არის დირექტივით დაცული მომხმარებელი.²⁹

Cape Snc v Idealservice Srl-ის საქმეში³⁰ მომხმარებლის სტატუსი განიმარტა „ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ“ 93/13 დირექტივის ფარგლებში.³¹ მოცემულ საქმეში Cape Snc-მა შეიძინა წყლის დისპანსერი Idealservice Srl-გან ოფისში დასადგმელად, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ თანამშრომლების მოხმარებისათვის. შემდგომში Cape Snc-მა წამოიწყო დავა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდის ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით, იმაზე მითითებით, რომ ხელშეკრულების დათქმა იურისდიქციის შესახებ უსამართლო სახელშეკრულებო პირობა იყო.

²⁸ საგულისხმოა, რომ ამ დავაში საკითხი ძირითადად სწორედ ხელშეკრულებაზე უარის უფლებას ეხებოდა. კერძოდ, დი პინტო ფლობდა პერიოდულ გამოცემას, რომლის საქმიანობა მიმართული იყო სხვა მოვაჭრეების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე და მათთვის მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით ამ საქმიანობის რეკლამირებაზე. 1989 წლის 28 მარტს დი პინტოს მიესაჯა ჯარიმის გადახდა და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა 1985, 1986 და 1978 წლებში საფრანგეთის აგიტაციის კანონის დარღვევისათვის. კანონი უკრძალავდა აგიტატორს მოეთხოვა ნაღდი ანგარიშსწორება ხელშეკრულებაზე უარის თქმისათვის გათვალისწინებული 7 დღის გასვლამდე, თუ ხელშეკრულება იდება საწარმოს ადგილსამყოფლის გარეთ. მოცემულ შემთხვევაში კი დი პინტოს საწარმოს სახელით მოქმედი წარმომადგენლები, რომლებიც სარეკლამო ინფორმაციის შეგროვების მიზნით სხვა მოვაჭრეებთან სარენ გარეთ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად იყოლიებდნენ მათ ხელშეკრულების დადებაზე, მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გადახდას შეთავაზებული მომსახურებისათვის, რომლის ღირებულებაც მერყეობდა 3000-დან 30 000 ფრანკამდე რეკლამის ფორმატის გათვალისწინებით. ამასთან, თავად ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მასზე უარის თქმას შესაბამისი ვადის ფარგლებში. დი პინტოს მიერ გასაჩივრებული იქნა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი, სადაც იგი ასევე უთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა აგიტაციის შესახებ კანონი და რომ ეს აქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა 85/577 დირექტივის მიზნებთან.

²⁹ Judgement of 14 March 1991, C-361/89 [CJEU].

³⁰ Judgement of 22 November 2001, C-541/99 and C-542/99 [CJEU].

³¹ საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა 93/13/EEC - სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ (ოფიციალური ყურნალი L 95, 21.04.1993, გვ. 29).

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დირექტივის³² დათქმაზე, რომ დირექტივის მიზნებისთვის „**მომხმარებელი**“ არის ფიზიკური პირი, რომლის ქმედება, ამ დირექტივით გათვალისწინებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ემსახურება მიზნებს, რომელიც არ არის კავშირში მის სავაჭრო საქმიანობასთან, ბიზნესთან ან პროფესიასთან. სასამართლომ დაასკვნა, რომ **ფიზიკური პირის გარდა სხვა პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას გამყიდველთან ან მომსახურების გამწვანთან, არ მიიჩნევა მომხმარებლად ამ დირექტივის მიზნებისთვის.**

მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა ასევე **Condominio di Milano, via Meda-ის**³³ საქმეზე, სადაც მსჯელობის საგნად იქცა ასოციაციის (რომელიც საქმიანობას ახორციელებდა იურიდიული პირის შეუქმნელად) მომხმარებლად აღიარების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადება არ უკავშირდება ასეთი სუბიექტის სავაჭრო, სამენარმეო ან სახელობო საქმიანობას. სასამართლოს მითითებით, იმისათვის, რომ დავა განხილულ იქნეს უსამართლო პირობების შესახებ დირექტივაზე დაყრდნობით, აუცილებელია შესაბამისი სუბიექტების მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების არსებობა, კერძოდ, ერთი მხრივ, მოვაჭრე, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებელი. ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირისთვის მომხმარებლის სტატუსის მინიჭება ორი კუმულაციური პირობის არსებობაზეა დამოკიდებული – ფიზიკური პირის მონაწილეობა გარიგებაში და სავაჭრო/სამენარმეო მიზნის მიღმა საქმიანობა.

მოცემულ დავაში მოვაჭრე იყო თერმული ენერჯის მიმწოდებელი კომპანია, სადავო სახელშეკრულებო პირობა კი შეეხებოდა დათქმას იმის შესახებ, რომ თუ მომხმარებელი გადააცილებდა ელექტროენერჯის საფასურის გადახდას, მას დაერიცხებოდა დამატებით 9.25 % ჯარიმის გადახდის ვალდებულება. **Condominio di Milano** მიიჩნევდა, რომ აღნიშნული პირობა იყო უსამართლო და არღვევდა მისი, როგორც მომხმარებლის უფლებებს. ამასთან, იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, **Condominio di Milano** იყო ამხანაგობა, რომელიც თავისი არსით არც ფიზიკური და არც იურიდიული პირია. ასოციაციის სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის ცნების უმთავრეს ელემენტს – არ არის ფიზიკური პირი და ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ ექცვა დირექტივის მოქმედების ფარგლებში. თუმცა სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ ეროვნული კანონმდებლობით შესაძლებელია დაინერგოს დირექტივით განსაზღვრული დაცვის ღონისძიებების გავრცელება სხვა პირებზე დამოუკიდებელი საფუძვლებით.

2. მომხმარებლის ცნება არ მიეკუთვნება პირის სუბიექტურ თვისებას

Maximilian Schrems-ის საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მომხმარებლის ცნების განსაზღვრისთვის უნდა არსებობდეს ორი ნანამძღვარი – პირი და ქმედება. პირველთან მიმართებით სასამართლო უთითებს, რომ **მომხმარებლის ცნება არ განიმარტება ზოგადად, ის არ მიეკუთვნება პირის სუბიექტურ თვისებას და ვერ იქნება**

³² საუბარია 93/13/EEC დირექტივაზე.

³³ Judgement of 2 April 2020, C-329/19 [CJEU].

შეფასებული აბსტრაქტულად, ხელშეკრულების შინაარსის გაუთვალისწინებლად. იგი ყოველთვის დამოკიდებულია ხელშეკრულების შინაარსზე მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მეორე ელემენტი – „ვაჭრობა ან პროფესია“, კი ფართო გაგებით უკავშირდება ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება აუცილებლად უშუალო ეკონომიკურ მოგებას უნდა უკავშირდებოდეს.³⁴

3. პირის მომხმარებლად აღიარებაზე გავლენას არ ახდენს მისი ცოდნა და გამოცდილება

საქმეში – **Jana Petruchová v FIBO Group Holdings Limited**³⁵ – სასამართლომ პირის ქმედების შეფასების ქრილში აღნიშნა, რომ ფიზიკური პირის მომხმარებლად აღიარებაზე გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების ფარგლებში ტრანზაქციის ღირებულება, ხელშეკრულების ფინანსური ზარალის შეფასების რისკის შესაძლებლობა, ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით პირის შესაძლო ცოდნა და გამოცდილება ან მისი აქტიური მონაწილეობა ასეთ ფინანსურ ოპერაციებში. ამოსავალი წერტილია მხოლოდ ქმედების მიზნის გამოკვეთა – იდება თუ არა გარიგება პირადი მიზნებისთვის, მათ შორის, შესაძლებელია შემოსავლის მიღების მიზანი გათანაბრებული იყოს საარსებო წყაროსთან. განმსაზღვრელია, რომ ქმედება მიემართებოდეს ისეთი მოგების მიღების მიზანზე, რომელიც უტოლდება გაყიდვას/მომსახურებას სავაჭრო/სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

საქმეში – **Horățiu Ovidiu Costea v SC Volksbank România SA (Romania)**³⁶ – სასამართლო 93/13/EEC დირექტივის ქრილში განმარტავს, რომ მომხმარებლის „სუსტი“ პოზიცია გამყიდველის ან მიმწოდებლის მიმართ უნდა შეფასდეს მომხმარებლის ცოდნისა და მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რამდენად შეუძლია მომხმარებელს გავლენა მოახდინოს გამყიდველის ან მიმწოდებლის მიერ წინასწარ დადგენილ სახელშეკრულებო პირობებზე. ფიზიკური პირი, რომელიც იურისტად მუშაობს და დებს საკრედიტო ხელშეკრულებას ბანკთან, რომელშიც არ არის მითითებული კრედიტის მიზანი და შეთანხმება არ არის დაკავშირებული პირის პროფესიასთან, შეიძლება მიიჩნეს მომხმარებლად დირექტივის მიზნებისთვის. ხოლო ის ფაქტი, რომ იმავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხი უზრუნველყოფილია იპოთეკით, რომელიც მომხმარებელმა დადო თავისივე იურიდიული კომპანიის სახელით, არ არის მნიშვნელოვანი. ის, რომ ადვოკატს აქვს სპეციალური, მაღალი დონის ცოდნა, არ ნიშნავს, რომ დირექტივის მიზნებისთვის იგი ვერ იქნება მიჩნეული სუსტ მხარედ, მოვაჭრესთან შედარებით.

4. დანესებულების დამხმარე საქმიანობა

Karel de Grote-ის³⁷ საქმეში დავა ეხებოდა უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებულ სწავლის საფასურის განვადებით გადახდის ხელშეკრულებას. სასამარ-

³⁴ Judgement of 14 November 2017, C-498/16 [CJEU].

³⁵ Judgement of 3 October 2019, Case C-208/18 [CJEU].

³⁶ Judgement of 3 September 2015, Case C-110/14 [CJEU]

³⁷ Judgement of 17 May 2018, C-147/16 [CJEU].

თლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი არ უნდა შეფასდეს მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება. გათვალისწინებული უნდა იქნეს მომსახურების არსი, რომელსაც უნივერსიტეტი დამატებით სთავაზობს სტუდენტებს. ამ შემთხვევაში, სწავლის საფასურის განვადებით გადახდის შეთავაზება, უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის შემავსებელ ანდა დამხმარე საქმიანობად უნდა ჩაითვალოს. ასეთი გარიგება მიეკუთვნება გადახდის საშუალების შესახებ შეთანხმებას და თავისი არსით სხვა არაფერია თუ არა საკრედიტო ხელშეკრულება. ამიტომაც სასწავლო დაწესებულება ამ შემთხვევაში მოქმედებს, როგორც მოვაჭრე (მომსახურების გამწვევის კონტექსტში) 93/13/ დირექტივის მიზნებისათვის, ხოლო სტუდენტი – როგორც მომხმარებელი.

მსგავსად შეფასდა მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა **Marie Dijoux v Électricité de France (EDF)**-ის საქმეში³⁸ სადაც სასამართლომ მხარი დაუჭირა მომხმარებლის ცნების ფართოდ განმარტებას და აღნიშნა რომ დამსაქმებელთან შრომის ხელშეკრულების გარდა დადებული სხვა ხელშეკრულებების გამორიცხვა 93/13 დირექტივის მოქმედების სფეროდან ართმევს მომხმარებელს ხელშეკრულების უსამართლო პირობებისაგან დირექტივით მინიჭებულ დაცვის უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის, შრომის ხელშეკრულების გარდა, დადებული იყო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც გასცა დამსაქმებელმა დასაქმებულზე საცხოვრებელი სახლის დაკრედიტების მიზნით, ხოლო ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად იწვევდა სესხის ხელშეკრულების შეწყვეტას და დასაქმებულისთვის თანხის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების ვალდებულებას წარმოშობდა. სწორედ ამ პირობის სამართლიანობის კონტექსტში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, უნდა შეფასებულიყო თუ არა ეს კრედიტის ხელშეკრულება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებულ ხელშეკრულებად 93/13 დირექტივის მიზნებისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ დირექტივის მიზნებისთვის მოვაჭრის კონცეფცია არის ფუნქციური ცნება, რომელიც მოითხოვს იმის გარკვევას, ექცევა თუ არა კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობა მოვაჭრის ძირითად საქმიანობაში. აქაც სასამართლომ ხაზი გაუსვა ძირითადი საქმიანობის არსს და მიუთითა, რომ საწარმოს პერსონალთან, მათი პირადი, კერძო საჭიროებებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში კრედიტის ხელშეკრულების დადება საწარმოს მთავარი საქმიანობა არაა. შესაბამისად, თუ საწარმოს ძირითადი, პროფესიული საქმიანობა არ მოიცავს კრედიტის ხელშეკრულების შეთავაზებას, მსგავსი მომსახურება მიიჩნევა საწარმოს დამხმარე საქმიანობად, სადაც დამსაქმებელი განიხილება მოვაჭრედ (მომსახურების შემთავაზებელ პირად), ხოლო დასაქმებული – მომხმარებლად.

5. ურთიერთდაკავშირებული მიზნის მქონე ხელშეკრულებები

Johann Gruber-ის³⁹ საქმეში სასამართლომ იმსჯელა ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლის სტატუსის განსაზღვრის ტესტზე. საქმე ეხებოდა

³⁸ Judgement of 21 March 2019, C-590/17 [CJEU].

³⁹ Judgement of 20 January 2005, Case C-464/01 [CJEU].

ფერმერს, რომელიც ცხოვრობდა ავსტრიაში, გერმანიის საზღვართან და ფლობდა საფერმო მეურნეობას. გრუბერი ფერმის შენობის ნაწილს, რომელიც მთელი შენობის 60%-ზე მეტს შეადგენდა საცხოვრებლად იყენებდა, ხოლო დანარჩენ ნაწილს კი ღორების სადგომად და სხვა დამხმარე ფართებად სამეურნეო საქმიანობისათვის. გრუბერმა შენობის გადასახურად შეიძინა კრამიტი გერმანული კომპანიისაგან, რომელიც თავისი საქმიანობის შესახებ სარეკლამო ბროშურებს ავსტრიაში ავრცელებდა. მოსამარჩელემ სარჩელის აღძვრისას მიუთითა, რომ შექცენილი კრამიტის ფილები არ შეესაბამებოდა ბროშურებში მითითებულ აღწერას. ამ საქმეში სადავო გახდა სასამართლოს განსჯადობის საკითხი, რომელიც უშუალოდ დამოკიდებული იყო ამ ხელშეკრულებაში გრუბერის მომხმარებლად მიჩნევის საკითხზე, რაც მას განსაკუთრებული იურისდიქციის უფლებას მიანიჭებდა. განმარტებას საჭიროებდა მოსარჩელის მოქმედების მიზანი. კერძოდ, კრამიტი შექცენილი იყო პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, თუ საფერმო მეურნეობის კეთილმოსაწყობად.

სწორედ ამ საქმეში წამოიჭრა საკითხი ურთიერთდაკავშირებული მიზნის მქონე ხელშეკრულების განმარტების თაობაზე, ვინაიდან სუბიექტთა სტატუსი პირდაპირ განაპირობებდა დავის განხილვის ფორმატსაც. სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც ხელშეკრულება მიმართულია როგორც პირადი, ასევე პროფესიული მიზნის დასაკმაყოფილებლად, ქმედების მიზანი უნდა გაიმიჯნოს იმის მიხედვით, თუ რამდენად უმნიშვნელო და მარგინალურია საქონლის ან მომსახურების პროფესიული მიზნით გამოყენება ხელშეკრულების საერთო კონტექსტთან. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მხარე მომხმარებლად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ პროფესიული მიზნით ქმედება იმდენად სუსტია, რომ მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს საქონლის მიწოდებისა და შემდგომი გამოყენების საერთო მიზანზე. ამასთან, მომხმარებლის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, შეეძლო თუ არა მოვაჭრეს სცოდნოდა, რომ პირი საქონელს პირადი ინტერესებისთვის იძენდა ან ხომ არ შექმნა ხელშეკრულების მხარემ მცდარი წარმოდგენა იმაზე, რომ საქონელს პროფესიული მიზნებისთვის იძენდა.

ანალოგიური პრინციპის გამოყენებით გადაწყდა მომხმარებლის სტატუსი **Milivojević-ის**⁴⁰ საქმეში, რომლის მიხედვითაც, ხორვატიის მოქალაქე მილიოჟევიჩმა შუამავლის საშუალებით დადო საკრედიტო ხელშეკრულება, რათა საკუთარი სახლის გარემონტებისა და გაფართოებისათვის მიეღო გარკვეული თანხა, რათა შემდეგ აღნიშნული ფართი ტურისტებისთვის მიექირავებინა. სასამართლომ მომხმარებლის განმარტების ნაწილში მიუთითა, რომ ქალბატონი მილიოჟევიჩი კონკრეტულ ხელშეკრულებაში შეიძლება მომხმარებლად მიიჩნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კავშირი ამ ხელშეკრულებასა და სამენარმეო საქმიანობას შორის იმდენად მარგინალური და უმნიშვნელო იქნებოდა, რომ პირადი მიზნის არსებობას ვერ გადაფარავდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოვალე, რომელიც დებს საკრედიტო ხელშეკრულებას, რათა გაარემონტოს სახლი, სადაც იგი ცხოვრობს და აპირებს მის გამოყენებას ტურისტების მომსახურებისათვის, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მომხმარებელი. აქ სასამართლომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული დაცვა არ ვრცელ-

⁴⁰ Judgement of 14 February 2019, C-630/17 [CJEU]

დება სავაჭრო ან სამენარმეო მიზნით დადებულ ხელშეკრულებაზე მაშინაც, როცა ასეთი საქმიანობა მიმართულია მომავალში მის განხორციელებაზე, ვინაიდან მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოგების მიღების მიზანი მიმართულია მომავალ საქმიანობაზე, არ გამოირიცხავს სამენარმეო ან პროფესიული მიზნით ხელშეკრულების დადების ფაქტს.

6. ხელშეკრულების უსამართლო პირობების *ex officio* შემოწმება

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო საკმაოდ მაღალ სტანდარტს ადგენს უსამართლო პირობათა კონტროლზე და პირდაპირ ავალდებულებს ნეერი სახელმწიფოების სასამართლოებს *ex officio*, ანუ თავისი ინიციატივით შეამოწმონ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების პირობათა სამართლიანობა.⁴¹

Oceano Grupo⁴²-ის საქმეში სასამართლოს აღნიშნა, რომ დირექტივის მიზანი ვერ მიიღწევა, თუ მომხმარებელი ვალდებული იქნება თავად წამოჭრას საკითხი ხელშეკრულების პირობის უსამართლობის შესახებ. მომხმარებელთა ეფექტიანი დაცვა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ აღიარებული იქნება **ეროვნული სასამართლოს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს ხელშეკრულების უსამართლო პირობები**. წლების შემდეგ, ევროკავშირის სასამართლომ კიდევ უფრო გაამკაცრა მიდგომა და ეროვნული სასამართლოს უფლება, მოვალეობად აქცია. **Mostaza Claro⁴³**-ის საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ **დირექტივით უზრუნველყოფილი მომხმარებლის დაცვა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია, რაც ვლინდება ეროვნული სასამართლოების ვალდებულებაში, საკუთარი ინიციატივით დაადგინოს, არის თუ არა ხელშეკრულების პირობა უსამართლო**. **VB Pénzügyi Lízing Zrt-ის⁴⁴** საქმეში კი დამატებით მიუთითა, რომ სასამართლოს როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პირობათა შესაძლო უსამართლობაზე მითითებით. **სასამართლო ასევე ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა სამართლიანობა იქ, სადაც საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი ელემენტები ამას განაპირობებენ**.

2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე – **Györgyné Lintner v UniCredit Bank Hungary Zrt⁴⁵** – ევროკავშირის სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა და განმარტა, რომ სასამართლოს, რომლის წინაშეც მომხმარებელი აცხადებს, რომ ხელშეკრულების კონკრეტული პირობები უსამართლოა, **მოეთხოვება, თავისი ინიციატივით შეამოწმოს ხელშეკრულების სხვა პირობები, თუ ისინი კავშირშია დავის საგანთან**. ის ვალდებულია, სადაც ეს აუცილებელია, **თვითონ გამოიკვლიოს საქმის**

⁴¹ Orga-Dumitriu G., About The Recent Interpretation Of CJEU In The Matter Of Unfair Terms Of Consumer Credit Contracts Relevant Meanings For The National Case Law, Perspectives Of Business Law Journal, Vol.3, No.1, 2014, 12-25.

⁴² Judgement of 27 June 2000, C-240/98 to C-244/98 [CJEU]

⁴³ Judgement of 26 October 2006, C-168/05 [CJEU]

⁴⁴ Judgement of 9 November 2010, C-137/08 [CJEU]

⁴⁵ Court of Justice of the European Union, Press Release No.27/20, Luxembourg, 11 March 2020, Judgment in Case C-511/17 Györgyné Lintner v UniCredit Bank Hungary Zrt.

სამართლებრივი და ფაქტობრივი ელემენტები. ამასთან, თუ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი სარჩელი შეიცავს სერიოზულ ეჭვებს ასეთი (სხვა/გარეშე) პირობების უსამართლო ბუნების თაობაზე, სასამართლომ უნდა შესთავაზოს მხარეებს დამატებითი განმარტებების ან დოკუმენტების წარმოდგენა, რაც აუცილებელი იქნება სარჩელში მითითებული ფაქტების შესავსებად.

7. მომხმარებლის ცნების დამატებითი ნიშნულები

მომხმარებლის საბაზისო ცნების გვერდით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აყალიბებს მომხმარებელთა კონცეფციის დამატებით ნიშნულებს, როგორცაა, „საშუალო მომხმარებელი“ და „მონყვალდი მომხმარებელი“.

7.1. საშუალო მომხმარებელი

ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობასა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში საშუალო მომხმარებლის განმარტება გამოიყენება მომხმარებელთა ქცევის შეფასების კრიტერიუმად⁴⁶ და ემყარება ტრადიციულ ინფორმაციულ პარადიგმას იმის შესახებ, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა უზრუნველყოფს რაციონალური გადაწყვეტილების მიღებასა და არჩევანის თავისუფლებას მომხმარებლებისათვის.⁴⁷ მეორე მხრივ, მომხმარებლისათვის მიწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობა და აღქმადობა საშუალო მომხმარებლის მოლოდინით იზომება.⁴⁸ ამიტომაც, ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი მოდელირებულია საშუალო მომხმარებლის კონცეფციაზე.⁴⁹ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ევროკავშირის სასამართლოს მიერ **Gut Springen-heide-ის** საქმეში გაკეთებული განმარტებით, ეროვნულმა სასამართლოებმა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გაითვალისწინონ მომხმარებლის სავარაუდო მოლოდინი, რომელიც ეფუძნება იმ პრეზუმფციას, რომ **საშუალო მომხმარებელი „გონივრულად კარგად ინფორმირებული, გონივრულად დაკვირვებული და წინდახედული“**.⁵⁰ თუმცა საშუალო მომხმარებლის კონცეფცია მომხმარებლის ქცევის მხოლოდ იდეალიზებულ იმიჯადაა წარმოდგენილი⁵¹. სინამდვილეში, „საშუალო მომხმარებელი“ ადამიანის არარსებუ-

⁴⁶ EU Consumer Protection 2.0 Structural Asymmetries in Digital Consumer Markets. A Joint Report from Research Conducted under the EUCP2.0 project, Brussels, 2021, 5.

⁴⁷ van Boom W.H., Garde A., Akse O., The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, Ashgate, 2014, 5.

⁴⁸ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 181.

⁴⁹ van Boom W.H., Garde A., Akse O., The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems, Ashgate, 2014, 6.

⁵⁰ Judgement of 16 July 1998, C-210/96 [CJEU], ასევე იხ., რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, თბილისი, 2019, 49.

⁵¹ Micklitz H.W., Durovic M., Internationalization of Consumer Law, A Game Changer, Springer, 2017, 16.

ლი მოდელია და არ მიეკუთვნება ადამიანის საშუალო სტატისტიკურ ნიშან-თვისებას. მომხმარებლის ეს ნიშნული ფორმალური ხასიათისაა და მიიჩნევა მომხმარებლის ნორმატიულ და არა ფაქტობრივ განსაზღვრებად. შეფასების ეს ტესტი ხშირად გაკრიტიკებულია, როგორც არარეალურად მომთხოვნი, ზედმეტად გამარტივებული და ზოგადად, იურიდიული ფიქცია, რომელიც დაშორებულია ინდივიდუალური მომხმარებლის რეალურ ქცევას, როგორც ინფორმირებულობის, ისე გონივრულობის მხრივ.⁵²

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო მომხმარებლის ნიშნული გამოიყენება ინფორმაციის გამჭვირვალობის შესაფასებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების წანამძღვარია,⁵³ თუმცა ვერ უმკლავდება ინფორმაციული ასიმეტრიის გამოწვევებს, რადგანაც საშუალო მომხმარებელს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა ან სურვილი, რომ საფუძვლიანად შეაფასოს მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია.⁵⁴ ამის კარგი მაგალითია Teekane-ის საქმეში გაკეთებული განმარტება, სადაც „სასამართლომ აღნიშნა, რომ ინგრედიენტების სიის შესახებ ინფორმაციას არ შეუძლია გამოასწოროს მომხმარებლის არასწორი და შეცდომაში შემყვანი შთაბეჭდილება, რომელიც შექმნილია პროდუქტის მთლიანი შეფუთვიდან გამომდინარე“⁵⁵. მსგავსი განმარტებები გაკეთდა ასევე Canal Digital Danmark-ისა და Carrefour-ის საქმეებზე.⁵⁶

7.2. მონყვლადი მომხმარებელი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი აერთიანებს რა მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მონქსრიგების როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ასპექტებს, საშუალო მომხმარებლის კატეგორიიდან გამოყოფს ე.წ. მონყვლად მომხმარებლებს⁵⁷, რომლებიც გამოირჩევიან მეტი მგრძნო-

⁵² Laustsen R.D., *The Average Consumer in Confusion-based Disputes in European Trademark Law and Similar Fictions*, Springer, 2020, 6-7; van Boom W.H., Garde A., Akseli O., *The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems*, Ashgate, 2014, 6. ასევე იხ., რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, თბილისი, 2019, 49.

⁵³ Micklitz H.W., Reich N., Rott P., *Understanding EU Consumer Law*, Intersentia, 2009, 96.

⁵⁴ Straetmans G., *Information Obligations and Disinformation of Consumers*, in: *Information Obligations and Disinformation of Consumers*, Edited by G. Straetmans, Springer, 2019, 19

⁵⁵ Judgement of 4 June 2015, C-195/14 [CJEU].

⁵⁶ Judgement of 26 October 2016, C-611/14 [CJEU]; Judgement of 8 February 2017, C-562/15 [CJEU].

⁵⁷ მომხმარებლის მონყვლადობა გაითვალისწინება ასევე ზოგადეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების დროსაც, როგორცაა, ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურების სფეროებზე – გაზი, წყალმომარაგება, ელექტროენერჯია, სამედიცინო მომსახურება და სხვ. ამ სეგმენტისთვის მონყვლად მომხმარებელში მოიაზრებიან ფიზიკური პირები, რომლებიც მათი ცხოვრების დონისა და შემოსავლების მიხედვით უფრო მეტად საჭიროებენ დაცვას ზოგადეკონომიკური მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში „მონყვლადი მომხმარებლის“ დაცვა მიმართულია სოციალური პოლიტიკის სათანადო განხორციელებაზე, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევა სუსტი მხარის ეკონომიკურ დისკრიმინაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც ცხოვ-

ბიარობით უსამართლო კომერციული პრაქტიკის მიმართ და თავიანთი უფლებების დაუცველობის ხარისხით.⁵⁸ ადამიანები მომხმარებელთა მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან თავიანთი ასაკის (მაგალითად, არასრულწლოვანი), ავადობის, ფეხმძიმობის, სხვადასხვა საჭიროების, ფიზიკური ანდა ფსიქიკური უნარების შეზღუდვის გამო, ასევე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის მიმართ მედეგობის მიხედვით.⁵⁹ მაშინაც კი, როდესაც მოვაჭრე კანონის მიერ დაწესებულ სათანადო ინფორმირების ვალდებულებას აკმაყოფილებს, მომხმარებლის მოწყვლობიდან გამომდინარე, ეს ავტომატურად არ გამორიცხავს მომხმარებლის არასწორ ან შეცდომაში შემყვან შთაბეჭდილებას პროდუქტის თაობაზე.⁶⁰

„არაკეთილსინდისიერი ბიზნეს-სამომხმარებლო კომერციული პრაქტიკის შესახებ“ 2005/29 დირექტივის მიხედვით, გარკვეული კომერციული პრაქტიკა ყოველთვის მიიჩნევა არაკეთილსინდისიერად, მუხედავად იმისა, ის გავლენას ახდენს ყველა მომხმარებლის ქცევაზე, თუ მხოლოდ გარკვეული ჯგუფების გადანყვეტილებებზე.⁶¹ ამ დირექტივის მიხედვით, მიზანშეწონილია, არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისგან დაცული იყოს ყველა მომხმარებელი. ეს დირექტივა, ითვალისწინებს რა სოციალურ, კულტურულ და ენობრივ ფაქტორებს, **ათვის ნერტილად საშუალო მომხმარებელს იყენებს**, თუმცა ის შეიცავს ისეთ დებულებებსაც, რომლებიც მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს ისეთი მომხმარებლების ექსპლუატაციას, რომლებიც, მათი თვისებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დაუცველნი არიან არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისგან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომერციული პრაქტიკა მომხმარებელთა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე

რობენ ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნის შორეულ ადგილებში, სადაც მომსახურების მიწოდებლებს აქვთ ნაკლები ეკონომიკური სტიმული თავის მომსახურებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად. დამატებით იხ., Friant-Perrot M., *The Vulnerable Consumer in the UCPD and Other Provisions of EU Law, The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems*, Ashgate, 2014, 98-99; Micklitz H.W., Durovic M., *Internationalization of Consumer Law, A Game Changer*, Springer, 2017, 54-56. ასეთ ჯგუფს მიკუთვებული მომხმარებელთა დაცვა ეკონომიკური დისკრიმინაციისაგან ასევე გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით, რომელიც ადგენს რა კონტრაპირების იძულების ვალდებულებას, უკრძალავს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირებს კონტრაპინტს შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. ასევე დაუშვებელია მომხმარებლებისთვის დაუსაბუთებლად უარის თქმას ხელშეკრულების დადებაზე.

⁵⁸ Friant-Perrot M., *The Vulnerable Consumer in the UCPD and Other Provisions of EU Law, The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems*, Ashgate, 2014, 100.

⁵⁹ EU Consumer Protection 2.0 Structural Asymmetries in Digital Consumer Markets, A Joint Report from Research Conducted under the EUCP2.0 Project, Brussels, 2021, 5.

⁶⁰ Straetmans G., *Information Obligations and Disinformation of Consumers*, in: *Information Obligations and Disinformation of Consumers*, Edited by G. Straetmans, Springer, 2019, 19-24

⁶¹ Friant-Perrot M., *The Vulnerable Consumer in the UCPD and Other Provisions of EU Law, The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems*, Ashgate, 2014, 100.

გათვლილი, მაგალითად, ბავშვებზე, სასურველია, კომერციული პრაქტიკის გავლენა შეფასდეს ამ ჯგუფის საშუალო წარმომადგენლის ინტერესებიდან გამომდინარე.⁶²

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 2011/83-ე დირექტივის თანახმად, მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მისცეს ნათელი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებამდე. ამასთან, მოვაჭრემ იმგვარად უნდა გაითვალისწინოს იმ მომხმარებლების სპეციფიკური საჭიროებები, რომლებიც არიან განსაკუთრებით მონყვლადი, თავიანთი გონებრივი, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური სისუსტის, ასაკის ან გულუბრყვილობის გამო, რისი განჭვრეტაც გონივრულადაა შესაძლებელია მოვაჭრისთვის. თუმცა ასეთი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება მომხმარებელთა დაცვის განსხვავებულ დონეებს არ უნდა იწვევდეს.⁶³

ამდენად, მონყვლადობა არ წარმოშობს ახალ უფლებებს,⁶⁴ თუმცა კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პირის მომხმარებლად აღიარებასთან ერთად, ქმნის დამატებით საფუძველს მისი ეკონომიკური ქცევის შესაფასებლად. ამასთან, საშუალო მომხმარებლის ცნება არ უნდა იქნეს განხილული მონყვლადი მომხმარებლის კონცეფციისაგან განცალკევებულად. მხოლოდ მომხმარებელთა ამ ნიშნულების ერთობლივი შეფასებით არის შესაძლებელი მათი სტრუქტურული უთანასწორობის წარმოჩენა და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.⁶⁵

VI. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამართლის სისტემაში მომხმარებლის ზოგადი ცნების არსებობა შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავათა განხილვისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის დარგი საქართველოში ჩამოყალიბების პროცესშია. ნიშანდობლივია, რომ კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარეობს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების შინაარსის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საქარ-

⁶² შიდა ბაზარზე არაკეთილსინდისიერი ბიზნეს-სამომხმარებლო კომერციული პრაქტიკის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის დირექტივა 2005/29/EC, რომლითაც შესწორებები შედის საბჭოს დირექტივაში 84/450/EEC, ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივებში 97/7/EC, 98/27/EC და 2002/65/EC და ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (EC) No 2006/2004 („დირექტივა არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის შესახებ“). დირექტივის მე-18 განმარტება.

⁶³ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2011/83/EC მომხმარებელთა უფლებების, საბჭოს დირექტივასა 93/13/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 1999/44/EC შესწორებების შეტანის და საბჭოს დირექტივისა 85/577/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 97/7/EC გაუქმების შესახებ. დირექტივის 34-ე განმარტება.

⁶⁴ Friant-Perrot M., *The Vulnerable Consumer in the UCPD and Other Provisions of EU Law, The European Unfair Commercial Practices Directive, Impact, Enforcement Strategies and National Legal Systems*, Ashgate, 2014, 99.

⁶⁵ EU Consumer Protection 2.0 Structural Asymmetries in Digital Consumer Markets, A Joint Report from Research Conducted under the EUCP2.0 Project, Brussels, 2021, 8.

თველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. აღნიშული ასევე ვრცელდება მომხმარებლის ცნების შემუშავებაზეც. კერძოდ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მიხედვით, **მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების და არა მისი სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.**⁶⁶ როგორც ჩანს ქართველი კანონმდებელი მომხმარებელთა უფლებების დარგში ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრისას ასევე ეყრდნობა ევროკავშირში დამკვიდრებულ ზოგად განსაზღვრებას და მომხმარებლის ცნებას აფუძნებს პირისა და ქმედების ერთობლივ კონცეფციაზე – **მომხმარებელი მხოლოდ ფიზიკური პირია, რომლის მოქმედება ხელშეკრულების დადებისას არ არის მიმართული მოგების მიღებაზე.**

⁶⁶ მიკლიცი ჰ.ვ., მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით), თბილისი, 2018, 54.

Tamar Lakerbaia*

DEFINITION OF CONSUMER IN THE CASE-LAW OF THE COURT OF JUSTICE OF THE EUROPEAN UNION

Abstract

From the 80s of the last century, a natural person participating in a contractual relationship, who acquires goods or services for personal use - is called a consumer. Numerous legislative innovations have been developed to support the rights of consumers in contract law, which has contributed to the establishment of an independent field of consumer rights law.

The peculiarity of this field of law lies in the purposeful regulation. Norms governing the rights of consumers apply only if one party to the contract is a trader and the other is a consumer. However, despite numerous attempts, there is no unified concept of the consumer that would be relevant to all relationships. Despite the fact that it mainly refers to a natural person, often the recognition of a person as a consumer depends on the content of the contractual relationship.

Keywords: Consumer, Weak Party, Average Consumer, Vulnerable Consumer.

* Ph.D. in Law, Associate Professor at Sulkhani-Saba Orbeliani University, Judge of Tbilisi City Court. orcid.org/0000-0001-9079-4526

**გონივრული მისადაგების პრინციპი გაეროს
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების კონვენციის (UNCRPD) მიხედვით****

I. შესავალი

დისკრიმინაციის აღმოფხვრის სხვადასხვა მექანიზმს შორის აღსანიშნავია გონივრული მისადაგება. ამ კონცეფციის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და ამ საჭიროების გათვალისწინება მისი ინტეგრაციისათვის, ასევე, ხელისშემშლელი ბარიერების გაქრობა ან მათი შემცირება. გონივრული მისადაგება მოქმედებს სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებით.¹

„გონივრული მისადაგების“ პრინციპის სამართლებრივი კონცეფცია პირველად შეერთებულ შტატებში წარმოიშვა. თუმცა, ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონტექსტში არ წარმოშობილა. ტერმინი „გონივრული მისადაგება“ თავდაპირველად გამოიყენებოდა შეერთებული შტატების სამოქალაქო უფლებების შესახებ 1968 წლის კანონში, რელიგიური საფუძვლით დისკრიმინაციის პრაქტიკის გათვალისწინებით.² ხოლო, გონივრული მისადაგების კონცეფცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონტექსტში პირველად შეერთებული შტატების რეაბილიტაციის შესახებ 1973 წლის აქტში იქნა გამოყენებული.³

გონივრული მისადაგების პრინციპის პრაქტიკაში რეალიზების კუთხით, განსაკუთრებული აქცენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართებით კეთდება. გონივრული მისადაგების პრინციპი შრომით ურთიერთობებში აქტუალურია, ვინაიდან შრომითი უფლებების რეალიზება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა უფლებებით სარგებლობასთან.

CRPD-ში გონივრული მისადაგების ვალდებულება შეადგენს სოციალური მოდელისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის განუყოფელ ნაწილს. პირდაპირი დისკრიმინაციის დებულებებისგან განსხვავებით, რომლებიც იდენტურ ან ფორმალურად თანასწორ მოპყრობას მოითხოვს, გო-

* კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. orcid.org/0000-0001-6346-1427

** წინამდებარე სტატიის მომზადებაში განუვლი დახმარებისათვის ავტორი მადლობას უხდის სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ბექა ძამაშვილს.

¹ ქაშაკაშვილი ნ., შრომით ურთიერთობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით გონივრული მისადაგება, თბილისი, 2019, 5.

² The Concept of Reasonable Accommodation in Selected National Disability Legislation, Background conference document prepared by the Department of Economic and Social Affairs, Seventh Session New York, 2006, 6.

³ იქვე, მე-6 პარ.

ნივრული მისადაგების ვალდებულება მოითხოვს განსხვავებულ მოპყრობას იმ ადამიანებისადმი, რომელთა მდგომარეობაც განსხვავებულია.⁴

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტის ხედვით, როდესაც გონივრულ მისადაგებაზე უარი შესაბამის პირს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევს ან ხელს უშლის, საქმე დისკრიმინაციასთან გვაქვს.⁵ დროთა განმავლობაში, გონივრული მისადაგების პრინციპის ვალდებულება ზოგიერთ ისეთ რეგიონალურ აქტში გაჩნდა, როგორცაა ევროკავშირის დასაქმების თანასწორობის შესახებ 2000/78/EC დირექტივა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით⁶, ხოლო, 2006 წლის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია გონივრულ მისადაგებაზე უარს დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახედ განიხილავს.⁷ შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ ახლებური მიდგომის დეტალური ანალიზი, რათა თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში გონივრული მისადაგების პრინციპის რეალური დატვირთვა წარმოჩინდეს.

II. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება გონივრულ მისადაგებაზე

ისტორიულად, შშმ პირებს არ შეეძლოთ პირადი და ინდივიდუალური არჩევანის გაკეთება და ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლი. ბევრი ადამიანი მათ მიერ შერჩეულ თემებში დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევათა არმქონედ მიიჩნეოდა.⁸

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD) და მისი დამატებითი ოქმი 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღეს და ხელმოსაწერად 2007 წელს გაიხსნა. აღნიშნული კონვენცია ადამიანის უფლებების სფეროში 21-ე საუკუნის პირველი ყოვლისმომცველი ხელშეკრულებაა. ის არ ქმნის ახალ უფლებებს. ის უფრო ადამიანის უფლებებს განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების პრიზმაში, რაც უზრუნველყოფს, რომ იგივე უფლებებით სრულად სარგებლობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხოლო გონივრული მისადაგების პრინციპი ერთ-ერთი მათგანია, რამდენადაც იგი წარმოადგენს თავისთავად აღსასრულებელ უფლებას, რომელიც გამოიყენება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ.

CRPD-ის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილად და თანასწორად სარგებლობა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ხელშეწყობა. კონვენცია ემყარება არადისკრიმინაციისა და თანასწორობის პრინციპებს და მოიცავს გონივრული მისადაგების უფლებას, რომელიც დაკავშირებულია უფლებების ფართო ჯგუფთან,

⁴ ბროდერიკი ა., გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 2017, 16.

⁵ CESCR General Comment No. 5: Persons with Disabilities, Committee on Economic, Social and Cultural Rights, 1994, 2.

⁶ Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 Establishing a General Framework for Equal Treatment in Employment and Occupation, Art. 5 (Employment Equality Directive 2000/78/EC).

⁷ Convention on the Rights of Persons with Disabilities, Art. 2.

⁸ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on living independently and being included in the community, CRPD/C/GC/5, 2017, 1.

როგორცაა სამოქალაქო, პოლიტიკური და, ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.⁹

CRPD შეზღუდული შესაძლებლობის მოძველებული სამედიცინო მოდელიდან (რომელიც განიხილავს ფუნქციურ შეზღუდვებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე შედეგს) სოციალურ მოდელზე გადასვლას უწყობს ხელს.¹⁰ სოციალური მოდელის CRPD-ის ვერსიით, შეზღუდული შესაძლებლობა განიხილება, როგორც ურთიერთქმედება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებსა და საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ დაბრკოლებებს შორის (ფიზიკური დაბრკოლებები, ასევე სამართლებრივი და ქცევითი ბარიერები და სხვ.).¹¹

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია აღიარებს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორუფლებიანობას, რომ იცხოვრონ დამოუკიდებლად, ჩართულნი იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჰქონდეთ არჩევანისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის უფლება. კონვენციას საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებათა უმთავრესი პრინციპი, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია თანასწორი ღირსებითა და უფლებებით და ყველას სიცოცხლეს აქვს თანაბარი ღირებულება.¹²

CRPD ნევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით/გაძლიერებით, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებამოსილებების პრაქტიკების შეცვლით.¹³

თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ადამიანის უფლებათა ყველა შეთანხმების ფუნდამენტური ნაწილია. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას არასრული სიით მოცემული სხვადასხვა ნიშნით და საფუძვლად უდევს CRPD-ის მე-5 მუხლს.¹⁴

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული განმარტების საფუძველზე შეიძლება გონივრული მისადაგების პრინციპის უზრუნველყოფის ძირითადი მახასიათებლების შეჯამება: ა) ბარიერების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ შეზღუდული შე-

⁹ Waddington L., Andrea Broderick A., Poulos A., *Disability Law and Reasonable Accommodation Beyond Employment, A Legal Analysis of the Situation in EU Member States*, European Commission, B-1049 Brussels, 2016, 47.

¹⁰ ბროდერიკი ა., გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 2017, 16.

¹¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრეამბულის “e” ქვეპუნქტი.

¹² Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 5 (2017) on Living Independently and Being Included in the Community, CRPD/C/GC/5, 2017, 1.

¹³ Ferri D., *Reasonable Accommodation as a Gateway to the Equal Enjoyment of Human Rights: From New York to Strasbourg*, 2018, 40-50.

¹⁴ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 6 (2018) on Equality and Nondiscrimination, CRPD/C/GC/6, 2018, 2.

საძლებლობის მქონე პითა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე; ბ) ცვლილებების ან კორექტირებების განხორციელება, რომლებიც შესაბამის პასუხისმგებელ პირს არაპროპორციულ ან ზედმეტ ტვირთს არ აკისრებს; გ) თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სხვებთან თანაბრად ადამიანის უფლებებით სარგებლობის გზით.¹⁵

თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა კონვენციის ძირითადი ნაწილია და მის არსებით მუხლებში მუდმივად მეორდება შემდეგი ფორმულირებით: „სხვების თანასწორად“. ეს ფორმულირება კონვენციის არსებით მუხლებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპთან აკავშირებს.¹⁶

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა არის ერთ-ერთი სახის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, რომელსაც მოიცავს CRPD. ამგვარი დისკრიმინაციის განმარტება და ტესტი არ ემთხვევა დისკრიმინაციის სხვა ფორმებს.¹⁷ კონვენციის მიხედვით, გონივრული მისადაგება გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ ან გაუმართლებელ სირთულეებს.¹⁸

ხაზი უნდა გაესვას გონივრული მისადაგების განსაზღვრების სამ არსებით კომპონენტს, რომელიც CRPD-ის მე-2 მუხლში არის მოცემული. პირველ რიგში ის ფაქტი, რომ განხორცილებული ცვლილებები და კორექტირება უნდა იყოს „აუცილებელი და სათანადო“, რათა აღმოფხვრილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე მდგარი არახელსაყრელი პირობები. მეორე, გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული მოდიფიკაციით ან კორექტირებით გამოწვეული ტვირთი და მესამე, ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვებს „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“, რადგან ეს ხაზს უსვამს გონივრული მისადაგების მოვალეობის ინდივიდუალურ ხასიათს.¹⁹

CRPD გონივრული მისადაგების პრინციპს პირდაპირ აერთიანებს თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპში.²⁰ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „გონივრულ მისადაგებაზე უარი“ დისკრიმინაციაა, თუ არ არის მიღებული შესაბამისი მოდიფიკაციები და კორექტივები (რომელიც „არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს“) და აუცილებელია ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით თანაბარი სარგებლობისათვის. თანმხლები პირისთვის

¹⁵ Waddington L., Broderick A., Poulos A., Disability Law and Reasonable Accommodation Beyond Employment, A Legal Analysis of the Situation in EU Member States, European Commission, B-1049 Brussels, 2016, 47.

¹⁶ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 6 (2018) on Equality and Nondiscrimination, CRPD/C/GC/6, 2018, 2.

¹⁷ ბროდერიკი ა., გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 2017, 15.

¹⁸ გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ტერმინთა განმარტება;

¹⁹ იქვე, 17.

²⁰ Ferri D., Reasonable Accommodation as a Gateway to the Equal Enjoyment of Human Rights: From New York to Strasbourg, 2018, 40–50.

უარის თქმა, ან შშმ პირისთვის სხვა ფორმით მისადაგება, გონივრულ მისადაგებაზე უარის მაგალითებია.²¹

CRPD-ის მე-2 და მე-5 მუხლების გარდა, გონივრული მისადაგების პრინციპი ნათლად არის ნახსენები კონვენციის სხვა დებულებებშიც, მაგალითად, 24-ე მუხლში, რომელიც განათლების უფლებას ეხება და ასევე 27-ე მუხლში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომასა და დასაქმების უფლების რეალიზებას მოიცავს. ასევე, კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მათთვის ნევრი სახელმწიფოს მხრიდან გონივრული მისადაგების პრინციპის უზრუნველყოფის ვალდებულებას ითვალისწინებს.

გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობების კონტექსტში დისკრიმინაციის დაუშვებლობის დაუყოვნებლივი ვალდებულების არსებითი ნაწილია. გონივრული მისადაგების მაგალითებია: არსებული ობიექტებისა და ინფორმაციის მისაწვდომობა შშმ პირისათვის; მონყობილობების შეცვლა; აქტივობების რეორგანიზაცია; სამუშაოების ხელახალი გრაფიკის შედგენა; სასწავლო მასალისა და სწავლების სტრატეგიების მისადაგება; სამედიცინო პროცედურის მისადაგება; დამხმარე პერსონალის წვდომა დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეების გარეშე და სხვა პირებისგან თანაბრად უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა რეალიზებას.²² გონივრული მისადაგების პრინციპის დამტკიცება ხდება ცალკეული შემთხვევების შესაბამისად, თანასწორობის უზრუნველსაყოფად და წარმოადგენს ინდივიდუალური უფლებების განუყოფელ ნაწილს. ის ინდივიდუალური საჭიროებებისა და არსებული ბარიერების აღმოფხვრისკენ არის მიმართული.²³

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ გონივრული მისადაგების პრინციპი ზოგადი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმი არ არის,²⁴ ვინაიდან ის მიმართულია არა პირთა წრის მიმართ, არამედ კონკრეტული პირის საჭიროებისაკენ, რათა აღმოიფხვრას ის ბარიერები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უფლებების რეალიზებაში აბრკოლებენ. აღნიშნული უფლების მიმართ პროგრესული რეალიზების ვალდებულება არ მოქმედებს და მას მყისიერი ხასიათი აქვს.

გონივრული მისადაგების ვალდებულება, რომელსაც კონვენციის მე-2 და მე-5 მუხლები ითვალისწინებს, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი აწესებს პოზიტიურ სამართლებრივ ვალდებულებას ისეთი გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე, რომელიც კონკრეტულ შემთხვევებში აუცილებელი და სათანადო მოდიფიკაციებისა და კორექტივების მიღებას გულისხმობს, კერძოდ, როდესაც შშმ პირს

²¹ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 6 (2018) on equality and nondiscrimination, CRPD/C/GC/6, 2018, 5.

²² გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მე-2 მუხლი.

²³ Hirschberg M., Papadopoulos Ch., "Reasonable Accommodation" and "Accessibility": Human Rights Instruments Relating to Inclusion and Exclusion in the Labor Market, 2016, 6.

²⁴ შრომით ურთიერთობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით გონივრული მისადაგება (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019, 7;

საკუთარი უფლებებით სარგებლობისათვის ისინი აუცილებლად ესაჭიროება. ამ ვალდებულების მეორე ნაწილი უზრუნველყოფს, რომ გონივრული მისადაგება ვალდებულების მქონე პირს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს არ აკისრებდეს.²⁵ ამ უფლების რეალიზებამ დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეები არ უნდა გამოიწვიოს და ვალდებულების შემსრულებლისთვის არაპროპორციული (მძიმე) ტვირთი არ უნდა იყოს. ამასთანავე, კონვენციის სტანდარტის მიხედვით, გონივრული მისადაგების პრინციპმა თვითონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამატებითი ხარჯის დაკისრება არ უნდა გამოიწვიოს.²⁶

III. გონივრული მისადაგების ვალდებულების წარმოშობის პერიოდი

ხშირია დისკუსია გონივრული მისადაგების ვალდებულების წარმოშობასთან დაკავშირებით, მაგალითად, კონკრეტულად როდის წარმოეშობა დამსაქმებელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულის მიმართ მისადაგების ვალდებულება? არის თუ არა დამსაქმებელი ვალდებული, წინასწარ მოეთათბიროს დასაქმებულს მისადაგების საკითხთან დაკავშირებით? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირი სამართლებრივი მოთხოვნა ევროკავშირის სახელმწიფოების უმრავლესობაში არ არსებობს. თუმცა ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა დანია, დიდი ბრიტანეთი და ნორვეგია, შიდა კანონმდებლობა, პრაქტიკის კოდექსები ან პრეცედენტული სამართალი პირდაპირ განსაზღვრავს მსგავს ვალდებულებას.²⁷ ამასთანავე, კომიტეტის განმარტებით, გონივრული მისადაგების ვალდებულება მოქმედებს ინყებს მას შემდეგ, რაც შესაბამისი შშმ პირი ვალდებულების ადრესატს მისადაგების უზრუნველყოფის მიზნით მიმართავს, და, მეორე მხრივ, როდესაც დამსაქმებელს უნდა გაეაზრებინა ამგვარი საჭიროება.²⁸ რაც შეეხება ევროკავშირის დირექტივას, იურისტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ დირექტივა მიუთითებს და ავალდებულებს დასაქმებულს, თავად შეატყობინოს დამსაქმებელს იმ ბარიერების აღმოფხვრის თაბაზე, რომელიც მას სამუშაო სივრცეში გადაადგილებაში ხელს უშლის. იურისტთა მეორე ნაწილი კი მიუთითებს, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაციის კონცეფცია, რომელიც მოცემულია დირექტივაში, დამსაქმებელს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნას პირდაპირ უნესებს.²⁹

²⁵ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 6 (2018) on Equality and Nondiscrimination, CRPD/C/GC/6, 2018, 7.

²⁶ General comment No. 4 on the right to inclusive education, Committee on the Rights of Persons with Disabilities, 2016, 17.

²⁷ ფერრი დ., ლოუსონი ა., გონივრული მისადაგება შშმ პირებისთვის დასაქმების სფეროში: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ისლანდიაში, ლიხტენშტეინსა და ნორვეგიაში არსებული სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი (ევროპის კომისია), 2006, 79.

²⁸ General Comment No. 6 on Equality and Nondiscrimination, Committee on the Rights of Persons with Disabilities, 2018, para. 24; General comment No. 5 on living independently and being included in the community, Committee on the Rights of Persons with Disabilities, 2017, 46.

²⁹ Bell M., Waddington L., The Employment Equality Directive and supporting people with Psychosocial Disabilities in the Workplace: A Legal Analysis of the Situation in the EU Member States, European Union, 2016, 82.

ვალდებულების წარმოშობასთან დაკავშირებით, ქვეყნების კანონმდებლობა და გამოცდილება განსხვავებულია. მაგალითად, ნიდერლანდების კანონმდებლობის თანახმად, დამსაქმებელს მხოლოდ მაშინ წარმოეშობა გონივრული მისადაგების ვალდებულება, თუ აღნიშნულის თაობაზე დასაქმებული შეატყობინებს.³⁰ მსგავს ჩანაწერს ვხვდებით კვიპროსის, პოლონეთისა და ესპანეთის ეროვნულ კანონმდებლობაში.³¹ დანიის, ირლანდიისა და ფინეთის ეროვნულმა სასამართლოებმა განმარტეს, რომ დასაქმებული ვალდებულია დამსაქმებელს შეატყობინოს როგორც თავისი შესაძლებლობის შეზღუდვის, ისე მასთან დაკავშირებული გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენების თაობაზე. დამსაქმებელს მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ წარმოეშობა მისადაგების ვალდებულება.³²

IV. გონივრული მისადაგების ფორმა

გამომდინარე იქიდან, რომ გონივრული მისადაგების პრინციპი ინდივიდის ყოველი კონკრეტული საჭიროებისაკენ არის მიმართული, მისი ერთიანი ფორმის განსაზღვრა შეუძლებელია. CRPD კომიტეტმა დაადასტურა, რომ გონივრული მისადაგების ფორმულა „არ არსებობს“. ³³ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, გონივრულ მისადაგებას ორ ძირითად კატეგორიად ჰყოფენ – ტექნიკურ და ორგანიზაციულ კატეგორიებად. ტექნიკურ კატეგორიაში იგულისხმება დამხმარე მოწყობილობები ან სხვა სახის მისადაგება სამუშაო ადგილზე, ხოლო ორგანიზაციულ კატეგორიაში განისაზღვრება ორგანიზაციული მექანიზმები, როგორცაა სამუშაო საათების კორექტირება, მოვალეობების ხელახალი გადანაწილება და ა.შ.³⁴ ამასთანავე, ტექნიკური მისადაგების ნაწილში აღსანიშნავია საფრანგეთის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომელმაც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ტექნიკურ მისადაგებად მოიაზრა დასაქმების ადგილამდე ტრანსპორტირების ვალდებულება.³⁵

იმის დასადგენად, თუ რა არის გონივრული მისადაგება და შეესაბამება თუ არა ის კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დამსაქმებლის მოთხოვნებს, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს განმცხადებლის – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომლის მოთხოვნა. ყოველი კონკრეტული შემთხვევა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს დასაქმებულის შეზღუდული შესაძლებ-

³⁰ European Network of Legal Experts in Gender Equality and Non-Discrimination, Reasonable Accommodation for Disabled People in Employment Contexts, European Commission, 2016, 68-69.

³¹ იქვე, 83.

³² იქვე, 85.

³³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, „თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა CRPD-ის მე-5 მუხლში“, გაეროს დოკუმენტი, A/HRC/34/26, 2010, 28-ე ქვეთავი.

³⁴ ფერი დ., ლოუსონი ა., გონივრული მისადაგება შშმ პირებისთვის დასაქმების სფეროში: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ისლანდიაში, ლიხტენშტეინსა და ნორვეგიაში არსებულ სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი (ევროპის კომისია), 2006, 10;

³⁵ Reasonable Accommodation for Disabled People in Employment Contexts, European Network of Legal Experts in Gender Equality and Non-Discrimination, European Commission, 2017, 71.

ლობა მის მიერ სამუშაოს შესრულების უნარზე და იმ გარემოზე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მუშაობენ.³⁶ ზოგადად კი, დასაქმების ადგილზე გონივრული მისადაგების პრინციპი მოიცავს შემდეგ საკითხებს: სამუშაო ამოცანების შეცვლა და მისადაგება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკინგით უზრუნველყოფა; სამუშაო სივრცის მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულის საჭიროებებისადმი; სამუშაო და სასწავლო მატერიალების მოდიფიცირება და მისადაგება; მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემუშავება და ა.შ.³⁷

აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ გონივრული მისადაგების შესაბამისი ღონისძიებების შერჩევის მთავრი კრიტერიუმი არის მისი ინდივიდუალობა. ის უნდა შეესაბამებოდეს, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესებსა და, მეორე მხრივ, დამსაქმებლის შესაძლებლობებს შორის ბალანსს.³⁸

V. დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაცია 2013 წლის 26 დეკემბერს განახორციელდა. შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შშმ პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

გონივრული მისადაგება CRPD-ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს და მის გათვალისწინებაზე უარის თქმას დისკრიმინაციის სახედ განიხილავს. გონივრული მისადაგება აუცილებელია და შესაბამისად, კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში ჩასატარებელია სათანადო მოდიფიკაცია და კორექტირება, რომელიც თითოეულ შშმ პირს მათი უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობით უზრუნველყოფს. ამდენად, აუცილებელია, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ უზრუნველყოს კონკრეტული სამართლებრივი გარანტიები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციური პრინციპების დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწის მუდმივი პროცესის უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებათა სტანდარტების განვითარებასთან ერთად სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადაპტირება ახალ რეალობასა და გამოწვევებთან.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანი პროგრესი განხორციელდა. მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ქვეყნის შიდა კანონმდებლობის საერთა-

³⁶ Reasonable Accommodations in the Workplace, ADA National Network, par. 6. <<https://adata.org/factsheet/reasonable-accommodations-workplace>> [06.11.2021].

³⁷ იქვე, par. 7.

³⁸ ბროდერიკი ა., გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 2017, 18-19.

შორისო სტანდარტებთან დაახლოებისკენ გადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული კანონით დამკვიდრდა გონივრული მისადაგების პრინციპი. კანონი გონივრულ მისადაგებაზე უარს განმარტავს, როგორც დისკრიმინაციას. საკანონმდებლო განმარტების მიხედვით, აღნიშნული პრინციპი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ იწვევს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და სხვებთან თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ტერმინის განსაზღვრისას არ არის განჭვრეტადი, თუ რა იგულისხმება აუცილებელ და შესაფერის ცვლილებებში.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ როგორც სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციებითა თუ სხვადასხვა კვლევით გამოიკვეთა, საკანონმდებლო დონეზე გონივრული მისადაგების განერის მიუხედავად, გონივრული მისადაგების შესრულების კუთხით გამონვევები მაინც არსებობს და აუცილებელია სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციული დამოკიდებულებისგან დაცვისა და CRPD-ის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.

აუცილებელია, რომ ეროვნული კანონმდებლობით შეიქმნას თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საჭიროებებიდან გამომდინარე ინდივიდუალური შეფასების პროცედურები და, შესაბამისად, მისი პრაქტიკაში იმპლემენტაციის მძლავრი საკანონმდებლო ბერკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას.

PRINCIPLE OF REASONABLE ACCOMMODATION ACCORDING THE UNITED NATIONS CONVENTION ON THE RIGHTS OF THE PERSONS WITH DISABILITIES (UNCRPD)

Abstract

After decades of work at 13 December of 2006 UN enacted 'convention on right of people with disabilities' (CRPD) which entered into force on 3 of May of 2008. CRPD is one of the most important international documents, which raised the question of disabled people's rights and wellbeing. To protect disabled people's rights CRPD implements modern approaches.

The CRPD covers an important issue such as the principle of reasonable accommodation. Convention treats denial of principles of reasonable accommodation as a type of discrimination and differs it from any other types of discrimination. Responsibility for reasonable accommodation is an integral part of social model.

This article discusses a new type of discrimination - Refuse to provide reasonable accommodation in the context of CRPD. It also analyzes the form and origin of reasonable accommodation.

Keywords: Person with Disabilities, Reasonable Accommodation, UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; Human Rights; Discrimination; Equality.

* Ph.D. Candidate at the Caucasus University; Ministry of Justice of Georgia. orcid.org/0000-0001-6346-1427

საჯარო მმართველობა

პრივატიზაცია, როგორც საჯარო მმართველობის შემაღგენელი ფუნდამენტური ელემენტი

I. შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში სოციალისტური მეურნეობის სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმების ცენტრალურ მიმართულებად მიჩნეულ იქნა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია.

მე-20 საუკუნის ოთხმოცდანი წლებიდან ჩამოყალიბდა „მოქნილი სახელმწიფოს“¹ იდეა, რომლის თანახმად, თანამედროვე სახელმწიფო მმართველობა ორიენტირებულია მენეჯმენტსა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფაზე, დეცენტრალიზებულმა მენეჯმენტმა თანდათან ჩაანაცვლა მართვის ზეცენტრალიზებული, იერარქიული სტრუქტურები.² ახალი საჯარო ადმინისტრაციის კონცეფციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაციას.

სტატიის მიზანია, განიხილოს პრივატიზაცია საჯარო მმართველობის, როგორც საჯარო ამოცანების „დერეგულირების“³ და სახელმწიფო ქონების გასხვისების კუთხით. სტატიაში განმარტებულია პრივატიზაციის არსი, გადმოცემულია ის კრიტერიუმები, რომელთა არსებობა საჯარო მმართველობის განმახორციელებელმა სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს. ნაშრომში, ასევე, ყურადღება ეთმობა საჯარო ამოცანათა პრივატიზების სახეებს და მათ მნიშვნელობას თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც მმართველი სახელმწიფოს, „ლეგალური ბატონობის“ ასპექტში. ვინაიდან, პრივატიზაცია წარმოუდგენელია სახელმწიფო ქონების განკერძოების გარეშე, სტატიაში მიმოხილულია სახელმწიფო ქონების განკერძოების ტიპები, სახეები და საქართველოში პრივატიზების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

II. საჯარო მმართველობის ცნება

1. საჯარო მმართველობის ადმინისტრაციულსამართლებრივი მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდ-

* დოქტორანტი (თსუ), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პრივატიზების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი. orcid.org/0000-0003-2726-5087

¹ იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, 93.

² ხუბუა გ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ადმინისტრაციულ მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 35.

³ დეტალურად ტერმინის შესახებ იხ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 155.

ნობით“. აღნიშნული დებულება განამტკიცებს ძალაუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ძალაუფლებად გამიჯვნას და პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. „ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მიმართულია სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაციისა და ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისკენ. სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება სახელისუფლებო ძალაუფლების უზურპირების პრევენცია, უზენაესი და წარუვალი კონსტიტუციური ღირებულების – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ხელისუფლების ამგვარი ფორმით განხორციელება შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალურ დანაწილებას უზრუნველყოფს. ხელისუფლების დანაწილების პირობებში შესაძლებელი ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მაქსიმალურად კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად მიღება. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური და სამართლიანი მართვის წინა პირობაა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც კომპეტენტური არიან თავიანთი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით“.⁴

„სახელმწიფო ქმნის თითოეული მოქალაქის არსებობისათვის აუცილებელ გარემოს. თანამედროვე სამყაროში იზრდება მოქალაქის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, რაც იწვევს სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციების ზრდას. საჯარო მმართველობა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს, როგორცაა მართლწესრიგის დაცვა, სოციალური სფერო, განათლება, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და ა.შ.“⁵

საჯარო მმართველობის უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს და იგი ცნების ორგანიზაციულ, მატერიალურ და ფორმალურ გაგებას ეფუძნება. ორგანიზაციული გაგებით, საჯარო მმართველობა არის „სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა და დაწესებულებათა ერთობლიობა, რაც ადამიანებისა და ნივთების სახით ვლინდება და რისი საშუალებითაც ხორციელდება საჯარო მმართველობა“⁶. უფრო ზუსტად, საჯარო მმართველობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ გაგებაში მოიაზრება აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობა.

საჯარო მმართველობის მატერიალური გაგება დაკავშირებულია ოტო მაიერის ე.წ. სუბსტრაციის პრინციპთან, რომლის თანახმად, „მმართველობა არის სახელმ-

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II.პ. 2-3.

⁵ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, კომენტარები, ე. ქარდავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 9.

⁶ ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 49.

ნიფოს საქმიანობა თავისი მიზნების განსახორციელებლად, რომელიც არც კანონ-შემოქმედებაა და არც მართლმსაჯულება“⁷. თუმცა აღნიშნული განმარტება არა-სრულყოფილია, რადგან მასში არაა გათვალისწინებული რიგი მმართველობითი ღონისძიებები, რომლებიც არ მიეკუთვნება ხელისუფლების არცერთ კლასიკურ შტოს.⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა ე.წ. ახალი სუბსტრაციის ფორმულა, რომლის თანახმად „საჯარო მმართველობა მატერიალური გაგებით გულისხმობს სახელმწიფოს ისეთ საქმიანობას, რომელიც არც კანონშემოქმედებასა და მართლმსაჯულებას და არც მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებს მიეკუთვნება“⁹.

საჯარო მმართველობის ფორმალური გაგება მოიცავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც გულისხმობს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას კანონმდებლობის საფუძველზე.¹⁰ საჯარო მმართველობის ფორმალური გაგება, მთავრობის გარდა, ასევე, მოიცავს საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებს. როგორც ნესი, ეს ორგანოები მმართველობით საქმიანობას არ ახორციელებენ. ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისას, გამონაკლისის სახით, ისინი იყენებენ საქმიანობის ისეთ ფორმას, როგორც არის ადმინისტრაციული აქტი. სწორედ ამის გათვალისწინებით ექვევნი ისინი ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ქვეშ.¹¹

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საჯარო მმართველობის ცნების ყველა ზემოაღნიშნული განმარტება არასრულია და ბოლომდე ვერ აღწერს მის ადმინისტრაციულსამართლებრივ მნიშვნელობას. მასში არ არის გადმოცემული ახალი საჯარო მართვის ისეთი ელემენტები, როგორცაა პრივატიცაზია, ახალი საჯარო მენეჯმენტი (NPM), „მოდერნიზაცია PPP-ის ფარგლებში“¹². „რეალურ სამყაროში“ ფუნქციონირებადი საჯარო მმართველობის უზოგადესი აღწერის შესაძლებლობას იძლევა საჯარო მმართველობის ის ტიპური ნიშნები, რომლებიც მას ახასიათებს:¹³

1. ფორმალურად მკაცრად ორგანიზებული ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ინსტიტუციურ (საჯარო მმართველობა მატე-

⁷ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 15.

⁸ Maurer W., Allgemeines Verwaltungsrecht, 17. Aufl., 2009, §1, Rn. 5-6.

⁹ ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალიევილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 50.

¹⁰ შეად., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ მოიაზრება ნებისმიერი სხვა პირის საქმიანობა, რომელიც დელეგირების საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.

¹¹ კოპალიევილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 142-143.

¹² ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ადმინისტრაციულ მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 67.

¹³ იქვე.

რიალური გაგებით)¹⁴, ისე პროცედურულ ნაწილებს (ვებერის ბიუროკრატიული მოდელი – ლეგალური ბატონობა¹⁵);

2. საჯარო მმართველობა შეიძლება განხორციელდეს ორგანიზაციული მოწყობის საჯარო და კერძოსამართლებრივი ფორმებით. კერძოსამართლებრივი ფორმით მოქმედი საჯარო მმართველობა ექცევა მმართველობის ფუნქციურ გაგებაში¹⁶;
3. საჯარო მმართველობა იგივე „სოციალური მმართველი სახელმწიფო“¹⁷;
4. საჯარო მმართველობა კონკრეტული შემთხვევის მონესრიგებასა და კონკრეტული ღონისძიებების გატარებაში გამოიხატება.¹⁸

III. პრივატიზაციის ცნება

1. საჯარო ამოცანათა პრივატიზაცია

საჯარო მმართველობის განვითარებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მოქმედების ფარგლების გადახედვა და შეზღუდვა, საბაზრო მექანიზმების გაძლიერება, კონკურენციის ნახალისება და მოქალაქის, როგორც მომხმარებლის, კონცეფციის დანერგვა.¹⁹ საჯარო მმართველობის რეფორმა, როგორც მენეჯერული ინსტრუმენტების კერძო სექტორში გადატანა, საჯარო ფუნქციების პრივატიზება, ახალი საჯარო მმართველობის ფუნდამენტური ნაწილია.²⁰

პრივატიზების ცნებასთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ცნების ჩამოყალიბებისას აქცენტი კეთდება სხვადასხვა მიმართულებით: „საჯარო ამოცანების გადაცემა კერძო სექტორისათვის“, „საბაზრო ეკონომიკის წესების შემოტანა საჯარო სექტორში“ თუ „საჯარო ქონების გადაცემა კერძო სექტორისათვის“.²¹ პრივატიზაცია მოქმედებაა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს როლის

¹⁴ იხ. ზემოთ საჯარო მმართველობის მატერიალური მნიშვნელობა.

¹⁵ მაქს ვებერი თავის ნაშრომში „ეკონომიკა და საზოგადოება“ საჯარო მმართველობის იდეალურ ტიპად ახასიათებს ბიუროკრაციას. იგი გამოჰყოფს თანამედროვე მმართველობისთვის დამახასიათებელ ლეგალურ ბატონობას, რომელიც საკანონმდებლო წესრიგის აღსრულებას წინასწარ დადგენილი წესების დაცვით ახდენს, იხ. Franz Th., Einführung in die Verwaltungswissenschaft, 2013, 25 f.

¹⁶ დეტალურად იხ. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 33-35.

¹⁷ „საჯარო მმართველობა, როგორც სოციალური მმართველი სახელმწიფო, ორიენტირებულია საჯარო ინტერესებზე. უკანასკნელი, როგორც წესი, არ არის რალაც ფიქსირებული ღირებულება, არამედ დროდადრო ხდება მისი ცვლილება და ახლებურად განსაზღვრა. შინაარსობრივი თვალსაზრისით, საჯარო ინტერესი ინდივიდუალურსაც მოიცავს: იგი ან ემსახურება კერძო ინტერესის რეალიზებას, ან კონფლიქტში შედის მასთან (კონფლიქტის შემთხვევაში მოქმედებს თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპები)“, იხ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ადმინისტრაციულ მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 69.

¹⁸ იქვე, 71.

¹⁹ კულმანი ს., ვოლმანი ჰ., შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში, ადმინისტრაციული სისტემები და რეფორმები ევროპაში, ნ. ცუხიშვილის და გ. ბესელიას თარგმანი, თბილისი, 2019, 47.

²⁰ იქვე, 8.

²¹ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 62.

შემცირებისკენ, კერძო სექტორის როლის ამალღებისაკენ საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ან აქტივების ფლობაში.²²

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, პრივატიზება განიშარტება, როგორც „სახელმწიფო ამოცანების ან/და ქონების გადაცემა კერძო სექტორისათვის“.²³ საჯარო ამოცანის გადაცემა კერძო სექტორისათვის ანუ სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის საჯარო ამოცანის განხორციელების პასუხისმგებლობის განაწილება დაშვებულია,²⁴ რამდენადაც საჯარო ამოცანა საზოგადოების კეთილდღეობისაკენაა მიმართული, არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ იგი სახელმწიფოს მიერ უნდა შესრულდეს, სრულიად შესაძლებელია კერძო პირმა შესრულოს.²⁵

სახელმწიფო ამოცანათა გადაცემა კერძო სექტორში განიხილება მატერიალური და ფორმალური პრივატიზაციის გზით. ფორმალური პრივატიზაცია მიზნად ისახავს სახელმწიფო მართვის სრულყოფას და მისი მოქნილობის ზრდას თავისი ფუნქციების შესრულებისას.²⁶ ფორმალური პრივატიზაცია მიმართულია განსახელმწიფოებრიობისკენ, რომელიც ზეგავლენას თავად ფუნქციაზე არ ახდენს.²⁷ ე.ი. კონკრეტული საქმიანობა რჩება სახელმწიფო საქმიანობად და მისი შესრულების ვალდებულება სახელმწიფოს პასუხისმგებლობაშია, ხოლო კერძო პირს მხოლოდ განხორციელება ევალება. ფორმალური პრივატიზაციის მაგალითებია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების შემოწმების უფლების კერძო კომპანიებისათვის გადაცემა, მუნიციპალურ დონეზე სატრანსპორტო მომსახურება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, დასუფთავება და ა.შ. დასახელებულ საქმიანობას მუნიციპალური ორგანოები ახორციელებენ კერძო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით.

მატერიალური პრივატიზაცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ საჯარო ამოცანებზე უარის თქმას (ე.წ. საჯარო ამოცანების პრივატიზაცია²⁸). საჯარო ამოცანაში მოიაზრება ისეთი ამოცანა, რომელშიც განსაკუთრებული საჯარო (საზოგადოებრივი) ინტერესების შესრულება მოიაზრება.²⁹

მატერიალური პრივატიზაციისას საჯარო მმართველობა კერძო სექტორის მეშვეობით ხორციელდება. ამ დროს, განსხვავებით ფორმალური პრივატიზაციისგან, იცვლება როგორც სამართლებრივი ფორმა, ისე „საჯარო ამოცანათა საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ განხორციელების უფლებამოსილების გადაცემა ხდე-

²² Penfortis J.L., „Le France du droit“ en France par Pollina, 1998, 35.

²³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 62.

²⁴ ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ნიგნში: ადმინისტრაციულ მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 158.

²⁵ Wimmer N., Dynamische Verwaltungslehre, 2. Aufl., 2010, 108.

²⁶ ადეიშვილი ზ., ვარდიშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 350.

²⁷ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 63.

²⁸ Privatisierung von Aufgaben des Hochwasserschutzes und der Umsetzung von Wasserbewirtschaftungszielen, Deutscher Bundestag, 2014, 9.

²⁹ ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ნიგნში: ადმინისტრაციულ მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 146.

ბა კერძო სექტორისათვის“³⁰. გერმანულ დოქტრინაში გავრცელებულია „მატერიალური პრივატიზაციის კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპი“³¹, რაც ნიშნავს სახელმწიფო რეგულირებას და „პასუხისმგებლობის გარანტიას“.³² მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ამოცანა საზოგადოების კეთილდღეობისკენაა მიმართული, არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად სახელმწიფოს მიერ უნდა შესრულდეს, არამედ შესაძლებელია, შესრულების ფუნქცია დელეგირების საფუძველზე გადაეცეს კერძო პირს, ხოლო საჯარო მმართველობის გამცემი სუბიექტი გამოვიდეს გარანტორი მმართველის როლში.³³

მატერიალური პრივატიზაცია ხდება ორგანიზაციული და ფუნქციური პრივატიზაციის ფორმით.³⁴ საჯარო ამოცანების ორგანიზაციული პრივატიზაცია წმინდა ფორმალური ხასიათისაა, როცა, მართალია, ამოცანის გადაცემა ხდება კერძო-მართლებრივად ორგანიზებული პირისთვის (მაგ., შპს), თუმცა მის შესრულებასა და უზრუნველყოფაზე (მათ შორის, ფინანსურზე) პასუხისმგებლობა კვლავ სახელმწიფოს რჩება.³⁵ ფუნქციური პრივატიზაციისას საჯარო ამოცანები სრულად გადაეცემა კერძო პირებს. ამ დროს საჯარო დაწესებულება უარს ამბობს როგორც საჯარო ამოცანის შესრულებაზე, ისე ამ ამოცანათა შესრულების უფლებამოსილებაზე. ფუნქციური პრივატიზაციისას საჯარო ამოცანების გადაცემა სავალდებულოდ ან ნებაყოფლობით (სამართლებრივი საფუძველი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ან კომერციულ/არაკომერციულ სუბიექტებს სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, როგორცაა: დათმობის, ლიზინგის ან საოპერაციო ხელშეკრულებები. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ფუნქციების ამგვარი გადაცემა მესამე მხარისთვის საჯარო ამოცანების შესრულებისას, მეტწილად გულისხმობს სახელშეკრულებო საჯარო-კერძო თანამშრომლობას, „აუთსორსინგს“, სუბკონტრაქციას, დელეგირებას და ა.შ.³⁶

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია

სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ნიშნავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, სანარმოების, ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად გაყიდვას, რაც მოიცავს საჯარო დაწესებულებებში კერძო ინვესტორების მონაწილეობას (მაგ., საჯარო და კერძო კომპანიების ნაწილის). სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია (დენაციონალიზაცია) არის საკუთრების სახალხო საკუთ-

³⁰ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 63.

³¹ Privatisierung von Aufgaben des Hochwasserschutzes und der Umsetzung von Wasserbewirtschaftungszielen, Deutscher Bundestag, 2014, 9.

³² იქვე.

³³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018, 18, 64-65.

³⁴ იქვე, 63.

³⁵ ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი, ადმინისტრაციულ მეცნიერების სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ. ყალიჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 158.

³⁶ კულმანი ს., ვოლმანი ჰ., შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში, ადმინისტრაციული სისტემები და რეფორმები ევროპაში, ნ. ცუხიშვილის და გ. ბესელიას თარგმანი, თბილისი, 2019, 205.

რებიდან კერძო მფლობელობაში ტრანსფორმაციის პროცესი ან რაიმე სამსახურის ან სერვისის მართვის სახელმწიფოდან კერძო სექტორში გადატანა.³⁷

გამოყოფენ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ზომიერად რადიკალურ, რადიკალურ და ევოლუციურ ტიპებს. ზომიერად რადიკალური ტიპი სწრაფი პრივატიზაციის განხორციელებასთან ერთად ინვესტიციებისა და სწრაფი მოდერნიზაციის შეთავსებას მოიაზრებს. რადიკალური ტიპი ითვალისწინებს სანარმოების რაც შეიძლება სწრაფად მიყიდვას კერძო პირებისათვის, მათ შორის, უცხოელი ინვესტორებისათვის (საქართველოში რადიკალური პრივატიზაციის ფორმით განხორციელდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება). ევოლუციური პრივატიზაციისას საკუთრების უფლებისა ნაწილდება სახელმწიფოსა და სანარმოებს შორის, ხდება სანარმოების კომერციალიზაცია, თვითდაფინანსებასა და თვითმართველობაზე გადასვლა სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების პირობებში.³⁸

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას გამოიყენებენ სხვადასხვა მიდგომას:

- სტიქიური პრივატიზაცია – სანარმოებისა და მათი აქტივების გაყიდვა ნომინალური ფასებით სანარმოში დასაქმებულებსა და მმართველებზე. მომგებიანი სანარმოები გაიცემა მათზე, ვინც დაკავშირებულია ამ სანარმოსთან, ვისაც აქვს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ და აუცილებელი კავშირები მასთან (უნგრეთი, პოლონეთი);
- აქტიური პრივატიზაცია – სტიქიური პრივატიზაციის ერთ-ერთი ალტერნატივა, რომლის დროსაც სანარმოების პრივატიზაცია საჯარო აუქციონის მეშვეობით ხდება;
- არაეფექტიან სანარმოთა უფასო გადაცემა – სახელმწიფო უფასოდ გადასცემს კერძო სექტორს იმ სანარმოებს, რომელთა ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია მსხვილი კაპიტალდაბანდებები. ხშირად ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს, თუ მყიდველმა თავისი ვალდებულებები გარკვეულ პერიოდში არ შეასრულა;
- საპრივატიზაციო ჩეკების (კუპონების, ვაუჩერების) სისტემა – უმეტესწილად აქტივების უფასო გადაცემა ითვალისწინებს მოქალაქეებს შორის საპრივატიზაციო ჩეკების განაწილებას, რომელთა გამოყენება შეიძლება საპრივატიზაციო სანარმოს ინვესტირებისათვის;
- „შიდა“ და „გარე“ პრივატიზაცია – „შიდა“ პრივატიზაცია ითვალისწინებს საკუთრების გაყიდვას ან გადაცემას სანარმოს მუშებისა და მმართველებისთვის. „გარე“ პრივატიზაცია არის კომპანიების აქციების გაყიდვა ან გადაცემა მათთვის, ვინც ამ სანარმოში არ მუშაობს;
- პასიური პრივატიზაცია – როდესაც სახელმწიფო სანარმო მინიმალურ ფასად ამავე სანარმოს მუშაკებსა და მენეჯერებს გადაეცემათ. ამასთან, არაეფექტიანი სანარმო ამავე სანარმოს მუშაკთა მფლობელობაში იჯარა-გამოსყიდვის წესით უსასყიდლოდ გადადის.;

³⁷ Nellis J., *Privatization and Enterprise Reform in Transition Economics*, Washington, 2002, 22.

³⁸ საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ზოგადი ანალიზი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა, თბილისი, 2005, 5-7.

- აქტიური პრივატიზაცია კი ნიშნავს, რომ ობიექტის ყიდვა-გაყიდვა აუქციონზე კომერციული ან საინვესტიციო ვალდებულებით ხდება.³⁹

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების მარეგულირებელ ძირითად აქტს წარმოადგენს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემულია პრივატიზების ცნების ლეგალური დეფინიცია. მოცემული კანონის თანახმად, პრივატიზება არის „ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე ნილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით“. იმავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა: ბ.ა) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ბ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებას (პირობით ან უპირობოდ) ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომლის უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით. სააგენტო სახელმწიფო ქონების განკარგვის/სარგებლობაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოებისას გადანყვეტილებას იღებს საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით და პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების რაციონალურ გამოყენებაზე.⁴⁰ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების/სარგებლობაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, ხოლო შესაბამის ინიციირებას საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად ამზადებს ქონების მმართველი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო), ხოლო ინიციირება⁴¹, თავის მხრივ, უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული.

³⁹ Encaoua D., Santini J.J., *Les Privatisations en France : éléments d'analyse et bilan*, Montréal, 1989, 25-28.

⁴⁰ დეტალურად იხ. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის „31“ მუხლი და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილება.

⁴¹ ინიციირება - რაიმე საკითხის წინ წამოწევა, საკუთარი ინიციატივით დღის წესრიგში დასმა, იხ. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი

<<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=18100>> [04.10.2021].

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი აქტივის თუ არამატერიალური ქონების პრივატიზება მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მაქსიმალურ გამჭვირვალობას. საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა და ღიაობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და მე-18 მუხლებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დაუშვებელია გადაწყვეტილებების მიღება ხელისუფლების აღმასრულებელი განშტოების მიერ, ნაკლებად გამჭვირვალე პროცედურების გზით, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაცილებით დაბალი ხარისხის პირობებში“⁴² „დემოკრატიული ლეგიტიმაცია მიიღწევა სწორედ გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების გზით, ინტერესთა და ბალანსების საფუძველზე“⁴³.

საჯარო სექტორის გამჭვირვალობასა და ღიაობას ორი ძირითადი სტრატეგიული მიზანი აქვს. პირველი, საჯარო ინფორმაციის მოპოვების თავისუფლებით დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება და მეორე, ხელისუფლების კონტროლი, განსაკუთრებით კი კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალების თვალსაზრისით,⁴⁴ რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და ეფექტური მუშაობა წარმოუდგენელია კერძო საკუთრების არსებობის გარეშე. ამის საფუძველი, კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ინვესტირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნასთან ერთად, სახელმწიფო ქონების განკერძოებაა. კერძო სექტორის წარმოშობა საქართველოში საკანონმდებლო წესით იყო უზრუნველყოფილი, ჯერ კიდევ „საკუთრების შესახებ“, ხოლო შემდეგ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონით, რამაც დიდი გასაქანი მისცა არა მხოლოდ არსებულ სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნას კერძო საწარმოებად, არამედ ახალ კერძო საწარმოთა გახსნასაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კერძო საკუთრების დამკვიდრება და გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა. პრივატიზება საქართველოში მიმდინარე საკმაოდ აქტუალური და საინტერესო პროცესია, მაგრამ იმისათვის, რომ არ მიიღოს სახელმწიფო ქონების მიტაცების სახე, აუცილებელია მისი კანონიერად და სწორად წარმართვა, ამისათვის კი საჭიროა: გამართული და ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა და კარგად გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკა.

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პ. 19.

⁴³ იქვე, პ. 6.

⁴⁴ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ე. ქარდავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 77.

IV. დასკვნა

პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი მიმდინარეობა გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის გამართულობას, ხელს უწყობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, წარმოებებისა და მომსახურე ობიექტების ამუშავებას, სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, არსებული სოციალური პრობლემების რამდენადმე მოგვარებას, მთლიანობაში კი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების შესაძლებლობას იძლევა.

სახელმწიფო ქონებისა და საჯარო ამოცანათა პრივატიზაცია ხელს უწყობს სამთავრობო დანახარჯების შემცირებას, ბიუჯეტში შემოსავლების გადიდებას, მთავრობის ფინანსური პრობლემების გადაწყვეტას, სახელმწიფო სექტორის მონოპოლიური მდგომარეობის შესუსტებას, კერძო საკუთრების ინსტიტუტის განმტკიცებას, კაპიტალის ბაზრის გაფართოებას, რენტაბელობის ამაღლებას, საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, რაც სოციალური სტაბილურობის გარანტია.

პრივატიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია სტაბილური გარემოს შექმნა, რომელიც დაეფუძნება საჯარო მმართველობის დემოკრატიის პრინციპებსა და გამართულ საკანონმდებლო ბაზას.

PRIVATIZATION AS A FUNDAMENTAL ELEMENT OF PUBLIC MANAGEMENT

Abstract

According Art. 4(3) of the Constitution of Georgia “State government is implemented based on the principle of separation of powers”. This statute strengthens separation of powers between different branches of government and provides the system of checks and balances. The new concept of public management (NPM) provides flexibility of public governance, transfer of public tasks or state property to the private sector. This delegation of state tasks and the denationalization of property is called privatization and its idea is to unload the state, rational use of state resources and stabilize governance with less cost.

Privatization as a new central institution of public governance, for the purposes of administrative law, is considered in a formal and material sense and material privatization is carried out in the form of organizational and functional privatization. The whole spectrum of privatization issues is presented in this article from this perspective, considering the forms of its implementation.

Keywords: Privatization, Public Governance, Denationalization, Disposal of State Property, New Public Management.

* Ph.D. Candidate (TSU), Assistant at Sul Khan-Saba Orbeliani University, Leading Specialist at LEPL National Agency of State Property, orcid.org/0000-0003-2726-5087

საჯარო სამსახური და საჯარო მოსამსახურე ევროკავშირში*

ინგლისურიდან თარგმნა გვანცა გუგეშაშვილმა**

1. საჯარო სამსახური და საჯარო თანამდებობის დაკავება ევროკავშირში

1.1. ადმინისტრაციული თანამდებობები ევროკავშირში

საჯარო მოსამსახურე ადმინისტრაციის მთავარი ადამიანური რესურსია.¹ ევროკავშირის დონეზე, საჯარო მოსამსახურის ან აგენტის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას ყოველი დაწესებულება იმ უფლებამოსილების ფარგლებში იღებს, რომელიც მას ევროკავშირის სახელმწიფო სამსახურის საკადრო რეგულაციით აქვს მინიჭებული. საჯარო მოსამსახურის დანიშვნის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს მისი დანიშვნის ძალაში შესვლის თარიღი. აღნიშნული თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს იმ თარიღს, როდესაც ის შეუდგა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. ევროკავშირის საჯარო მოსამსახურის დანიშვნა ან დანიშნაურება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ისეთი ვაკანტური თანამდებობის არსებობისას, რომელიც ზემოაღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებულ პირობებს შეესაბამება. დაწესებულების თანამშრომლებს უნდა მიენოდოს ინფორმაცია დაწესებულების შიგნით არსებული ნებისმიერი სახის ვაკანსიის შესახებ. თუკი ამავე დაწესებულების შინგით ვერ მოიძებნება ისეთი პირი, რომელსაც გადაყვანის, დანიშვნის ან დანიშნაურების გზით ექნებოდა ამ ვაკანტური თანამდებობის დაკავების უფლება, აღნიშნული ვაკანსიის არსებობის თაობაზე უნდა შეატყობინონ სხვა დაწესებულების თანამშრომლებს, რის შემდეგაც ტარდება შიდა კონკურსი.² საჯარო სამსახურის სახისა და დონის შესაბამისად, თანამდებობები იყოფა ორ ჯგუფად:

- ადმინისტრაციული თანამდებობების ჯგუფი (AD)
- დამხმარე თანამდებობების ჯგუფი (AST)

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებება, რომელიც აღნიშნულ რეგულაციაში 2004 წელს ევროკავშირის საბჭოს მხრიდან განხორციელდა და რომელიც ევროპელი საჯარო მოსამსახურეების კარიერას ეხება:

* თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Petru Tărchiță, Viorica Cornelia Grăjdeanu, Public Office and The Civil Servant in the European Union, Perspectives of Law and Public Administration Volume 8, Issue 1, May 2019, 89-99.

** სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მიშელ მუსხელის ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი. orcid.org/0000-0001-7474-6305

¹ Groza, A., The status of civil servants - between aspirations towards professional excellence and political interference, "Juridical Tribune - Tribuna Juridica", vol. 8, Issue 2, June 2018, p. 502.

² Fuerea, A., Drept comunitar European, Actami Publishing House, Bucharest, 2015, p. 162.

- ადმინისტრაციულ თანამდებობათა ჯგუფში შედის 12 სამსახურებრივი პოზიცია, რაც შეესაბამება ისეთ თანამდებობებს, რომლებიც ხელმძღვანელობითი, კონცეპტუალური, სასწავლო, ასევე, ლინგვისტური და სამეცნიერო ხასიათის საქმიანობათა განხორციელებას ითვალისწინებს;
- დამხმარე თანამდებობების ჯგუფში 12 სამსახურებრივი პოზიციას, რომელიც შეესაბამება ტექნიკურ და აღმასრულებელ/მენეჯერულ თანამდებობებს.

ორივე ჯგუფში შემავალი თანამდებობების დასაკავებლად დადგენილი მინიმალური მოთხოვნებია:

a) დამხმარე თანამდებობებისათვის:

- უმაღლესი განათლება, რომელიც დასტურდება დიპლომით ან
- საშუალო განათლება, რომელიც დასტურდება ისეთი დიპლომით, რომელიც უმაღლესი განათლების დონეზე სწავლის გაგრძელებას შესაძლებლობას იძლევა. ამასთან ერთად მოითხოვება მინიმუმ სამწლიანი პროფესიული გამოცდილება, ან
- პროფესიული გამოცდილება ან შესაბამისი დონის ტრენინგის გავლა, სამსახურებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში.

b) ადმინისტრაციული თანამდებობების ჯგუფის მე-5 და მე-6 სამსახურებრივი პოზიციებისთვის:

- განათლების დონე, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების სრული ციკლის მინიმუმ 3 წელიწადს და რომელიც დასტურდება დიპლომით ან
- სამსახურებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ეკვივალენტური დონის პროფესიული გამოცდილება

c) ადმინისტრაციული თანამდებობების ჯგუფის მე-7 და მე-16 სამსახურებრივი პოზიციებისთვის:

- განათლების დონე, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების სრულ ციკლს, როცა სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი ან უფრო მეტი;
- განათლების/სწავლის დონე, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების სრულ ციკლს და მინიმუმ ერთწლიანი პროფესიული გამოცდილება, როდესაც სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა მინიმუმ 3 წელია;
- სამსახურებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დონის პროფესიული გამოცდილება.

ქვემოთ მოცემულია რეგლამენტით განსაზღვრულ თანამდებობათა ორ ჯგუფში შემავალი სხვადასხვა თანამდებობის აღწერილობითი ცხრილი, რომლის გამოყენებაც, საკუთარი თანამდებობების და უფლებამოსილებების აღწერის მიზნით, თითოეულ დაწესებულებას შეუძლია.

ადმინისტრაციულ თანამდებობათა ჯგუფი			დამხმარე თანამდებობათა ჯგუფი
------------------------------------	--	--	------------------------------

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

აღმასრულებელი დირექტორი (CEO)	AD16		
აღმასრულებელი დირექტორი/მენეჯერი	AD15		
ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მენეჯერი/დეპარტამენტის უფროსი/მრჩეველი, ექსპერტი-ლინგვისტი/ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში/ ექსპერტი იურიდიულ საკითხებში/ სამედიცინო ექსპერტი/ ექსპერტი-ვეტერინარი/ ექსპერტი სამეცნიერო საკითხებში/ ექსპერტი-მკვლევარი/ ექსპერტი-ფინანსისტი/ ექსპერტ- აუდიტორი.	AD14		
ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მენეჯერი/დეპარტამენტის უფროსი/მრჩეველი, ექსპერტი-ლინგვისტი/ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში/ ექსპერტი იურიდიულ საკითხებში/ სამედიცინო ექსპერტი/ ექსპერტი-ვეტერინარი/ ექსპერტი სამეცნიერო საკითხებში/ ექსპერტი-მკვლევარი/ ექსპერტი-ფინანსისტი/ ექსპერტ- აუდიტორი.	AD13		
ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: დეპარტამენტის უფროსი/ მთავარი მთარგმნელი, მთავარი თარჯიმანი, მთავარი ეკონომისტი, მთავარი იურიდიული მრჩეველი, მთავარი ექიმი, მთავარი ინსპექტორ-ვეტერინარი, მთავარი სამეცნიერო მკვლევარი, მთავარი ფინანსური მენეჯერი, მთავარი აუდიტორი.	AD12		
ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ, შემდეგი თანამდებობები: უფროსი/მთავარი მთარგმნელი, მთავარი თარჯიმანი, მთავარი ეკონომისტი, მთავარი იურიდიული მრჩეველი, მთავარი ექიმი, მთავარი ინსპექტორ-	AD11	AST11	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: პირადი ასისტენტი (PA), მთავარი სავაჭრო კლერკი, მთავარი ტექნიკოსი, მთავარი კომპიუტერული ექსპერტი.

<p>ვეტერინარი, მთავარი სამეცნიერო მკვლევარი, მთავარი ფინანსური მენეჯერი, მთავარი აუდიტორი.</p>			
<p>ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: დეპარტამენტის მუდმივ შტატში მყოფი მთარგმნელი, მუდმივ შტატში მყოფი თარჯიმანი, მუდმივ შტატში მყოფი ეკონომისტი, მუდმივ შტატში მყოფი იურიდიული მრჩეველი, მუდმივ შტატში მყოფი ექიმი, მუდმივ შტატში მყოფი ინსპექტორ-ვეტერინარი, მუდმივ შტატში მყოფი სამეცნიერო მკვლევარი, მუდმივ შტატში მყოფი ფინანსური მენეჯერი, მუდმივ შტატში მყოფი აუდიტორი.</p>	<p>AD10</p>	<p>AST10</p>	<p>ასისტენტი, რომელსაც უკავია მაგ., შემდეგი თანამდებობები: პირადი ასისტენტი (PA), მთავარი სავაჭრო კლერკი, მთავარი ტექნიკოსი, მთავარი კომპიუტერული ექსპერტი.</p>
<p>ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: დეპარტამენტის უფროსი, მუდმივ შტატში მყოფი მთარგმნელი, მუდმივ შტატში მყოფი თარჯიმანი, მუდმივ შტატში მყოფი ეკონომისტი, მუდმივ შტატში მყოფი იურიდიული მრჩეველი, მუდმივ შტატში მყოფი ექიმი, მუდმივ შტატში მყოფი ინსპექტორ-ვეტერინარი, მუდმივ შტატში მყოფი სამეცნიერო მკვლევარი, მუდმივ შტატში მყოფი ფინანსური მენეჯერი, მუდმივ შტატში მყოფი აუდიტორი.</p>	<p>AD9</p>	<p>AST9</p>	<p>ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: პირადი ასისტენტი (PA), მთავარი სავაჭრო კლერკი, მთავარი ტექნიკოსი, მთავარი კომპიუტერული ექსპერტი.</p>
<p>ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მთარგმნელი, თარჯიმანი, იურიდიული მრჩეველი, ექიმი, ინსპექტორ-ვეტერინარი, სამეცნიერო მკვლევარი, ფინანსური მენეჯერი, აუდიტორი.</p>	<p>AD8</p>	<p>AST8</p>	<p>ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მუდმივ შტატში მყოფი კომერციული კლერკი, მუდმივ შტატში მყოფი დოკუმენტალისტი, მუდმივ შტატში მყოფი ტექნიკოსი.</p>
<p>ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მთარგმნელი, თარჯიმანი, იურიდიული მრჩეველი, ექიმი, ინსპექტორ-ვეტერინარი,</p>	<p>AD7</p>	<p>AST7</p>	<p>ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მუდმივ შტატში მყოფი კომერციული კლერკი,</p>

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

სამეცნიერო მკვლევარი, ფინანსური მენეჯერი, აუდიტორი.			მუდმივ შტატში მყოფი დოკუმენტალისტი, მუდმივ შტატში მყოფი ტექნიკოსი. ³
ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მთარგმნელის დამხმარე, თარჯიმნის დამხმარე, იურიდიული მრჩეველის ასისტენტი, ექიმის ასისტენტი, ინსპექტორ- ვეტერინარის ასისტენტი, მკვლევარის ასისტენტი, ფინანსური ადმინისტრატორის ასისტენტი, აუდიტორის ასისტენტი.	AD6	AST6	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მუდმივ შტატში მყოფი კომერციული კლერკი, მუდმივ შტატში მყოფი დოკუმენტალისტი, მუდმივ შტატში მყოფი ტექნიკოსი
ადმინისტრატორი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მთარგმნელის დამხმარე, თარჯიმნის დამხმარე, იურიდიული მრჩეველის ასისტენტი, ექიმის ასისტენტი, ინსპექტორ- ვეტერინარის ასისტენტი, მკვლევარის ასისტენტი, ფინანსური ადმინისტრატორის ასისტენტი, აუდიტორის ასისტენტი.	AD5	AST5	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: მუდმივ შტატში მყოფი კომერციული კლერკი, მუდმივ შტატში მყოფი დოკუმენტალისტი, მუდმივ შტატში მყოფი ტექნიკოსი
		AST4	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: კომერციული კლერკის დამხმარე, დოკუმენტალისტის დამხმარე, კომპიუტერული ექსპერტის დამხმარე.
		AST3	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: კომერციული კლერკის დამხმარე, დოკუმენტალისტის დამხმარე, კომპიუტერული ექსპერტის დამხმარე.
		AST2	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები:

³ Mazilu D., Drept comunitar, Lumina Lex Publishing House, Bucharest, 2005, p. 277.

			კლასიფიკაციის აგენტი, ტექნიკური დახმარების აგენტი, კომპიუტერული ექსპერტ-აგენტი, საპარლამენტო აღმასრულებელი.
		AST1	ასისტენტი, რომელსაც უკავია, მაგ., შემდეგი თანამდებობები: კლასიფიკაციის აგენტი, ტექნიკური დახმარების აგენტი, კომპიუტერული ექსპერტ-აგენტი, საპარლამენტო აღმასრულებელი.

ძალზე მნიშვნელოვანია ზემოხსენებული რეგლამენტის შინაარსის ზუსტად განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც, საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც თანამდებობის ერთი და იმავე ფგუფში ხვდებიან, თავიანთი კარიერის მანძილზე, სამსახურში მიღებისა და შემდგომი ეტაპობრივი განვითარების ერთნაირ პირობებს ექვემდებარებიან.⁴

1.2. პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ევროკავშირში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

დანესებულების მხრიდან სამსახურში მიღების პროცედურა კონკურსის ჩატარების გზით უნდა განხორციელდეს. კონკურსში მონაწილეობის მიღება უნდა შეძლონ საჯარო მოსამსახურეებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ცოდნისა და გამოცდილების, ქმედითობისა და კეთილსინდისიერების უმაღლეს კრიტერიუმებს და რომლებიც შერჩეულნი იქნებიან გეოგრაფიული მონაცემების ბაზების მიხედვით. ეს ბაზები საკმაოდ დიდია, რათა მოიცვას ევროკავშირის ყველა ნევრი ქვეყნის მოქალაქეები. ეს ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება რომელიმე თანამდებობა წინასწარ განისაზღვროს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქისათვის.

ევროპის საჯარო მოსამსახურის თანამდებობაზე დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- იყოს ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო არ ითხოვს ამ პირობის დაკმაყოფილებას.
- სარგებლობდეს სამოქალაქო უფლებებით;

⁴ Deaconu N., Constituirea Uniunii Europene, Lumina Lex Publishing House, Bucharest, 2009, p. 112.

- იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლოს სამხედრო სფეროში მოქმედი დასაქმების კანონების მოთხოვნათა დაკმაყოფილება;
- იძლეოდეს შესაბამის თანამდებობაზე მუშაობისათვის საჭირო ეთიკის ნესების დაცვის გარანტიას;
- იყოს რეგლამენტის დებულებების შესაბამისად ჩატარებული კონკურსის გამარჯვებული;
- მისი ფიზიკური მდგომარეობა შეესაბამებოდეს შესაბამის თანამდებობაზე მუშაობისათვის საჭირო პირობებს;
- კარგად იცოდეს და ფლობდეს (ევრო)კავშირის ერთ-ერთ (ოფიციალურ) ენას. გარდა ამისა, მან იმ დონეზე მაინც უნდა იცოდეს (ევრო)კავშირის მეორე ენა, რაც აუცილებელია მოცემულ თანამდებობაზე სამუშაოდ.

ვაკანტური ადგილის შევსება შეიძლება ერთ-ერთი შემდეგი გზით: სამუშაო ადგილის შეცვლა, დანიშვნა, დანიშნულება ან გადაყვანა შიდა კონკურსის გავლის შედეგად, რომელიც ჩატარდა შესაბამისი დანესებულების მიერ ზემოაღნიშნული რეგლამენტის დებულებების მიხედვით.⁵ აღნიშნულ პროცედურაში მონაწილეობის მიღების უფლება შეუძლია საჯარო მოსამსახურეთა რეზერვში ჩარიცხულ პირებსაც. სამსახურში მიღების კონკურსისაგან განსხვავებული პროცედურის გატარება შეუძლია იმ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის პირების დანიშვნა მაღალ თანამდებობებზე (AD 14, 15 და 16) ისევე, როგორც გამონაკლის შემთხვევაში ისეთ თანამდებობებზე დანიშვნა, რომელიც მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. თითოეულ შემთხვევაში დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო მოქმედებს ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე. ჟიური ადგენს სიას კანდიდატთა მონაცემების შესაბამისად, შემდგომ კი ირჩევს კანდიდატს ან კანდიდატებს, რომლის დანიშვნაც უნდა მოხდეს ვაკანტურ ადგილზე. სამსახურში მიღებულ მოხელეს მიენიჭება მისი რანგის შესაბამისი პირველი კლასი. დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, კანდიდატს, პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მისცეს ხელფასის დანამატი მაქსიმუმ 24 თვის განმავლობაში.

თანამდებობაზე დანიშვნამდე დასაქმების კანდიდატმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება; დანესებულების ექიმმა-კონსულტანტმა უნდა შეამოწმოს, კანდიდატი შეესაბამება თუ არა რეგულაციით დადგენილ პირობებს. უარყოფითი სამედიცინო დასკვნის არსებობის შემთხვევაში, კანდიდატს შეტყობინების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს სამედიცინო საბჭოს მიერ მისი საქმის შესწავლა. აღნიშნული საბჭო შედგება დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანესებულების ექიმ-კონსულტანტებს შორის შერჩეული სამი ექიმისგან.

სამსახურში მიღებული თითოეული საჯარო მოსამსახურე, უვადო ხელშეკრულების დადებამდე, ვალდებულია გაიაროს 9 თვიანი მოსამზადებელი კურსი. იმ შემთხვევაში, თუკი საჯარო მოსამსახურე არაკვალიფიციური ან სამსახურისთვის შეუფერებელი აღმოჩნდება, დანიშვნაზე უფლებამოსილმა ორგანომ, სპეციალური პროცედურის მეშვეობით, შეიძლება დაითხოვოს იგი. დათხოვნა შესაძლებელია მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში ან მისი დასრულების შემდეგ, ერთი თვით

⁵ Mazilu D., *Integrarea europeana*, Lumina Lex Publishing House, Bucharest 2008, p.2 13.

ადრე შეტყობინების მეშვეობით. დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს, ასევე, შეუძლია მას მოსამზადებელი პერიოდი მაქსიმუმ 6 თვის ვადით გაუგრძელოს.

2. ევროპის საჯარო სამსახურის ორგანიზაცია

2.1. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგლამენტაცია ევროკავშირში

რეგულაციის დებულებების მიხედვით,⁶ თითოეული საჯარო მოსამსახურე შეიძლება აღმოჩნდეს მოცემულთაგან რომელიმე სიტუაციაში:

ა) საქმიანობის განხორციელება. ეს არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც საჯარო მოსამსახურე ახორციელებს იმ თანამდებობასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს, რომელზეც დანიშნულია ან დროებით საქმიანობს;

ბ) გადაყვანა. ეს არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც უვადო შრომითი ხელშეკრულების მქონე მოსამსახურე, დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებითა და სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დანიშნულია დროებით თანამდებობაზე დანესებულების გარეთ ან საკუთარი მოთხოვნით შეუძლია განახორციელოს საქმიანობა სხვა დანესებულებაში ან გაერთიანების სხვა ორგანიზაციაში;

გ) პირადი განცხადების საფუძველზე შვებულებაში ყოფნა. ეს არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც გამონაკლის შემთხვევებში და პირადი განცხადების საფუძველზე, საჯარო მოსამსახურე შეიძლება სარგებლობდეს არაანაზღაურებადი შვებულებით. შვებულების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს. მისი განახლება იმავე ვადით რამდენჯერმე არის შესაძლებელი, ოღონდ მაქსიმალური ხანგრძლივობა საჯარო მოსამსახურის მთელი კარიერის მანძილზე 15 წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს. ამგვარი შეზღუდვა არ მოქმედებს, როდესაც საჯარო მოსამსახურე ზრდის შეზღუდული მენტალური ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე შვილს და რომელსაც მეთვალყურეობა ან მუდმივი მოვლა სჭირდება, აგრეთვე როდესაც საჯარო მოხელე თან უნდა ახლდეს მეუღლეს, რომელიც ასევე ევროგაერთიანების საჯარო მოხელე ან აგენტი;

დ) კადრების განკარგულებაში ყოფნა. ეს არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც დანესებულებაში გატარდა თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების ზომები. ამ მდგომარეობაში მყოფი საჯარო მოსამსახურეების სიას ადგენს დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო, ერთობლივი კომისიის მიერ მოწონების შემდეგ და მას მერე, რაც განხილული იქნება საჯარო მოსამსახურის ცოდნა, ქმედითობა, სამუშაო ადგილზე ქცევა, ოჯახური მდგომარეობა და სამუშაო სტაჟი. აღნიშნულის მიუხედავად, ამ მდგომარეობაში მყოფი საჯარო მოსამსახურეები სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით, როგორიცაა:

- უფლება სახელფასო დანამატით სარგებლობაზე საქმიანობის შეწყვეტის მომენტიდან მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში;

⁶ Tinca O., Drept comunitar, Academia Publishing House, Bucharest 2008, p. 243.

- სამსახურიდან დათხოვნიდან ორი წლის განმავლობაში ხელახალი დასაქმების უპირატესი უფლება იმ ჯგუფში შემავალ თანამდებობებზე, რომელიც შეესაბამება საჯარო მოსამსახურის კვალიფიკაციას იმ პირობით, თუ იგი ფლობს შესაბამისი თანამდებობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს;
- რეგულაციის დებულებებით გათვალისწინებული უფლება კომპენსაციაზე.⁷

ე) სამხედრო სამსახურის გავლისთვის განკუთვნილი შვებულება. ეს ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობაა, როდესაც საჯარო მოსამსახურე იურიდიული დახმარების განევის მიზნით მონაწილეობს სამხედრო სწავლებაში, რომლის ვადაც სამხედრო ინსტრუქტაჟის ან გამოძახების პერიოდით განისაზღვრება. სამხედრო სწავლებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს, რომელიც იურიდიულ მომსახურებას ეწევა, ანაზღაურება აღარ მიეცემა, თუმცა მას შეუძლია დაწინაურებასთან დაკავშირებული დებულებებით გათვალისწინებული უპირატესობებით სარგებლობა გააგრძელოს. საჯარო მოსამსახურე, რომელმაც უნდა გაიაროს სამხედრო მომზადება ან რომელიც ვალდებულია ჯარში იმსახუროს, ამ პერიოდის მანძილზე იღებს ანაზღაურებას, ოღონდ მისი ოდენობა მცირდება სამხედრო გასამრჯელოს შესაბამისად, რომელსაც ის იღებს;

ვ) დეკრეტული შვებულება ან საოჯახო შვებულება. საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს ყოველ ბავშვზე ისარგებლოს მინიმუმ 1 თვიანი და მაქსიმუმ 6 თვიანი დეკრეტული შვებულებით, ბავშვის დაბადებიდან ან აყვანიდან 20 წლის განმავლობაში. მარტოხელა მშობლებისათვის შვებულების პერიოდის გაორმაგება შეუძლია იმ დაწესებულებას, რომლის თანამშრომლებიც ისინი არიან. შვებულების პერიოდში საჯარო მოსამსახურე სარგებლობს სოციალური დაცვის რეჟიმით და კვლავაც ინარჩუნებს უფლებას, მიიღოს შემწეობა, ბავშვებისათვის განკუთვნილი დახმარება და სასკოლო დახმარება. მას ასევე უნარჩუნდება თავისი თანამდებობა და დაწინაურების უფლება. შესაძლებელია შვებულების აღება და პარალელურად ნახევარ განაკვეთზე მუშაობა. ასეთ შემთხვევაში შვებულების მაქსიმალური ვადა ორმაგდება. მთელი ამ პერიოდის მანძილზე საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს, დახმარების სახით ყოველთვიურად მიიღოს ფიქსირებული თანხა⁸ (ან ამ თანხის 50%, როდესაც იგი ნახევარ განაკვეთზე მუშაობს). იმ შემთხვევაში, თუკი სამედიცინო ცნობით დასტურდება, რომ საჯარო მოსამსახურის აღმავალი ან დაღმავალი ხაზის ოჯახის წევრი ან ძმა ან და სერიოზულად არის ავად ან მძიმედ არის დაშავებული, საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს ისარგებლოს საოჯახო შვებულებით, რომლის საერთო ხანგრძლივობაც მთელი კარიერის მანძილზე 9 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. საჯარო მოსამსახურე სარგებლობს იმავე უფლებებით, რაც მას დეკრეტული შვებულების დროს აქვს. რეგულაციის დებულებების მიხედვით, საჯარო მოსამსახურის საქმიანობის სამუდამოდ შეწყვეტის საფუძველია:

- **გადადგომა:** მას შეუძლია გადადგეს მხოლოდ წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც მითითებულია, რომ საჯარო მოსამსახურეს სურს

⁷ Leicu C., Drept Comunitar, All Publishing House, Bucharest 2006, p. 244.

⁸ 2004 წლის მარტში მიღებული ვერსიაში, რეგულაციით გათვალისწინებულია თვიური ფიქსირებული დახმარება, რომლის ოდენობაც 804,36 ევროს შეადგენს (მარტოხელა მშობლებისათვის 1072, 48 ევროს).

სამუდამოდ შეწყვიტოს მოცემულ დანესებულებაში საქმიანობა. დანიშვნაზე უფლებამოსილმა ორგანომ, გადადგომის შესახებ განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიიღოს საჯარო მოსამსახურის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნულ ორგანოს შეუძლია, არ დააკმაყოფილოს განცხადება გადადგომის შესახებ, თუკი საჯარო მოსამსახურის მიმართ დანყვებულია დისციპლინური საქმისწარმოება. იმ შემთხვევაში, თუკი უფლებამოსილი ორგანო გადადგომის შესახებ განცხადებას დააკმაყოფილებს, გადადგომა ძალაში შედის ადმინისტრაციული თანამდებობების ჯგუფში შემავალ პოზიციებში მომუშავე საჯარო მოსამსახურეებისათვის მაქსიმუმ 3 თვის შემდეგ, ხოლო დამხმარე თანამდებობათა ჯგუფში შემავალ პოზიციებზე მომუშავეთათვის მაქსიმუმ ერთი თვის შემდეგ. აღნიშნული თარიღი აითვლება საჯარო მოსამსახურის მიერ განცხადებაში მითითებული თარიღიდან.

- **იძულებითი (ex officio) გადადგომა:** საჯარო მოსამსახურე შესაძლებელია ex officio დათხოვნილ იქნეს შემდეგ სიტუაციებში:
- იგი აღარ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე და მის მიმართ გამონაკლისი არ მოქმედებს (28-ე მუხლის პირველი პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტი);
- ამოიწურა მისი სხვა სამსახურში გადაყვანის საბოლოო ვადა, თუკი იგი მეორედ ამბობს უარს შეთავაზებულ თანამდებობაზე (39-ე მუხლი);
- ამოიწურა პირადი განცხადების საფუძველზე მოთხოვნილი შვებულების ვადა, თუკი იგი მეორედ ამბობს უარს შეთავაზებულ თანამდებობაზე (მე-40 მუხლი);
- შტატების შემცირებისას (41-ე მუხლი);
- შრომისუუნარობისას, თუკი შესაძლებელია სამსახურში მისი ხელახლა მიღება, მაგრამ იგი უარს ამბობს შეთავაზებულ თანამდებობაზე (VII დამატება, მე-14 მუხლის მე-2 პარაგრაფი).
- **თანამდებობიდან დათხოვნა სამსახურებრივი ინტერესების სასარგებლოდ:** ნებისმიერი უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომელი, სამსახურებრივი ინტერესების სასარგებლოდ, შესაძლებელია გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ. სამსახურიდან ამგვარი დათხოვნა დისციპლინურ ღონისძიებად არ ითვლება. ამ გზით გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურე, რომლის სხვა თანამდებობაზე დანიშვნაც არ მომხდარა, უფლებამოსილია მიიღოს რეგულაციის დებულებებით გათვალისწინებული კომპენსაცია (IV დამატება);
- **პროფესიული შეცდომა:** თითოეული დანესებულება განსაზღვრავს პროფესიული შეცდომის მომგებიან და სათანადო ვადებში დადგენის, მართვისა და გადწყვეტის პროცედურებს. ამგვარი პროცედურების ამოწურვის შემდეგ, საჯარო მოსამსახურე, რომელიც ვალდებულია გაიაროს პროფესიული შეცდომის ტესტი, შეიძლება დაითხოვონ, ჩამოაქვეითონ თანამდებობათა უფრო დაბალ ჯგუფში ოღონდ ისე, რომ შეუნარჩუნდეს სამსახურებრივი პო-

ზიცია, ან ჩამოაქვეითონ უფრო დაბალ სამსახურებრივ პოზიციებში შემავალ თანამდებობაზე;

- **პენსიაზე გასვლა:** თუ არ არსებობს პირადი მოთხოვნა, იმ თვის ბოლო დღეს, როდესაც იგი ხდება 65 წლის, ან გამონაკლის შემთხვევებში 67 წლის, ან პირადი მოთხოვნით 63 წლის ან ზოგიერთ შემთხვევაში ცოტა ნაკლების, მაგრამ არანაკლებ 55 წლის;
- **საპატიო წოდება;** საჯარო მოსამსახურეს, რომელიც სამუდამოდ წყვეტს თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესრულებას, დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმატებული საქმიანობისათვის, კონკრეტულ სამსახურებრივ პოზიციაზე მუშაობისთვის ან უფრო მაღალ თანამდებობაზე საქმიანობისთვის შეიძლება მიენიჭოს საპატიო წოდება. აღნიშნული ღონისძიება არ ითვალისწინებს ფინანსური სარგებლის მიღებას.

2.2. ევროპის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის ხანგრძლივობა

რაც შეეხება სამსახურის ვადას ან სამუშაო საათების ხანგრძლივობას, რეგულაციაში მითითებულია, რომ მოქმედი საჯარო მოსამსახურეები მუდმივად ხელმისაწვდომი არიან იმ დანესებულებისათვის, რომელშიც მუშაობენ. თუმცა, ნორმირებული სამუშაო საათების ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 42 საათს, რომელიც განისაზღვრება დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული ცხრილის მიხედვით მას შემდეგ, რაც ეს ცხრილი განიხილება პერსონალის კომიტეტთან ერთად.

მეორე მხრივ, სამუშაოს საჭიროებიდან და შრომის უსაფრთხოების ნორმალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურეს შეიძლება მოეთხოვოს არასამუშაო საათებში ხელმისაწვდომი იყოს დანესებულებისათვის, როგორც სამუშაო ადგილას, ისე სახლში.

ნებისმიერი საჯარო მოსამსახურე, პირადი თხოვნით და დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით, შეიძლება ნაწილობრივ ასრულებდეს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას შემდეგ შემთხვევებში:

- 9 წლის, ოღონდ არაუმეტეს ამ ასაკის ბავშვის მოვლისას;
- 9-დან 12 წლამდე ბავშვის მოვლისას, ოღონდ იმ პირობით, თუ შემცირებული სამუშაო დრო არ აღემატება ნორმირებული სამუშაო დროის 20%-ს;
- მეუღლის, აღმავალი ან დაღმავალი ხაზის ნათესავის, დის ან ძმის მოვლისას, თუკი ისინი არიან მძიმე ავადმყოფები ან ქმედუუნარო პირები;
- დამატებითი მოსამზადებელი კურსების გავლისას;
- თუკი იგი პენსიამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში გახდა 55 წლის. საჯარო მოსამსახურეებს არ ევალებათ დამატებითი სამუშაო საათების შესრულება, გარდა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებისა. ღამის საათებში, კვირა დღეს და დასვენების დღეებში მუშაობა შესაძლებელია დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით. დამატებითი სამუშაო საათების ოდენობა 6 თვის განმავლობაში 150 საათს არ უნდა აჭარბებდეს. საინტერესოა

აღინიშნოს, რომ დამატებით სამუშაო საათები არ უნაზღაურდებათ იმ საჯარო მოსამსახურეებს, რომლებსაც უკავიათ ადმინისტრაციულ თანამდებობათა ჯგუფში შემავალი თანამდებობები და აგრეთვე მათ, ვისაც უკავია დამხმარე თანამდებობათა ჯგუფის 5-11 თანამდებობები. დამხმარე თანამდებობათა ჯგუფის 1-4 თანამდებობზე დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს საკომპენსაციო დასვენების დროსა და ფინანსურ ანაზღაურებაზეც კი აქვთ უფლება.

წლიური შვებულებით სარგებლობა საჯარო მოსამსახურის უფლებაა. წლიური შვებულება 24-დან 30-მდე სამუშაო დღეს მოიცავს. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევებში, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია სპეციალური შვებულებით სარგებლობა.

ორსულ ქალებს, სამედიცინო ცნობის საფუძველზე, შეუძლიათ ისარგებლონ მშობიარობის წინა და მშობიარობის შემდგომი 8 კვირიანი შვებულებით. აღნიშნული შვებულების ხანგრძლივობა ტყუპის შობის, ნაადრევი მშობიარობის ან ინვალიდი ბავშვის შობის შემთხვევაში 24 კვირამდე იზრდება. საჯარო მოსამსახურეს, რომელსაც მუშაობის უნარი დაქვეითებული აქვს უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის გამო და რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც მას აქვს, შეუძლია ისარგებლოს სამედიცინო შვებულებით. უფრო მეტიც, საჯარო მოსამსახურე, დაწესებულების ექიმ-კონსულტანტის მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის/შემოწმების საფუძველზე, შეიძლება გაშვებულ იქნეს ანაზღაურების გარეშე შვებულებაში. საჯარო მოსამსახურე მუდმივად უნდა გადიოდეს პროფილაქტიკურ სამედიცინო გამოკვლევა/შემოწმებას, რომელსაც ატარებს ან ექიმი-კონსულტანტი ან შერჩეული ექიმი. საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს გააცდინოს სამსახური იერარქიულად მასზე ზემდგომი პირის ნებართვის გარეშე. გამონაკლისია უბედური შემთხვევა ან საჯარო მოსამსახურის ავადმყოფობა. უმიზეზოდ გაცდენილი სამუშაო დრო დააკლდება წლიურ შვებულებას და თუკი მას ეს დრო უკვე გამოყენებული აქვს, დაკარგავს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების უფლებას.

სადღესასწაულო დღეების დადგენა ხდება ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ ერთობლივად შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, მას შემდეგ, რაც მისი განხილვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომიტეტთან ერთად მოხდება.⁹ ევროკავშირის საჯარო მოსამსახურეთა შესახებ რეგულაცია შეიცავს სხვა საინტერესო დებულებებს, რომლებიც ეხება:

- საჯარო მოსამსახურეთათვის ქულების მინიჭებას (პერიოდული ანგარიშების საფუძველზე შეფასებას), დაკავებული სამსახურებრივი პოზიციის შემდგომ საფეხურზე დაწინაურებას ან უფრო მაღალ თანამდებობაზე დაწინაურებას (44-46 მუხლები);

⁹ Jinga I., Uniunea Europeană4 realități i perspective, Lumina Lex Publishing House, Bucharest, 2009, p. 344.

- საჯარო მოსამსახურეთა ანაზღაურების რეჟიმსა და სოციალურ პრივილეგიებს (კომპენსაცია, სოციალური დაზღვევა, პენსია, დახმარება შშმ პირთათვის) (62-85 მუხლები);
- საჯარო მოსამსახურეთა დისპიცლინურ პასუხისმგებლობას (86-ე მუხლი);
- გასაჩივრების გზებს, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ საჯარო მოსამსახურეებმა (90-91 მუხლები);
- სპეციალურ ნორმებს იმ საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებით, რომლებიც თანამდებობრივად სამეცნიერო ან ტექნიკურ საქმიანობას ახორციელებენ ევროკავშირში, აგრეთვე იმ საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს, რომლებიც საქმიანობას მესამე ქვეყნებში ახორციელებენ (92-101 მუხლები).

3. ევროპის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. ევროპის საჯარო მოსამსახურეთა მოვალეობანი

ევროპის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო სტატუსი განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და სანყის პრინციპად ადგენს, რომ ისინი უნდა ასრულებდნენ სამსახურებრივ ფუნქციებს და მოქმედებდნენ გაერთიანების საუკეთესო ინტერესებში ისე, რომ არ მოითხოვონ ან მიიღონ მითითებები ნებისმიერი მთავრობის, ხელისუფლების, ორგანიზაციის ან პირისგან, რომელიც არ წარმოადგენს იმ ინსტიტუციის ნაწილს, რომელშიც საქმიანობს საჯარო მოსამსახურე. ისინი მიუკერძოებლად და ობიექტურად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ისე, რომ გაერთიანების ერთგულნი რჩებიან.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჯარო მოსამსახურეს, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე, უფლება არ აქვს, მიიღოს ნებისმიერი სახის საპატიო ჯილდო, მედალი, სარგებელი, შემონირულობა, ანაზღაურება, მიუხედავად მათი ხასიათისა, მთავრობისგან ან ისეთი წყაროსგან, რომელიც არ არის იმ ინსტიტუციის ნაწილი, რომელშიც იგი საქმიანობს, თუ იგი არ არის მიღებული იმ სამსახურისთვის, რომელიც მოცემულ დანესებულებაში მის დანიშვნამდე იყო შესრულებული, აგრეთვე სამხედრო ან სხვა ეროვნული სამსახურისთვის ამ სამსახურების სახელით. საჯარო მოსამსახურეს, თავისი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებისას უფლება არ აქვს შეხება ჰქონდეს ისეთ საქმესთან, რომელთანაც მას პირდაპირ თუ არაპირდაპირ პირადი, ოჯახური ან ფინანსური ინტერესები აკავშირებს და რომელიც მის დამოუკიდებლობას რისკის ქვეშ აყენებს. ასეთ შემთხვევაში უნდა ეცნობოს დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც შესაბამის ზომებს მიიღებს. ამ ორგანოს შეუძლია, საჯარო მოსამსახურე ჩამოაცილოს ამ საქმეს.

აქვე მიმოვიხილავთ ევროპის საჯარო მოსამსახურეთა რამდენიმე მოვალეობას, რომელიც რეგულაციის დებულებების შესაბამისად შევარჩიეთ¹⁰. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია:

- თავი შეიკავოს ისეთი ქმედების ან ქცევისგან, რომელიც შეიძლება იყოს ღირსების შემლახველი და უარყოფითი გავლენა იქონიოს მის თანამდებობრივ მდგომარეობაზე;
- თავი შეიკავოს მორალური ზეწოლისა ან სექსუალური შევიწროების ნებისმიერი ფორმისაგან;
- მორალურ ზეწოლაში იგულისხმება ნებისმიერი არასათანადო ქცევა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, განმეორებითი და სისტემატური ხასიათი აქვს და გამობატულებას ჰპოულობს ქცევებში, სიტყვებში, ქმედებებში, ჟესტებში ან ნერილობითი ფორმით. მათი დანიშნულებაა პიროვნების, მისი ღირსების, ფსიქოლოგიური ან გონებრივი სრულყოფილების ხელყოფა;
- სექსუალურ შევიწროებაში იგულისხმება სექსუალური ხასიათის ქცევა იმ პირისადმი, რომელიც ამის წინააღმდეგია. ეს არის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას, ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, შურაცხმყოფელი ან ხელშემშლელი გარემოს შექმნას. უფრო მეტიც, სექსუალური შევიწროება სექსუალურ დისკრიმინაციად მიიჩნევა;
- საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოსაგან ითხოვოს ნებართვა ისეთი საქმიანობისათვის, რომელსაც იგი ახორციელებს სამსახურის გარეთ, იქნება ეს ანაზღაურება თუ არაანაზღაურებადი საქმიანობა, ან კიდევ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მან საქმიანობა უნდა განახორციელოს ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ;
- უარი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი საქმიანობის ან მანდატის განხორციელება დაბრკოლებას შეუქმნის მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ან არ შეესაბამება იმ დაწესებულების ინტერესებს, რომელშიც საჯარო მოსამსახურეა დასაქმებული;
- ნებართვის აღება სავალდებულოა მაშინაც, როდესაც საჯარო მოსამსახურე ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას კონიუნქტურული, პროფესიული ვითარებიდან გამომდინარე ან მისი კანდიდატურა სახელმწიფო თანამდებობაზეა წარდგენილი;
- უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, გარკვეული თანამდებობების დაკავების ან უპირატესობების სარგებლობისას, საჯარო მოსამსახურემ პატიოსნად და გონივრულად უნდა იმოქმედოს. თუკი მას უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 წლის განმავლობაში შესთავაზებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას ანაზღაურებით თუ ანაზღაურების გარეშე, იგი ვალდებულია, ამ მოვლენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ აცნობოს იმ დაწესებულებას, რომელშიც მუშაობდა. მას შეიძლება აეკრძალოს

¹⁰ Fuerea A., *Istoricul constituirii în vitorul Uniunii Europene*, All Beck Publishing House, Bucharest 2012, p. 132

შეთავაზებული საქმიანობის განხორციელება, თუკი იგი დაკავშირებულია იმ საქმიანობასთან, რომელსაც იგი ბოლოს 3 წლის განმავლობაში ახორციელებდა იმ დანესებულებაში, რომელშიც მუშაობდა და თუ აღნიშნული საქმიანობა არ შეესაბამება ამ დანესებულების ინტერესებს;

- საჯარო მოსამსახურემ უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც კი უნდა შეიკავოს თავი ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისგან, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა უფლებამოსილების განხორციელებისას. გამონაკლისია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.
- საჯარო მოსამსახურე სარგებლობს სიტყვის თავისუფლებით, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ერთგულებისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს ეყრდნობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ პირი, რომელიც გაერთიანების საქმიანობის შესახებ ნაშრომის გამოქვეყნებას აპირებს (როგორც ინდივიდუალური ავტორი ანდა სხვასთან თანაავტორობით), ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს. ამ უკანასკნელს 30 დღის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას წერილობითი ფორმით. თუკი პირს ამ ვადაში არ მიუვა შეტყობინება გადაწყვეტილების შესახებ, ეს ნიშნავს, რომ აკრძალვა არ არსებობს;
- საჯარო მოსამსახურის მიერ უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომზე მოქმედი ყველა უფლება ეკუთვნის გაერთიანებას, რომელიც დაკავშირებულია ამ საქმიანობასთან. აქედან გამომდინარე, გაერთიანებები კანონიერად სარგებლობენ ამ ნაშრომზე საავტორო უფლებების გადაცემით და დანესებულებას უფლება აქვს ავტორებზე გასცეს პრემია;
- საჯარო მოსამსახურეებს, დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე, არავითარ შემთხვევაში არ აქვთ უფლება, სასამართლოში მიუთითონ უფლებამოსილების განხორციელების დროს აღმოჩენილ გარემოებებზე. ნებართვის გაცემაზე უარი დაუშვებელია, თუკი უარი გაერთიანების ინტერესებით არ არის გამართლებული ან კიდევ, თუკი უარმა შეიძლება დაინტერესებული საჯარო მოსამსახურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც;
- საჯარო მოსამსახურის საცხოვრებელი ადგილი უნდა მდებარეობდეს სამსახურის მახლობლად ან ისეთ დისტანციაზე, რომელიც მას ხელს არ შეუშლის უფლებამოსილების განხორციელებაში. აღნიშნული ვალდებულება ასევე გულისხმობს დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე;
- საჯარო მოსამსახურე, მიუხედავად მისი იურარქიული პოზიციისა, ვალდებულია დაეხმაროს და თავისზე ზემდგომ პირებს გაუწიოს კონსულტაცია. იგი პასუხისმგებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე;¹¹

¹¹ Deaconu N., op. cit., 2009, p. 178.

- საჯარო მოსამსახურე, რომელიც პასუხსმგებელია ამა თუ იმ დეპარტამენტის საქმიანობაზე, ვალდებულია, საკუთარ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ანგარიში წარუდგინოს მის ზემდგომ თანამდებობის პირებს. იგი ასევე პასუხისმგებელია მისთვის მიცემული ყველა დავალების შესრულებაზე. ქვემდგომი პირების პერსონალური პასუხისმგებლობა არ გამოირიცხავს საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობას;
- თუკი საჯარო მოსამსახურე მიიჩნევს, რომ რომელიმე დავალების შესრულებას სერიოზული შედეგები მოჰყვება, იგი ამის შესახებ აცნობებს თავის უშუალო უფროსს. ამ უკანასკნელმა წერილობით უნდა გასცეს პასუხი, თუკი შეტყობინებაც წერილობითი ფორმით განხორციელდა. დავალების შესრულების მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, თუკი საჯარო მოსამსახურე ჩათვლის, რომ ეს დასტური საკმარისი არ არის, მან წერილობით უნდა მიმართოს მის უშუალო უფროსზე იერარქიულად ზემდგომ პირს. თუკი ეს უკანასკნელი დადასტურებს დავალების შესრულების მოთხოვნას, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, შეასრულოს დავალება, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს დავალება არ გულისხმობს უკანონო ან უსაფრთხოების ნორმების საწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. თუკი საჯარო მოსამსახურის უშუალო უფროსის ზემდგომი პირი მიიჩნევს, რომ დავალების შესრულების გადადება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, უშუალო უფროსის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, ეს დავალება შეასრულოს დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული დავალება გულისხმობს უკანონო ან უსაფრთხოების ნორმების საწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას;
- საჯარო მოსამსახურემ სრულად ან ნაწილობრივ უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მან მიაყენა გაერთიანებას სამსახურში ყოფნის ან სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებისას დაშვებული სერიოზული პირადი შეცდომების შედეგად. დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის დადგენილი ფორმალობების მიხედვით. ამგვარი დავების გადაწყვეტის სრული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ევროგაერთიანების მართლმსაჯულების სასამართლოს;
- საჯარო მოსამსახურე, რომელიც სამსახურში ყოფნის ან სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას ფლობს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც შესაძლო უკანონო ქმედების ჩადენის, განსაკუთრებით თაღლითობის ან კორუფციის ვარაუდს ბადებს და რომელიც გაერთიანებას აყენებს ზიანს, აგრეთვე საქმე გვაქვს ისეთ ქცევასთან, რომელიც იწვევს საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების უხეშ დარღვევას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს ან აღმასრულებელ დირექტორს ან გენერალურ მდივანს ანდა ნებისმიერი სხვა პირს, რომელსაც შესაბამისი თანამდებობა უკავია ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისში. ამ ინსტიტუციამ არანაირი გზით არ უნდა მიაყენოს ზიანი იმ საჯარო

მოსამსახურეს, რომელმაც გადასცა ეს ინფორმაცია, თუკი ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერად მოქმედებდა.

რაც შეეხება ევროპის საჯარო მოსამსახურეთა უფლებებს,¹² რეგულაცია ადგენს ნებს, რომელიც ეყრდნობა მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის მიხედვითაც, საჯარო მოსამსახურეებს ყველა პრივილეგია და იმუნიტეტი მხოლოდ გაერთიანების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გადაეცემათ.

ფიზიკური პირები, რომლებიც პრივილეგიებისა და იმუნიტეტების პროტოკოლის სუბიექტები არიან, არ თავისუფლდებიან არც თავიანთი პირადი ვალდებულებების შესრულებისგან და არც მოქმედი კანონებისა და საპოლიციო რეგულაციების დაცვის ვალდებულებისგან. აღნიშნული პროტოკოლით გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილებისათვის განკუთვნილი სამგზავრო დოკუმენტი ეძლევათ იმ საჯარო მოსამსახურეებს, რომლებსაც უკავიათ ადმინისტრაციულ თანამდებობათა ჯგუფის მე-12-მე-16 ან მსგავსი ტიპის თანამდებობები. ეს დოკუმენტი დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ სპეციალურად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იმ პირებსაც ეძლევათ, რომლებიც საქმიანობას წევრი სახელმწიფოების ფარგლებს გარეთ ახორციელებენ.

3.2. ევროპის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები

რეგულაციით გათვალისწინებულ უფლებებს შორისაა:

- გაერთიანებისაგან ანაზღაურების მიღების უფლება იმ ზიანისთვის, რომელიც საჯარო მოსამსახურეს ზემოაღნიშნული ქმედებების შედეგად მიადგა, ოღონდ იმ პირობით, რომ ზიანი უნდა იყოს გამოწვეული საჯარო მოსამსახურის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით და მას ზიანის მიმყენებლისგან ანაზღაურება არ უნდა ჰქონდეს მიღებული;
- გაერთიანებამ ხელი უნდა შეუწყოს საჯარო მოსამსახურის პროფესიულ განვითარებას იმ დონეზე, რამდენადაც ეს თავსებადია საჯარო სამსახურის სწორად ფუნქციონირების მოთხოვნებთან და შეესაბამება საჯარო მოსამსახურის პირად ინტერესებს;
- საჯარო მოსამსახურეები სარგებლობენ გაერთიანების უფლებით. ისინი შეიძლება იყვნენ ევროპის საჯარო მოსამსახურეთა შრომითი გაერთიანების ან პროფესიული ორგანიზაციის წევრები;
- საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს, დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს მოთხოვნა საკადრო რეგულაციით რეგულირებად საკითხებთან დაკავშირებით;
- საკადრო რეგულაციის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ინდივიდუალური გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ უნდა მიენოდოს დაინტერესებულ საჯარო მოსამსახურეს. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნასთან, მუდმივ შტატში გადაყვანასთან, დაწინაურებასთან, სხვა თანამდებობაზე გადაყვანასთან, ახალი თანამდებობის შემო-

¹² Fuerea A., op. cit., 2 015, p. 204.

ლებასა და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებების გამოქვეყნება იმ დაწესებულებაში, რომელშიც საჯარო მოსამსახურე არის დასაქმებული. აღნიშნული გადაწყვეტილებები დაწესებულების მთელი პერსონალისათვის დროულად უნდა გახდეს ხელმისაწვდომი;

- საჯარო მოსამსახურის პირადი საქმე (ყოველ საჯარო მოსამსახურეზე თითო დოსიე) შეიცავს ინფორმაციას მისი ადმინისტრაციული სტატუსის შესახებ და ყველა ანგარიშს მისი კომპეტენტურობის, პროდუქტიულობის ან მისი ქცევის შესახებ. დოსიე აგრეთვე შეიცავს ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით საჯარო მოსამსახურის მიერ გაკეთებულ ნებისმიერ კომენტარს. თითოეული დოკუმენტი უწყვეტ რეჟიმში რეგისტრირდება, ინომრება და ინახება. დაწესებულებას არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს საჯარო მოსამსახურეს, ამოარჩიოს პირად საქმეში მასთან დაკავშირებით არსებული ისეთი დოკუმენტები, რომლის შესახებაც მას წინასწარ, დოკუმენტების შენახვამდე, არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება (რომელიც დასტურდება ხელმოწერით ან დაზღვეული წერილით). შესაძლებელია პირად საქმეში დანვრილებითი არ იყოს მოცემული ინფორმაცია პირის მოღვაწეობის, მისი პოლიტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებების, აგრეთვე რასობრივი და ეთნიკური კუთვნილებისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ;¹³
- ყველა საჯარო მოსამსახურე უფლებამოსილია, იცნობდეს მის პირად საქმეში არსებულ მონაცემებს და შეუძლია მათი ასლების გადაღება. აღნიშნული ეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებსაც;
- პირადი საქმე კონფიდენციალური ხასიათისაა და მასზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციის ოფისში ან დაცულ კომპიუტერულ სერვერზე.

4. დასკვნა

ევროკავშირის საჯარო მოხელეები არიან პირები, რომლებიც წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, უვადოდ ინიშნებიან თანამდებობაზე ევროკავშირის ამა თუ იმ ინსტიტუციაში იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ეს დაწესებულება მათი დანიშვნის უფლებამოსილებას ანიჭებს. სამართლებრივ პირობებს, რომელიც მოიცავს საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობებს ევროკავშირისა და მისი ინსტიტუციების მიმართ, არეგულირებს ევროგაერთიანების რეგულაცია სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელიც მიღებულია 1968 წლის 29 თებერვალს და რომელშიც შემდგომში არაერთი ცვლილებაა შეტანილი.¹⁴

¹³ Leicu C., op. cit., 2006, p. 187.

¹⁴ Regulation no. 259/1968 of Council no. CELEX31968R0259(01)- regarding the European Community Civil Service Status (JO L 56 of March 4th 1968, p. 1).

ამგვარად, ევროკავშირის საბჭოს მიერ, ევროკომიის წინადადების საფუძველზე 2004 წლის 22 მარტს მიღებული რეგულაციებით, ევროპის საჯარო მოსამსახურეთა ახალი კარიერული სისტემა ამოქმედდა. რეგულაცია ასევე ეხება ევროგაერთიანების დანესებულებების მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირებს, რომლებიც შემდგომში ინოდებიან „აგენტებად“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, ევროპის რეგიონული კომიტეტი, ევროკავშირის მედიატორი ან ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი, ამ გაგებით, ევროკავშირის ინსტიტუციების ნაწილია. რეგულაციით იკრძალება დისკრიმინაცია ნებისმიერ ნიადაგზე, იქნება ეს სქესის, რასის, ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, რელიგიის ან მრწამსის, საჯარო ან სხვა მოსაზრებების, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, სიმდიდრის, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის თუ სექსუალური ორიენტაციის გამო. კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ამ რეგულაციის განხორციელებასთანაა დაკავშირებული, ის არის, რომ ქორწინების გარეშე ურთიერთობაზე ისეთივე წესები ვრცელდება, როგორც ქორწინებაზე. ევროკავშირის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობისა და მორალურ სტატუსთან მიმართებით, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა სათანადო ადმინისტრაციული ქცევის ევროპული კოდექსი. აღნიშნული დოკუმენტი 2001 წლის 6 სექტემბერს ევროპარლამენტმა, ევროპის მედიატორის წინადადების საფუძველზე, რეზოლუციით დაამტკიცა. იგი შეიცავს ქცევის წესების ერთობლიობას, რომელიც გაერთიანების ინსტიტუციებმა, ადმინისტრატორებმა და საჯარო მოსამსახურეებმა საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა დაიცვან. თითოეული ინსტიტუცია წყვეტს, თუ რომელი ორგანო განხორციელებს რეგულაციით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილებას მოსამსახურის ან აგენტის დანიშვნასთან დაკავშირებით. საჯარო მოსამსახურის დანიშვნის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს თარიღი, თუ როდის შედის ძალაში მისი დანიშვნა. აღნიშნული თარიღი არ უნდა უსწრებდეს წინ იმ თარიღს, როდესაც ის შეუდგა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. ევროკავშირის საჯარო მოსამსახურის დანიშვნა ან დანიშნაურება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ისეთი ვაკანსიის არსებობისას, რომელიც შეესაბამება ზემოაღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებულ პირობებს. დანესებულების პერსონალს უნდა მიენოდოს ინფორმაცია დანესებულების შიგნით არსებული ნებისმიერი სახის ვაკანსიის შესახებ. თუკი ამავე დანესებულების შიგნით ვერ მოიძებნება ისეთი პირი, რომელსაც გადაყვანის, დანიშვნის ან დანიშნაურების გზით ექნებოდა ამ ვაკანტური თანამდებობის დაკავების უფლება, აღნიშნული ვაკანსიის არსებობის თაობაზე უნდა ეცნობოს სხვა დანესებულების თანამშრომლებს, რის შემდეგაც უნდა ჩატარდეს შიდა კონკურსი.¹⁵ საჯარო სამსახურის სახისა და დონის შესაბამისად, თანამდებობები იყოფა ორ ჯგუფად:

- ადმინისტრაციული თანამდებობების ჯგუფი (AD)
- დამხმარე თანამდებობების ჯგუფი (AST)

¹⁵ Fuerea, A., op. cit., 2015, p. 162.

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებება, რომელიც აღნიშნულ რეგულაციაში 2004 წელს ევროკავშირის საბჭოს მხრიდან განხორციელდა და რომელიც ევროპელი საჯარო მოსამსახურეების კარიერას ეხება:

- ადმინისტრაციულ თანამდებობათა ჯგუფში შედის 12 სამსახურეობრივი პოზიცია, რომელიც შეესაბამება ისეთ თანამდებობებს, რომლებიც ხელმძღვანელობითი, კონცეპტუალური, სასწავლო, ასევე ლინგვისტური და სამეცნიერო ხასიათის საქმიანობათა განხორციელებას ითვალისწინებს;
- დამხმარე თანამდებობების ჯგუფში 12 სამსახურეობრივი პოზიცია, რომელიც შეესაბამება ტექნიკურ და აღმასრულებელ თანამდებობებს.

ევროპის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო რეგულაცია განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეთა უფლებებსა და მოვალეობებს. მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც ისინი უნდა ასრულებდნენ სამსახურებრივ ფუნქციებს და მოქმედებდნენ გაერთიანების საუკეთესო ინტერესებში ისე, რომ არ მოითხოვონ ან მიიღონ მითითებები ნებისმიერი მთავრობის, ხელისუფლების, ორგანიზაციის ან პირისგან, რომელიც არ წარმოადგენს იმ ინსტიტუციის ნაწილს, რომელშიც საქმიანობს საჯარო მოსამსახურე. ისინი მიუკერძოებლად და ობიექტურად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ისე, რომ გაერთიანების ერთგულნი რჩებიან.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჯარო მოსამსახურეს დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე უფლება არ აქვს მიიღოს ნებისმიერი სახის საპატიო ჯილდო, მედალი, სარგებელი, შემოწირულობა, ანაზღაურება, მიუხედავად მათი ხასიათისა, ნებისმიერი მთავრობისგან ან ისეთი წყაროსგან, რომელიც არ არის იმ ინსტიტუციის ნაწილი, რომელშიც იგი საქმიანობს, თუ იგი იმ სამსახურისთვის არ არის მიღებული, რომელიც მოცემულ დანესებულებაში, აგრეთვე სამხედრო ან სხვა ეროვნული სამსახურისთვის ამ სამსახურების სახელით მის დანიშვნამდე იყო შესრულებული.

საჯარო მოსამსახურეს თავისი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებისას უფლება არ აქვს შეხება ჰქონდეს ისეთ საქმესთან, რომელთანაც მას პირდაპირ თუ არაპირდაპირ პირადი, ოჯახური ან ფინანსური ინტერესები აკავშირებს და რომელიც მის დამოუკიდებლობას რისკის ქვეშ აყენებს. ასეთ შემთხვევაში უნდა ეცნობოს დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც მიიღებს შესაბამის ზომებს. ამ ორგანოს შეუძლია საჯარო მოსამსახურე ჩამოაცილოს ამ საქმეს.

PUBLIC OFFICE AND THE CIVIL SERVANT IN THE EUROPEAN UNION

Translated by Gvantsa Gugeshashvili*

Abstract

The article by Petru Tărchilă and Viorica Cornelia Grăjdeanu (*Public Office and The Civil Servant in the European Union, Perspectives of Law and Public Administration Volume 8, Issue 1, May 2019, 89-99*) discusses the key issues regarding the public office in the European Union. The European Community Civil Service Status defines European public servants' rights and obligations in relation to the European Union and its institutions. According to the nature and level of the public office to which they correspond, the positions are divided into two groups: administrative positions and assistant positions.

The article deals with the conditions necessary to comply with for holding administrative or assistant positions in the public office in the European Union. Duration of their work is amongst the other important issues discussed in the article.

The authors underline the Importance of the EU Regulations setting forth a new career system for European public servants.

Keywords: Public Office, Civil Servant, European Union, European Administrative Law.

* Ph.D. in Law, Associate Professor at Sulxhan-Saba Orbeliani University, Academic Director of Michel Mouskhely Institute. orcid.org/0000-0001-7474-6305.

საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების კონსტიტუციური საფუძვლების კონტექსტში

I. შესავალი

საკანონმდებლო ორგანოსათვის ძლიერი საბიუჯეტო კონტროლის უფლებამოსილების მინიჭება საჯარო ფინანსებში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და გაძლიერების უზრუნველყოფის მექანიზმად მიიჩნევა.¹

აღნიშნული უფლებამოსილების მოპოვება წარმომადგენლობით ორგანოებს ისტორიულად დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა. თუმცა შემდგომში თანდათან დაკარგეს ან ნებაყოფლობით დათმეს საჯარო ფინანსების მართვაზე კონტროლის განხორციელების ბერკეტები და დღეს პარლამენტის უზენაესობის იდეის უზრუნველსაყოფად კვლავ აქტუალურია საჯარო ფინანსების მართვის პროცესში საპარლამენტო აქტივიზმის გაძლიერების მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობა.

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილების კონსტიტუციური საფუძვლები, მისი მოპოვებისა და ტრანსფორმაციის დინამიკა, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები. სტატია მოიცავს სახელმწიფო მმართველობის მოდელის მიხედვით საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილების მოკლე შედარებითსამართლებრივ ანალიზს, ძირითადი აქცენტი კი ეთმობა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების გამონვევებს და მოიცავს შესაბამის რეკომენდაციებს.

II. წარმომადგენლობითი ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილების კონსტიტუციური საფუძვლები

საბიუჯეტო უფლებამოსილება წარმომადგენლობითი ორგანოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, შეიძლება ითქვას, ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. მას საკანონმდებლო ორგანოს „სამეფო უფლებამოსილებასაც“ უწოდებენ. პარლამენტი საჯარო ფინანსების ფორმირებისა და ხარჯვის კანონიერებას და მიზანშეწონილობას სწორედ მისი მეშვეობით აკონტროლებს.²

საჯარო ფინანსების მართვის ძირითადი – უფლებამოსილების პრინციპი გულისხმობს, რომ საჯარო ფინანსების მართვის პროცესში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო/პირი ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში უმაღლესი ძალაუფლება

* დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი.

¹ Wehner J., Brosamle K., Dimsdale T., Mathiesen M.A., Merz T., Mondo E., Strengthening Legislative Financial Scrutiny in Developing Countries, London, 2007, 13.

² მერინგი მ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში (გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი), კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ, 2014, 4.

კანონმდებელს ეკუთვნის. საბიუჯეტო საკითხებში კანონმდებლის უზენაესობა გულისხმობს: ა) ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებას, წლიური ბიუჯეტის დამტკიცების გზით, ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებისა და ხარჯვითი ნაწილის შესახებ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება და ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენის გზით, საჯარო ფინანსების ხარჯვაზე განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი. საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, კონსტიტუციურ დონეზე მინიმუმ მისი შემდეგი ორი უფლებამოსილება მაინც უნდა განისაზღვროს: 1. დაბეგრა, შესაბამისად, შემოსავლების მობილიზება და საჯარო ფინანსების ხარჯვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე; 2. აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების პრინციპის სათანადო კონსტიტუციური მონესრიგება საკანონმდებლო ორგანოს მიერ საჯარო ფინანსების ხარჯვაზე ძლიერი კონტროლის განხორციელების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. საბიუჯეტო უფლებამოსილებების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა შორის გადანაწილების საკითხი ასევე კონსტიტუციური მნიშვნელობისაა. ნათლად უნდა იყოს რეგულირებული ძალთა ბალანსი, კერძოდ, კანონმდებლის უფლებამოსილების ხარისხი აღმასრულებლის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით და კანონმდებლის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის აღმასრულებლის მიერ გაზრდის ან შემცირების უფლებამოსილების ხარისხი.³

სახელმწიფოს მიდგომები შემოსავლების მობილიზების და დანახარჯების განევის ძირითადი პრინციპების თაობაზე, როგორც წესი, სადამფუძნებლო, სახელმწიფოს ძირითადი ორიენტირებისა და მოქალაქეთა ფუნდამენტური ღირებულებების გამომხატველ დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული.

კონსტიტუცია, როგორც წესი, განსაზღვრავს საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და დამოუკიდებელი საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს) უფლებამოსილებებსა და თანამშრომლობის ძირითად საკითხებს, სამართლის წყაროთა ურთიერთმიმართებას, შეიცავს საბიუჯეტო სისტემასთან დაკავშირებულ რამდენიმე დებულებას მაინც, რომლებიც საბიუჯეტო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელი სხვა (დაბალი იერარქიული დონის) კანონების შინაარსზე ახდენს გავლენას. კონსტიტუციური, მათ შორის, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული პრინციპების შეცვლა უმეტესად რთულია და კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის უფლებამოსილება საკონსტიტუციო ან უმაღლეს სასამართლოებს აქვთ.⁴

ხელისუფლების შტოებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილებათა გადანაწილების განსხვავებული მოდელების არსებობა არაერთი მიზეზით აიხსნება. მათ შორისაა, სამართლის სხვადასხვა ოჯახისა და დაწერილი და დაუწერილი კონსტიტუციის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციები, ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის განსხვავებული მოდელები, საპარლამენტო ინსტიტუციური

³ The Legal Framework for Budget Systems, An International Comparison, OECD Journal on Budgeting, Vol.4, No.3, 2004, 132-136.

⁴ იქვე, 15-17, 35-36.

სისტემები, ისეთი პოლიტიკური მახასიათებელიც კი, როგორცაა საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ან მაჟორიტარული სისტემა.⁵

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მკვეთრად გამიჯნული ძალაუფლების პირობებში, როგორც წესი, საკანონმდებლო ორგანო ძლიერ საბიუჯეტო უფლებამოსილებებს ფლობს. მათ შორის, საბიუჯეტო კანონპროექტის წარდგენის ან/და აღმასრულებლის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შეუზღუდავ უფლებამოსილებას, ზღუდავს დამტკიცებულ ბიუჯეტში აღმასრულებლის მიერ ცვლილების განხორციელების, მათ შორის, ხარჯვითი ნაწილის შემცირების უფლებამოსილებას, სპეციალური ფონდებიდან მხოლოდ აღმასრულებლის გადაწყვეტილებით ხარჯვის განხორციელების უფლებამოსილებას და სხვ.⁶

საპრეზიდენტო მმართველობის სისტემებში, რომელშიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ძალაუფლებები მკვეთრად გამიჯნულია, საპარლამენტო ხელისუფლება საბიუჯეტო საკითხებში მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს. ძალაუფლების მკვეთრი გამიჯვნის პირობებში კანონმდებელი არ არის ძალაუფლების დელეგირებისკენ მიდრეკილი და კანონმდებლის უზენაესობა საბიუჯეტო საკითხებში მეტწილად უზრუნველყოფილია. მაგ., აშშ-ში კანონმდებელი ადგენს ბიუჯეტის პროექტის წარდგენის ვადებს, ხანგრძლივ დროს უთმობს საბიუჯეტო საკითხებზე დებატებს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს აღმასრულებლის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის საერთო ხარჯებისა და პროგრამების ნაწილში, იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შემოსავლებისა და სესხების თაობაზე, ახორციელებს კონტროლს დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებაზე, ახორციელებს არსებით *ex post* კონტროლს აღმასრულებლის სავალდებულო ანგარიშგების სისტემის დანერგვით ისევე, როგორც დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით.⁷

საპარლამენტო მონარქიებში კი, განსაკუთრებით ბიკამერულ სისტემებში, სადაც ძლიერი აღმასრულებლის მემკვიდრეობა არსებობს და ძალთა ბალანსი მკვეთრად მონესრიგებული არ არის, პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილებები შედარებით სუსტადაა გამოხატული. როგორც წესი, განსაკუთრებით სუსტია ზედა პალატის როლი, რომელსაც არ აქვს ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება და მისი პრეროგატივა მხოლოდ პროექტის წარდგენილი სახით მიღება ან უარყოფაა (დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები). ამგვარ სისტემებში საკანონმდებლო ფუნქციები დიდწილად დელეგირებულია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები კიდევ უფრო აძლიერებს აღმასრულებლის საბიუჯეტო უფლებამოსილებებს.⁸

საპარლამენტო და ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკებში საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილებების ფორმალური საფუძვლები ზემოთ მითი-

⁵ იქვე, 15-16, 34-36, 51-52.

⁶ იქვე, 48-49.

⁷ იქვე, 445-475.

⁸ Budgeting and Public Expenditures in OECD Countries, OECD, 2019, 85-89.

თებულის შუალედურ ვარიანტს წარმოადგენს.⁹ თუმცა, საპარლამენტო სისტემებში, ძალაუფლების ნაკლებად გამოხატული გამიჯვნის პირობებში, განსხვავებულია საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებები როგორც ბიკამერული და უნიკამერული სისტემების, ასევე ორპარტიული და მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანოს არსებობის ნიშნითაც. ძირითადად მხოლოდ მთავრობა ფლობს ბიუჯეტის პროექტის პარლამენტისათვის წარდგენის უფლებამოსილებას, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში შენარჩუნებულია წარდგენილ ბიუჯეტში საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცვლილებების განხორციელების შეუზღუდავი უფლებამოსილება.¹⁰

პროპორციული საარჩევნო სისტემის მქონე სახელმწიფოებში, სადაც მრავალპარტიული პარლამენტის ჩამოყალიბებისა და კოალიციური მთავრობების შექმნის ალბათობა დიდია, ძირითადი ეკონომიკური და საბიუჯეტო მიმართულებები „კოალიციურ შეთანხმებებში“ შეიძლება აისახოს, რომელიც სამართლებრივად მბოჭავი არ არის, მაგრამ ადგენს მთავრობის მოქმედების ერთგვარ საზღვრებს. ზემოაღნიშნულ შეთანხმებებს ფისკალურ ნებსებასაც კი ადარებენ, რომლებიც რიგი ქვეყნების კანონმდებლობაშია ასახული.¹¹

1. საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილების მოპოვება და ტრანსფორმაცია

საკანონმდებლო ხელისუფლებამ საჯარო ფინანსების მართვის ძალაუფლება ხანგრძლივი ბრძოლის, მათ შორის, რევოლუციის გზითაც მოიპოვა. უპირატესობის მოსაპოვებლად ბრძოლა კი იმ პერიოდში დაიწყო, ვიდრე ტერმინები „საჯარო ფინანსების მართვა“ ან „ბიუჯეტი“ იარსებებდა და თვით *Magna Carta*-საც კი უკავშირდება.¹²

თუმცა რთულად მოპოვებულ საბიუჯეტო ძალაუფლებას საკანონმდებლო ორგანო თანდათან აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ თმობდა და მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის უმეტეს პერიოდში მთავრობის, როგორც ინსტიტუტის, გაძლიერების კვალდაკვალ სულ უფრო შესუსტდა კანონმდებლის საბიუჯეტო გავლენები.¹³

არსებობს მოსაზრება, რომ საკანონმდებლო ორგანოებმა საბიუჯეტო ძალაუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას ნებაყოფლობით დაუთმო იმ მიზეზით, რომ ვერ უმკლავდებოდა გადასახადების შემცირებისა და ხარჯების ზრდის საკუთარ პოლიტიკურ მიდრეკილებას და პასუხისმგებლიანი ფინანსური გადა-

⁹ The Legal Framework for Budget Systems, An International Comparison, OECD Journal on Budgeting, Vol.4, No.3, 2004, 16.

¹⁰ Budgeting and Public Expenditures in OECD Countries, OECD, 2019, 88.

¹¹ The Legal Framework for Budget Systems, An International Comparison, OECD Journal on Budgeting, Vol.4, No.3, 2004, 16.

¹² Holding the Executive Accountable: The Changing Role of Parliament in the Budget Process, An International Symposium for Chairpersons of Parliamentary Budget Committees of OECD Member countries, OECD, Paris, 2001, 22-24.

¹³ იქვე, 25-26.

წყვეტილებების მიღებაში საკუთარ თავს არ ენდობოდა.¹⁴ საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო ძალაუფლების მონინალმდეგეები იმასაც ამტკიცებენ, რომ საკანონმდებლო ორგანოს შეზღუდული საბიუჯეტო უფლებამოსილება აძლიერებს ფისკალურ დისციპლინას და უზრუნველყოფს შედარებით ნაკლებ დეფიციტს და, შესაბამისად, ნაკლები სახელმწიფო ვალის საჭიროებას.¹⁵

მთელ რიგ შემთხვევებში კი, საკანონმდებლო ორგანოს ფორმალური საბიუჯეტო ძალაუფლების შესუსტების გარდა, პარლამენტის როლის შესუსტება სხვადასხვა მიზეზითაც არის გამოწვეული, მათ შორისაა საბიუჯეტო პროცესის სირთულე, საბიუჯეტო კანონპროექტის კომპლექსურობა და პარლამენტის წევრთა და საკანონმდებლო ორგანოს აპარატის არასაკმარისი კვალიფიკაცია სიღრმისეულად ჩანვდნენ მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის დეტალებს. სხვა მიზეზად პოლიტიკური პროცესები სახელდება, კერძოდ, საბიუჯეტო საკითხებზე მოლაპარაკებების პარლამენტის გარეთ გადატანა, რაც ხშირ შემთხვევაში პარტიული დისციპლინის გამყარებას უკავშირდება და ორპარტიულ სისტემაში დომინირებული პარტიული ძალის კულუარებში მოლაპარაკებების, მრავალპარტიულ სისტემაში კი კოალიციური ძალების მოლაპარაკებების და შეთანხმების საგნად იქცევა. ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენა კი მხოლოდ ფორმალურ პროცესად გვევლინება და უმეტეს შემთხვევებში, ასევე ფორმალური კენჭისყრის შედეგად, მათ შორის, ერთი მოსმენით მიღებითაც კი სრულდება.¹⁶

ამასთან, საგულისხმოა მოსაზრება, რომ ფისკალურ პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენს საკანონმდებლო ორგანო თუ ის მარგინალიზებულია, როგორც ინსტიტუტი.¹⁷ შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო ძალაუფლების დონის განსაზღვრის პროცესში დიდი გავლენა აქვს ფაქტორს, პარლამენტი რეალურად იყენებს თუ არა კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას: შეაქვს თუ არა ცვლილებები მთავრობის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო კანონის პროექტში, წარადგენს თუ არა გადასახადების შემცირების ან/და ხარჯების ზრდის ინიციატივებს და ა.შ.

საბიუჯეტო პროცესში საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობის მნიშვნელობაზე მსჯელობა 21-ე საუკუნეშიც აქტიურად მიმდინარეობს. OECD-ის რეკომენდაციებიც მოიცავს მითითებებს საბიუჯეტო გადაწყვეტილებებსა და მთავრობის ანგარიშვლადებულების გაძლიერებაში პარლამენტის ფუნდამენტური როლის შესახებ, რაც არსებითი *ex ante* და *ex post* კონტროლის განხორციელებაში გამოიხატება.¹⁸

2. Ex ante და Ex post საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები

ეფექტური წინასწარი საპარლამენტო საფინანსო კონტროლის ინსტიტუციურ მექანიზმებად მიიჩნევა კონტროლის გასახორციელებლად საკმარისი დროის არსე-

¹⁴ იქვე, 20-21.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, 27.

¹⁷ იქვე, 28.

¹⁸ Recommendation of the Council of Budgetary Governance, OECD, 2015, 8.

ბოზა, ძლიერი საკომიტეტო სისტემა, მაღალი ხარისხის საბიუჯეტო ინფორმაციაზე წვდომა და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შესაძლებლობა, რის საფუძველსაც უპირველესად საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილება უნდა ქმნიდეს.¹⁹

Ex ante კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მექანიზმად სახელდება ე.წ. „წინასაბიუჯეტო დებატები“, რომელიც გულისხმობს ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე და ბიუჯეტის პრიორიტეტებზე უშუალოდ ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენამდე საკანონმდებლო ორგანოში გამართულ განხილვებს. „წინასაბიუჯეტო დებატების“ გაძლიერების ტენდენცია შეინიშნება OECD ქვეყნებში, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითად კი სახელდება ორეტაპიანი საკანონმდებლო პროცესი შვედეთის რიკსდაგში, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოში გაზაფხულზე წარდგენილი ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტზე ფართო ქრილში დებატების წარმართვისა და შემოდგომაზე წარდგენილ საბიუჯეტო კანონპროექტზე დეტალური განხილვების წარმართვის შესაძლებლობას.²⁰ გავრცელებულ მექანიზმს წარმოადგენს საბიუჯეტო კომიტეტების აქტიური ჩართულობა წინასაბიუჯეტო ფაზაში, მათ შორის, ფისკალურ პარამეტრებზე აქტიური საკომიტეტო განხილვები/მოსმენები და განხილვების შედეგების წარდგენა პლენარულ სხომაზე.²¹ OECD ქვეყნებში ასევე გაძლიერებულია საპარლამენტო კონტროლი საშუალოვადიან საბიუჯეტო ჩარჩოზე, რომელიც მოიცავს დოკუმენტის დეტალურ განხილვასა და დებატებს. თუმცა რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩოს ფორმალურად დამტკიცების პრაქტიკა.²² **Ex ante** კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა გრძელვადიანი მდგრადობის (10-50 წელი) ანალიზის დოკუმენტის განხილვა და დებატების წარმართვა საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც წარდგენილია მთავრობის ან დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დოკუმენტების მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ აღქმული კანონმდებლების მიერ.²³

ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე რეალური საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ძირითადი ინდიკატორი არის საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტში ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება. აშშ-ს სახით არსებობს ძლიერი საკანონმდებლო კონტროლის მაგალითი, როდესაც კანონმდებელს შეუძლია პრაქტიკულად სრულად გადაწეროს წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი, ასევე ირლანდიისა და კანადის მაგალითზე საკმაოდ სუსტი კონტროლის მექანიზმი, როდესაც კანონმდებელს შეუძლია მხოლოდ წარდგენილი სახით მიიღოს ან სრულად უარყოს პროექტი. კონტროლის სხვა მაგალითებია ბიუჯეტის კანონპროექტში საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ მთავრობის მიერ წარდგენილი ზღვრების ან მათზე მხო-

¹⁹ The Role of Parliament in Curbing Corruption, edited by R. Stapenhurst, N. Johnston, R. Pelizzo, WBI Development Studies, The world Bank, Washington DC, 2006, 84.

²⁰ Budgeting and Public Expenditures in OECD Countries, OECD, 2019, 82.

²¹ იქვე, 83.

²² იქვე, 83-84.

²³ იქვე, 84.

ლოდ მცირედი ზეგავლენის ფარგლებში, საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ცვლილებების განხორციელების შეუზღუდავი უფლებამოსილება, მაგრამ პლენარულ სხდომაზე შემოსავლების შემცირების ან ხარჯების გაზრდის აკრძალვა, მხოლოდ ახალი პოლიტიკის ან მიმართულების არსებობის შემთხვევაში ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა, კანონმდებლის მიერ წარდგენილ ცვლილებაზე მთავრობის თანხმობის საჭიროება.²⁴

მიუხედავად იმისა, რომ, მაგ., OECD ქვეყნების უმრავლესობის საკანონმდებლო ორგანოს (ბიკამერულ სისტემებში, ორივე პალატის გაერთიანებული ძალაუფლება) აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარდგენილ კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შეუზღუდავი უფლებამოსილება, ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ კანონმდებელი რეალურად იყენებს აღნიშნულ ძალაუფლებას. ფორმალურად არსებულ უფლებამოსილებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მათ შორის, თუ მთავრობა დაკომპლექტებულია პარლამენტში ერთი პარტიის უმრავლესობით, ამგვარ პირობებში კანონმდებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლის წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტის ფორმირების ეტაპზე აქტიური თანამშრომლობა ასევე ამცირებს დამტკიცების ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების ალბათობას. გარდა აღნიშნულისა, საკანონმდებლო ორგანომ შესაძლოა თავი შეიკავოს საბიუჯეტო კანონპროექტში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისაგან, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო კანონპროექტზე კენჭისყრა განიხილება ნდობის კენჭისყრად.²⁵

ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე კომიტეტების აქტიური ჩართულობა საკანონმდებლო ორგანოს აძლევს სიღმისეული, სპეციალიზებული საბიუჯეტო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. უმრავლეს შემთხვევაში ძლიერი საბიუჯეტო კომიტეტი წამყვან აქტორს წარმოადგენს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში საბიუჯეტო პროცესის კოორდინირებულად და თანმიმდევრულად წარმართვას უზრუნველყოფს. მასვე მიაწერენ ფისკალური დისციპლინის უზრუნველყოფის ფუნქციასაც. მნიშვნელოვან მექანიზმად არის აღიარებული მთავრობის მიერ ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან ერთად წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა და მისი დეტალური განხილვა კომიტეტების, გამორჩეულად კი საბიუჯეტო კომიტეტის მიერ.²⁶

წლიური საბიუჯეტო კანონის მიღების შემდგომ პარლამენტის *ex post* საბიუჯეტო ზედამხედველობა მთავრობის მიერ საკანონმდებლო ორგანოსათვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენის გზითა და საბიუჯეტო პროცესის ე.წ. მაგიური სამკუთხედის²⁷ შესამე მონაწილის მიერ განხორციელებული აუდიტის მეშვეობით მიიღწევა. მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოსათვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშების წარდგენა ბიუჯეტის შესრულებაზე დეტალური კონტროლის განხორ-

²⁴ იქვე, 88.

²⁵ იქვე, 88-89.

²⁶ იქვე, 90.

²⁷ მერინგი მ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში (გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი), კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ, 2014, 3.

ციელების შესაძლებლობას იძლევა.²⁸ აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ძირითად დოკუმენტს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარმოადგენს. მთავრობის მიერ წარდგენილი ანგარიშისა და აუდიტის უმაღლესი ორგანოს ანგარიშების განხილვა საკანონმდებლო ორგანოს საჯარო ფინანსების კანონიერ და ეფექტიან ხარჯვაზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა აქვე იკვეთება საკითხი, რამდენად ახდენს გავლენას მთავრობის ანგარიშის განხილვის შედეგები და აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული მიგნებები მომდევნო წლის ბიუჯეტის კანონის ან ბიუჯეტის კანონში ცვლილებების დამტკიცებაზე. რიგ ქვეყნებში არსებობს პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობას. მათ შორის, გფრ-ში ბიუჯეტის ცვლილებების ან წლიური ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვის პროცესში აქტიურად მონაწილეობს აუდიტის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც, მათ შორის, გასცემს შესაბამის კანონპროექტებში აუდიტის მიგნებების გათვალისწინების რეკომენდაციებს; საფრანგეთში საფინანსო კომიტეტის კონკრეტული წევრები პასუხისმგებელნი არიან საბიუჯეტო კანონპროექტების განხილვისას აუდიტის მიგნებების გათვალისწინების უზრუნველყოფაზე;²⁹ რიგი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოში არსებობს აუდიტის კომიტეტი ან საბიუჯეტო კომიტეტის აუდიტის ქვეკომიტეტი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს აუდიტის უმაღლეს ორგანოსთან და უზრუნველყოფს აუდიტის რეკომენდაციების თანმიმდევრულ გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში.³⁰

შედეგად, აუდიტის უმაღლესი ორგანოს საქმიანობის მნიშვნელობა კი, მისი მიგნებებისა და ანგარიშების გათვალისწინების სავალდებულოობის შესაბამისად, განსხვავებულ დატვირთვას იძენს.

საჯარო ფინანსების მართვის კანონიერების კონტროლის უზრუნველყოფაში საბიუჯეტო კომიტეტის როლის გაძლიერების კარგ მექანიზმად მიიჩნევა მისი ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭება საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლისათვის. ამგვარი პრაქტიკა თანდათან მკვიდრდება OECD-ის ქვეყნებში.³¹ ინფორმაცია აღნიშნული ტრადიციის შესახებ მოიპოვება, მაგ., გფრ-ის ბუნდესტაგის ვებგვერდზე და აღნიშნულია, რომ კანონისმიერი ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს მძლავრი საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას.³²

3. მთავრობის პასუხისმგებლობა საპარლამენტო რესპუბლიკაში – საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო ძალაუფლების მექანიზმი?

იმისთვის, რომ საჯარო ფინანსების მართვის სფეროში საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობის იდეამ მთელი თავისი არსით გამოვლინდეს, აღმასრულებელი ხელის-

²⁸ Budgeting and Public Expenditures in OECD Countries, OECD, 2019, 90.

²⁹ იქვე, 91

³⁰ მაგ., გფრ, <<https://www.bundestag.de/en/parliament/function/legislation/18budgcomm-245886>> [18.11.2021]

³¹ Budgeting and Public Expenditures in OECD Countries, OECD, 2019, 90.

³² <<https://www.bundestag.de/en/parliament/function/legislation/18budgcomm-245886>> [18.11.2021]

უფლების პასუხისმგებლობის მაღალი დონის გარანტირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

საპარლამენტო რესპუბლიკაში, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გამიჯვნა ნაკლებად გამოხატულია და შეკავება-განონანსორების იდეა ნდობა-უნდობლობით გამოიხატება,³³ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ხელისუფლება სრულად ქმნის აღმასრულებელ შტოს, მთავრობის ფორმირების შემდეგ, აღმასრულებელ ხელისუფლებას სამთავრობო პროგრამის განხორციელებისათვის საქმიანობის ყველა მიმართულებით საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერა სჭირდება, თუმცა ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ პარლამენტი მთავრობის ნებისმიერი ქმედების მხოლოდ ფორმალურად დამადასტურებელ ინსტიტუტად იქცევს. სწორედ ამ ურთიერთობაში ნდობისა და უნდობლობის ვოტუმი მთავრობის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმად იქცევა.³⁴

არა მხოლოდ მონისტური თეორიის საფუძველზე, რომელიც პარლამენტარიზმის ამოსავალ იდეად მთავრობის პასუხისმგებლობას აღიარებდა, არამედ, მოგვიანებით, საპარლამენტო სისტემის რაციონალიზაციის შედეგადაც, რომელიც მთავრობის სტაბილურობას განმტკიცების იდეას ემსახურებოდა, მთავრობის პოლიტიკაზე საკანონმდებლო ზედამხედველობა საპარლამენტო სისტემის ძირითად მახასიათებლად რჩება. შესაბამისად, რაციონალიზებულ პარლამენტს უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის სახით მთავრობაზე კონტროლის განხორციელების მექანიზმი კვლავ აქვს,³⁵ რომლის ამოქმედების კონკრეტული წინაპირობები ქვეყნის ძირითადი კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის მაღალი პასუხისმგებლობა აღნიშნული მექანიზმის არსებობით არ არის გარანტირებული. უპირველესად იმიტომ, რომ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრა პარლამენტის მიერ საკუთარი არსებობისთვის საფრთხის შემცველია და შედეგად შეიძლება მისი დათხოვნაც მოჰყვეს. ამასთან, მრავალპარტიულ პარლამენტში მთავრობის მეთაურის კანდიდატურაზე შეთანხმება არ არის მარტივი. გარდა ამისა, პარლამენტი ითვალისწინებს იმასაც, რომ არსებობს მთავრობის მიერ საკუთარი ინიციატივით ნდობის დაყენების შესაძლებლობა, რაც მთავრობის ზენოლა უფროა პარლამენტზე, ვიდრე მისი პასუხისმგებლობა პარლამენტის მიმართ, ვინაიდან ის ასევე საფრთხის შემცველია პარლამენტის არსებული შემადგენლობისათვის. პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხის დაყენება საკუთარ პარტიულ-პოლიტიკაზე ზემოქმედების საშუალებაც არის და, საბოლოო ჯამში, შეიძლება საკანონმდებლო ორგანოსათვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებადაც იქნეს გამოყენებული. ნდობის ვოტუმი შეიძლება იქცეს სახელმწიფო პოლიტიკაზე მთავრობის ზემოქმედების იარაღად მიუხედავად იმისა, ეს მექანიზმი

³³ ცანავა ლ., მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპები და კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა, თბილისი, 2020, 60-61.

³⁴ იქვე, 81.

³⁵ იქვე, 94.

კონსტიტუციით უკავშირდება თუ არა კონკრეტული კანონპროექტის მიღებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „ნდობის ურთიერთობა“ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთმანეთზე ზემოქმედების საშუალება უფროა, ვიდრე მთავრობის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფი მექანიზმი.³⁶

აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი პასუხისმგებლობის მაჩვენებელია შემთხვევები, როდესაც მთავრობა საკუთარი ინიციატივით გადადგება მისი კონკრეტული პოლიტიკის მარცხის, არსებითი შეცდომის დაშვების ან პარლამენტის მიერ მნიშვნელოვანი კანონპროექტს არმიღების გამო, თუნდაც ამის კონსტიტუციური ვალდებულება არ გააჩნდეს.³⁷ თუმცა ამგვარი გადაწყვეტილებები მაღალ პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს და აღნიშნულ მექანიზმზე დიდი მოლოდინების დამყარება არაპრაგმატული იქნება.

ბიუჯეტის საკითხი იმ მცირერიცხოვან საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, რაც ნდობის საკითხის დასმასთან ასოცირდება. მას ნდობის ნაგულისხმევ კენჭისყრადაც მოიხსენიებენ.³⁸ პარლამენტის მიერ ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობა მიიჩნევა მთავრობის მიმართ ნდობის არარსებობად და ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, პარლამენტი მიმართავს თუ არა უნდობლობის ვოტუმს, მთავრობის მეთაურს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს კონსტიტუციური უფლებამოსილება – მთავრობის ნდობის საკითხის დასმა, როგორც პარლამენტზე ზემოქმედების მექანიზმი. თავად ამ კონსტიტუციური მექანიზმის არსებობა, იქნება თუ არა ის ამოქმედებული, პარლამენტს მთავრობის კანონპროექტის მხარდაჭერისკენ უბიძგებს.

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საკითხი, როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას საკანონმდებლო ორგანოს ძლიერი საბიუჯეტო უფლებამოსილება. ხელისუფლების ამ ორი შტოს ძალთა ბალანსი ყველაზე დიდ დატვირთვას სწორედ აქ იძენს, კერძოდ, როგორია მთავრობის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტში პარლამენტის მიერ ცვლილებების შეტანისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილების ხარისხი? აღნიშნული საკითხი საქართველოს პარლამენტის მაგალითზე იქნება განხილული.

II. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს პარლამენტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს იღებს ყოველწლიურად. საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენასა და მიღებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების დეტალური წესები განისაზღვრება საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ და საქართველოს პარ-

³⁶ იქვე, 123.

³⁷ Statement by Prime Minister Mark Rutte on the Government's Resignation, speech. <<https://www.government.nl/documents/speeches/2021/01/15/statement-by-prime-minister-mark-rutte-on-the-government%E2%80%99s-resignation>> [18.11.2021]

³⁸ ცანავა ლ., მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპები და კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა, თბილისი, 2020, 121.

ლამენტის რეგლამენტით, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები – საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას, ხოლო ბიუჯეტის მიღება პარლამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს.

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ აკონკრეტებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებას, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება და ბიუჯეტის კონტროლი საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს.³⁹

1. საქართველოს პარლამენტის ex ante საბიუჯეტო კონტროლის უფლებამოსილება

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს წინასწარი და შემდგომი საბიუჯეტო კონტროლის მექანიზმებს. წინასწარი საპარლამენტო კონტროლის კონსტიტუციური მექანიზმებიდან აღსანიშნავია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე პარლამენტის კომიტეტებთან საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩოს, კერძოდ კი, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის განხილვის ვალდებულება. Ex ante კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის ასპექტში მნიშვნელოვანია, აგრეთვე, კონსტიტუციით წლიური საბიუჯეტო კანონის წარდგენის უვციანესი ვადის (საბიუჯეტო წლის დასრულებამდე 3 თვე) დადგენა. ამასთან, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, პარლამენტსა და მთავრობას შორის წლიური ბიუჯეტის კანონთან დაკავშირებით თანამშრომლობა გაცილებით ადრე იწყება. წინასწარი კონტროლის განხორციელების დამხმარე ინსტრუმენტს წარმოადგენს ასევე საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური ვალდებულება, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარუდგენოს მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რომლის შედეგების მხედველობაში მიღებაც შეუძლია პარლამენტს მომდევნო წლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცებისას.

საქართველოს კანონმდებლობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს. წლიური საბიუჯეტო კანონის მიღების მიზნით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა თითქმის 7 თვიან სავალდებულო პერიოდს მოიცავს. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და მიღებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის პროცესს ხელმძღვანელობს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობა იწყება

³⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლი.

არაუგვიანეს 1 ივნისისა. საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ⁴⁰.

პარლამენტის კომიტეტების მიერ ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვის საფუძველზე მომზადებულ დასკვნებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი უგზავნის მთავრობას⁴¹.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და მის მიერ მოწონებული ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ურთიერთშესაბამისობას⁴² და არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს (თანდართულ მასალებთან ერთად), მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვას და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს.⁴³

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში, გარდა პარლამენტის კომიტეტების, ფრაქციების, უფრაქციო პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა, მონაწილეობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი. შესაბამისი დასკვნების საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ მომზადებული საბოლოო დასკვნა ეგზავნება საქართველოს მთავრობას⁴⁴.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საქართველოს მთავრობის მიერ გადამუშავებულ ვარიანტებს კვლავ განიხილავს ზემოაღნიშნული სუბიექტები და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ საბოლოო დასკვნის მომზადების შემდგომ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს პლენარულ სხდომაზე განიხილავს⁴⁵. პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის კანონპროექტი განიხილება ერთი მოსმენით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ერთგვარი ორეტაპიანი პროცესის სახით მიმდინარეობს. პლენარულ სხდომაზე გამოთქმული წინადადებების და შენიშვნების და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები პლენარულ სხდომაზე კვლავ განიხილება⁴⁶. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ითვალისწინებს მთავრობის ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი

⁴⁰ იქვე, 34-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁴¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 134-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴² საქართველოს საბიუჯეტოს კოდექსის 34-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

⁴³ იქვე, 38-ე მუხლის პირველი-მე-4 ნაწილები.

⁴⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლი.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე, 137-ე -138-ე მუხლები.

მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ და საბოლოო ვარიანტებს თან დაურთოს ინფორმაცია პარლამენტის მიერ საკომიტეტო და პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ, რაც საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის განხორციელებას უმარტივებს.⁴⁷ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს კენჭი ეყრება არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა.⁴⁸

საქართველოს კონსტიტუცია საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილების ძირითად საფუძველია.⁴⁹ კანონმდებლობით კი უზრუნველყოფილია ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე სა-ხელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაწილეობა. გენერალური აუდიტორი ან მისი მოადგილე ესწრება საკომიტეტო განხილვებს, გენერალური აუდიტორი სიტყვით გამოდის პლენარულ სხდომაზე, აუდიტის უმაღლესი ორგანო პარლამენტს წარუდგენს დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების და შესაბამისი პროექტებით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, აგრეთვე მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენების თაობაზე⁵⁰.

კანონმდებლობა ასევე უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღების პროცესის გამჭვირვალობას. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის (თანდართული მასალებით) და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტები. პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის საჯაროობის უზრუნველყოფას მისი დადგენილი წესით გამოქვეყნების გზით⁵¹. საზოგადოებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონი ხელმისაწვდომია როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.

აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული, ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთშეთანხმების კიდევ ერთი ბერკეტი, კერძოდ, თუ პარლამენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის

⁴⁷ იქვე, 39-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები.

⁴⁸ იქვე, მე-8 ნაწილი.

⁴⁹ საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი.

⁵⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე-138-ე მუხლები.

⁵¹ იქვე, 135-ე მუხლი.

წევრთა შემთანხმებელი კომისიის მონაწილეობით გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა⁵².

საქართველოს კონსტიტუციის კიდევ ერთი დანაწესი გამორიცხავს წლიური ბიუჯეტის კანონის მიღების პროცესში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის აშკარა კონფლიქტის საფუძველს. კერძოდ, თუ პარლამენტმა არ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ხარჯები დაიფარება კანონით დადგენილი წესით, წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიუღებლობა აღარ წარმოადგენს მთავრობის ან პარლამენტის დათხოვნის აუცილებელ საფუძველს, იქმნება საბიუჯეტო პროცესის უწყვეტობის გარანტიაც და ამასთან, პარლამენტსა და მთავრობას შორის საბიუჯეტო პროცესში ურთიერთ-თანამშრომლობის გაძლიერებისა და პარლამენტარიზმის განვითარების წინაპირობაც.

2. საქართველოს პარლამენტის ex post საბიუჯეტო კონტროლის უფლებამოსილება

საკანონმდებლო ორგანოს ex-post საბიუჯეტო კონტროლის მექანიზმებიდან საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა. გარდა ამისა, კანონმდებლობის საფუძველზე პარლამენტს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საერთო, თანამიმდევრული კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება აქვს. კერძოდ, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით⁵³. საპარლამენტო კომიტეტებს აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან მიღების უფლება.⁵⁴ საკომიტეტო განხილვის შედეგები, შესაძლოა საქართველოს პარლამენტის განხილვის საგანიც გახდეს⁵⁵. საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს კი განიხილავენ პარლამენტის კომიტეტები, ფრაქციები, უფრაქციო პარლამენტის წევრები, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით პარლამენტს მოხსენებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც წარუდგენს. შესაბამისი დასკვნებისა და მოხსენების განხილვის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იღებს გადაწყვეტილებას (დადგენილებას) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის

⁵² იქვე, 138-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

⁵³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 54-ე მუხლი.

⁵⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵⁵ იქვე.

შესრულების წლიურ ანგარიშს ამტკიცებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ზუსტად და სრულად ასახავს გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობებს და მათ კანონიერებას.⁵⁶ წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტი უფლებამოსილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ დაამტკიცოს.

ზემოთ აღნიშნა, რომ **ex post** საბიუჯეტო კონტროლში სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც არის ჩართული. საქართველოს პარლამენტს სწორედ ამ ორგანოს მეშვეობით შეუძლია განახორციელოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერების კონტროლი. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.⁵⁷ მოხსენება სხვა მონაცემებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას სამსახურის მიერ წინა ორი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.⁵⁸ აღნიშნული ინფორმაცია ყურადსაღებია პარლამენტისათვის, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების, ასევე მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების მიზნებისთვისაც.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს ორ ასპექტს: რა შედეგი მოჰყვება პარლამენტის მიერ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დაუმტკიცებლობას და რა მექანიზმით არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებულ მოხსენებაში ასახული მიგნებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება მომდევნო წლების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე.

პირველ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დაუმტკიცებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობების და მათი კანონიერების არაზუსტად და არასრულად ასახვა. ამდენად, შეიძლება ანგარიშის დაუმტკიცებლობა მთავრობის მიმართ ნდობის დეფიციტს გამოხატავდეს. შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების კენჭისყრა შესაძლოა ასევე მიჩნეულ იქნას „ნდობის ნაგულისხმევ კენჭისყრად“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს,⁵⁹ საქმიანობის ეფექტიანობა დიდად არის დაკავშირებული მისი კონსტიტუციური ვალდებულების განხორციელებასთან. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის მიერ საჯარო სახსრების

⁵⁶ იქვე, 142-ე მუხლი.

⁵⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 57-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁸ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, 52.

⁵⁹ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

მართვის კონტროლი.⁶⁰ საქართველოს კანონმდებლობა კი არ ითვალისწინებს მონიტორინგის უზრუნველყოფის ცხად მექანიზმებს, კერძოდ, რამდენად სავალდებულოა საქართველოს მთავრობისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ **ex post** კონტროლის განხორციელების პროცესში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები.

ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისათვის ბოლო წლებში წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები შეიცავს ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში მითითებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ.⁶¹ ხსენებული ინფორმაციის წლიურ ანგარიშში ასახვის ვალდებულებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და ის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ფარგლებში საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინების შედეგია. ამგვარი ინფორმაციის წარდგენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელების მექანიზმის შექმნის საწყის წერტილად შეიძლება იქცეს.

3. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძვლები

საგულისხმოა, რომ ამჟამად გამოკვეთილი ურთიერთთანამშრომლობითი პროცესის უზრუნველყოფი მოწესრიგების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება მაინც მნიშვნელოვნად შეზღუდულია. პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძველი საქართველოს კონსტიტუციაა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შეტანა მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. კონკრეტული შეზღუდვები კი იერარქიულად ქვემდგომი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება, კერძოდ, საქართველოს მთავრობას პარლამენტის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების ვალდებულება არ აქვს.⁶² შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში საქართველოს პარლამენტის მიერ გამოთქმული მხოლოდ ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებსაც ეთანხმება მთავრობა. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილება პარლამენტმა შესაძლებელია შეიტანოს საქართველოს მთავრობის თანხმობით და ასეთ შემთხვევაში ის თავად წარუდგენს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამის, შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილება შესაძლებელია შეტანილ იქნეს აგრეთვე პარ-

⁶⁰ საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁶¹ <<https://www.mof.ge/images/File/biujeti%2022.03.2018/auditis%20matrica.pdf>; <https://www.mof.ge/5235>; <https://www.mof.ge/5303>> [18.11.2021]

⁶² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლი.

ლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი (მთავრობის წარმომადგენელი).⁶³

ვენეციის კომისიამ გამოთქვა კრიტიკა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების გადამეტებული შეზღუდვის გამო. კრიტიკა შეეხება როგორც ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტად მხოლოდ საქართველოს მთავრობის გასაზღვრას, ასევე საქართველოს პარლამენტისათვის ბიუჯეტის პროექტში ცვლილების განხორციელების აკრძალვას მთავრობის თანხმობის გარეშე.⁶⁴

საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ძალაუფლების კიდევ ერთი მიმართება. კერძოდ, მიღებულ სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება. საქართველოს პარლამენტს ნებისმიერი ისეთი კანონპროექტის მიღება, რომელიც იწვევს მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, შეუძლია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ. რაც შეეხება მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების მქონე კანონპროექტებს, საქართველოს მთავრობის თანხმობის ალტერნატივას წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტთან შესაბამისობა.⁶⁵ თუმცა უნდა აღინიშნოს, ამ დოკუმენტთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ დასაგეგმისშემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.⁶⁶ შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს დასაგეგმისშემდგომი წლების სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსების აგრეგირებული მაჩვენებლების განსაზღვრაზე არსებითი ზეგავლენა არ აქვს. მთავრობის ამგვარი „პრევენციული ვეტოს უფლება“ ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპთან წინააღმდეგობრივადაც კი მიიჩნევა. ასევე ბუნდოვანებას იწვევს „თანხმობის იურიდიული ბუნებაც“.⁶⁷

რაც შეეხება დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილებათა კიდევ ერთ ურთიერთმიმართებას, წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებები ხორციელდება მასში საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცვლილების განხორციელების გზით.⁶⁸ ამასთან, საქართველოს პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადაცემული აქვს დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება. მაგალი-

⁶³ იქვე.

⁶⁴ Opinion 918/2018 on the Draft Constitutional Amendments Adopted on 15 December 2017 at the Second Reading by the Parliament of Georgia, Adopted by the Venice Commission at its 114th Plenary Session (Venice, 16-17 March 2018), Strasbourg, 19 March 2018, 10.

⁶⁵ საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლი.

⁶⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლი.

⁶⁷ საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიტიკური მიმოხილვა, <https://osgf.ge/files/publications/2010/Const_Financial_GEO_11_pdf.pdf> [18.11.2021]

⁶⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი და მე-40 მუხლის პირველი ნაწილი.

თად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანხმობით შეიძლება მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.⁶⁹ თუმცა, კანონი ადგენს მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილების მაქსიმალურ ზღვარს.⁷⁰ საქართველოს მთავრობა ასევე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე თანხების გადანაწილების შესახებ, მაგრამ კანონით დადგენილი კონკრეტული ზღვრის ფარგლებში.⁷¹ აღნიშნული გადანაწილების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა აცნობოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

4. საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობა, როგორც საპარლამენტო კონტროლის განხორციელების სუსტი მექანიზმი

საქართველო რაციონალიზებული პარლამენტარიზმის ჩამოყალიბების ეტაპზე იმყოფება. შესაბამისად, გარდა პარლამენტისა და მთავრობას შორის საბიუჯეტო პროცესში თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული მკვეთრი ნაბიჯებისა, საპარლამენტო უზენაესობის შენარჩუნებისათვის ძლიერი საპარლამენტო კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფაც მნიშვნელოვანია, რამდენადაც პარლამენტი სახელმწიფო ფინანსების კანონიერი და ეფექტიანი მართვაზე ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული.

საბიუჯეტო პროცესში საპარლამენტო კონტროლის ზოგად ინსტრუმენტებთან ერთად, როგორებიცაა, პარლამენტის წევრის კითხვა, ინტერპელაცია, პარლამენტის, მისი კომიტეტის, კომისიის სხდომაზე მთავრობის წევრის დასწრების მოთხოვნა, სხდომაზე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის ვალდებულება, ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა, ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის საფუძვლით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, საპარლამენტო უზენაესობის არსის ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინებად კვლავ რჩება საკანონმდებლო ორგანოს წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის. შესაბამისად, მთავრობის წევრი პასუხისმგებელია სამინისტროს მიერ განხორციელებულ საბი-

⁶⁹ იქვე, 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁷⁰ მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁷¹ გადანაწილებული თანხები არ უნდა აჭარბებდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

უჯეტო სახსრების ხარჯვაზე, თუმცა ეს პრემიერ-მინისტრის წინაშე ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უფროა, ვიდრე პარლამენტის წინაშე.

საქართველოში მმართველობის მოდელის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით მთავრობის კოლექტიური პასუხისმგებლობის მექანიზმებიც.

2004 წლიდან 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტამდე არსებული მოდელი ითვალისწინებდა წინასწარი, მიმდინარე და შემგომი საბიუჯეტო კონტროლის მექანიზმებს. თუ პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არ დაამტკიცებდა სახელმწიფო ბიუჯეტს, დგებოდა მთავრობის ან პარლამენტის პასუხისმგებლობის საკითხი. საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა მთავრობის გადაყენების ან პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილება. ამდენად, ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საფრთხე ექმნებოდა არა მხოლოდ მთავრობის, არამედ პარლამენტის არსებულ შემადგენლობასაც.

კონსტიტუცია აწესრიგებდა ბიუჯეტის შესრულების პროცესში პარლამენტის მიერ მიმდინარე კონტროლის განხორციელების შედეგებს, კერძოდ, ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერების კონტროლის შედეგად დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, პარლამენტი უფლებამოსილი იყო მიემართა პრეზიდენტისათვის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება შემდგომი საბიუჯეტო კონტროლის განხორციელებას, თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავდა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებდა თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

ამავე მოდელით, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი იყო დაესვა მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახადო კოდექსის და „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონპროექტებზე. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებლობის შემთხვევაში დგებოდა არა მხოლოდ მთავრობის, არამედ თავად პარლამენტის დათხოვნის რისკიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მოდელის პირობებში გამოკვეთილად არაქმედით მექანიზმად იყო ქცეული საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული უნდობლობის ვოტუმი, ვინაიდან ნაკლებად მოსალოდნელი იყო პარლამენტს საკუთარი არსებობისათვის საფრთხის შექმნის ფასად დაეყენებინა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. მეტიც, მუდმივად არსებობდა პრემიერ-მინისტრისგან მთავრობის ნდობის დასმის სახით საკანონმდებლო ორგანოზე ზემოქმედების რისკი.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედებული კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი გამოკვეთილად დაუკავშირდა

ნლიური ბიუჯეტის მიღებას.⁷² უნდობლობის საკითხის ამოქმედების საფუძვლად განისაზღვრა პარლამენტის მიერ საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ბიუჯეტის მიღების შეუძლებლობა. მთავრობისთვის უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პრეზიდენტი დაითხოვდა პარლამენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა კრიტიკის საგანი გახდა.⁷³ მიუხედავად იმისა, რომ არსებული მოდელი ყველაზე მეტად საპარლამენტო მოდელს მიემსგავსა, თვალნათელი იყო პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის უფლებამოსილებების დისბალანსი და ხაზგასმით აღინიშნებოდა პარლამენტის როლის არაადექვატური შესუსტება.⁷⁴

ამავე ცვლილებით ამოღებულ იქნა მიმდინარე და შემდგომი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების მარეგულირებელი ნორმები. კონსტიტუცია აღარ ითვალისწინებდა პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შედეგს. ცხადია, ეს დაუკავშირდა პრეზიდენტის როლის შესუსტებას, თუმცა კონკრეტული ალტერნატიული მექანიზმი არ იქნა განსაზღვრული.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან მოქმედი კონსტიტუცია აღარ უკავშირებს მთავრობის მიმართ საქართველოს პარლამენტის ნდობა/უნდობლობას უშუალოდ ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს.

მოქმედი კონსტიტუცია საქართველოს პარლამენტის მიმართ მთავრობის კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპის განხორციელების ზოგად მექანიზმად პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას ითვალისწინებს. რაც შეეხება უშუალოდ საბიუჯეტო კონტროლის ინსტრუმენტს, ნლიური საბიუჯეტო კანონის დამტკიცების პროცესი ნდობის ნაგულისხმევ კენჭისყრად შეიძლება მივიჩნიოთ. ამას მოწმობს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც მოიცავს მთავრობის სრულ სამოქმედო გეგმას. მართალია დოკუმენტი არ მტკიცდება პარლამენტის მიერ, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველად წარდგენის მომენტიდან (განსხვავებული მასშტაბით) მისი საბოლოო ვერსიის წარდგენის ჩათვლით თან ერთვის ნლიურ ბიუჯეტის კანონს და სრულად შეესაბამება მას.

აქვე აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი. კონსტიტუცია აღნიშნულ უფლებამოსილებას არ უკავშირებს კონკრეტულ საკითხს და, შესაბამისად, მთავრობის მეთაურს შეუძლია ეს მექანიზმი საკანონმდებლო ორგანოში ნებისმიერი რეფორმის, პოლიტიკის, კანონპროექტის, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენის შემთხვევაში გამოიყენოს.

⁷² „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N1456-ლ კონსტიტუციური კანონი.

⁷³ საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიტიკური მიმოხილვა, 7,

<https://osgf.ge/files/publications/2010/Const_Final_GEO_11_pdf.pdf> [18.11.2021]

⁷⁴ იქვე, 2-3.

ასევე საყურადღებოა, რომ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის პარლამენტის მიერ დამტკიცებლობის კონკრეტულ შედეგს. მიიჩნევა, რომ ზოგადად, ასეთ შემთხვევაში, პარლამენტის მიერ ანგარიშის დამტკიცება ფორმალური პროცედურაა, ხოლო დამტკიცებაზე უარის თქმა – უფრო პოლიტიკური პროცესი, რა დროსაც შეიძლება დადგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი.⁷⁵ ამდენად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების პროცესი ასევე შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნდობის ნაგულისხმევ კენჭისყრად.

IV. დასკვნა

საქართველოს პარლამენტის ზეგავლენა ფისკალურ პოლიტიკაზე არ არის ძლიერი. კონსტიტუციური შეზღუდვების გარდა, საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების სხვა სისუსტეები უკავშირდება როგორც წინასწარი, ასევე, შემდგომი კონტროლის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენებას. სახალხო სუვერენიტეტის არსიდან გამომდინარე კი, უდავოდ მნიშვნელოვანია ფისკალურ პოლიტიკაზე საპარლამენტო გავლენის არსებობა.

უპირველესად, აქტუალური უნდა გახდეს მთავრობის პრევენციული ვეტოს მექანიზმის გაუქმებაზე მსჯელობა და საქართველოს პარლამენტს მთავრობის თანხმობის გარეშე მიეცეს ბიუჯეტის პროექტსა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება. მით უფრო, რომ ორგანული კანონით გათვალისწინებულია ძირითადი ფისკალური წესები – დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრები და მათი გადაჭარბების ალბათობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მინიმალურია. მიუხედავად იმისა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, კანონმდებელი აქტიურად გამოიყენებს თუ არა ბიუჯეტის პროექტსა თუ დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილებას, მისი ფორმალურად არსებობა მაინც უზიძგებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანგარიში გაუწიოს საკანონმდებლო კონტროლის მექანიზმებს⁷⁶ და ეტაპობრივად პარლამენტის პასუხისმგებლობის ხარისხის ზრდასაც შეუწყობს ხელს. რაციონალიზებული პარლამენტის იდეა სწორედ ძლიერი საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას გულისხმობს.

საპარლამენტო სისტემისათვის დამახასიათებელი ნდობა-უნდობლობის მექანიზმის არასაკმარისი ეფექტურობის გამო, საბიუჯეტო კონტროლის ქმედითი ინსტრუმენტების საკანონმდებლო ორგანოსათვის მინიჭება უკიდურესად მნიშვნელოვანია პარლამენტის უზენაესობის იდეის უზურუნველსაყოფად. არსებითია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის როლის გაძლიერება როგორც წლიური ბიუჯეტის ფორმირების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრუ-

⁷⁵ Jones F., *Parliamentary Control of Budget Implementation*, Policy Department of Budgetary Affairs, Brussels, 2009, 7.

⁷⁶ *Budgeting and Public Expenditures in OECD Countries*, OECD, 2019, 89.

ლების ანგარიშგების ეტაპზე⁷⁷, კერძოდ, უნდა გაძლიერდეს ბიუჯეტის განხილვის ეტაპზე მისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების სავალდებულობის ხარისხიც და შედეგად, ზედამხედველობაც მათ შესრულებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების თანმიმდევრულ გათვალისწინებასთან დაკავშირებით საკომიტეტო კონტროლის გაძლიერება.

მნიშვნელოვანია საპარლამენტო აქტივიზმის გაძლიერება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან, როგორც სახელმწიფოს განვითარების თაობაზე პოლიტიკურ განაცხადთან, მიმართებით. ამ უკანასკნელ დოკუმენტთან მიმართებით საკანონმდებლო ორგანოს გავლენა ამჟამად ნომინალურია, მასთან დაკავშირებით არც ფართო დებატები იმართება საკანონმდებლო ორგანოში, ხოლო დასაგეგმისშემდგომი წლების მონაცემებზე პარლამენტის მოსაზრებები მთავრობისათვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე წინასწარი საპარლამენტო დებატები რეალურად აამოქმედებს პარლამენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას – ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების საკანონმდებლო რეგულირება, მეორე მხრივ კი, საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ინფორმაციის მიზანმიმართული და თანმიმდევრული გამოყენება როგორც ანგარიშის დამტკიცების, ასევე წინასწარი საბიუჯეტო კონტროლის განხორციელების პროცესში.

ბიუჯეტის ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის ნათლად დარეგულირება გააძლიერებდა, ასევე, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მთავრობის ანგარიშვალდებულებას საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

სახელმწიფო ბიუჯეტს ციფრებში გამოსახულ ხელისუფლების პოლიტიკურ განაცხადს უწოდებენ. ის ხაზს უსვამს კონკრეტული ხელისუფლების იდეოლოგიას, პოლიტიკურ ფილოსოფიას და პლატფორმას და ამასთან, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ძლიერი ზემოქმედების იარაღია.⁷⁸ შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო ფინანსური და პოლიტიკური და თითქოს ყველაზე ნაკლებად სამართლებრივი დოკუმენტია. სწორედ ამიტომ უნდა გაძლიერდეს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება, რათა მუდმივად საკანონმდებლო ორგანოს რეალური კონტროლის გარეშე არ დარჩეს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა.

⁷⁷ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიაში აღნიშნულია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რიგი ამოცანები. იხ., საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021, 74, 76-79.

⁷⁸ ავალიანი თ., ფინანსური კომპეტენცია, როგორც საპარლამენტო კონტროლის ფორმა საქართველოში, თბილისი, 2016, 43-44

BUDGETARY AUTHORITY OF THE LEGISLATIVE BODY ACCENTUATING THE CONSTITUTIONAL FOUNDATIONS OF AN AUTHORITY OF PARLIAMENT OF GEORGIA

Abstract

Granting strong budgetary control to the legislature is widely recognized as a mechanism to ensure the establishment and strengthening of the rule of law in public finances.

Historically, obtaining budgetary authority has cost the representative bodies an immense effort. However, the levers of control over the management of public finances were gradually lost or voluntarily relinquished, and the importance of strengthening parliamentary activism in the process of public finance management is still relevant today to ensure the idea of parliamentary supremacy.

The article reviews the constitutional basis of the budgetary authority of the legislature, the dynamics of its acquisition and transformation, the mechanisms of parliamentary control. The article includes a brief comparative legal analysis of the budgetary powers of the legislature according to the model of state governance, while the main focus is on the challenges of the budgetary powers of the Parliament of Georgia and includes relevant recommendations.

Keywords: Budgetary Control, Parliamentary Control Mechanisms, Budgetary Authority, Constitutional Basis of Budgetary Authority, Parliament of Georgia.

* Ph.D. Candidate, Assistant at Sul Khan-Saba Orbeliani University.

**პოლიტიკის მეცნიერება და
საერთაშორისო ურთიერთობები**

მარქსიზმი და ქალთა სტატუსი

I. შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების უმთავრეს დებულებად რჩება სქესთა შორის თანასწორობის დამყარება და ქალთა ემანსიპაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. თუმცა საინტერესოა მარქსისტული შეხედულებები ქალთა უფლებებისა თუ როლის შესახებ. ამ გადანივებით თავის მიზეზები აქვს. საბჭოთა კავშირი, თავისი დაარსების დღიდან, მარქსისტულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და პრაქტიკაში იყენებდა კიდევაც. შესაბამისად, საინტერესოა, როგორ ჰქონდათ მარქსისტებს წარმოდგენილი ქალთა სტატუსი საზოგადოებასა თუ ოჯახში და რეალობაში რამდენად მოხდა ამ შეხედულებების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ მარქსისტული იდეების გაგრძელება, ერთგვარად შეცვლილი სახით, იყო შემდეგში ქალის სტალინისეული აღქმა.

II. ქალთა სტატუსი ფრიდრიხ ენგელსის მიხედვით

მარქსისტული თეორიის გააზრება ქალთა ჩაგვრისა და ემანსიპაციის შესახებ აუცილებელია, რათა ზუსტად განისაზღვროს ქალის სტატუსი საბჭოთა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ყველა მარქსისტული მოძრაობა მიმართული იყო ქალთა ემანსიპაციისკენ.¹ ერთ-ერთი ძირითადი კლასიკური მარქსისტული ნაშრომი, რომელიც განიხილავს ქალთა სტატუსს და მდგომარეობას, არის ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. ენგელსის ნიგნმა საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ თეორიას ქალთა ჩაგვრის შესახებ და მათი ემანსიპაციისაკენ სტრატეგია დასახა.² ენგელსის ანალიზი სამ ნაწილად წარმოჩინდება: წარსულის რეკონსტრუქცია, ქალის ჩაგვრა კაპიტალიზმის დროს და ქალის ემანსიპაცია სოციალიზმის დროს. იგი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ქალის უთანასწორობა კაპიტალისტურ ქვეყანაში გამოწვეულია საკუთრების არსებობით, მათი უუფლებობით – იმუშაონ, და მამაკაცზე მატერიალური დამოკიდებულებით.³ ამდენად, ენგელსი განმარტავს, რომ ქალის უთანასწორო მდგომარეობის მიზეზი არ არის გამოწვეული მხოლოდ მამაკაცთა მხრიდან ჩაგვრით, არამედ უფრო მეტად დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან.⁴ მისი აზრით, სოციალური თანასწორობა მიღწევადი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალი საზოგადო სფეროში აქტიურად

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. orcid.org/0000-0001-8773-8355

¹ Heitlinger A., *Women and State Socialism*, London, 1979, 15.

² იქვე.

³ ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გ. ქიქოძის თარგმანი, მ. ტოროშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1932, 83.

⁴ იქვე.

ჩაერთვებოდა. სწორედ ამისთვის იყო საჭირო სოციალისტური რევოლუცია. ქალთა ემანსიპაციის წინაპირობა კი კერძო საკუთრების გაუქმება და სოციალური მფლობელობის დანესება იყო.⁵

კაპიტალისტურ ეპოქაში კაცობრიობის შესვლის შემდეგ გაიზარდა მოთხოვნა მუშახელზე, რამაც თავისთავად განაპირობა ქალების პროდუქციის წარმოებაში ჩართულობის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. კაპიტალიზმი, ტექნიკის სწრაფი განვითარების, შრომის დანაწილების და ქვეყნებს შორის შეჯიბრის გააქტიურების ფონზე, ქალი-მუშების ზრდას მოითხოვდა.⁶ სწორედ ამის გამო, მარქსისტული იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ ცხოვრების ახალმა პირობებმა მოიტანა ქალთა წინა პლანზე გამოსვლის აუცილებლობა. ენგელსი სწორედ ამ ფაქტებს ეყრდნობოდა და აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო ქალების დაბრუნება საჯარო ინდუსტრიაში. ეს კი, თავის მხრივ, გახდებოდა მონოგამური ოჯახის, როგორც საზოგადოების ეკონომიკური გამაერთიანებლის, გაუქმების მიზეზი.⁷ გარდა ზემოხსენებული ცვლილებებისა, ქალთა სრული ემანსიპაციისთვის ენგელსს მართებულად მიაჩნდა კერძო მეურნეობის გადასვლა საზოგადოებრივ წარმოებაში, ბავშვებზე ზრუნვა უნდა გამხდარიყო საჯარო საქმე – საზოგადოება იზრუნებდა ყველა ბავშვზე.⁸

ქალი უნდა ჩართულიყო წარმოებაში – ეს იყო ენგელსის პირველი ძირითადი პირობა. ამის შემდეგ იყო მოლოდინი, რომ ქალები იმუშავებდნენ და მათთვის სამსახური გახდებოდა ცხოვრების ნაწილი. დროთა განმავლობაში, მათ მოემატებოდათ თავდაჯერებულობა და აქტიურად ჩაერთვებოდნენ ინტელექტუალურ, სოციალურ თუ საჯარო საქმეებში. თუმცა, როგორც შემდეგში დავინახეთ, საბჭოთა კავშირში, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიას ეყრდნობდა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, ენგელსის მეორე პირობა არ განხორციელდა და მხოლოდ საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების ხელახალი წარდგენა მოხდა, დროთა განმავლობაში კი ჩამოყალიბდა მომუშავე დედების სახე, რომლებიც, მამებისგან განსხვავებით, ორ საქმეს აკეთებდნენ – ერთს ოჯახში და მეორეს სახლის გარეთ, ეს იყო ენგელსის მოლოდინისგან საკმაოდ განსხვავებული რეალობა. როგორც ფირსტოუნი ამბობს, „ქალის როლი/დატვირთვა გაიზარდა, კი არ შემცირდა“⁹. ალენა ჰაიტლინგერი, რომელიც განიხილავს ენგელსის თეორიას ქალთა ემანსიპაციის შესახებ, მიუთითებს ენგელსისეულ შეცდომაზე. ის წერს, რომ ენგელსის დადანიშნულება შეიძლება ერთ ფაქტორში, – მან სიტყვა „წარმოების“ განსაზღვრება ძალიან ვიწრო კონტექსტში წარმოადგინა. ენგელსი საყოფაცხოვრებო საქმიანობას წარმოების სფეროდ არ მიიჩნევდა, რამაც გამოიწვია ერთგვარი კოლაფსი პრაქტიკულ საქმიანობაში.¹⁰ ფაქტობრივად, ქალთა გათავისუფლების იდეა ქალთა ორმაგი დატვირთვის მიზეზი გახდა.

⁵ იქვე, 84.

⁶ Bebel A., *Woman under Socialism*. E-book, 2009, 114.

⁷ ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გ. ქიქოძის თარგმანი, მ. ტოროშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1932, 85.

⁸ იქვე.

⁹ Heitlinger A., *Women and State Socialism*, London, 1979, 19.

¹⁰ იქვე.

III. ქალთა სტატუსი ავგუსტ ბებელის მიხედვით

ენგელსის გარდა, ქალთა საკითხებით დაინტერესებულნი იყვნენ სხვა მარქსისტი თეორეტიკოსებიც. საინტერესო იქნება ქალთა ჩაგვრისგან გათავისუფლების შესახებ რამდენიმე მათგანის მოსაზრებების განხილვა. ყურადსაღებია გამოჩენილი გერმანელი მარქსისტ-რევოლუციონერის, ავგუსტ ბებელის, შეხედულებები ქალთა ემანსიპაციისა და სოციალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ბებელი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა მარქსისტთა შორის, რომელიც დაინტერესებული იყო და აქტიურად წერდა ქალთა საკითხებზე. ხსენებული მიმართულება წარმოდგენას შექმნის სოციალიზმის დამყარების შემდეგ ქალთა მოსალოდნელ მდგომარეობაზე/სტატუსზე თეორიული თვალსაზრისით.

როდესაც ბებელი აღწერს კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ შრომას, აღნიშნავს, რომ თუ კაპიტალისტური შრომის დასაწყისში კაცების შრომა უპირისპირდებოდა კაცებისას, თანდათან ჩანაცვლდა და ახლა ერთი სქესი იბრძვის საპირისპირო სქესის წინააღმდეგ, სქესის შემდეგ დაპირისპირების მეორე ეტაპი არის ასაკი. აქედან კი გადავდივართ ეტაპზე, როდესაც ქალი ანაცვლებს კაცს, მაგრამ თავად ქალს ჩაანაცვლებს ახალგაზრდა თაობა. ამასთან დაკავშირებით ბებელი განმარტავს, რომ ასეთია „მორალური წყობილება“ თანამედროვე ინდუსტრიაში.¹¹ ამდენად, კაპიტალიზმმა თავისთავად გაზარდა კონკურენცია სქესთა შორის და თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. როდესაც იგი საუბრობს სოციალურ წყობილებაზე, აცხადებს, რომ, მთავარია, დამყარდეს ისეთი სოციალური კონდიცია, როდესაც „სრული თანასწორობა, სქესისდა მიუხედავად, გახდება ნორმა“.¹² ბებელი, აქტიური მარქსისტული იდეოლოგიის გამზიარებელი, მიიჩნევს, რომ სქესთა შორის თანასწორობა საზოგადოების განვითარების ერთადერთი სწორი გზაა. გარდა ამისა, ის დასძენს პირობებს, თუ რა შემთხვევაშია სრული თანასწორობის მიღწევა შესაძლებელი: „ეს შესაძლებელია, თუ მთლიანად წარმოება გახდება საზოგადოების საკუთრება, როდესაც კოლექტიური მუშაობა ნაყოფიერების პიკს მიაღწევს და ყველაფერზე მაღლა ვალდებულია დადგება“.¹³ აი, აქ უკვე ვაწყდებით სახელმწიფოს მოწყობის ახალ ფორმას, რომელიც თავის თავში ითვალისწინებდა ქალთა ახლებურ მდგომარეობას. ბებელი ფიქრობდა, რომ ამ შემთხვევაში ქალი დამსგავსდება კაცს, საზოგადოების პროდუქტიულ და საჭირო წევრს და მამაკაცის თანასწორი იქნება. ამ შეხედულების მიხედვით, ქალი შეძლებს თავისი ფიზიკური თუ მენტალური თვისებების განვითარებას და შესაბამისად, იქნება თავისუფალი არსება, „კაცის მენყვილე“.¹⁴ მოცემულ მონაკვეთში კარგად ჩანს ბებელის ხედვა ქალთა საკითხისადმი. ის აუცილებლად მიიჩნევს საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისათვის სქესთა შორის უთანასწორობის მოსპობას. აქ კიდევ ერთი მომენტია გამოსაკვეთი, როდესაც იგი საუბრობს კაცის პრიმატზე, აღნიშნავს: ისინი, ვინც

¹¹ Bebel A., *Woman under Socialism*, E-book, 2009, 114.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

კაცის პრიმატს აღიარებენ, მიიჩნევენ, რომ ქალი გონებრივი შესაძლებლობებით უფრო დაბლა დგას ვიდრე კაცი. სწორედ ამიტომ, შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ ქალმა მიაღწიოს ინტელექტუალური განვითარების მნიშვნელოვან ნიშნულს.¹⁵ ბებელი არ იზიარებს ამ იდეას და ავითარებს საინტერესო შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, თუ ახალი იდეა საჭირო დროს სათანადო ადგილას მოხვდება, მას საზოგადოება აიტაცებს და ერთ დროს უმცირესობაში მყოფნი უმრავლესობაში მოექცევიან. თუ ამ იდეას მივყვებით და თვალს გადავავლებთ ისტორიულ დინებას, ამაში ადვილად დავრწმუნდებით. უმცირესს მაგალითად კი კმარა ქრისტიანობის ისტორია. ერთ დროს ქრისტიანები უმცირესობაში იყვნენ, ყველასაგან დევნილნი, მაგრამ საჭირო დრომ და შესაძლებლობებმა მათი პოზიციები მოწინავედ აქცია. სწორედ ეს აფიქრებინებს ბებელს, რომ სოციალური დემოკრატია მიღწევადია.

თავის წიგნში ბებელი ამხელს მამაკაცების უმეტესობას, რომელთაც სჯერათ, რომ გონებრივად ქალი ყოველთვის მათზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამის დასადასტურებლად მოჰყავს პროფესორ ფონ ბიურენბახის შეხედულება გერმანულ უნივერსიტეტებში ქალების სწავლის თაობაზე. ბიურენბახი აღნიშნავს, რომ დღემდე ქალთა შორის არ ყოფილა გენიოსი, ამიტომ, აქედან აკეთებს დასკვნას, რომ ქალი გონებრივად „უვარგისია სწავლებისთვის“.¹⁶ რა შეიძლება ითქვას ამ შეხედულებასთან დაკავშირებით? ფაქტია, რომ პროფესორი ერთი მხრიდან უყურებს საკითხს. კიდევ უფრო საინტერესოა თავად ბებელის განმარტება, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ ეს არგუმენტი არ არის, რადგან გენიოსები „ციდან არ ცვივიან“¹⁷, მათ (ამ შემთხვევაში ქალებს) სჭირდებათ შესაძლებლობები, რათა ჩამოყალიბდნენ. ეს შესაძლებლობები კი წინარე პერიოდში ქალებს ნამდვილად არ ჰქონიათ. საინტერესოა, რა მოხდებოდა განვითარების თანაბარი პირობები რომ ჰქონდეთ ყველა მიმართულებით? ამ კითხვაზე ბებელი თავადვე პასუხობს და აცხადებს, რომ ქალს ისევე შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილებას, როგორც მამაკაცს. დასასაბუთებლად კი მოჰყავს მსოფლიო ისტორიიდან მაგალითი, „საშუალოდ, მიიჩნევა, რომ ქალმა მმართველებმა უფრო დიდი ნიჭი გამოავლინეს ვიდრე კაცებმა“.¹⁸ ამის დასადასტურებლად ასახელებს: ინგლისის დედოფალ ელისაბედს, ეკატერინე მეორეს რუსეთიდან, ელისაბედ უნგრელს და სხვ.¹⁹ საქართველოს ისტორიის მაგალითზეც, აშკარაა, თამარ მეფემ ჯერ კიდევ XII საუკუნეში შეძლო წარმატებული მონარქის სახელის დამკვიდრება. თუმცა, ბებელი არ უარყოფს განსხვავებას რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს. მისი აზრით, ეს ორი სხვადასხვა „სქესობრივი არსებაა“ განსხვავებული აგებულებით და ბიოლოგიური ფუნქციით, საკუთარი ბუნებითი მიზნის აღსასრულებლად მოვლენილი. ის ცალკე გამოყოფს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ფსიქოლოგიურ თუ ფსიქიკურ განსხვავებას. ბებელი ფიქრობდა, რომ ქალი იმავე სამსახურს უწევს ქვეყანას შვილის გაჩენით, როგორსაც მამაკაცი,

¹⁵ იქვე, 122.

¹⁶ იქვე, 125.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე, 127.

¹⁹ იქვე.

რომელიც იარაღით იცავს სამშობლოს.²⁰ ამდენად, იგი ხედავდა სქესთა შორის თანასწორობის აუცილებლობას, მაგრამ განსხვავებასაც უსვამდა ხაზს. მიუხედავად ამგვარი აღიარებისა, მას შეუძლებლად არ მიაჩნია და პირიქით, მომხრეა, რომ ქალს მამაკაცთან გათანაბრებული სოციალური თუ პოლიტიკური უფლებები ჰქონდეს.²¹ ეს მოსაზრება ბებელს წარმოაჩენს ქალთა ემანსიპაციის მომხრეთა რიგში. ამასთანავე, იგი მარტო მინიჭებულ თანასწორობას არ სჯერდება და მიიჩნევს, რომ ქალმა თავად უნდა წამოიწყოს ინტელექტუალური შეჯიბრება მამაკაცებთან; თავად უნდა იზრუნოს საკუთარ მომავალზე. არც საშინაო ცხოვრება რჩება ყურადღების მიღმა და მიაჩნია, რომ ქალი მკაცრად შემოსაზღვრული საშინაო ცხოვრებიდან უნდა გახდეს საჯარო ცხოვრების სრული მონაწილე.²²

ბებელი ერთადერთი არ არის მარქსისტული იდეოლოგიის გამზიარებელთა შორის, რომელიც აღიარებს სოციალიზმთან ერთად ქალის ემანსიპაციის აუცილებლობას. მარქსისტი და ბოლშევიკი ლევ ტროცკი დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა საკითხებს. თავის ნაშრომში – „ქალი და ოჯახი“, იგი საუბრობს ქალის სტატუსის შეცვლის აუცილებლობაზე და ამ მიზნის მისაღწევად გასახორციელებელ ცვლილებებზე. ტროცკი აღნიშნავს, რომ ქალის მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სოციალური, საოჯახო თუ საშინაო საქმეები შეიცვლის ფორმას, გადაკეთდება“.²³ შემდეგში ბოლშევიკები იზიარებდნენ ამ შეხედულებას და მიაჩნდათ, რომ ქალის სტატუსის ცვლილება „ახალ სახელმწიფოში“ აუცილებელიც კი იყო.

წარსულში მიიჩნეოდა, რომ ქალები პოლიტიკურად ინდიფერენტულები უნდა ყოფილიყვნენ. შესაბამისად, საზოგადოებაში ქალის როლი მინიმალური იყო. თუმცა თანდათან ეს დამოკიდებულება შეიცვლა და კაპიტალიზმის პერიოდში ეს მიდგომა ქალის ტრადიციული როლის („ეკლესია, სამზარეულო, ბავშვები“²⁴) თაობაზე უკანა პლანზე გადავიდა. თუმცა ამ ყველაფერს თან მოჰყვა სოციალური ექსპლუატაციის ახალი ფორმები, რამაც არაერთ ქალს უმძიმესი საცხოვრებელი პირობები შეუქმნა. მარქსისტები ამ საკითხს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ და ისინი რვასათიანი სამუშაო დღის მომხრეებად გამოდიოდნენ.

კლასთა შორის სოციალური ურთიერთდამოკიდებულების გამოსავლენად ყველაზე კარგი საშუალება კანონებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე დაკვირვებაა. ამ აზრს იზიარებს ბებელი და აღნიშნავს, რომ „კანონები სარკეა, რომელიც ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას ასახავს“. კანონები ნეგატიურია ან პოზიტიური, – პოზიტიური იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავს შევინრობულებსადმი დამოკიდებულებას და ცდილობს, იპოვოს გამოსავალი, ხოლო ნეგატიური, რადგან უარყოფს შევინრობულებს პრივილეგიებისა და უფლებების მიხედვით.²⁵ საილუსტრაციოდ

²⁰ Attwood L., *Creating the New Soviet Woman*, London, 1999, 7.

²¹ Bebel A., *Woman under Socialism*, E-book, 2009, 127.

²² იქვე, 128.

²³ Trotsky L., *Women and the Family*, New York, 1970, 45.

²⁴ Woods A., Munoz A., *Marxism and the Emancipation of Women*,

<<https://www.marxist.com/marxism-feminism-emancipation-women080300.htm>> [10.06.2021]

²⁵ Bebel A., *Woman under Socialism*, E-book, 2009, 145.

მას მოჰყავს მაგალითი ენობრივი კატეგორიიდან. ხშირ შემთხვევაში ენა შემოინახავს ხოლმე ერში დამკვიდრებულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი. ბებელი განმარტავს, რომ ფრანგულ ენაში ადამიანი და კაცი ერთი და იმავე ტერმინოლოგიით გადმოიცემა – “l’homme”.²⁶ აქვე, დავამატებდით, რომ ქართულ ენაშიც ზუსტად იგივეა – „კაცი“ მარტო მამრობითი სქესის პიროვნებას არ მიემართება და უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული თავისთავად ხაზს უსვამს ქალთა მდგომარეობას იმ საზოგადოებაში, რომელსაც განვიხილავთ. თუმცა ეს აღმოჩენა ნამდვილად არ არის, ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდნენ რომის მოქალაქეები და რომის მოქალაქეების ცოლები (არა – ქალი-მოქალაქეები).²⁷ ეს ფაქტიც, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების ანარეკლია. ბებელს მიაჩნია, რომ რადიკალური ცვლილებების თავიდან არიდება შეუძლებელია და ეს ცვლილებები თავის თავში მოიცავს ქალთა მდგომარეობის/სტატუსის შეცვლასაც. ამდენად, მარქსისტებს მიაჩნდათ, რომ ბევრი რამე იყო შესაცვლელი ქალთა საკითხში, განსაკუთრებით მათი ჩართულობის გაძლიერებას ესმებოდა ხაზი.

საკითხის უკეთ წარმოსაჩენად, აუცილებელია, განვიხილოთ ბებელის შეხედულება მომავლის ქალის შესახებ. ბებელი ხაზს უსვამს, რომ ქალი გახდება სოციალურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი.²⁸ ის განათლების დონით მამაკაცს უნდა უთანაბრდებოდეს, ვინაიდან მომავალში ცხოვრების თანაბარი პირობები ექნებათ ქალსაც და კაცსაც. შესაბამისად, ქალი შეძლებს გონებრივი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, იმუშავეს იმავე პირობებით, რომლითაც მამაკაცები მუშაობენ. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ბებელის მოლოდინი გამართლდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბებელისეული იდეა მომავლის ქალსა და სიყვარულს შორის დამოკიდებულების თაობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ქალი, ისევე როგორც მამაკაცი, თავისუფალია სიყვარულში. ის იზიარებს მარქსისტულ შეხედულებას სიყვარულისადმი და აცხადებს, რომ ორ ადამიანს შორის ურთიერთობა არის პირადი, კერძო ხელშეკრულება, ისეთივე ფუნქციის მქონე, როგორც ქორწინება იყო ადრეულ შუა საუკუნეებში. მისი განმარტებით, სოციალიზმს ამ მიმართულებით სიახლე არ შემოაქვს, ის უბრალოდ აღადგენს ძველს ახალ სოციალურ ფორმებში.²⁹

გარდა სიყვარულისა, ბებელი განიხილავს ქორწინების მნიშვნელობას. ცალკე გამოყოფს ქორწინებას, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მახასიათებელს და სქესთა შორის ერთადერთ მორალურ გაერთიანებას. განმარტავს, რომ ყველა დანარჩენი სახის კავშირი ამორალურად მიიჩნეოდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საქორწინო კავშირს ასეთ საზოგადოებაში, ბებელი საკუთრების და მემკვიდრეობის არსებობას უკავშირებს. მისი აზრით, აქ ქორწინება პირდაპირ კავშირშია ლეგიტიმური მემკვიდრეების გაჩენის საქმესთან, შესაბამისად, იგი სოციალურ კანონად არის გადაქცეული და ამიტომ სახელმწიფო დაპატიმრებითაც კი სჯიდა წყვილის ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას.³⁰ სწორედ ამიტომ, სოციალიზმის დამყარება

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე, 225.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, 227.

გამოსავლად ესახება, მისი აზრით, მომავალ საზოგადოებაში, რომელშიც საკუთრება აღარ იარსებებს, აღარაფრის ანდერძად დატოვება იქნება შესაძლებელი. რაც თავისთავად მოაგვარებს მემკვიდრეების პრობლემას. ამდენად, სოციალიზმი კი არ გააუქმებს მემკვიდრეობას, არამედ პირადი საკუთრების მოსპობა თავისთავად მოიტანს ამ შედეგს. უნდა ითქვას, რომ პრაქტიკამ სულ სხვა რამ აჩვენა, საბჭოთა კავშირში საკუთრების გაუქმება არ გახდა ქორწინების გაუქმების მიზეზი, რადგან ქორწინება არა საკუთრების არსებობაზე დამყარებული ერთობა, არამედ ღრმა ტრადიციულ-კულტურული ფენომენი იყო. ბებელი მიიჩნევდა, რომ ქალი იქნებოდა თავისუფალი და ბავშვები არ შეუზღუდავდნენ მას თავისუფლებას. „ისინი მხოლოდ აავსებენ მის ცხოვრებას სიხარულით და სიამოვნებით. მასწავლებლები, ექიმები და ქალი მეგობრები დაეხმარებიან დედებს, როცა საჭირო იქნება“.³¹ განსაკუთრებით საინტერესო და აღნიშვნის ღირსია უკანასკნელი ციტატის განმარტება. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ქალთა ემანსიპაციის მარქსისტული აღქმა განსხვავდება თანამედროვე მიდგომისგან. ბებელი ფიქრობს, რომ ქალის გათავისუფლება ზედმეტი ტვირთისგან უნდა მოხდეს ისევე ქალების ხარჯზე. უფრო კონკრეტულად, მასწავლებლები სკოლასა თუ ბაღში, ქალი-მეგობრები, ეს მდებარეობითი სქესის საზოგადოებაა, რომელიც ეხმარება დედას შვილის აღზრდაში. ამდენად, აქედან გამომდინარეობს, რომ ბავშვის აღზრდა-მოვლა-პატრონობა მდებარეობითი სქესის ფუნქციაა. მამაკაცები ამ საქმის გამზიარებლებლად არ მოაიზრებიან. მართალია, ქალის ტვირთი შემცირდება, მაგრამ ეს მოხდება ისევე ქალების, ახლა უკვე ანაზღაურებადი შრომის საფასურად.

კიდევ ერთი დეტალი უნდა გამოიკვეთოს ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ ბებელის დამოკიდებულებაზე. იგი წერს, „რომ ის, რისთვისაც ბურჟუაზიული საზოგადოება იბრძოდა – „კაცთა შორის თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ – ამ პრინციპების აღმსრულებელი სოციალიზმი იქნება. ბებელს სწორედ სოციალიზმი მიაჩნია იმ გადამწყვეტ საფეხურად, რომელიც „თეორიას და პრაქტიკას ჰარმონიულად შეაერთებს ერთმანეთთან“.³² ამდენად, ავტორის აზრით, დაწერილი სიტყვები მხოლოდ ქალაქებზე არ უნდა დარჩენილიყო და მას პრაქტიკული ნაბიჯები ესაჭიროებოდა განსახორციელებლად.

და მაინც, რა აზრის იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ქალთა განთავისუფლების თაობაზე? ბებელი ხაზს უსვამს, რომ სოციალური განვითარების საბოლოო მიზანი არის ქალთა სრული ემანსიპაცია. მისი რეალიზება კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ცვლილებებით, რაც საფუძველს გამოაცლის მამაკაცის მმართველობას. ამასთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავს, რომ ეს იქნება კაპიტალიზმის განადგურების საფუძველი და მხოლოდ ასე დაიწყება კაცობრიობისთვის უმაღლესი განვითარების პერიოდი – ოქროს ხანა.³³

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ იდეებს იზიარებდა ცნობილი მარქსისტი როზა ლუქსემბურგი. ის იყო ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა მუშათა კლასის მოძრაობის დროს გერმანიაში, რომელსაც სოციალიზმის წარმატებისა ღრმად სწამდა. მის

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ იქვე, 228.

დასახასიათებლად საკმარისია ტროცკის სიტყვები: „ის იმდენად დახელოვნებული მარქსისტულ მეთოდოლოგიაში როგორც საკუთარი სხეულის ნაწილებში. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ მას სისხლში მარქსიზმი უჩქევს“. ³⁴ როზა ლუქსემბურგს ცოტა რამ დაუწერია ქალთა თავისუფლებისთვის ბრძოლაზე. ამ ფაქტს კი თავისი მიზეზი აქვს, კერძოდ, ის, რომ ლუქსემბურგი საკუთარ თავს უწოდებდა რევოლუციურ ლიდერს, რომელიც ხელმძღვანელობდა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. ³⁵ მიუხედავად ამისა, მას, ავგუსტ ბებელის მსგავსად, სჯეროდა, რომ ქალის სრული ემანსიპაციის მისაღწევად ერთადერთი სწორი გზა სოციალიზმზე გადიოდა, ქალებს სრული თავისუფლების მიღწევა შეეძლებოდათ მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ტრიუმფთან ერთად. ³⁶ გარდა ამისა, ლუქსემბურგი აუცილებლად მიიჩნევდა ქალის ოჯახის წინაშე არსებული ეკონომიკური დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას. მისი აზრით, სოციალიზმის ქვეშ წარმოების ფორმა ანაზღაურების გარეშე არ იარსებებდა. ³⁷ ეს პუნქტი ძირითადად ეხებოდა ქალის შრომას (ბავშების აღზრდა, სახლის საქმეები, მოხუცებზე ზრუნვა და სხვ.) და მის ახლებურ რეპრეზენტაციას გულისხმობდა. უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკები ამ აზრს იზიარებდნენ და მოგვიანებით პრაქტიკაშიც სცადეს განხორციელება.

IV. ქალთა სტატუსი ლევ ტროცკის მიხედვით

მარქსისტებს შორის ქალთა საკითხებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ლევ ტროცკი. მის ნაშრომში („ქალი და ოჯახი“) ვხვდებით ერთ თავს, რომელიც შემდეგნაირად არის დასათაურებული: „სოციალიზმის მშენებლობა ნიშნავს ქალთა ემანსიპაციას და დედების დაცვას“. ³⁸ სათაურიდანვე იგრძნობა ავტორის პათოსი, რომელიც გამოკვეთს ხსენებული თავის ძირითად იდეას და ქალთა ემანსიპაციის საკითხს სოციალიზმის მშენებლობას უკავშირებს. ამ წიგნში ტროცკი აღნიშნავს, რომ, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, პროლეტარიატიც კი, რომელიც ახლა იბრძვის ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ შორსაა და სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს შევიწროებულ, დაჩაგრულ ქალებს და ისინი კვლავ „ოჯახის მონობაში“ ³⁹ არიან. ქალის სტატუსის ძირეულად შესაცვლელად ერთადერთ გამოსავლად ავტორს, ყველა პირობის, როგორც სოციალური ისე საოჯახო თუ საშინაო გარემოს შეცვლა-გადაკეთება მიაჩნია. ⁴⁰ ტროცკი დაინტერესებული იყო ქალთა პრობლემებით, ის ხაზს უსვამს უმთავრეს პრობლემათაგან ორს: უმუშევრობას და ნერა-კითხვის უცოდინრობას. შემდეგში ამ მიმართულებით ბოლშევიკების მცდელობა, გამოსწორებინათ არსებული, ნამდვილად დიდი იყო.

³⁴ Mandl L., Rosa Luxemburg and the Women's Question – “Marxism in her Bloodstream”, <<https://www.marxist.com/rosa-luxemburg-and-the-womens-question.htm>> [10.06.2021]

³⁵ Waters M., Rosa Luxemburg Speaks, New York, 1970, 5.

³⁶ იქვე.

³⁷ Mandl L., Rosa Luxemburg and the Women's Question – “Marxism in her Bloodstream”, <<https://www.marxist.com/rosa-luxemburg-and-the-womens-question.htm>> [10.06.2021]

³⁸ Trotsky L., Women and the Family, New York, 1970, 54.

³⁹ იქვე, 53.

⁴⁰ იქვე, 54.

განსაკუთრებით საინტერესოა შედარება, რომელსაც ტროცკი იყენებს ქალთა ემანსიპაციის წარმოსაჩენად. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო გლეხების გათავისუფლების გარეშე, ასევე, სოციალიზმისკენ სწრაფვა წარმოუდგენელია მუშა თუ გლეხი ქალების ოჯახისა და საყოფაცხოვრებო საქმიანობისგან გათავისუფლების გარეშე.⁴¹ ამდენად, ეს პასაჟი ნათლად წარმოაჩენს ბოლშევიკებისათვის ქალის გათავისუფლების მნიშვნელობას, თუმცა შეინიშნება გერმანელი მარქსისტებისა და ტროცკის იდეებს შორის ერთი განსხვავება. ტროცკი ხაზს უსვამს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო ქალის სტატუსს, არამედ ქალი-დედის მნიშვნელობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტროცკი დედების საკითხს „კითხვათა შორის კითხვას“⁴² და „პრობლემების ლერძს“⁴³ უწოდებს. დედის მდგომარეობა მისთვის პირდაპირ დაკავშირებულია ბავშვის მომავალ განვითარებასა და ბედთან. ასევე, აღნიშნის ღირსია შემდეგი მონაკვეთი, სადაც ტროცკი ხაზს უშვავს „უმთავრეს კაპიტალს“⁴⁴ უწოდებს, რომელსაც მუდმივად სჭირდება განახლება, ამ რესურსის წყაროდ კი სწორედ დედა ესახება. დედის შრომის შესამსუბუქებლად, მას საჭიროდ მიაჩნია საბავშვო ბაღების, ბავშვთა მზრუნველობის ცენტრების, საერთო სამზარეულოების თუ სხვა დამხმარე ორგანიზაციების დაარსება. ამდენად, ტროცკი საუბრობს ქალსა და მისი მდგომარეობის შეცვლაზე, თუმცა კი ქალის მიღმა გულისხმობს და უფრო მეტი ყურადღების მიქცევას ცდილობს დედის ინსტიტუტის გაძლიერებაზე. „ქალი არის ერის დედა“, – წერს იგი,⁴⁵ – დედა, რომელიც უნდა აღიზარდოს ახალი მიდგომით, რათა შემდგომში უზრუნველყოს უკეთესი მომავლის გამოზრდა. ტროცკის ხედვას ქალთა სტატუსის შესახებ დავასრულებთ შემდეგი ამონარიდით: „დედების გათავისუფლება ნიშნავს „ჭიპლარის“ გადაჭრას, რომელიც ხაზს ბნელ და ცრუმორწმუნე წარსულთან აკავშირებს.“⁴⁶ ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტროცკისთვის ქალის სტატუსის გაძლიერება იგივედებოდა არა ცალკეულად ქალის, არამედ დედის ინსტიტუტის გაძლიერებასთან. დედა, როგორც მომავალი თაობების სანყისი, უნდა ყოფილიყო შემდგარი საბჭოთა მოქალაქე, სოციალიზმის მშენებელი და სწორედ ამ პრინციპებზე აღეზარდა საკუთარი შვილები, თუმცა ეს თავის თავში არ გამოორიცხავდა და პირიქით, ხელსაც უწყობდა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქალების „შექმნას“ და მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

V. დასკვნა

მარქსისტული იდეოლოგია ქალთა ემანსიპაციის მომხრე იყო. ქალთა ემანსიპაცია მიიჩნეოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საფუძვლად. თუმცა მარქსისტების მოლოდინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ბოლშევიკურმა ხელის-

⁴¹ იქვე, 55.

⁴² იქვე, 54.

⁴³ იქვე, 55.

⁴⁴ იქვე, 56.

⁴⁵ იქვე, 57.

⁴⁶ იქვე.

უფლებამ საბჭოთა კავშირში ბოლომდე არ გაიზიარა ქალთა ემანსიპაციის მარქსისტული მოდელი და განსხვავებული რეპრეზენტაცია მისცა მას. საბჭოთა კავშირში ქალები ჩაერთვნენ საზოგადოებრივ წარმოებაში, თუმცა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მომუშავე დედების სახე, რომლებიც, მამებისგან განსხვავებით, ორ საქმეს აკეთებდნენ – ერთს ოჯახში და მეორეს სახლის გარეთ ეს იყო მარქსისტთა მოლოდინისგან საკმაოდ გასხვავებული რეალობა. მარქსისტული იდეოლოგიის მიხედვით, ქალის სტატუსის ძირეულად შესაცვლელად ერთადერთ გამოსავლად როგორც სოციალური, ისე საოჯახო თუ საშინაო გარემოს შეცვლა-გადაკეთება მიიჩნეოდა. თუმცა კი ქალთა ემანსიპაციის მარქსისტული მოდელი საბჭოთა კავშირში განსხვავებულად დამკვიდრდა.

Nani Manvelishvili*

MARXISM AND STATUS OF WOMEN

Abstract

In the twentieth century Marxist ideology was popular in European countries. Marxism introduced new approaches to several issues. The article discusses the status of women according to Marxist theory. This article aims to show the condition of women in society or the family imagined by Marxists. The study compares the different approaches of the Marxists to the reality created in the Soviet Union. The Soviet Union was based on Marxist ideology. Though, it turned out that the status of women was different in reality.

The paper is based on works that are mostly in English. That makes the research topic more valuable as well as interesting to the general public.

Keywords: Women, Marxism, Women's Role, USSR, Society,

* Ph.D. Candidate at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, orcid.org/0000-0001-8773-8355

**მარცხისთვის განწირული: ლიბერალური
საერთაშორისო წესრიგის აღმასვლა და დასემა***

ინგლისურიდან თარგმნა ირაკლი ჯავახიშვილი**

2019 წლისთვის აშკარა იყო, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი დიდ სირთულეში იმყოფებოდა. ტექტონიკური ფილები, რომლებიც ძირს უმაგრებს მას, იცვლება და მცირედის გაკეთებაა შესაძლებელი მის აღსადგენად და გადასარჩენად. სინამდვილეში, ეს წესრიგი თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, რამდენადაც თვითგანადგურების მარცვლებს შეიცავდა.

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის დაცემა თავზარს სცემს დასავლურ ელიტებს, რომლებმაც ის ააშენეს და რომლებიც მრავალგვარ სარგებელს იღებდნენ მისგან არაერთი გზით.¹ ამ ელიტებს მგზნებარედ სჯერათ, რომ ეს წესრიგი იყო და რჩება მნიშვნელოვან ძალად მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის. მრავალი მათგანი პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ადანაშაულებს მის განადგურებაში. ბოლოს და ბოლოს, იგი სიძულვილს გამოხატავდა ლიბერალური წესრიგის მიმართ, როდესაც 2016 წელს საპრეზიდენტო კამპანიას აწარმოებდა; და როდესაც პრეზიდენტი გახდა, იმ პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომლის მიზანიც მისი მოსპობა იყო.

თუმცა, შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი მხოლოდ ტრამპის რიტორიკის ან პოლიტიკის გამოა საფრთხეში. რეალურად, უფრო ფუნდამენტური პრობლემები არსებობს, რომელთა მიზეზითაც ტრამპმა შეძლო, წარმატებით გამოეწვია წესრიგი, რომელიც დასავლეთში საგარეო პოლიტიკის ელიტებში თითქმის საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს. ამ სტატიის მიზანია, განსაზღვროს, რატომაც ლიბერალური მსოფლიო წესრიგი საფრთხეში, და დაადგინოს საერთაშორისო წესრიგის სახე, რომელიც მას ჩაანაცვლებს.

მე სამ მთავარ არგუმენტს წარმოვაყენებ. პირველი, ვინაიდან სახელმწიფოები თანამედროვე მსოფლიოში ძლიერ ურთიერთდაკავშირში არიან მრავალი გზით, წესრიგები არსებითია ეფექტური და დროული ურთიერთქმედებების გასაადვილებლად. არსებობს სხვადასხვა სახის საერთაშორისო წესრიგი, და თუ რა ტიპისა წარმოიშობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ძალის გლობალურ განაწილებაზე. მაგრამ, როდესაც სისტემა ერთპოლუსიანია, მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი პოლუსის პოლიტიკური იდეოლოგია. ლიბერალური საერთაშორისო წესრიგები მხო-

* თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: John J. Mearsheimer, Bound to Fail: The Rise and Fall of the Liberal International Order, *International Security*, Vol. 43, No. 4, 2019, 7-50.

** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. orcid.org/0000-0002-9743-4715

¹ Ivo H. Daalder and James M. Lindsay, *The Empty Throne: America's Abdication of Global Leadership* (New York: PublicAffairs, 2018).

ლოდ ერთპოლუსიან სისტემებში შეიძლება წარმოიშვას, სადაც წამყვანი სახელმწიფო ლიბერალური დემოკრატიაა.

მეორე, შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი განსხვავებული წესრიგი შექმნა. ცივი ომის წესრიგი, რომელსაც ზოგჯერ შეცდომით უწოდებენ „ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს“, არც ლიბერალური იყო და არც საერთაშორისო. ეს იყო შეზღუდული წესრიგი, რომელიც ძირითადად დასავლეთით შემოიფარგლებოდა და რეალისტური იყო ყველა თავისი ძირითადი განზომილებით. მას ჰქონდა გარკვეული თვისებები, რომლებიც, აგრეთვე, ეთანხმებოდა ლიბერალურ წესრიგს, მაგრამ ეს ატრიბუტები რეალისტურ ლოგიკაზე იყო დაფუძნებული. ცივი ომისშემდგომი წესრიგი შეერთებული შტატების მეთაურობით, მეორე მხრივ, არის ლიბერალური და საერთაშორისო და ამგვარად, ფუნდამენტურად განსხვავდება იმ შეზღუდული წესრიგისგან, რომელშიც შეერთებული შტატები დომინირებდა ცივი ომის დროს.

მესამე, ცივი ომისშემდგომი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი განწირული იყო მარცხისთვის, ვინაიდან ძირითადი პოლიტიკური კურსები, რომლებსაც ის ემყარებოდა, ძლიერ არაეფექტურია. მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ასეთი წესრიგის ასაშენებლად, არა მარტო უკიდურესად რთულია, არამედ ხშირად სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს წამლავს და ზოგჯერ კატასტროფულ ომებსაც იწვევს. ნაციონალიზმი სამიზნე სახელმწიფოში მთავარი დაბრკოლებაა დემოკრატიის ხელშეწყობისთვის, მაგრამ ძალთა ბალანსის პოლიტიკაც მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ძალაა.

ამასთან ერთად, ლიბერალური წესრიგის ტენდენციას, პრივილეგია მიანიჭოს საერთაშორისო ინსტიტუტებს, შიდა განხილვებთან შედარებით, ასევე მის დიდ ვალდებულებას მოწყვლადი, თუ არა ღია საზღვრების მიმართ, ტოქსიკური პოლიტიკური შედეგები ჰქონდა თვითონ წამყვან ლიბერალურ სახელმწიფოებში, ერთპოლუსიანი შეერთებული შტატების ჩათვლით. ამგვარი პოლიტიკური კურსები ეჯახება ნაციონალიზმს ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორებიცაა სუვერენიტეტი და ეროვნული იდენტობა. ვინაიდან ნაციონალიზმი უძლიერესი პოლიტიკური იდეოლოგიაა პლანეტაზე, ის მუდამ სჯობნის ლიბერალიზმს, როდესაც ეს ორი ერთმანეთს ეჯახება, ამგვარად კი საფუძველშივე ძირს უთხრის წესრიგს.

გარდა ამისა, ჰიპერგლობალიზაციამ, რომელიც ცდილობდა, შეემცირებინა გლობალური ვაჭრობის და ინვესტირების ბარიერები, გამოიწვია ლიბერალურ სამყაროში სამუშაო ადგილების დაკარგვა, ხელფასების შემცირება და შემოსავლების უთანასწორობის ზრდა. მან, აგრეთვე, საერთაშორისო ფინანსური სისტემა ნაკლებად სტაბილური გახადა, ამით კი პერიოდული ფინანსური კრიზისები გამოიწვია. ეს სირთულეები შემდეგ პოლიტიკურ პრობლემებად იქცა, მოგვიანებით კი ლიბერალური წესრიგის მიმართ მხარდაჭერა ამოძიკვა.

ჰიპერგლობალიზებული ეკონომიკა კიდევ ერთი გზით უთხრის ძირს წესრიგს: ის მეტადრე ეხმარება ქვეყნებს, ვიდრე ერთ პოლუსს, რომ უფრო გაძლიერდნენ, რასაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს ერთპოლუსიანობას და ბოლო მოუღოს ლიბერალურ წესრიგს. სწორედ ეს ხდება ჩინეთის აღმასვლით, რომელსაც, რუსეთის ძალის აღზევებასთან ერთად, დასასრულისკენ მიჰყავს ერთპოლუსიანი ეპოქა. ახალი მრავ-

ვალპოლუსიანი მსოფლიო მოიცავს რეალისტური სახის საერთაშორისო წესრიგს, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მსოფლიო ეკონომიკის მართვაში, შეიარაღების კონტროლის წარმართვასა და ისეთი გლობალური საერთო პრობლემების მოგვარებაში, როგორცაა კლიმატის ცვლილება. ამ ახალი საერთაშორისო წესრიგის გარდა, შეერთებული შტატები და ჩინეთი გაუძღვებიან შეზღუდულ წესრიგებს, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ ერთმანეთს ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში.²

ამ სტატიის დანარჩენი ნაწილი შემდეგნაირადაა შედგენილი. პირველი, მე ვხსნი, რას ნიშნავს ტერმინი „წესრიგი“ და რატომაა წესრიგები საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი თვისება. მეორე, მე აღწერ სხვადასხვა სახის წესრიგებს და გარემოებებს, რომლებშიც წარმოიქმნება ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი. ამასთან კავშირში, მესამე ნაწილში განვიხილავ, რას გულისხმობს საერთაშორისო წესრიგების აღმასვლა და დაცემა. მეოთხე ნაწილში აღწერ ცივი ომის სხვადასხვა წესრიგს. მომდევნო სამ ნაწილში აღწერ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ისტორიას. შემდეგ, მომდევნო ოთხ ნაწილში განვმარტავ, რატომ განიცადა მან კრაზი. ბოლოს წინა ნაწილში განვიხილავ, როგორი იქნება ახალი წესრიგი მრავალპოლუსიანობაში. დასკვნა ჩემი არგუმენტია და გარკვეული პოლიტიკური რეკომენდაციების მოკლე შეჯამება.

რა არის წესრიგი და რატომაა წესრიგები მნიშვნელოვანი?

„წესრიგი“ საერთაშორისო ინსტიტუტების ორგანიზებული ჯგუფია, რომელიც ეხმარება წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებათა წარმატებას.³ წესრიგები შეიძლება, აგრეთვე, ეხმარებოდეს წევრ სახელმწიფოებს, იურთიერთონ არანეერებთან, ვინაიდან წესრიგი აუცილებლად არ მოიცავს მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ამასთან, წესრიგები შეიძლება მოიცავდეს ინსტიტუტებს, რომლებსაც რეგიონული ან გლობალური მასშტაბი აქვთ. დიდი სახელმწიფოები ქმნიან და მართავენ წესრიგებს.

² ეს სტატია ვარაუდობს, რომ მსოფლიო მრავალპოლუსიანი გახდა 2016 წელს ან დაახლოებით ამ პერიოდში და რომ ეს ცვლილება ერთპოლუსიანობიდან სასიკვდილო განაჩენია ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისთვის, რომელიც კოლაფსის პროცესშია და რომელსაც რეალისტური წესრიგები ჩაანაცვლებს.

³ საერთაშორისო წესრიგის ჩემუელი განსაზღვრება ეთანხმება იმას, თუ როგორ განსაზღვრავენ სხვა მეცნიერები ამ ტერმინს. იხილეთ Hal Brands, *American Grand Strategy and the Liberal Order: Continuity, Change, and Options for the Future* (Santa Monica, Calif.: RAND Corporation, 2016), p. 2; G. John Ikenberry, *After Victory: Institutions, Strategic Restraint, and the Rebuilding of Order after Major Wars* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2001), pp. 23, 45; and Michael J. Mazarr, *Summary of the Building a Sustainable International Order Project* (Santa Monica, Calif.: RAND Corporation, 2018), pp. 3-5. წესრიგი არ ნიშნავს მშვიდობას ან სტაბილურობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არაა უწესრიგობის საპირისპირო, ტერმინი, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ქაოსს ან კონფლიქტს. მიუხედავად ამისა, დასავლეთში ბევრს სჯერა, რომ კარგად ჩამოყალიბებული ლიბერალური მსოფლიო წესრიგი ხელს უწყობს მშვიდობას. წესრიგი არც ცნებაა, რომელიც ძალთა ბალანსს აღწერს კონკრეტულ რეგიონში ან დიდ სახელმწიფოთა შორის. საერთაშორისო წესრიგი და გლობალური ძალთა ბალანსი ერთეულებია, თუმცა ურთიერთდაკავშირებულნი არიან, როგორც ქვემოთაა განხილული.

საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც წესრიგების სამშენებლო ბლოკებია, ქმედითი წესებია, რომლებსაც დიდი სახელმწიფოები იგონებენ და რომლებზეც თანხმდებიან, რომ შეასრულებენ, ვინაიდან სჯერათ, რომ ამ წესების მიმართ მორჩილება მათ ინტერესია. ეს წესები ადგენენ მისაღები სახის ქცევებს და კრძალავენ ქცევის მიუღებელ ფორმებს.⁴ გასაკვირი არაა, რომ დიდი სახელმწიფოები წერენ ამ წესებს, რათა საკუთარ ინტერესებს მიუხადაგონ. მაგრამ, როდესაც ეს წესები არ ეთანხმება დომინანტური სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებს, იგივე სახელმწიფოები უგულებელყოფენ ან ხელახლა წერენ მათ. მაგალითად, პრეზიდენტ ჯორჯ უ. ბუშს 2003 წლის ერაყის ომამდე არაერთხელ აღუნიშნავს, რომ შეერთებული შტატების შეჭრას საერთაშორისო სამართალი რომც დაერღვია, „ამერიკა გააკეთებს იმას, რაც საჭიროა ჩვენი ერის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად... მე არ დაველოდები მოვლენებს, როდესაც საფრთხეები გაიზრდება“⁵.

წესრიგი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის ინსტიტუტებს, უსაფრთხოების ინსტიტუტების ჩათვლით, როგორცაა, ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO), ბირთვული გაუფრცვლებლობის ხელშეკრულება (NPT) ან ვარშავის პაქტი, ასევე ეკონომიკური ინსტიტუტები, როგორცაა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი. ის, აგრეთვე, შეიძლება მოიცავდეს ინსტიტუტებს, რომლებიც გარემოზე მუშაობენ, როგორცაა, პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, და უფრო მრავალმხრივ ინსტიტუტებს, როგორცაა, ევროპის კავშირი (EU), ერთა ლიგა და გაერთიანებული ერები (UN).

წესრიგები განუყოფელია თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ორი მიზეზით. პირველი, ისინი მართავენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ძალზე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში.⁶ სახელმწიფოები ჩართულნი არიან მრავალ ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც უზიდავს მათ, შექმნან ინსტიტუტები და წესები, რომლებიც არეგულირებენ ამ ურთიერთობებს და უფრო ქმედითს ხდიან მათ. მაგრამ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება არ შემოიფარგლება ეკონომიკური საქმეებით; ის, აგრეთვე, მოიცავს გარემოს და ჯანდაცვის საკითხებს. მაგალითად, დაბინძურება ერთ ქვეყანაში აუცილებლად ახდენს გავლენას გარემოზე მეზობელ ქვეყნებში მაშინ, როდესაც გლობალური დათბობის შედეგები საყოველთაოა და მათთან გამკლავება მხოლოდ მრავალმხრივი ღონისძიებებითაა შესაძლებელი. გარდა ამისა, მომაკვდინებელ დაავადებებს არ სჭირდება პასპორტები საერთაშორისო

⁴ საერთაშორისო ინსტიტუტებზე ჩემი შეხედულებების შესახებ იხ., John J. Mearsheimer, “The False Promise of International Institutions,” *International Security*, Vol. 19, No. 3 (Winter 1994/95), pp. 5–49, doi.org/10.2307/2539078.

⁵ President George W. Bush, “State of the Union Address” (Washington, D.C.: White House, January 29, 2002), <https://georgewebush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/01/20020129-11.html>.

⁶ Robert O. Keohane, *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1984); and Stephen D. Krasner, ed., “International Regimes”, special issue, *International Organization*, Vol. 36, No. 2 (Spring 1982).

საზღვრების გადასაკვეთად, რაც აშკარად გამოჩნდა 1918-20 წლების ლეტალური ეპიდემიური გრიპის დროს.

სახელმწიფოები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სამხედრო სფეროშიც, რაც აიძულებს მათ, შექმნან ალიანსები. მოწინააღმდეგე რომ წარმოაჩინონ სამინელ შემაკავებლად ან ქმედითად რომ იბრძოლონ შეკავების მოსასპობად, მოკავშირეები სარგებლობენ თავიანთი წესებით, რომლებიც განაპირობებს იმას, თუ როგორ იმოქმედებენ თითოეული წევრის სამხედრო ძალები ან როგორ მოახდენენ ისინი ერთმანეთთან კოორდინაციას. კოორდინაციის საჭიროება იზრდება, ვინაიდან თანამედროვე შეიარაღებული ძალები უზარმაზარ შეიარაღებას ფლობენ, საიდანაც ყველა არაა თავსებადი მათი მოკავშირეების შეიარაღებასთან. გავისხენოთ შეიარაღების დიდი მრავალფეროვნება შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც NATO-ს და ვარშავის პაქტს შეადგენდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ალიანსებში სხვადასხვა საბრძოლო ძალის გადაადგილებათა კოორდინირების სირთულეზე. გასაკვირი არაა, რომ ორივე ზესახელმწიფო ინარჩუნებდა ძლიერ ინსტიტუციონალიზებულ ალიანსებს – და რეალურად, ძლიერ ინსტიტუციონალიზებულ წესრიგებს – ცივი ომის დროს.

მეორე, წესრიგები განუყოფელია თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, ვინაიდან ისინი ეხმარებიან დიდ სახელმწიფოებს, მართონ სუსტი სახელმწიფოების ქცევა ისე, რომ შეესაბამებოდეს დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს.⁷ კონკრეტულად რომ ვთქვათ, უძლიერესი სახელმწიფოები ქმნიან ინსტიტუტებს, რომ შეაკავონ ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოების მოქმედებები, შემდეგ კი მნიშვნელოვანი ზენოლა მოახდინონ მათზე, რათა შეუერთდნენ ამ ინსტიტუტებს და დაემორჩილონ წესებს, განურჩევლად მათი შინაარსისა. მიუხედავად ამისა, ეს წესები ხშირად მუშაობს სისტემაში სუსტი სახელმწიფოების სასარგებლოდ.

ამ ფენომენის კარგი მაგალითია ცივი ომის დროს ზესახელმწიფოთა მცდელობები, შეექმნათ გაუვრცელებლობის რეჟიმი. ამ მიზნით, 1968 წელს საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა მოიფიქრეს NPT, რომელმაც ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, რომელსაც ბირთვული იარაღი არ ჰქონდა, მისი მოპოვება უკანონოდ აქცია. ბუნებრივია, ხელმძღვანელობა მოსკოვსა და ვაშინგტონში იმდენად შორს წავიდა, რომ NPT-ის რაც შეიძლებოდა მეტი წევრი სახელმწიფო შეერთებოდა. ზესახელმწიფოები, აგრეთვე, იყვნენ მთავარი მამოძრავებელი ძალა 1974 წელს ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფის შექმნაში, რომლის მიზანია, მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაუწესოს ბირთვული მასალებისა და ტექნოლოგიების გაყიდვას იმ ქვეყნებზე, რომლებიც ბირთვულ იარაღს არ ფლობენ, მაგრამ შეიძლება ცდილობდნენ მათ მოპოვებას ბაზარზე.

თუმცაღა, ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან წესრიგს, ვერ აიძულებენ ძლიერ სახელმწიფოებს, დაემორჩილონ წესებს, თუ ამ სახელმწიფოებს სჯერათ, რომ ასე მოქცევა მათ ინტერესში არაა. საერთაშორისო ინსტიტუტები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავად არ წირავენ საკუთარ სიცოცხლეს და ამდენად, მათ არ აქვთ ძალა, უთხრან წამყვან სახელმწიფოებს, რა გააკეთონ. წესები, რომლებიც ნებისმიერი

⁷ Jack Knight, *Institutions and Social Conflict* (New York: Cambridge University Press, 1992).

ინსტიტუტის არსია, მაინც ეხმარებიან სახელმწიფოთა ქცევის წარმართვას, ხოლო დიდი სახელმწიფოები უმეტესწილად წესებს ემორჩილებიან.

პრაქტიკული შედეგი ისაა, რომ მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიოში წესების სისტემა აუცილებელია ტრანზაქციითა და ნახარჯების შესამცირებლად და მრავალგვარი ურთიერთობის გასახორციელებლად, რომლებიც სახელმწიფოებს შორის ხდება. ადმ. ჰარი ჰარისი, წყნარ ოკეანეში შეერთებული შტატების სამხედრო ძალების ყოფილი მეთაური, სწორედ ამას აღნიშნავდა, როდესაც ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს „გლობალურ ოპერაციულ სისტემად“ მოიხსენიებდა.⁸

წესრიგების ტიპები

არსებობს სამი მნიშვნელოვანი განსხვავება საერთაშორისო სისტემის წესრიგებს შორის. პირველი განსხვავება საერთაშორისო წესრიგებსა და შეზღუდულ წესრიგებს შორისაა. წესრიგი რომ საერთაშორისო იყოს, ის უნდა მოიცავდეს მსოფლიოს ყველა დიდ სახელმწიფოს. იდეალურ შემთხვევაში, ის უნდა მოიცავდეს ყველა ქვეყანას სისტემაში. ამის საპირისპიროდ, შეზღუდული წესრიგები მოიცავს რიგს ინსტიტუტებისა, რომლებსაც შეზღუდული წევრობა აქვთ. ისინი არ მოიცავენ ყველა დიდ სახელმწიფოს და როგორც წესი, თავიანთი მასშტაბით რეგიონულნი არიან. უმეტეს შემთხვევაში, მათში დომინირებს ერთი დიდი სახელმწიფო, თუმცა ორი ან მეტი დიდი სახელმწიფოსთვის შესაძლებელია, შექმნან შეზღუდული წესრიგი, იმ პირობით, რომ სულ მცირე ერთი დიდი სახელმწიფო დარჩება მის გარეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, საერთაშორისო და შეზღუდული წესრიგები იქმნება და იმართება დიდი სახელმწიფოების მიერ.

საერთაშორისო წესრიგები ძირითადად დაკავებულნი არიან სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობას სისტემის დიდ სახელმწიფოებს შორის ან ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის. მეორე მხრივ, შეზღუდული წესრიგები ძირითადად შექმნილია იმისათვის, რომ საშუალება მისცეს მეტოქე დიდ სახელმწიფოებს, ერთმანეთთან ჰქონდეთ უსაფრთხოების კონკურენცია, იგი ხელს კი არ უწყობს მათ შორის თანამშრომლობას. მიუხედავად ამისა, დიდი სახელმწიფოები, რომლებიც შეზღუდულ წესრიგებს მართავენ, აქტიურად მუშაობენ, რომ ხელი შეუწყონ თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოებს შორის, აიძულებენ კიდევ მათ, თუკი საჭიროა. შეზღუდულ წესრიგში თანამშრომლობის მაღალი დონეები არსებითია მონინაალმდეგე დიდ სახელმწიფოებთან უსაფრთხოების კონკურენციის საწარმოებლად. დაბოლოს, საერთაშორისო წესრიგები თანამედროვე საერთაშორისო

⁸ Statement of Adm. Harry B. Harris Jr., U.S. Navy Commander, U.S. Pacific Command before the House Armed Services Committee on U.S. Pacific Command Posture, 115th Cong., 1st sess., April 26, 2017, p. 1, <https://docs.house.gov/meetings/AS/AS00/20170426/105870/HHRG-115-AS00-Wstate-HarrisH20170426.PDF>.

პოლიტიკის მუდმივი თვისებაა, შეზღუდული წესრიგები კი – არა. მხოლოდ რეალისტურ საერთაშორისო წესრიგებს ახლავს თან შეზღუდული წესრიგები.

მეორე ძირითადი განსხვავება ეხება სხვადასხვა სახის საერთაშორისო წესრიგს, რომელთა ორგანიზებაც დიდ სახელმწიფოებს შეუძლიათ: რეალისტურს, აგნოსტიკურს ან იდეოლოგიურს (რომელიც ლიბერალურს მოიცავს). თუ რომელი წესრიგი დამყარდება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოებს შორის ძალის გადანაწილებაზე. მთავარი საკითხია, სისტემა ორპოლუსიანია, მრავალპოლუსიანი თუ ერთპოლუსიანი. თუ ერთპოლუსიანია, დომინანტური სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო წესრიგის ტიპის განსაზღვრისთვის, რომელსაც აყალიბებს. ხოლო ორპოლუსიანობასა და მრავალპოლუსიანობაში დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური იდეოლოგია მეტწილად უმნიშვნელოა.

რეალისტური წესრიგები

საერთაშორისო წესრიგი – და მისი შემადგენელი ინსტიტუტები – რეალისტური იქნება, თუ სისტემა ორპოლუსიანია ან მრავალპოლუსიანი. მიზეზი მარტივია: თუ მსოფლიოში არსებობს ორი ან მეტი დიდი სახელმწიფო, მათ აქვთ მცირე არჩევანი, გარდა იმისა, რომ იმოქმედონ რეალისტური წესების მიხედვით და ჩაებან ერთმანეთთან უსაფრთხოების კონკურენციაში. მათი მიზანია, დააგროვონ ძალა თავიანთი მოწინააღმდეგეების ხარჯზე, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, უზრუნველყონ, რომ ძალთა ბალანსი არ შეიცვალოს მათ სანაღმდეგოდ. ამ გარემოებებში იდეოლოგიური მოსაზრებები უსაფრთხოების მოსაზრებებს ექვემდებარება. ასე იქნებოდა მაშინაც, ყველა დიდი სახელმწიფო ლიბერალური რომ ყოფილიყო.⁹ ამის მიუხედავად, მეტოქე დიდ სახელმწიფოებს ზოგჯერ აქვთ თანამშრომლობის მოტივი. ბოლოს და ბოლოს, ისინი ძალზე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში მოქმედებენ, სადაც დარწმუნებულნი არიან, რომ გარკვეული საერთო ინტერესები აქვთ.

შეზღუდული და საერთაშორისო წესრიგები, რომლებიც გვერდიგვერდ მოქმედებენ რეალისტურ მსოფლიოში, ეხმარებიან მოწინააღმდეგე დიდ სახელმწიფოებს, რომ კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს და ითანამშრომლონ. კონკრეტულად რომ ვთქვათ, დიდი სახელმწიფოები ქმნიან თავიანთ შეზღუდულ წესრიგებს, რათა ხელი შეუწყონ ერთმანეთთან უსაფრთხოების კონკურენციის წარმართვას. ამის საპირისპიროდ, ისინი აყალიბებენ საერთაშორისო წესრიგებს, რომ ხელი შეუწყონ თანამშრომლობას ერთმანეთში და ხშირად სხვა ქვეყნებთანაც. საერთაშორისო წესრიგის შემადგენელი ინსტიტუტები შესაფერისნი არიან, დაეხმარონ დიდ სახელმწიფოებს

⁹ გავიხსენოთ, მაგალითად, უსაფრთხოების რეალისტური კონკურენცია ბრიტანეთს და შეერთებულ შტატებს შორის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და ძლიერი მეტოქეობა ბრიტანეთს, საფრანგეთს და გერმანიას შორის ოცდახუთი წლის განმავლობაში პირველ მსოფლიო ომამდე. ყველა ეს ქვეყანა ლიბერალური დემოკრატია იყო. იხილეთ Christopher Layne, "Kant or Cant: The Myth of the Democratic Peace," *International Security*, Vol. 19, No. 2 (Fall 1994), pp. 5-49, doi.org/10.2307/2539195; and Ido Oren, "The Subjectivity of the 'Democratic' Peace: Changing U.S. Perceptions of Imperial Germany," *International Security*, Vol. 20, No. 2 (Fall 1995), pp. 147-184, doi.org/10.2307/2539232.

შეთანხმებათა მიღწევაში, როდესაც ამ სახელმწიფოებს საერთო ინტერესები აქვთ. თანამშრომლობის მიმართ ამგვარი ინტერესის მიუხედავად, დიდი სახელმწიფოები კვლავაც მეტოქეები არიან, რომელთა ურთიერთობაც კონკურენტულია თავისი არსით. ძალთა ბალანსის მოსაზრებები ყოველთვის აქტუალურია, მაშინაც კი, როდესაც დიდი სახელმწიფოები საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით მუშაობენ ერთმანეთთან თანამშრომლობისათვის. კერძოდ, არცერთი დიდი სახელმწიფო არ აწერს ხელს შეთანხმებას, რომელიც მის ძალას ამცირებს.

ამ რეალისტური წესრიგების შემადგენელ ინსტიტუტებს – გინდ საერთაშორისო იყვნენ და გინდ შეზღუდული – ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს თვისებები, რომლებიც ლიბერალურ ღირებულებებს ეთანხმება, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ წესრიგი ლიბერალურია. ეს თვისებები უბრალოდ იმისთვის არსებობს, რომ გასაგები იყოს ძალთა ბალანსის პერსპექტივიდანაც. მაგალითად, შეზღუდულ წესრიგში ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტები შეიძლება ორიენტირებული იყვნენ წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობაზე, არა ლიბერალური გათვლების გამო, არამედ იმიტომ, რომ ეკონომიკური ღიაობა საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა ამ წესრიგში ეკონომიკური და სამხედრო ძალის შესაქმნელად. რეალურად, თუ თავისუფალ ვაჭრობაზე უარის თქმა და უფრო ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემისკენ სვლა კარგ სტრატეგიულ განცდას შექმნიდა, ეს რეალისტურ წესრიგში მოხდებოდა.

აგნოსტიკური და იდეოლოგიური წესრიგები

თუ მსოფლიო ერთპოლუსიანია, საერთაშორისო წესრიგი ვერ იქნება რეალისტური. ერთპოლუსიანობას მხოლოდ ერთი დიდი სახელმწიფო ჰყავს და ამგვარად, განსაზღვრებისამებრ დიდ სახელმწიფოებს შორის ვერ იქნება უსაფრთხოების კონკურენცია, რომელიც ნებისმიერი რეალისტური მსოფლიო წესრიგის *sine qua non*-ია. შესაბამისად, ერთ პოლუსს მცირე მიზეზი აქვს, რომ შეზღუდული წესრიგი შექმნას. ბოლოს და ბოლოს, შეზღუდული წესრიგები ძირითადად ყალიბდება იმისათვის, რომ უსაფრთხოების კონკურენცია აწარმოოს სხვა დიდ სახელმწიფოებთან, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია ერთპოლუსიანობაში. მიუხედავად ამისა, ამ არარეალისტურ საერთაშორისო წესრიგში ზოგიერთი ინსტიტუტი შესაძლოა რეგიონული იყოს თავისი მასშტაბით, მაშინ, როდესაც სხვები ნამდვილად გლობალური იქნებიან მათი წევრობის თვალსაზრისით. თუმცა, არცერთი ამ რეგიონული ინსტიტუტებიდან არ შეიკვრებოდა შეზღუდული წესრიგის ჩამოსაყალიბებლად; ნაცვლად ამისა, ისინი თავისუფლად ან მჭიდროდ დაუკავშირდებოდნენ სხვა ინსტიტუტებს დომინანტურ საერთაშორისო წესრიგში.

ერთპოლუსიანობაში საერთაშორისო წესრიგმა შესაძლოა ორი ფორმიდან ერთ-ერთი მიიღოს – აგნოსტიკური ან იდეოლოგიური – გააჩნია წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიას. საკვანძო საკითხია, აქვს თუ არა ამ ერთ პოლუსს უნივერსალისტური იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს, რომ მისი ძირითადი ფასეულობები და მისი პოლიტიკური სისტემა უნდა გადაიტანოს სხვა ქვეყნებშიც. თუ ერთი პოლუსი ამას გულისხმობს, მსოფლიო წესრიგი იდეოლოგიური იქნება. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი პოლუსი შეეცდება, თავისი იდეოლოგია განავრცოს შორს და ფართოდ და მსოფლიო გარდაქმნას საკუთარი ხედვისამებრ. მას კარგი პოზიცია ექნებოდა ამ მისიის შესასრულებლად, ვინაიდან არ არსებობენ მეტოქე დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც მან უნდა გაუწიოს კონკურენცია.

ლიბერალიზმი, რასაკვირველია, თავის თავში მოიცავს ძლიერ უნივერსალისტურ საზრისს, რომელიც გამომდინარეობს ინდივიდუალურ უფლებათა მნიშვნელობაზე მისი ხაზგასმიდან. ლიბერალური ვერსია, რომელიც ინდივიდუალისტურია თავისი არსით, ამტკიცებს, რომ ყოველ პიროვნებას აქვს რიგი ხელშეუხებელი ან ბუნებითი უფლებებისა. როგორც ასეთი, ლიბერალებს ძალიან აინტერესებთ ადამიანთა უფლებები მთელ მსოფლიოში, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ ისინი. ამგვარად, თუ ერთი პოლუსი ლიბერალური დემოკრატიაა, ის თითქმის დარწმუნებით შეეცდება, შექმნას საერთაშორისო წესრიგი, რომლის მიზანიც მსოფლიოს გარდაქმნა საკუთარი ხედვისამებრ.¹⁰

როგორია ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი? სისტემაში დომინანტური სახელმწიფო აშკარად უნდა იყოს ლიბერალური დემოკრატია და უზარმაზარი გავლენა უნდა ჰქონდეს წესრიგის მთავარ ინსტიტუტებში. ამასთან, უნდა არსებობდეს სისტემაში სხვა ლიბერალური დემოკრატების არსებითი რაოდენობა და დიდწილად ღია მსოფლიო ეკონომიკა. ამ ლიბერალური დემოკრატების, განსაკუთრებით კი წამყვანი ლიბერალური დემოკრატის, საბოლოო მიზანი მთელ მსოფლიოში დემოკრატის გავრცელებაა, მაშინ, როდესაც ხელს უწყობენ უფრო დიდ ეკონომიკურ ურთიერთკავშირს და სულ მეტად ძლიერი და ეფექტური საერთაშორისო ინსტიტუტების მშენებლობას. არსებითად, მისი მიზანია, შექმნას მსოფლიო წესრიგი, რომელიც მარტოდენ ლიბერალური დემოკრატებისგან შედგება, ერთმანეთთან რომ ურთიერთობენ ეკონომიკურად და შეკავშირებულნი რომ არიან საერთო წესებით. ფუნდამენტური ვარაუდი ისაა, რომ ასეთი წესრიგი მეტწილად თავისუფალი იქნება ომისგან და შექმნის კეთილდღეობას ყველა თავისი წევრი სახელმწიფოსთვის.

კომუნიზმი კიდევ ერთი უნივერსალისტური იდეოლოგიაა, რომელიც შეიძლება ბოდა იდეოლოგიური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობის საფუძველი ყოფილიყო. რეალურად, მარქსიზმს გარკვეული მნიშვნელოვანი მსგავსებები აქვს ლიბერალიზმთან. როგორც ჯონ გრეი აცხადებს, „ორივე განათლებული იდეოლოგიები იყო, რომლებიც უნივერსალურ ცივილიზაციას მოეღიან“.¹¹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიბერალიზმიც და კომუნიზმიც მიდრეკილნი არიან მსოფლიოს გარდაქმნისაკენ. კომუნიზმის უნივერსალისტური განზომილება ემყარება კლასის ცნებას და არა უფლებებს. მარქსი და მისი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სოციალური კლასები სცდებიან ეროვნულ ჯგუფებს და სახელმწიფო საზღვრებს. რაც უმნიშვნელოვანესია, ისინი ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტური ექსპლუატაცია ხელს უწყობს ძლიერ კავშირს სხვადასხვა ქვეყანაში მუშათა კლასებს შორის. აქედან გამომდინარე, 1989

¹⁰ იხ., John J. Mearsheimer, *The Great Delusion: Liberal Dreams and International Realities* (New Haven, Conn.: Yale University Press, 2018).

¹¹ John Gray, *Black Mass: Apocalyptic Religion and the Death of Utopia* (New York: Farrar, Straus and Giroux, 2007), p. 30.

ნელს საბჭოთა კავშირს რომ გაემარჯვა ცივ ომში და ენთუზიაზმი ეგრძნო მარქსიზმის მიმართ, როგორც შეერთებულმა შტატებმა იგრძნო ლიბერალური დემოკრატიის მიმართ, საბჭოთა ლიდერები უსათუოდ შეეცდებოდნენ კომუნისტური საერთაშორისო წესრიგის აშენებას.

თუ ერთ პოლუსს არ გააჩნია უნივერსალისტური იდეოლოგია და ამდენად, არ ცდილობს, რომ სხვა ქვეყნებს თავს მოახვიოს საკუთარი პოლიტიკური ღირებულებები და მმართველობითი სისტემა, საერთაშორისო წესრიგი აგნოსტიკური იქნებოდა.¹² დომინანტური სახელმწიფო კვლავაც მიზანში ამოიღებდა რეჟიმებს, რომლებმაც ეჭვის ქვეშ დააყენეს მისი ავტორიტეტი და კვლავაც აქტიურად მიიღებდა მონაწილეობას საერთაშორისო წესრიგის შემადგენელი ინსტიტუციების მართვასა და მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებაში საკუთარ ინტერესებთან მისადაგებისათვის. თუმცა ის არ შეეცდებოდა გლობალური მასშტაბით ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებას. ამის ნაცვლად, ერთი პოლუსი უფრო ტოლერანტული და პრაგმატული იქნებოდა სხვა ქვეყნებთან მიმართებით. რუსეთი, თავისი ამჟამინდელი პოლიტიკური სისტემით, ოდესმე რომ გამხდარიყო ერთი პოლუსი, საერთაშორისო სისტემა აგნოსტიკური იქნებოდა, ვინაიდან რუსეთს არ წარმართავს უნივერსალისტური იდეოლოგია. იგივე ითქმის ჩინეთზე, სადაც რეჟიმის ლეგიტიმურობის ძირითადი წყარო ნაციონალიზმია და არა კომუნიზმი.¹³ ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ კომუნიზმის გარკვეულ ასპექტებს კვლავაც აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა ჩინეთის მმართველებისთვის, მაგრამ პეკინში ხელმძღვანელობა ნაკლებ მისიონერულ გულმოდგინეობას იჩენს, რომელიც ჩვეულებრივ კომუნიზმს ეთანხმება.¹⁴

სქელი და თხელი წესრიგები

აქამდე მე ერთმანეთისგან გავარჩიე საერთაშორისო და შეზღუდული წესრიგები, ხოლო საერთაშორისო წესრიგები დავყავი რეალისტურ, აგნოსტიკურ და იდეოლოგიურ ტიპებად. წესრიგების კატეგორიებად დაყოფის მესამე გზა – საერთაშორისო ისინი თუ შეზღუდული – არის ხაზგასმა სახელმწიფო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სფეროების მათ მიერ დაფარვის სიგანესა და სიღრმეზე. რაც შეეხება სიგანეს, მთავარი საკითხია, აქვს თუ არა წესრიგს რაიმე ზეგავლენა თავისი წევრი

¹² ამ სახის წესრიგის აღწერისათვის სიტყვა „აგნოსტიკურის“ გამოყენებისას, მე არ ვამბობ, რომ ერთ პოლუსს ნაკლებად აინტერესებს საკუთარი იდეოლოგია ან საერთოდაც არ აქვს. ფაქტობრივად, ის შეიძლება სერიოზულად ზრუნავდეს ცალკეულ იდეოლოგიაზე შინ, მაგრამ დიდწილად ორაზროვანი – აგნოსტიკური – იქნება იმ იდეოლოგიის მიმართ, რომელსაც სხვა სახელმწიფოები ლებულობენ.

¹³ იხილეთ Zheng Wang, *Never Forget National Humiliation: Historical Memory in Chinese Politics and Foreign Relations* (New York: Columbia University Press, 2012); and Suisheng Zhao, “Foreign Policy Implications of Chinese Nationalism Revisited: The Strident Turn”, *Journal of Contemporary China*, Vol. 22, No. 82 (July 2013), pp. 535-553, doi.org/10.1080/10670564.2013.766379

¹⁴ Timothy R. Heath, *China's New Governing Party Paradigm* (New York: Ashgate, 2014); and David Shambaugh, *China's Communist Party: Atrophy and Adaptation* (Berkeley: University of California Press, 2008).

სახელმწიფოების ძირითად ეკონომიკურ და სამხედრო საქმიანობებზე. სიღრმეს რაც შეეხება, მთავარი საკითხია ის, ახდენენ თუ არა წესრიგის ინსტიტუტები მნიშვნელოვან გავლენას მისი წევრი სახელმწიფოების ქმედებებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს თუ არა წესრიგს ძლიერი და ეფექტური ინსტიტუტები?

ამ ორი განზომილების გათვალისწინებით, შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვაოთ სქელი წესრიგები და თხელი წესრიგები. სქელი ან მძლავრი წესრიგი მოიცავს ინსტიტუტებს, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვთ სახელმწიფოს ქცევაზე ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში. ასეთი წესრიგი ფართო და ღრმაა. მეორე მხრივ, თხელმა წესრიგმა შეიძლება სამი ძირითადი ფორმა მიიღოს. პირველი, ის შესაძლოა ეხებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ ან სამხედრო სფეროს, მაგრამ ორივეს – არა. მაშინაც კი, ამ სფეროს ძლიერი ინსტიტუტები რომ მოეცვა, ის კვლავაც წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც თხელი წესრიგი. მეორე, წესრიგი შესაძლოა ეხებოდეს ერთ ან ორივე სფეროს, მაგრამ მოიცავდეს სუსტ ინსტიტუტებს. მესამე, შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდო, რომ წესრიგი დაკავებული იყოს ეკონომიკური და სამხედრო საკითხებით, მაგრამ ძლიერი ინსტიტუტები ექნება ამ სფეროებიდან მხოლოდ ერთ-ერთში. მოკლედ რომ ვთქვათ, თხელი წესრიგი არაა ფართო, სრულებითაც არაა ღრმა ან ღრმაა მხოლოდ ერთ-ერთში ამ ორი გადამწყვეტი სფეროდან. ფიგურა 1 აჯამებს ამ სტატიაში გამოყენებული წესრიგების სხვადასხვა კატეგორიას.

ფიგურა 1. წესრიგების ტიპოლოგია

წევრობის მასშტაბი	დაფარვის სიგანე და სიღრმე	საერთაშორისო წესრიგების სახეები
საერთაშორისო	სქელი	რეალისტური
შეზღუდული	თხელი	აგნოსტიკური იდეოლოგიური (ლიბერალური)

საერთაშორისო წესრიგების აღმასვლა და დაცემა

არცერთი საერთაშორისო წესრიგი არ გრძელდება სამუდამოდ, რაც კითხვას ნამოჭრის: რითი აიხსნება არსებული წესრიგის დაცემა და ახალი წესრიგის აღმასვლა? იგივე ორი ფაქტორი, დომინანტურ წესრიგს რომ განმარტავს, ძალის განაწილება და წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია ხსნის რეალისტური და აგნოსტიკური წესრიგების დაცემას, ასევე იმ სახის წესრიგს, რომელიც მათ ანაცვლებს. მაშინ, როდესაც ეს ფაქტორები, აგრეთვე, ეხმარება იდეოლოგიური წესრიგების მოშლის ახსნას, ორი სხვა ფაქტორი, ნაციონალიზმი და ძალთა ბალანსის

პოლიტიკა, როგორც წესი, ცენტრალურ როლს ასრულებს მათი კოლაფსის გამოწვევაში.

რეალისტური წესრიგები, რომლებიც ორპოლუსიანობას ან მრავალპოლუსიანობას ემყარება, მაშინ განიცდიან კრახს, როდესაც ფუნდამენტურად იცვლება ძირითად ძალთა გადანაწილება. თუ საერთაშორისო სისტემა ორპოლუსიანობიდან იცვლება მრავალპოლუსიანობისკენ ან პირიქით, ან თუ მრავალპოლუსიან სისტემაში დიდი სახელმწიფოების რიცხვი მცირდება ან იზრდება, საბოლოო წესრიგი რჩება რეალისტური, თუმცა განსხვავებული თავისი კონფიგურაციით. სისტემაში დიდი სახელმწიფოების რაოდენობის მიუხედავად, მათ კვლავაც უნდა გაუწიონ კონკურენცია ერთმანეთს ძალისა და გავლენისათვის. მაგრამ თუ ორპოლუსიანობა ან მრავალპოლუსიანობა გზას უთმობს ერთპოლუსიანობას, ახალი წესრიგი აგნოსტიკური იქნება ან იდეოლოგიური, გააჩნია იმას, არის თუ არა ერთი პოლუსი უნივერსალისტური იდეოლოგიისადმი ერთგული.

რეალისტურ წესრიგებს მნიშვნელოვანი შემაკავებელი ძალა აქვთ, ვინაიდან ძალთა ბალანსში დიდი ცვლილებები, როგორც წესი, გრძელვადიან პერიოდში დიდ სახელმწიფოთა შორის განსხვავებული ეკონომიკური ზრდის შედეგია. თუმცა დიდ სახელმწიფოთა ომებმა ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს სწრაფი ცვლილება გლობალურ ძალთა გადანაწილებაში, თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია.¹⁵ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგალითად, სისტემა მრავალპოლუსიანიდან შეიცვალა ორპოლუსიანზე, დიდწილად გერმანიის და იაპონიის ტოტალური დამარცხების და იმ საშინელი ფასის გამო, რომელიც ომმა გადაახდევინა ბრიტანეთსა და საფრანგეთს. საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ორ პოლუსად ჩამოყალიბდნენ. ამასთან, როდესაც რეალისტური წესრიგები იცვლება, ჩვეულებრივ ისინი გზას უთმობენ ახლად ფორმირებულ რეალისტურ წესრიგებს – როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა – უბრალოდ იმის გამო, რომ ერთპოლუსიანობა იშვიათია.

აგნოსტიკურ წესრიგებსაც არსებითი შემაკავებელი ძალა აქვთ, ვინაიდან ერთი პოლუსი იღებს ჰეტეროგენულობას, რომელიც პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების დამახასიათებელია და არ ცდილობს პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნის პოლიტიკის მიკრომენეჯმენტს. ამ სახის პრაგმატული ქცევა ეხმარება ჰეგემონის ძალის შენარჩუნებას, თუ არა გაზრდას. აგნოსტიკური წესრიგი სავარაუდოდ პასუხობს თავის მიზანს, როდესაც ერთპოლუსიანობა გზას უთმობს ორპოლუსიანობას ან მრავალპოლუსიანობას, წესრიგს კი რეალისტურად აქცევს; ან თუ ერთი პოლუსი განიცდის რევოლუციას შინ და იღებს უნივერსალისტურ იდეოლოგიას, რაც უსათუოდ უბიძგებდა მას, რომ იდეოლოგიური წესრიგი შეექმნა.

ამის საპირისპიროდ, უნივერსალისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული ნებისმიერი იდეოლოგიური საერთაშორისო წესრიგი, როგორცია ლიბერალიზმი ან კომუნალიზმი, განწირულია ხანმოკლე არსებობისათვის, ძირითადად იმ საშინაო და გლობალური სირთულეების გამო, რომლებიც მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთი პოლუსი ცდილობს მსოფლიოს გარდაქმნას საკუთარი შეხედულებისამებრ. ნაციონალიზმი

¹⁵ Robert Gilpin, *War and Change in World Politics* (New York: Cambridge University Press, 1983); and Paul Kennedy, *The Rise and Fall of the Great Powers: Economic Change and Military Conflict from 1500 to 2000* (New York: Random House, 1987).

და ძალთა ბალანსის პოლიტიკა მუშაობს იმისთვის, რომ ძირი გამოუთხაროს საჭირო სოციალურ ინჟინერიას იმ ქვეყნებში, რომლებიც სამიზნეა რეჟიმის ცვლილებისათვის, ხოლო ნაციონალიზმი, აგრეთვე, ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს შიდა ფრონტზე ერთი პოლუსისა და მისი იდეოლოგიური მოკავშირეებისთვის. როდესაც თავს იჩენს ასეთი პრობლემები, მოსალოდნელია, რომ ერთი პოლუსი აღარ შეეცდება მსოფლიოს გარდაქმნას საკუთარი შეხედულებისამებრ, რეალურად უარს იტყვის საკუთარ მცდელობებზე, თავისი იდეოლოგია განავრცოს საზღვარგარეთ. მან შესაძლოა საერთოდ უარი თქვას ამ იდეოლოგიაზე. როდესაც ეს ხდება, წესრიგი აღარაა იდეოლოგიური და ხდება აგნოსტიკური.

იდეოლოგიური წესრიგი შეიძლება სხვაგვარადაც დასრულდეს. შეიძლება გამოჩნდნენ ახალი დიდი სახელმწიფოები, რომლებიც ძირს გამოუთხრიან ერთ-პოლუსიანობას და შექმნიან ორპოლუსიან ან მრავალპოლუსიან სისტემას. ამ შემთხვევაში, იდეოლოგიურ წესრიგს ჩაანაცვლებდა შეზღუდული და საერთაშორისო რეალისტური წესრიგები.

ცივი ომის წესრიგები, 1945-89 წწ.

1945-დან 1989 წლამდე ძალის გლობალური განაწილება ორპოლუსიანი იყო, რამაც სამი ძირითადი პოლიტიკური წესრიგის ფორმირება გამოიწვია. არსებობდა ყოვლისმომცველი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ძირითადად შექმნილი და შენარჩუნებული იყო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მიერ ერთმანეთს შორის თანამშრომლობის გაადვილების მიზნებით, როდესაც საერთო ინტერესები ჰქონდათ. მიუხედავად თანამშრომლობაზე ამგვარი ხაზგასმისა, ეს არ ყოფილა ლიბერალური წესრიგი, რამდენადაც ზესახელმწიფოები ჩართულნი იყვნენ დაძაბულ მეტოქეობაში მთელი ცივი ომის მანძილზე, ხოლო წესრიგი, რომელიც მათ შექმნეს, სრულად ეთანხმებოდა ორივე მხარის უსაფრთხოების ინტერესებს. ამასთან, საბჭოთა კავშირი არ იყო ლიბერალური დემოკრატია და რეალურად მოსკოვი და ვაშინგტონი იდეოლოგიური მონინალმდეგეები იყვნენ. არსებობდა, აგრეთვე, ორი შეზღუდული წესრიგი, ერთი ძირითადად შემოიფარგლებოდა დასავლეთით და მასზე დომინირებდა შეერთებული შტატები, მეორე ძირითადად მოიცავდა მსოფლიოს კომუნისტურ ქვეყნებს და მასზე დომინირებდა საბჭოთა კავშირი. ისინი შექმნეს ზესახელმწიფოებმა ერთმანეთთან უსაფრთხოების კონკურენციის წარმოების მიზნებით.

საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ცივი ომის დროს არსებობდა, იყო თხელი წესრიგი, რამდენადაც მას არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული გავლენა სახელმწიფოთა ქცევაზე – განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებზე – ეკონომიკურ ან სამხედრო სფეროში. ვინაიდან დასავლეთი და კომუნისტური სამყარო მხოლოდ მინიმალურ ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში იმყოფებოდნენ ცივი ომის დროს, მცირე საჭიროება არსებობდა ინსტიტუტების შესაქმნელად, რომ დახმარებოდნენ მათი ეკო-

ნომიკური საქმეების მართვას.¹⁶ თუმცა, სამხედრო თვალსაზრისით, მდგომარეობა უფრო კომპლექსური იყო. იმის გათვალისწინებით, რომ შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მოსისხლე მტრები იყვნენ, რომლებიც ძალაუფლებისთვის ეჯიბრებოდნენ, ისინი კონცენტრირდებოდნენ სქელი შეზღუდული წესრიგების მშენებლობაზე, რომ ეწარმოებინათ ამგვარი ბრძოლა. ამგვარად, ძირითადი სამხედრო ინსტიტუტები, რომლებიც თითოეულმა ზესახელმწიფომ შექმნა – NATO და ვარშავის პაქტი – არ იყვნენ საერთაშორისო თავისი მასშტაბით. ნაცვლად ამისა, ისინი იყვნენ მთავარი ელემენტები შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის მიერ დომინირებულ შეზღუდულ წესრიგებში.

თუმცაღა შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს ზოგჯერ კარგი მიზეზები ჰქონდათ, ეთანამშრომლათ და მოლაპარაკებები ეწარმოებინათ შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმებებზე, რაც მათ ერთობლივ ინტერესებს ემსახურებოდა. რაც უმნიშვნელოვანესია, ისინი ერთად მუშაობდნენ იმ ინსტიტუტების შესაქმნელად, რომელთა მიზანიც ბირთვული გავრცელების პრევენცია იყო. ისინი, აგრეთვე, იღებდნენ შეთანხმებებს, რომელთა მიზანიც იყო შეიარაღების შემცირება, რათა დაეზოგათ ფული, აეკრძალათ მადესტაბილიზებელი იარაღი და თავიდან აეცილებინათ კონკურენცია ისეთ რეგიონებში, როგორცაა, ანტარქტიდა. დაბოლოს, ისინი დებდნენ შეთანხმებებს, რომელთა მიზანიც იყო „საგზაო წესების“ და ნდობის მშენებლობის ღონისძიებათა დადგენა. ამ პროცესში მოსკოვი და ვაშინგტონი ხელს უწყობდნენ ცივი ომის საერთაშორისო წესრიგის გაძლიერებას, თუმცა ის თხელ წესრიგად დარჩა.

ორივე ზესახელმწიფო ეწინააღმდეგებოდა შემდგომ ბირთვულ გავრცელებას, როგორც კი მათ ბომბი შექმნეს. მართალია, შეერთებულმა შტატებმა პირველი ატომური იარაღი 1945 წელს გამოსცადა, საბჭოთა კავშირმა კი – 1949 წელს, 1970-იანი წლების შუა ხანებამდე მათ არ შეუქმნიათ რიგი ინსტიტუტებისა, რომლებიც სერიოზულად შეზღუდავდნენ ბირთვული იარაღის გავრცელებას. პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1957 წელს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შექმნა. მისი უმთავრესი მისიაა, ხელი შეუწყოს ბირთვული ენერჯის სამოქალაქო გამოყენებას, მაგრამ უსაფრთხოების ზომებით, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ბირთვულ მასალებს და ტექნოლოგიებს ღებულობენ მშვიდობიანი მიზნებისთვის, არ გამოიყენებენ მათ ბომბის შესაქმნელად. ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც ზესახელმწიფოებმა შექმნეს ბირთვული გავრცელების შესაკავებლად, არის NPT და ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფი, რომელთაც, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან ერთად, მნიშვნელოვნად შეანელებს ბირთვული იარაღის გავრცელება 1975 წლის შემდეგ.

1960-იანი წლების ბოლოს შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა, აგრეთვე, დაიწყეს შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმების განხორციელება, რაც შეზღუდვებს დაუნესებდა მათ სტრატეგიულ ბირთვულ არსენალებს. ამის შედეგი

¹⁶ ფაქტობრივად, ცივი ომის ადრეულ პერიოდში შეერთებულმა შტატებმა შექმნა მრავალმხრივი საექსპორტო კონტროლის მაკოორდინირებელი კომიტეტი (CoCom), რომ შეზღუდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ვაჭრობა. Michael Mastanduno, *Economic Containment: CoCom and the Politics of East-West Trade* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1992).

იყო 1972 წლის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება (SALT I), რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სტრატეგიულ ბირთვულ იარაღს, რომლებიც თითოეულ მხარეს შეიძლებოდა განეთავსებინა (თუმცა ძალზე მაღალ დონეებზე) და მკაცრად ზღუდავდა ანტიბალისტიკური სარაკეტო სისტემების განვითარებას. 1979 წელს მოსკოვმა და ვაშინგტონმა ხელი მოაწერეს SALT II ხელშეკრულებას, რომლებიც დამატებით შეზღუდვებს უწესებდა თითოეული მხარის სტრატეგიულ ბირთვულ არსენალს, თუმცა არცერთ მხარეს არ მოუხდენია მისი რატიფიკაცია. 1980-იან წლებში ზესახელმწიფოებმა შეიმუშავეს მოდიფიცირებული შეთანხმება, სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება, მაგრამ ცივი ომის დასრულებამდე ის არ შესულა ძალაში. შეიარაღებაზე კონტროლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო 1988 წლის საშუალო რადიუსის ბირთვული ძალების ხელშეკრულება, რომელიც კრძალავდა ყველა მოკლე რადიუსის და საშუალო რადიუსის რაკეტებს საბჭოთა და შეერთებული შტატების არსენალებიდან.

ზესახელმწიფოები შეთანხმდნენ არაერთ სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან უსაფრთხოების შეთანხმებასა და ხელშეკრულებაზე, რომლებიც, აგრეთვე, ცივი ომის საერთაშორისო წესრიგის ნაწილი იყო. მათ შორისაა ანტარქტიდის ხელშეკრულების სისტემა (1959 წ.), ნაწილობრივი გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება (1963 წ.), მოსკოვი-ვაშინგტონის ცხელი ხაზი (1963 წ.), ღია კოსმოსის ხელშეკრულება (1967 წ.), ზღვის ფსკერის შეიარაღებაზე კონტროლის ხელშეკრულება (1971 წ.), შეერთებული შტატები-საბჭოთა საზღვაო ინციდენტების შეთანხმება (1972 წ.), ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენცია (1973 წ.), ბიოლოგიური იარაღის კონვენცია (1975 წ.) და ჰელსინკის შეთანხმებები (1975 წ.). იყო ზოგიერთი შეთანხმება, რომლებიც მიღწეულ იქნა ცივი ომის დროს, როგორცაა, გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1982 წელს, მაგრამ არ რატიფიცირებულა და ძალაში არ შესულა 1994 წლამდე, ცივი ომის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ.

გაერო ალბათ ყველაზე ხილული ინსტიტუცია იყო ცივი ომის საერთაშორისო წესრიგში, მაგრამ მას მცირედი გავლენა ჰქონდა მთელ მსოფლიოში ქვეყნების ქცევაზე, ძირითადად იმის გამო, რომ ზესახელმწიფოებს შორის მეტოქეობამ თითქმის შეუძლებელი გახადა ამ ინსტიტუციისთვის შემდგომი პოლიტიკური პროგრამების მიღება და განხორციელება.

ამ თხელი საერთაშორისო წესრიგის გარდა, ზესახელმწიფოებმა შექმნეს სქელი შეზღუდული წესრიგი, რომ ხელი შეეწყო ცივი ომის წარმოებისთვის. საბჭოთა წესრიგი მოიცავდა ინსტიტუტებს, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური საკითხებით.¹⁷ მაგალითად, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (კომეკონი) დაფუძნდა 1949 წელს, რომ ხელი შეეწყო ვაჭრობისათვის საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ სახელმწიფოებს შორის. ვარშავის პაქტი იყო სამხედრო ალიანსი, 1955 წელს დაფუძნებული, რომ შე-

¹⁷ Laurien Crump and Simon Godard, "Reassessing Communist International Organizations: A Comparative Analysis of COMECON and the Warsaw Pact in Relation to Their Cold War Competitors," *Contemporary European History*, Vol. 27, No. 1 (February 2018), pp. 85–109, doi.org/10.1017/S0960777317000455.

ეკავებინა NATO მას შემდეგ, რაც NATO-ს წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ დასავლეთ გერმანია მიენვიათ ალიანსში. პაქტი, აგრეთვე, ეხმარებოდა მოსკოვს, რომ თავისი აღმოსავლეთ ევროპელი მოკავშირეები შეენარჩუნებინა მწყობრში. დაბოლოს, 1947 წელს საბჭოელებმა შექმნეს კომუნისტური საინფორმაციო ბიურო, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის მემკვიდრე. ორივე შექმნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომუნისტური პარტიების საქმიანობათა კოორდინაციისათვის, ძირითადად იმ მიზნით, რომ ნება მიეცა საბჭოელებისთვის, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები მიეწოდებინათ იდეოლოგიური ძმებისთვის. კომუნისტური საინფორმაციო ბიურო 1956 წელს გაუქმდა.

შეზღუდულ დასავლურ წესრიგზე შეერთებული შტატები დომინირებდა, რომელმაც ის თავისი ინტერესების სასიკეთოდ ჩამოაყალიბა. ის მოიცავდა არაერთ ეკონომიკურ ინსტიტუტს, როგორცაა, IMF (1945 წ.), მსოფლიო ბანკი (1945 წ.), გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე (GATT, 1947 წ.), მრავალმხრივი საექსპორტო კონტროლის მაკოორდინირებელი კომიტეტი (CoCom, 1950 წ.) და ევროპული გაერთიანება (EC, 1950 წ.), ასევე NATO უსაფრთხოების ფრონტზე. მართალია, ამ შეზღუდულ წესრიგზე ლიბერალური შეერთებული შტატები დომინირებდა, რომელიც, აგრეთვე, მოიცავდა არაერთ სხვა ლიბერალურ დემოკრატიასაც, ეს იყო რეალისტური წესრიგი თავიდან ბოლომდე. მისი უმთავრესი მისია იყო ძლიერი დასავლეთის შექმნა, რომელიც შეაკავებდა და საბოლოოდ დაამარცხებდა საბჭოთა კავშირს და მის მოკავშირეებს.

მიუხედავად უსაფრთხოებაზე ასეთი ხაზგასმისა, კეთილდღეობის შექმნა თავისთავად მნიშვნელოვანი მიზანი იყო ქვეყნებისთვის ამ შეზღუდულ წესრიგში. ამასთან, არსებობდა ამ რეალისტური წესრიგის გარკვეული ასპექტები, რომლებიც თავსებადია ლიბერალურ პრინციპებთან. მაგალითად, მცირედი ეჭვი არსებობს, რომ *ce-teris paribus* ამერიკელი პოლიტიკოსები უპირატესობას ანიჭებდნენ ურთიერთობას დემოკრატებთან, ვიდრე ავტორიტარულ სახელმწიფოებთან. მაგრამ დემოკრატის ხელშეწყობა ყოველთვის იმარჯვებდა, როდესაც ის ძალთა ბალანსის პოლიტიკის წესებს ეჯახებოდა. შეერთებული შტატები არ გამორიცხავდა არადემოკრატებს NATO-ში განწევრიანებისგან ან არ უკუაგდებდა ქვეყნებს, რომლებმაც უარი თქვეს დემოკრატიაზე განწევრიანების შემდეგ, როგორც ამას საბერძნეთის, პორტუგალიის და თურქეთის შემთხვევები აჩვენებს.

ამასთანავე, მართალია, ვაშინგტონი ისწრაფოდა, რომ წინ წამოენია ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც წესრიგის წევრებს შორის თავისუფალ ვაჭრობას და ინვესტიციებს ახალისებდა, ამგვარი პოლიტიკა უპირველესად წარმართებოდა სტრატეგიული მოსაზრებებით. როგორც ჯოან გოუა აღნიშნავს, „ის, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფლიქტმა შეერთებულ შტატებს უბიძგა, რომ გაეერთიანებინა უსაფრთხოების მაღალი პოლიტიკა და ვაჭრობის დაბალი პოლიტიკა, არის თემა, რომელიც გამუდმებით თავს იჩენს იმ მეცნიერთა შრომაში, რომლებმაც განსაზღვრეს და განავითარეს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ქვესფერო“.¹⁸ რეა-

¹⁸ Joanne Gowa, *Allies, Adversaries, and International Trade* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1994), p. 3.

ლურად, დუაიტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია, რომელსაც ზოგადად სჯეროდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა საუკეთესო გზაა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების შესაქმნელად, 1950-იანი წლების შუა ხანებში მზად იყო, ნება მიეცა EC-ისთვის, გამხდარიყო ჩაკეტილი ეკონომიკური ბლოკი – ანუ, ძირი გამოეთხარა თავისუფალი ვაჭრობისათვის – ვინაიდან ფიქრობდა, რომ ამ სახის არალიბერალური გადაწყვეტა დასავლეთ ევროპას უფრო ძლიერ პარტნიორად აქცევდა ცივ ომში.¹⁹ გარდა ამისა, მარშალის გეგმა მოტივირებული იყო ძირითადად სტრატეგიული მოსაზრებებით. და როგორც სებასტიან როსატო აჩვენებს, ძალის პოლიტიკა ამყარებდა EU-ის წინამორბედის, EC-ის შექმნას.²⁰

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი, 1990-2019წ.

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეერთებული შტატები უძლიერესი ქვეყანა იყო მსოფლიოში. დადგა „უნიპოლარული მომენტი“, რაც ნიშნავდა, რომ იმ შეზღუდვების უმრავლესობა, რომლებიც დიდ სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების კონკურენციიდან წარმოიშვა, დასრულდა.²¹ ამასთან, სქელი დასავლური წესრიგი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა შექმნა საბჭოთა კავშირთან გასამკლავებლად, მტკიცედ ხელუხლებელი რჩებოდა, მაშინ, როდესაც საბჭოთა წესრიგი სწრაფად დაეცა. კომეკონი და ვარშავის პაქტი 1991 წლის ზაფხულში დაიშალა, საბჭოთა კავშირი კი – 1991 წლის დეკემბერში. გასაკვირი არაა, რომ პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ. უ. ბუშმა გადაწყვიტა, მიეღო რეალისტური დასავლური წესრიგი და ის გაეგრძელებინა მთელ მსოფლიოში, გარდაექმნა რა ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგად. ცივი ომის ეპოქის საერთაშორისო წესრიგის შემადგენელი ინსტიტუტები – გაერო და შეიარაღებაზე კონტროლის არაერთი შეთანხმება – გაერთიანდებოდა მასში, რასაც ბუში უწოდებდა „ახალ მსოფლიო წესრიგს“.²²

¹⁹ Pascaline Winand, *Eisenhower, Kennedy, and the United States of Europe* (New York: St. Martin's, 1993), pp. 109–137. შეერთებული შტატები ძლიერ ზრუნავდა შედარებით მოგებაზე საბჭოთა კავშირთან გარიგებებში, რამდენადაც შედარებითი მოგება და დანაკარგი დიდწილად ძალთა ბალანსში ცვლილებათა სინონიმურია. მაგრამ ვაშინგტონი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა შედარებით მოგებას, როდესაც საქმე ჰქონდა დასავლეთ ევროპელ მოკავშირეებთან და, ამის ნაცვლად, ორიენტირებული იყო მათი აბსოლუტური მოგების ზრდაზე, არა იმიტომ, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები ლიბერალური აზროვნებით იყვნენ მოტივირებულნი, არამედ იმიტომ, რომ რაც უფრო ძლიერები იყვნენ შეერთებული შტატების მოკავშირეები, მით უკეთესად შეძლებდნენ საბჭოთა კავშირის შეკავებას.

²⁰ Melvyn P. Leffer, "The United States and the Strategic Dimensions of the Marshall Plan," *Diplomatic History*, Vol. 12, No. 3 (Summer 1988), pp. 277–306, doi.org/10.1111/j.1467-7709.1988.tb00477.x; and Sebastian Rosato, *Europe United: Power Politics and the Making of the European Community* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 2011).

²¹ Charles Krauthammer, "The Unipolar Moment," *Foreign Affairs*, Vol. 70, No. 1 (1990/91), pp. 23–33, doi.org/10.2307/20044692.

²² ბუშმა პირველად წარმოადგინა თავისი ხედვა კონგრესის ერთობლივი სესიის წინ 1990 წლის 11 სექტემბერს. President George H.W. Bush, "Address before a Joint Session of the Congress on the Persian Gulf Crisis and the Federal Budget De^ocit," September 11, 1990, <https://bush41library.tamu.edu/archives/public-papers/2217>.

ასეთმა თვალსაჩინო ამბიციურმა მცდელობამ აღმოსავლეთ აზიასა და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში ლიბერალური დემოკრატიების ენთუზიაზმით საესე მხარდაჭერა მოიპოვა, თუმცა არასდროს ყოფილა რაიმე ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები ლიდერი იყო. როგორც ბუში აცხადებდა 1990 წელს, „არ არსებობს ამერიკის ლიდერობის ალტერნატივა“.²³ ან როგორც სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაითს და პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოსწონდათ თქმა, შეერთებული შტატები არის „შეუცვლელი ერი“.²⁴ არსებითად, ბუში და მისი მემკვიდრეები თეთრ სახლში ესწრაფოდნენ ახალი საერთაშორისო წესრიგის შექმნას, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდებოდა დასავლური წესრიგისგან, ცივი ომის დროს რომ არსებობდა. კონკრეტულად რომ ითქვას, ისინი ემხრობოდნენ შეზღუდული რეალისტური წესრიგის გარდაქმნას საერთაშორისო ლიბერალურ წესრიგად.²⁵ სინამდვილეში, ბილ კლინტონმა ცხადი გახადა, როდესაც საპრეზიდენტო კამპანიას აწარმოებდა 1992 წელს, რომ მისი წინამორბედისეული ახალი მსოფლიო წესრიგის კონცეფცია არ იყო საკმარისად ამბიციური.²⁶

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შექმნა სამ ძირითად ამოცანას მოიცავდა. პირველი, არსებითი იყო დასავლური წესრიგის შემადგენელ ინსტიტუტებში წევრობის გაფართოება, ასევე ახალი ინსტიტუტების შექმნა, სადაც ეს საჭირო იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი იყო საყოველთაო წევრობის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების ქსელის შექმნა, რომელსაც დიდი გავლენა ექნებოდა წევრი სახელმწიფოების ქცევაზე. მეორე, იმპერატიული იყო ღია და ინკლუზიური საერთაშორისო ეკონომიკის შექმნა, რომელიც გაზრდიდა თავისუფალ ვაჭრობას და ხელს შეუწყობდა შეუზღუდავ კაპიტალის ბაზრებს. ამ ჰიპერგლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის მიზანი იყო, რომ ყოფილიყო გაცილებით უფრო ამბიციური თავისი მასშტაბით, ვიდრე ეკონომიკური წესრიგი, რომელიც დასავლეთში დომინირებდა ცივი ომის დროს. მესამე, გადამწყვეტი იყო მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის მტკიცედ გავრცელება, მისია, რომელიც ხშირად სიცრუე იყო, როდესაც შეერთებული შტატები ძალაუფლებისთვის ეჯიბრებოდა საბჭოთა კავშირს. ეს მიზანი მხოლოდ შეერთებულ შტატებს როდი ჰქონდა; ზოგადად, მისმა ევროპელმა მოკავშირეებმაც მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს.²⁷

ეს სამი ამოცანა, რასაკვირველია, პირდაპირ კავშირშია მშვიდობის ძირითად ლიბერალურ თეორიებთან: ლიბერალურ ინსტიტუციონალიზმთან, ეკონომიკური

²³ იქვე.

²⁴ ოლბრაითმა ეს განცხადება გააკეთა NBC-ის *The Today Show*-ში. Madeleine K. Albright, interview by Matt Lauer, Today Show, February 19, 1998. For Obama's use, see Barack Obama, "Remarks by the President at the United States Military Academy Commencement Ceremony" (Washington, D.C.: White House, May 28, 2014).

²⁵ ახალ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს და შეზღუდულ რეალისტურ დასავლურ წესრიგს შორის ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება ისაა, რომ ორივე სქელ წესრიგს წარმოადგენს.

²⁶ იხილეთ David C. Hendrickson, "The Recovery of Internationalism," *Foreign Affairs*, Vol. 73, No. 5 (September/October 1994), pp. 26–27, doi.org/10.2307/20046829.

²⁷ ამ მისიის მიმართ ევროპის ენთუზიაზმი ასახულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) პოლიტიკაში. იხილეთ Pamela Jawad, "Conflict Resolution through Democracy Promotion? The Role of the OSCE in Georgia," *Democratization*, Vol. 15, No. 3 (June 2008), pp. 611–629, doi.org/10.1080/13510340801972288.

ურთიერთდამოკიდებულების თეორიასა და დემოკრატიული მშვიდობის თეორიასთან. ამგვარად, მისი არქიტექტორების გონებაში ძლიერი, მდგრადი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობა მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნის სინონიმური იყო. ამ ღრმად ფესვგადგმულმა რწმენამ შეერთებულ შტატებს და მის მოკავშირეებს ძლიერი მოტივი მისცა, რომ გულმოდგინედ ემუშავათ ამ ახალი წესრიგის შესაქმნელად. მასში ჩინეთისა და რუსეთის ინტეგრირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი წარმატებისთვის, ვინაიდან ისინი უძლიერესი სახელმწიფოები იყვნენ სისტემაში შეერთებული შტატების შემდეგ. ამის მიზანი იყო მათი ჩართვა რაც შეიძლებოდა მეტ ინსტიტუტში, მათი სრული ინტეგრირება ღია საერთაშორისო ეკონომიკაში და მათი გადაქცევა ლიბერალურ დემოკრატიებად.

NATO-ის გაფართოება აღმოსავლეთ ევროპაში კარგი მაგალითია შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების მუშაობისა, რომ შეზღუდული დასავლური წესრიგი აქციონ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგად.²⁸ შეიძლება იფიქრონ, რომ NATO-ის სვლა აღმოსავლეთით კლასიკური შეკავების სტრატეგიის ნაწილი იყო, პოტენციურად აგრესიული რუსეთის შეკავების მიზნით.²⁹ მაგრამ ასე არ იყო, რამდენადაც დასავლეთის სტრატეგია ლიბერალურ მიზნებს ეთვისებოდა. მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების – და შესაძლოა, ერთ დღეს, რუსეთის – ინტეგრირება „უსაფრთხოების თანამეგობრობაში“, რომელიც დასავლეთ ევროპაში განვითარდა ცივი ომის დროს. არ არსებობს იმის საბუთი, რომ მისი მთავარი არქიტექტორები – პრეზიდენტები კლინტონი, ბუში და ობამა – ფიქრობდნენ, რომ რუსეთი შეიძლებოდა თავს დასხმოდა მეზობლებს და ამდენად, შეკავებას საჭიროებდა ან

²⁸ NATO-ს გაფართოება ნამდვილად იყო მთავრი ელემენტი ფართო სტრატეგიაში, რომელიც აგრეთვე მოიცავდა ევროპის კავშირის გაფართოებას და აღმოსავლეთ ევროპაში ე.წ. ფერადი რევოლუციების ხელშეწყობას დემოკრატიის გასავრცელებლად. იხ., John J. Mearsheimer, "Why the Ukraine Crisis Is the West's Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin," *Foreign Affairs*, Vol. 93, No. 5 (September/October 2014), pp. 77–89, <https://www.jstor.org/stable/24483306>.

²⁹ ზოგიერთმა ანალიტიკოსმა ეს არგუმენტი წარმოადგინა მას შემდეგ, რაც 2014 წლის თებერვალში უკრაინის კრიზისმა იფეთქა. მაგალითად, სტეფან სესტანოვიჩი ამტკიცებს, რომ „დღევანდელი აგრესიული რუსული პოლიტიკა ხდებოდა“ ადრეულ 1990-იან წლებში და რომ „ძალის გათვლები მხარს უჭერდა“ შეერთებული შტატების პოლიტიკას რუსეთის მიმართ – NATO-ს გაფართოების ჩათვლით – იმ დროიდან მოყოლებული. იხილეთ Sestanovich's response, "How the West Has Won", in Michael McFaul, Stephen Sestanovich, and John J. Mearsheimer, "Faulty Powers: Who Started the Ukraine Crisis?" *Foreign Affairs*, Vol. 93, No. 6 (November/December 2014), pp. 171,173, <https://www.jstor.org/stable/24483933>. NATO-ის გაფართოება, ამ ხედვით, რეალისტური პოლიტიკაა. თუმცა, არსებული არგუმენტი ეწინააღმდეგება მოვლენათა ამგვარ ინტერპრეტაციას. რუსეთი არ იმყოფებოდა იმ პოზიციაში, რომ იერიში მიეტანა 1990-იან წლებში, და თუმცა მისი ეკონომიკა და სამხედრო სფერო გარკვეულწილად გაუმჯობესდა 2000 წლის შემდეგ, დასავლეთში რთულად თუ თვლიდა ვინმე სერიოზულ საფრთხედ, რომ ის მეზობლებს დაესხმოდა თავს – უკრაინის ჩათვლით – 2014 წლის თებერვლის კრიზისამდე. ფაქტობრივად, რუსეთს მცირე რაოდენობის ფართომასშტაბიანი საბრძოლო ერთეულები ჰყავდა დასავლეთ საზღვარზე ან მასთან ახლოს, არცერთი სერიოზული რუსი პოლიტიკოსი ან ექსპერტი არ საუბრობდა რუსეთის აგრესიის საფრთხეზე NATO-ის გაფართოების გასამართლებლად.

რომ ისინი ფიქრობდნენ, რუსეთის ლიდერებს ლეგიტიმური მიზეზები ჰქონდათ NATO-ს გაფართოების გამო შიშისთვის.³⁰

NATO-ის გაფართოებისადმი ამგვარი ლიბერალური მიდგომა ასახულია მასში, თუ როგორ მიჰყიდა კლინტონის ადმინისტრაციამ ეს პოლიტიკა შეერთებული შტატების და დასავლეთ ევროპის პუბლიკას. მაგალითად, სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტრობ ტალბოტი 1995 წელს ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩართვა NATO-ში – ასევე ევროპის კავშირში – არსებითი იყო სტაბილურობის მისაღწევად ამ პოტენციურად მერყევე რეგიონში. „NATO-ს გაფართოება“, ამტკიცებდა ტალბოტი, „იქნებოდა ძალა კანონის უზენაესობისათვის ევროპის ახალ დემოკრატიებშიც და მათ შორისაც“. გარდა ამისა, ეს „ხელს შეუწყობდა და განამტკიცებდა დემოკრატიულ და თავისუფალ საბაზრო ფასეულობებს“, რაც ხელს შეუწყობდა მშვიდობას.³¹

ცივი ომის შემდგომ პერიოდში ჩინეთის მიმართ თავის პოლიტიკას შეერთებული შტატები იმავე ლიბერალურ ლოგიკაზე ამყარებდა. მაგალითად, სახელმწიფო მდივანი ოლბრაითი ამტკიცებდა, რომ მზარდ ჩინეთთან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნებისთვის არსებითია მასთან ურთიერთობა და არა მისი შეკავება იმგვარად, როგორც ამას აკეთებდა შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირთან ცივი ომის დროს. ჩართულობა, ამტკიცებდა ოლბრაითი, ბიძგს მისცემდა ჩინეთის აქტიურ წევრობას მსოფლიოს დიდ ინსტიტუტებში და ხელს შეუწყობდა მის ინტეგრირებას შეერთებული შტატების მიერ დომინირებულ ეკონომიკურ წესრიგში, რაც გარდაუვლად აქცევდა ჩინეთს ლიბერალურ დემოკრატიად. მაშინ ჩინეთი იქნებოდა „პასუხისმგებელი მხარე“ საერთაშორისო სისტემაში, ძლიერ მოტივირებული, რომ მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა სხვა ქვეყნებთან.³²

ბუშის დოქტრინა, რომელიც 2002 წელს შემუშავდა და 2003 წლის მარტში ერაყში შეჭრის გასამართლებლად იქნა გამოყენებული, შეერთებული შტატების ძირითადი

³⁰ Ikenberry, *After Victory*, pp. 235-239, 245-246, 270-273.

³¹ Strobe Talbott, “Why NATO Should Grow,” *New York Review of Books*, August 10, 1995, pp. 27–28. ტალბოტის ხედვებს NATO-ს გაფართოებაზე ფართოდ იზიარებდნენ კლინტონის ადმინისტრაციის მაღალ ეშელონებში. იხ., Secretary of State Warren M. Christopher, “Reinforcing NATO’s Strength in the West and Deepening Cooperation with the East,” opening statement at the North Atlantic Council Ministerial Meeting, Noordwijk, the Netherlands, May 30, 1995; Secretary of State Madeleine K. Albright, “A Presidential Tribute to Gerald Ford,” Ford Museum Auditorium, Grand Rapids, Michigan, April 17, 1997; and Secretary of State Madeleine K. Albright, “Commencement Address,” Harvard University, Cambridge, Massachusetts, June 5, 1997.

³² Secretary of State Madeleine K. Albright, “American Principle and Purpose in East Asia,” 1997 Forrester Lecture, U.S. Naval Academy, Annapolis, Maryland, April 15, 1997. See also Secretary of State Warren M. Christopher, “America and the Asia-Pacific Future,” address to the Asia Society, New York City, May 27, 1994; White House, “A National Security Strategy of Engagement and Enlargement” (Washington, D.C.: White House, February 1995), pp. 28–29, <http://nssarchive.us/NSSR/1995.pdf>; and White House, “A National Security Strategy for a New Century” (Washington, D.C.: White House, October 1998), pp. 41-47, <http://nssarchive.us/NSSR/1998.pdf>. Deputy Secretary of State Robert B. Zoellick first introduced the term “responsible stakeholder” in 2005. Zoellick, “Whither China? From Membership to Responsibility,” remarks to the National Committee on U.S.-China Relations, New York City, September 21, 2005.

პოლიტიკის მესამე მაგალითია, რომლის მიზანიც ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობა იყო. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების კვალდაკვალ, ბუშის ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ ე.წ. ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის მოგება არა მარტო ალ-ქაიდას დამარცხებას მოითხოვდა, არამედ ისეთ ქვეყნებთან დაპირისპირებასაც, როგორებიც იყვნენ ირანი, ერაყი და სირია. ადმინისტრაციის მთავარი სამოქმედო ვარაუდი ის იყო, რომ ამ ნამდვილად არამზარადა სახელმწიფოებში რეჟიმები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, როგორიც იყო ალ-ქაიდა, ისინი ცდილობდნენ ბირთვული იარაღის მიღებას და შესაძლოა, ტერორისტებისთვის მათ გადაცემას.³³ ადმინისტრაცია ფიქრობდა, რომ ბირთვულ გავრცელებასა და ტერორიზმთან გამკლავების საუკეთესო გზა იყო დიდი ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის გადაქცევა ლიბერალურ დემოკრატიებად, რაც ამ რეგიონს აქცევდა მშვიდობის გიგანტურ ზონად, ამდენად კი აღმოფხვრიდა ბირთვული გავრცელებისა და ტერორიზმის ორმაგ პრობლემას.³⁴ „მსოფლიოს აშკარა ინტერესი აქვს დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების მიმართ“, აცხადებდა პრეზიდენტი ბუში, „ვინაიდან სტაბილური და თავისუფალი ერები არ შობენ მკვლელობის იდეოლოგიებს. ისინი ახალისებენ უკეთესი ცხოვრების მშვიდობიან ხორცშესხმას“.³⁵

1990-იანი წლების დასაწყისში ბევრმა დამკვირვებელმა დაინახა, რომ შეერთებული შტატები კარგ მდგომარეობაში იყო ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ასაშენებლად. მას ცივი ომის დროს დასავლური წესრიგის მშენებლობისა და მართვის დიდი გამოცდილება ჰქონდა და აშკარად ძლიერი იყო თავის პოტენციურ მეტოქეებთან შედარებით. ჩინეთი თავისი აღმასვლის ადრეულ ეტაპებზე იმყოფებოდა, ხოლო რუსეთი სრული არეულობის მდგომარეობაში იყო მთელი 1990-იანი

³³ 2003 წლის მარტში ერაყში შეჭრამდე პრეზიდენტმა ბუშმა მოკლედ განაცხადა, რომ „ტერორიზმის წინააღმდეგ ომში უდიდესი საფრთხე [არის] მასობრივი განადგურების იარაღით აღჭურვილი კანონგარეშე რეჟიმები“. February 28, 2003, <http://www.aei.org/publication/president-george-w-bush-speaks-at-aeis-annualdinner>. On the Bush Doctrine, see White House, *The National Security Strategy of the United States* (Washington, D.C.: White House, September 17, 2002), <https://www.state.gov/documents/organization/63562.pdf>.

³⁴ შეიძლება იფიქრონ, რომ NATO-ს გაფართოება, შეერთებული შტატების მცდელობები, რომ ჩინეთი აქციოს ლიბერალურ დემოკრატიად, და ბუშის დოქტრინა მონყვეტილი რეალიზმის საბუთია, რაც უნიპოლარულობამ გახადა შესაძლებელი. თუმცა, ასეთი დასკვნა არასწორი იქნებოდა. პოლიტიკის შემუშავების წრეებსა და საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტში არსებული დისკურსიდან ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკა მოტივირებული იყო ლიბერალური თეორიებით და რომ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები დასავლეთში მტკიცედ ერთგულებდნენ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობას, რომელიც აღემატებოდა ძალთა ბალანსის პოლიტიკას. აღნიშვნის ღირსია, რომ თითქმის ყველა რეალისტი ეწინააღმდეგებოდა NATO-ის გაფართოებას, ერაყის ომს და ბუშის დოქტრინას. გარდა ამისა, ისინი ამჯობინებდნენ, რომ თავი შეეკავებინათ ჩინეთთან ჩართულობისგან. ცივი ომის შემდეგ შეერთებული შტატები რეალისტური ლოგიკით რომ წარმართულიყო, ის შეეცდებოდა, რომ შეექმნა აგნოსტიკური საერთაშორისო წესრიგი და გაეტარებინა ის პოლიტიკა, რომელსაც რეალისტი მოაზროვნეები უჭერდნენ მხარს. იხილეთ Stephen M. Walt, *The Hell of Good Intentions: America's Foreign Policy Elite and the Decline of U.S. Primacy* (New York: Farrar, Straus and Giroux, 2018), pp. 266-269.

³⁵ AEI, “President George W. Bush Speaks at AEI’s Annual Dinner.”

ნლების მანძილზე. ამ უზარმაზარი ძალის უპირატესობა ნიშნავდა, რომ ერთ პოლუსს შეიძლებოდა დიდწილად უგულებელყო რეალისტური დებულებები და ემოქმედა ლიბერალური პრინციპების მიხედვით, რაც შესაძლებელი იყო ცივი ომის დროს. ეს, აგრეთვე, ნიშნავდა, რომ შეერთებულ შტატებს შეიძლებოდა დაერწმუნებინა ან ეიძულებინა სხვა სახელმწიფოები, მიჰყოლოდნენ მის ბრძანებებს. და რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო შესაძლებლობა, რომ ვაშინგტონი ძალას გამოიყენებდა იმის მისაღებად, რაც უნდოდა.

დაბოლოს, შეერთებულ შტატებს და მის მოკავშირეებს დიდი ლეგიტიმაცია ჰქონდათ ცივი ომის დასრულებით მომდევნო წლებში. მათ არა მარტო გაიმარჯვეს ამ გაჭიანურებულ კონფლიქტში, არამედ სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივაც არ გააჩნდა ლიბერალურ დემოკრატიას, რომელიც ოპტიმალური პოლიტიკური ნებსრიგი ჩანდა უახლოესი მომავლისათვის. იმ დროს დასავლეთში ბევრს სჯეროდა, რომ საბოლოოდ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა გახდებოდა ლიბერალური დემოკრატია – რწმენა, რომელმაც უბიძგა ფრენსის ფუკუიამას, დაესკვნა, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო „ისტორიის დასასრული“.³⁶ ამასთან, საერთაშორისო ინსტიტუტების ფართო წრე, რომელიც ცივი ომის დროს დასავლეთში ეხმარებოდა დიდი კეთილდღეობის შექმნას, იდეალური იყო გლობალიზაციის მომდევნო ნაბიჯისათვის. არსებითად, ჩანდა, რომ შეერთებული შტატები კარგ პოზიციაში იყო, რომ გაეგრძელებინა ლიბერალური ჰეგემონია, საგარეო პოლიტიკა, რომელიც ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებული მსოფლიო ნებსრიგის მშენებლობას მოითხოვდა.³⁷

1990-იანი წლების განმავლობაში და 2000-იანი წლების დასაწყისში შეერთებული შტატები და მისი ახლო მოკავშირეები მომზადდნენ ჩანდნენ თავიანთ გზაზე, ჩამოეყალიბებინათ სრულმასშტაბიანი ლიბერალური საერთაშორისო ნებსრიგი. რასაკვირველია, არსებობდა პრობლემები, მაგრამ ზოგადად ახალ ნებსრიგზე საუბარი მშვენივრად მუშაობდა. ცოტა ადამიანი მოელოდა, რომ ცოტა ხანში ახალ ათასწლეულში გაიგებდნენ ამას, მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

ოქროს წლები, 1990-2004 წწ.

შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების მცდელობები, ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩინეთი და რუსეთი ჩაებათ ნებსრიგის ძირითად ეკონომიკურ ინსტიტუტებში, ზოგადად წარმატებული აღმოჩნდა. 1992 წელს რუსეთი შეუერთდა IMF-ს და მსოფლიო ბანკს, თუმცა 2012 წლამდე არ განეგრებულა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO). ჩინეთი IMF-ის და მსოფლიო ბანკის წევრი იყო 1980 წლიდან, როდესაც ამ ინსტიტუტებში ტაივანის ადგილი დაიკავა. ჩინეთი WTO-ს შეუერთდა 2001 წელს. 1997 წელს ტაივანის საკითხზე მცირე კრიზისის მიუხედავად, სხვა მხრივ პეკინი და ვაშინგტონი კარგ პირობებში იყვნენ 1990-იანი წლების მანძილზე და 2000-

³⁶ Francis Fukuyama, “The End of History?” *National Interest*, No. 16 (Summer 1989), pp. 3-18, <https://www.jstor.org/stable/24027184>.

³⁷ Mearsheimer, *The Great Delusion*, pp. 120–151; and Walt, *The Hell of Good Intentions*, pp. 21–52.

იანი წლების დასაწყისში. ჩანდა, რომ ჩართულობა მუშაობდა. ამ პერიოდში კარგი ურთიერთობები არსებობდა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორისაც.

მდგომარეობა დადებითი იყო ევროპაშიც. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობის მთავარი ნაბიჯი იყო, ხოლო 1999 წელს პირველად გამოვიდა ევრო, რაც ფართოდ აღიქვეს, როგორც იმის საბუთი, რომ EU-ს ნათელი მომავალი ჰქონდა. ამასთანავე, აღმოსავლეთ ევროპაში EU-ის და NATO-ის გაფართოების ადრეული ტალღები მცირეოდენ პრობლემებთან ერთად მიმდინარეობდა, თუმცა, რუსი პოლიტიკოსები აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ ნინააღმდეგობას. დაბოლოს, მშვიდობიანად დაიშალა ჩეხოსლოვაკეთი და საბჭოთა კავშირი. იუგოსლავია არ დაშლილა მშვიდობიანად, რასაც მოჰყვა ომები ბოსნიასა და კოსოვოში, რომლებზეც შეერთებულმა შტატებმა და მისმა NATO-ელმა მოკავშირეებმა წელი რეაგირება მოახდინეს და დაასრულეს. მაგრამ საბოლოოდ, 1999 წლისთვის ბალკანეთს თავს მოახვიეს ცივი მშვიდობა.

დიდ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები უფრო კომპლექსური იყო, მაგრამ იქაც ჩანდა, რომ რეგიონი წელა, მაგრამ სტაბილურად ექცეოდა ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგში. 1993 წლის სექტემბერში ისრაელმა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ოსლოს შეთანხმებებს, რამაც იმედი გააჩინა, რომ ორ მხარეს შეიძლებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა ებოვა ათწლეულის დასასრულისთვის. შეერთებული შტატები, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით მოქმედებდა, მოკავშირეთა ფართო კოალიციას წაუძღვა დიდებული სამხედრო გამარჯვებისკენ ერაყზე 1991 წლის დასაწყისში – გაათავისუფლა ქუვეითი, მნიშვნელოვნად დაასუსტა ერაყის სამხედრო ძალები და ამხილა სადამ ჰუსეინის ბირთვული იარაღის საიდუმლო პროგრამა, რომელიც იმ დროს დაიხურა. მიუხედავად ამისა, ბაატისტურმა რეჟიმმა ძალაუფლება შეინარჩუნა. ავღანეთი კვლავ პრობლემურ ადგილად რჩებოდა, ძირითადად იმიტომ, რომ თალიბანმა დაუბრკოლებლად მისცა ნება ალ-ქაიდას, თავისი ოპერაციები დაეგეგმა იქ, 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების ჩათვლით. თუმცა იმდროინდელმა მოვლენებმა უბიძგა შეერთებულ შტატებს, რომ 2001 წლის ოქტომბერში შეჭრილიყო ავღანეთში და ჩამოეგდო თალიბანი, მის ადგილას კი პროდასავლური რეჟიმი დაესვა. მაშინ, 2003 წლის მარტში, შეერთებული შტატების სამხედრო ძალებმა დაამარცხა ერაყი და ხელისუფლებიდან ჩამოაგდო სადამი. 2003 წლის ზაფხულისთვის ჩანდა, რომ ბუმის დოქტრინა, რომლის მიზანიც დიდ ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელება იყო, მუშაობდა, როგორც ჩაიფიქრეს.

ცივი ომის შემდეგ დემოკრატია აშკარად წინ მიდიოდა, როგორც ჩანს, ადასტურებდა ფუკუიამას მტკიცებას, რომ არ არსებობდა მისი სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა. Freedom House-ის მიხედვით, 1986 წელს მსოფლიოს ქვეყნების 34 პროცენტი იყო დემოკრატიები. 1996 წელს ამ რიცხვმა 41 პროცენტს მიაღწია, ხოლო 2006 წელს – 47 პროცენტს.³⁸ ეკონომიკურ ფრონტზე, ჰიპერგლობალიზაცია უხვ სიმდიდრეს ქმნიდა მთელ მსოფლიოში, თუმცა იყო დიდი ფინანსური კრიზისიც აზი-

³⁸ Arch Puddington and Tyler Roylance, "Populists and Autocrats: The Dual Threat to Global Democracy," in Freedom House, "Freedom in the World, 2017" (Washington, D.C.: Freedom House, 2017), p. 4.

აში 1997-98 წლებში. ამასთან, ინტერესი იზრდებოდა ადამიანის უფლებათა დამრღვევების სასამართლო პროცესების მიმართ, რამაც ცნობილ ავტორს უბიძგა, დაენერა წიგნი სათაურით – *მართლმსაჯულების კასკადი: როგორ ცვლის ადამიანის უფლებათა სასამართლო პროცესები მსოფლიო პოლიტიკას*.³⁹ ბირთვული გავრცელების ფრონტზე, 1989 წელს სამხრეთ აფრიკამ უარი თქვა ბირთვული იარაღის პროგრამაზე, ხოლო 1990-იანი წლების შუა ხანებში ბელარუსმა, ყაზახეთმა და უკრაინამ უარი თქვეს ბირთვულ არსენალებზე, რომლებიც მემკვიდრეობით ერგოთ საბჭოთა კავშირისგან და NPT-ს შეუერთდნენ. ჩრდილოეთ კორეა, რომელმაც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ბირთვული იარაღის განვითარება, 1994 წელს დათანხმდა, შეენწყვიტა თავისი პროგრამა.

1990-იან წლებში შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები გარკვეულ რეგრესს შეეჯახნენ. 1998 წელს ინდოეთმა და პაკისტანმა ბირთვული იარაღი გამოსცადეს; კლინტონის ადმინისტრაციამ პოლიტიკური ნარუმატებლობები განიცადა სომალში (1993 წ.) და ჰაიტიზე (1994-95 წწ.); და ძალიან ნელი რეაგირება მოახდინა რუანდის გენოციდზე 1994 წელს. შეერთებულმა შტატებმა, აგრეთვე, ვერ შეძლო მომაკვდინებელი ომების დასრულება კონგოსა და სუდანში, ხოლო ალ-ქაიდა უფრო სახიფათო გახდა ავღანეთის საზღვრებში. და მაინც, შეიძლება გაბედულად თქვან, რომ უზარმაზარი პროგრესი იქნა მიღწეული მოკლე პერიოდში მთელ მსოფლიოში ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის გავრცელების თვალსაზრისით და რომ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები საბოლოოდ შეძლებდნენ აფრიკის და სხვა პრობლემური ქვეყნების ინტეგრირებას ახალ წესრიგში და შემდგომ წარმატებებს ბირთვული გავრცელების შეკავებაში.

ლიბერალური წესრიგი დაბლა მიექანება, 2005-19 წწ.

2000-იანი წლების პირველი ათწლეულის შუა ხანებში სერიოზული ბზარები გაჩნდა ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგში, რაც იმ დროიდან გამუდმებით იზრდება. დაფიქრდით, რა მოხდა დიდ ახლო აღმოსავლეთში. 2005 წლისთვის აშკარა იყო, რომ ერაყის ომი კატასტროფად იქცეოდა, შეერთებულ შტატებს კი არ ჰქონდა სტრატეგია, რომ ბრძოლა შეეჩერებინა, გაცილებით ნაკლებად კი, ერაყი ექცია ლიბერალურ დემოკრატიად. იმავე დროს, ავღანეთში მდგომარეობამ გაუარესება დაიწყო, ვინაიდან თალიბანი მკვდრეთით აღდგა და მიზანში ამოიღო შეერთებული შტატების მიერ დაყენებული მთავრობა ქაბულში. დროსთან ერთად თალიბანი ძლიერდებოდა, ახლა კი ომი ავღანეთში ყველაზე ხანგრძლივი ომია შეერთებული შტატების ისტორიაში, უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ამერიკის სამოქალაქო ომი, პირველი მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომი და კორეის ომი ერთად. ამასთან, არ არსებობს აშკარა გზა შეერთებული შტატების გამარჯვებისთვის. გარდა ამისა, ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები ახორციელებდნენ რეჟიმის ცვლილებას ლიბიასა

³⁹ Kathryn Sikkink, *The Justice Cascade: How Human Rights Prosecutions Are Changing World Politics* (New York: W.W. Norton, 2011). See also Sarah B. Snyder, *From Selma to Moscow: How Human Rights Activists Transformed U.S. Foreign Policy* (New York: Columbia University Press, 2018).

და სიარაში, რაც იმით დასრულდა, რომ ხელი შეუწყეს მომაკვდინებელი სამოქალაქო ომების დაჩქარებას ორივე ქვეყანაში. ამასთანავე, ერაყისა და სირიის დაღუპვის ხელშეწყობის პროცესში ბუშისა და ობამას ადმინისტრაციებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს შექმნაში, რომლის წინააღმდეგაც შეერთებულმა შტატებმა ომი წამოიწყო 2014 წელს.

ოსლოს სამშვიდობო პროცესი, რომელიც ერთ დროს ასე იმედისმომცემი ჩანდა, კრახით დასრულდა, პალესტინელებს კი ფაქტობრივად იმედი არ გააჩნიათ, რომ საკუთარ სახელმწიფოს შექმნიან. ნაცვლად ამისა, ვაშინგტონის დახმარებით ისრაელის ლიდერები ქმნიან დიდ ისრაელს, რომელიც, როგორც ისრაელის ორი ყოფილი პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, აპარტიდის სახელმწიფო იქნება.⁴⁰ შეერთებული შტატები, აგრეთვე, ხელს უწყობს სიკვდილსა და განადგურებას იემენის სამოქალაქო ომში და თანხმობა მისცა, როდესაც ეგვიპტის სამხედრო ძალებმა დემოკრატიულად არჩეული მთავრობა დაამხეს ეგვიპტეში 2013 წელს. ნაცვლად იმისა, რომ დიდი ახლო აღმოსავლეთი ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგში მოაქციონ, შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები დაუდევრად ასრულებენ მთავარ როლს ამ რეგიონში არალიბერალური უწესრიგობის გავრცელებაში.

ევროპა, რომელიც 1990-იან წლებში ლიბერალურ გალაქტიკაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად მოჩანდა, სერიოზულ ხიფათში აღმოჩნდა 2010-იანი წლების ბოლოს. 2005 წელს ევროკავშირი დიდი რეგრესის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც ფრანგმა და ჰოლანდიელმა ამომრჩევლებმა უარყვეს შემოთავაზებული ხელშეკრულება ევროპის კონსტიტუციის მისაღებად. კიდევ უფრო დამაზარალებელი იყო ევროზონის კრიზისი, რომელიც 2009 წლის ბოლოს დაიწყო და კვლავ გრძელდება. კრიზისმა არა მარტო ევროს სიმყიფე აჩვენა, არამედ ძლიერ მტრული დამოკიდებულებაც შექმნა გერმანიას და საბერძნეთს შორის, სხვა პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად.⁴¹ საქმე კიდევ უფრო გაუარესდა, 2016 წლის ივნისში ბრიტანეთმა ხმა მისცა ევროკავშირიდან გასვლას, ხოლო ქსენოფობიური მემარჯვენე პარტიები სულ უფრო ძლიერდებიან ევროპაში. რეალურად, ფუნდამენტურად არალიბერალური ხედვები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებს შორის. როგორც *New York Times*-ის 2018 წლის იანვრის სტატიაში იყო ნათქვამი: „ჩეხეთის პრეზიდენტმა მუსლიმ ემიგრანტებს კრიმინალები უწოდა. პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ ლტოლვილები ავადმყოფობით გაიცხრილებიან. უნგრეთის ლიდერმა მიგრანტები აღწერა, როგორც სანამლავი ... [და] ავსტრიის ახალმა ულტრამემარჯვენე შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება წამოაყენა, რომ მიგრანტებს თავშესაფრის ცენტრებში მოუყარონ თავი – მეორე მსოფლიო ომის სრულებით აშკარა და საძულველი გამოძახილებით“.⁴²

⁴⁰ Rory McCarthy, “Barak: Make Peace with Palestinians or Face Apartheid,” *Guardian*, February 2, 2010, <https://www.theguardian.com/world/2010/feb/03/barak-apartheid-palestinepeace>; and Rory McCarthy, “Israel Risks Apartheid-Like Struggle If Two-State Solution Fails, Says Olmert,” *Guardian*, November 30, 2007, <https://www.theguardian.com/world/2007/nov/30/israel>.

⁴¹ Claudia Sternberg, Kira Gartzou-Katsouyanni, and Kalypso Nicolaidis, *The Greco-German Affair in the Euro Crisis: Mutual Recognition Lost?* (London: Palgrave Macmillan, 2018).

⁴² Patrick Kingsley, “Trump’s Immigration Remarks Outrage Many, but Others Quietly Agree,” *New York Times*, January 12, 2018,

დაბოლოს, 2014 წელს სამოქალაქო ომი დაიწყო აღმოსავლეთ უკრაინაში, რომელიც მოიცავს რუსეთს, რომელმაც 2014 წლის მარტში უკრაინისგან მიიტაცა ყირიმი, რითაც სერიოზულად გააუარესა ურთიერთობები რუსეთსა და დასავლეთს შორის. ორივე მხარემ საკუთარი სამხედრო ძალები განალაგა აღმოსავლეთ ევროპაში და რეგულარულად მართავს სამხედრო წვრთნებს, რაც მათ შორის ეჭვებსა და დაძაბულობებს ამწვავებს. ეს კრიზისი, რომელიც ძირითადად წარმოიშვა ევროკავშირის და NATO-ს გაფართოებიდან, დასავლეთის მცდელობებთან ერთად, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიას ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, საქართველო და უკრაინა, არ იძლევა მალე დასრულების ნიშნებს.⁴³ საქმეთა ამგვარი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსკოვი ფხიზლად აკვირდება შესაძლებლობებს, რომ უთანხმოება დათესოს დასავლეთში და დაასუსტოს ევროკავშირი და NATO.

ბზარები გაჩნდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობაშიც, განსაკუთრებით თეთრ სახლში ტრამპის მოსვლით. ტრამპი დამცინავად უყურებს ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შემადგენელ თითქმის ყველა ინსტიტუტს, ევროკავშირის და NATO-ს ჩათვლით, რომლებსაც იგი, როგორც ცნობილია, 2016 წლის კამპანიის დროს აღწერდა „მოდველებულად“.⁴⁴ ცოტა ხნის შემდეგ, რაც ტრამპმა თანამდებობა დაიკავა, ევროპელი ლიდერებისადმი გაგზავნილ წერილში ევროკავშირის წამყვანი პოლიტიკოსი აცხადებდა, რომ ახალმა პრეზიდენტმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ევროკავშირის მომავალს.⁴⁵ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ტრამპი თეთრ სახლში გადავიდა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ძლიერ ერთგული ატლანტისტი, ფრთხილობდა, რომ ევროპა ძველებურად ვეღარ იქნებოდა შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული. ევროპელებმა, აცხადებდა ის, „წამდვილად საკუთარ ხელში უნდა ავიღოთ ჩვენი ბედისწერა“.⁴⁶ იმ დროიდან ტრანსატლანტიკური ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ გაუარესდა და უახლოეს მომავალში შემობრუნების ალბათობა შორეული ჩანს.

2007-08 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა არა მარტო უდიდესი ზარალი მიაყენა მრავალი ხალხის ცხოვრებას, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ელიტების კომპეტენციაც, რომლებიც ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს მართავენ.⁴⁷ რუსეთს და დასავლეთს შორის ურთიერთობათა გაუარესების გარდა, არსე-

<https://www.nytimes.com/2018/01/12/world/europe/trumpimmigrationoutrage.html>.

⁴³ Mearsheimer, “Why the Ukraine Crisis Is the West’s Fault”; and my reply in McFaul, Sestanovich, and Mearsheimer, “Faulty Powers,” pp. 175–178.

⁴⁴ Ashley Parker, “Donald Trump Says NATO Is ‘Obsolete,’ UN Is ‘Political Game,’” New York Times, April 2, 2016, <https://www.nytimes.com/politics/first-draft/2016/04/02/donald-trump-tells-crowd-hed-be-3he-if-nato-broke-up/>.

⁴⁵ James Kanter, “Trump Threatens Europe’s Stability, a Top Leader Warns,” New York Times, January 31, 2017,

<https://www.nytimes.com/2017/01/31/world/europe/trump-european-uniondonald-tusk.html>.

⁴⁶ Henry Farrell, “Thanks to Trump, Germany Says It Can’t Rely on the United States. What Does That Mean?” Monkey Cage blog, Washington Post, May 28, 2017, <https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2017/05/28/thanks-to-trump-germany-says-it-cant-rely-on-america-what-does-that-mean/>.

⁴⁷ John Lanchester, “After the Fall,” London Review of Books, July 5, 2018, pp. 3–8; and Adam Tooze, *Crashed: How a Decade of Financial Crises Changed the World* (New York: Viking, 2018).

ბოზს ჩინეთთან პოტენციური კონფლიქტის სამწუხარო ნიშნებიც, რომლებიც მტკიცედ ცვლის სტატუსს კვოს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ტაივანსა და ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე. გასაკვირი არაა, რომ შეერთებული შტატები ახლა უფრო დაინტერესებულია ჩინეთის შეკავებით, ვიდრე მასთან ჩართულობით. ფაქტობრივად, ტრამპის ადმინისტრაციამ ახლახანს განაცხადა, რომ WTO-ში ჩინეთის მიღება იყო შეცდომა, რამდენადაც პეკინის პროტექციონისტული პოლიტიკა აშკარად აჩვენებს, რომ მას არ სურს ამ ინსტიტუტების წესებით თამაში.⁴⁸

დაბოლოს, 2006 წლიდან ლიბერალური დემოკრატიების რიცხვი შემცირდა, შეიცვალა ტენდენცია, რომელიც ერთ დროს შეუჩერებელი ჩანდა.⁴⁹ ამასთან კავშირში, ლიბერალური დემოკრატიის მიმზიდველ ალტერნატივად იქცა რბილი ავტორიტარიზმი, მოვლენა, რომელიც თითქმის ნარმოუდგენელი იყო 1990-იანი წლების დასაწყისში. ხოლო ზოგიერთი ლიდერი ქებას ასხამს არალიბერალური დემოკრატიის ღირსებებს, სხვები კი მართავენ ქვეყნებს, რომლებიც ძლიერ რელიგიურ რწმენებზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემებისადმი ერთგულნი არიან. რასაკვირველია, ლიბერალურმა დემოკრატიამ დაკარგა გარკვეული მიმზიდველობა ბოლო წლებში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემა ხშირად ჩანს უუნარო. სერიოზული მეცნიერებიც კი სწუხან ამერიკული დემოკრატიის მომავალზე.⁵⁰

რომ შევაჯამოთ, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი ინგრევა.

რა მოხდა არასწორად?

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობაში შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ადრეული წარმატებების მიუხედავად, ეს წესრიგი საკუთარი განადგურების მარცვლებს შეიცავდა. დასავლელი პოლიტიკოსები ამ წესრიგის ბრძენი მმართველებიც რომ ყოფილიყვნენ, ისინი მნიშვნელოვნად ვერ გაახანგრძლივებდნენ მის სიცოცხლისუნარიანობას. ის განწირული იყო მარცხისთვის, ვინაიდან სამ ფატალურ დეფექტს შეიცავდა.

პირველი, ჩარევა ქვეყნების პოლიტიკაში იმისათვის, რომ ისინი აქციონ ლიბერალურ დემოკრატიებად, უკიდურესად რთულია, ხოლო გლობალური მასშტაბით ასეთი ამბიციური სოციალური ინჟინერიის მცდელობას რეალურად ცუდი შედეგი მოსდევს და ძირს უთხრის თვითონ ამ საქმის ლეგიტიმურობას. ნაციონალიზმი თითქმის უსათუოდ ინვესს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას რეჟიმის ცვლილებისათვის სამიზნე ქვეყნებში. ძალთა ბალანსის პოლიტიკა, აგრეთვე, ხელს შეუწყობს ასეთი საქმის დაბრკოლებას ცალკეულ შემთხვევებში. სახელმწიფოები, რომლებსაც

⁴⁸ Shawn Donnan, "U.S. Says China WTO Membership Was a Mistake," *Financial Times*, January 19, 2018, <https://www.ft.com/content/edb346ec-fd3a-11e7-9b32-d7d59aace167>.

⁴⁹ Puddington and Roylance, "Populists and Autocrats," p. 4.

⁵⁰ William A. Galston, *Anti-Pluralism: The Populist Threat to Liberal Democracy* (New Haven, Conn.: Yale University Press, 2018); Steven Levitsky and Daniel Ziblatt, *How Democracies Die* (New York: Crown, 2018); and Cass R. Sunstein, ed., *Can It Happen Here? Authoritarianism in America* (New York: Dey Street, 2018).

ამინებთ რეჟიმის ცვლილება – ან შეერთებული შტატების ჩარევის სხვა ფორმები – შეიკვრებიან ურთიერთმხარდაჭერისთვის და გამონახვენ გზებს, რომ ჩაშალონ შეერთებული შტატების ლიბერალური დღის წესრიგი. ამგვარად, სირია და ირანი დაეხმარნენ ერაყის ამბოხებას 2003 წელს შეერთებული შტატების შეჭრის შემდეგ, ხოლო რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთს უმაგრებენ ზურგს ეკონომიკურად, სამხედრო თვალსაზრისით და ისეთ საერთაშორისო ფორუმებზე, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოა.

მეორე, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი საბოლოოდ ქმნის პირობებს, რომლებიც თვითონ ლიბერალურ დემოკრატიებში სუვერენიტეტსა და ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემებს იწვევს, და ასე ხდება სულ მეტად, როდესაც რეჟიმის ცვლილების მცდელობები მარცხს განიცდის და ლტოლვილთა დიდ ნაკადებს იწვევს ლიბერალურ ქვეყნებში. ამასთან, პრობლემის მთავარი მიზეზია ნაციონალიზმი, რომელიც ჯერაც ცოცხალია აშკარად ლიბერალურ საზოგადოებებშიც კი.

მესამე, ჰიპერგლობალიზაციამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხარჯები მოუტანა უამრავ ადამიანს ლიბერალურ დემოკრატიებში, ერთი პოლუსის ჩათვლით. ამ ხარჯებს, რომელთა შორისაცაა სამუშაო ადგილების დაკარგვა, ხელფასების კლება ან სტაგნაცია და აშკარა უთანასწორობა შემოსავლებში, სერიოზული შიდა პოლიტიკური შედეგები აქვს, რომლებიც ძირს უთხრის ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს. გარდა ამისა, ღია საერთაშორისო ეკონომიკამ ხელი შეუწყო ჩინეთის აღმასვლას, რამაც, რუსეთის აღდგენასთან ერთად, საბოლოოდ ძირს გამოუთხარა ერთპოლუსიანობას, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შექმნის არსებით პირობას.

დემოკრატიის ხელშეწყობის საფრთხეები

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობისათვის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება შორს და ფართოდ, რომელიც თავიდანვე მიიჩნეოდა უაღრესად განხორციელებად ამოცანად. დასავლეთში ბევრს სჯეროდა, პოლიტიკა იქამდე განვითარდა, რომ აღარ არსებობდა ლიბერალური დემოკრატიის გონივრული ალტერნატივა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ შედარებით ადვილი იქნებოდა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შექმნა, ვინაიდან მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება მცირე წინააღმდეგობას შეხვდებოდა. სინამდვილეში, ადამიანთა უმეტესობა მიესალმებოდა იდეას, ეცხოვრათ დასავლური სტილის დემოკრატიაში, როგორც ეს გამოჩნდა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის კრახის შემდეგ.

თუმცა, ეს მცდელობა თავიდანვე განწირული იყო. რომ დავიწყოთ, არასდროს ყოფილა და არასდროს იქნება საყოველთაო თანხმობა იმაზე, თუ როგორია იდეალური პოლიტიკური სისტემა. შეიძლება ამტკიცონ, რომ ლიბერალური დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა (მე ასე ვიტყვოდი), მაგრამ სხვები მუდამ დაუჭერენ მხარს განსხვავებულ მმართველობით სისტემას. გახსენების ღირსია, რომ 1930-იან წლებში ევროპაში მრავალი ადამიანი ამჯობინებდა კომუნიზმს ან ფაშიზმს ლიბერალურ დემოკრატიაზე. მაშინ შეიძლება აღნიშნონ, რომ ლიბერალურმა დემო-

კრატია მ საბოლოოდ გაიმარჯვა ამ ორ „იზმზე“. თუმცა კი ეს სიმართლეა, 1930-იანი წლების ისტორია არის იმის შეხსენება, რომ ლიბერალური დემოკრატია არ არის საგანთა წინასწარ განსაზღვრული წესრიგი, ხოლო ელიტებისა და მათი პუბლიკებისთვის უჩვეულო არაა ალტერნატიული პოლიტიკური სისტემების არჩევა. ამგვარად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში გამოჩნდნენ არალიბერალური დემოკრატიები, ხოლო ჩინეთმა და რუსეთმა შეითვისეს ავტორიტარული მმართველობა, ჩრდილოეთ კორეა დიქტატურაა, ირანი ისლამური რესპუბლიკაა, ხოლო ისრაელი სულ მეტად ანიჭებს უპირატესობას თავის ებრაულ იდენტობას დემოკრატიულ ხასიათთან შედარებით.⁵¹ არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ არასდროს ყოფილა პერიოდი, როდესაც მსოფლიოს ქვეყნების 50 პროცენტზე მეტი ყოფილა ლიბერალური დემოკრატია.⁵²

მოსაზრებათა მრავალფეროვნება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია საუკეთესო მმართველობითი სისტემა, ნაციონალიზმთან ერთად უკიდურესად ართულებს მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების პროცესს. ნაციონალიზმი, ბოლოს და ბოლოს, აშკარად ძლიერი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ხაზს უსვამს თვითგამორკვევას და სუვერენიტეტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერ-სახელმწიფოებს არ სურთ, სხვა ერ-სახელმწიფოებმა უთხრან, როგორ უნდა მოანესრიგონ საკუთარი პოლიტიკური სისტემა. ამგვარად, იმის მცდელობა, რომ თავს მოახვიონ ლიბერალური დემოკრატია იმ სახელმწიფოს, რომელიც მმართველობის ალტერნატიულ ფორმას ამჯობინებს, თითქმის უეჭველად გამოიწვევს მწვავე წინააღმდეგობას.

ნაგებული ომების წარმოება

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობის მცდელობა ყოველთვის იწვევს ომებს მცირე სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთა მიზანიცაა, ეს სამიზნეები აქციონ ლიბერალურ დემოკრატიებად. არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები იმაზე, ამ სახის რამხელა სოციალური ინჟინერია შეუძლიათ გამოიყენონ დიდმა სახელმწიფოებმა ორპოლუსიან ან მრავალპოლუსიან სისტემაში, ძირითადად იმის გამო, რომ მათ ფოკუსირება უნდა მოახდინონ ძალისა და გავლენისათვის ერთმანეთთან კონკურენციაზე. ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება მეორეხარისხოვანი, თუ არა მესამეხარისხოვანი, მნიშვნელობისაა; სინამდვილეში, დროდადრო ლიბერალური სახელმწიფოები შეეცდებიან ავტორიტარული მმართველობების მხარდაჭერას, თუკი ისინი მიემხრობიან მეტოქე დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ, როგორც შეერთებული შტატები იქცეოდა მუდამ ცივი ომის დროს.

ერთპოლუსიანობაში ერთ პოლუსს თავისუფლად შეუძლია ჯვაროსნული ლაშქრობების წამოწყება, რათა მსოფლიო უფრო დემოკრატიული გახადოს, უბრალოდ იმიტომ, რომ არ არსებობენ მეტოქე დიდი სახელმწიფოები, რომლებიც ამის გამო

⁵¹ Larry Diamond, Marc F. Plattner, and Christopher Walker, eds., *Authoritarianism Goes Global: The Challenge to Democracy* (Baltimore, Md.: Johns Hopkins University Press, 2016); and “Jewish or Democratic?” *Economist*, July 28, 2018, p. 30.

⁵² Puddington and Roylance, “Populists and Autocrats,” p. 4.

იდარდებენ. ამგვარად, გასაკვირი არაა, რომ ცივი ომის დასრულების შემდგომ წლებში შეერთებულმა შტატებმა შვიდი ომი აწარმოა და ამ პერიოდის მანძილზე ყოველი სამი წლიდან ორის განმავლობაში ომში იმყოფებოდა.⁵³ თუმცა ასეთი ომები მუდამ კრახს განიცდიან თავიანთი მიზნების მიღწევაში.

შეერთებული შტატების ძალისხმევა, რომ სამხედრო ძალა გამოეყენებინა დემოკრატიის გასავრცელებლად, თავდაპირველად ფოკუსირებული იყო დიდ ახლო აღმოსავლეთზე, სადაც მარცხს განიცდიდა ერთი მეორის მიყოლებით.⁵⁴ შეერთებული შტატების სამხედრო ძალები ავღანეთსა (2001წ.) და ერაყში (2003წ.) იმ განზრახვით შეიჭრნენ, რომ ისინი ლიბერალურ დემოკრატიადაც ექციათ. საოკუპაციო ძალებმა არა მარტო კრახი განიცადეს ამ მიზნის მიღწევაში, არამედ საბოლოოდ სისხლიანი ომებიც დააჩქარეს, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას ამ ორ ქვეყანაში. ამ სამწუხარო ამბის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ფართომასშტაბიანი სოციალური ინჟინერია ნებისმიერ საზოგადოებაში რთულია, მაგრამ ეს განსაკუთრებით საშიშია უცხო ქვეყანაში, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც ახლახანს ჩამოაგდეს ხელისუფლებიდან. სამიზნე სახელმწიფო არეულობაში იქნება; საოკუპაციო ძალებს საქმე ექნებათ უცხო კულტურასთან, რომელიც შეიძლება მტრულიც კი იყოს ლიბერალური დემოკრატიის მიმართ; და რაც უმნიშვნელოვანესია, ნაციონალისტური გრძნობა უსათუოდ მკვეთრად გაიზრდება და ამბოხებას გამოიწვევს ოკუპანტის წინააღმდეგ, როგორც შეერთებულმა შტატებმა აღმოაჩინა ავღანეთსა და ერაყში.

მართალია, ასეთმა წარუმატებლობებმა მოსპო საზოგადოებრივი მხარდაჭერა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მიმართ და ეჭვები დაბადა მისი ლიდერების კომპეტენციასთან დაკავშირებით, მათ არ შეუჩერებიათ ერთი პოლუსის მცდელობა, რომ ლიბერალური დემოკრატია გავრცელებინა სამხედრო საშუალებით, უფრო შორს რომ გავრცელებულიყო.⁵⁵ ნაცვლად ამისა, ის ნაკლებად ხარჯიან გზებს ეძებდა ამ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც ფაქტობრივად ნიშნავდა არადემოკრატიების დაპყრობასა და ოკუპირებაზე უარის თქმას და განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებას ავტორიტარული ლიდერების დასამხობად. ამგვარად, როდესაც 2011 წელს მეტოქე მხარეებს შორის ბრძოლა დაიწყო, შეერთებულმა შტატებმა და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა საჭიერო ძალები გამოიყენეს ხელისუფლებიდან პოლკ. მუამარ ალ-კადაფის ჩამოსაგდებად. მაგრამ დასავლეთის სახელმწი-

⁵³ ჯონ იკენბერი ამტკიცებს, შეერთებულმა შტატებმა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი რომ შეინარჩუნოს, ზომიერი საგარეო პოლიტიკა უნდა გაატაროს. „რაც მეტად გამოსჭვივის ეს ძალა ამ ინსტიტუციების უკნიდან“, წერს იგი, „მით მეტად გამოიწვევს ეს ძალა რეაქციას და წინააღმდეგობას“. იკენბერს სჯერა, რომ ეს არაა პრობლემა შეერთებული შტატებისათვის, ვინაიდან მას აქვს „უნიკალური უნარი, ჩაერთოს სტრატეგიულ თავშეკავებაში“. **Ikenberry, After Victory, pp. 270–271.** მაგრამ ის ცდება; ლიბერალური ჰეგემონები, როგორც შეერთებული შტატებია, ძალზე აგრესიულები არიან და იღებენ განსაკუთრებულად აგრესიულ დღის წესრიგებს, ვინაიდან სწორედ ესაა საჭირო ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შესაქმნელად.

⁵⁴ Mearsheimer, *The Great Delusion*, pp. 120–187.

⁵⁵ მუდმივი წარუმატებლობების მიუხედავად, ამგვარ მცდელობათა მუდმივი ხასიათი ხაზგასმულია Walt, *The Hell of Good Intentions*, pp. 137–216.

ფოებს არ ჰქონდათ საშუალება, რომ ლიბია ქმედით სახელმწიფოდ ექციათ, გაცილებით ნაკლებად კი – ლიბერალურ დემოკრატიად, სახმელეთო ძალებით ან მათ გარეშე.

2011 წელსვე შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ახლო აღმოსავლეთში შეეცადნენ, რომ სირიაში ხელისუფლებიდან ჩამოეგდოთ პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი მისი მოწინააღმდეგე მემამბოხე ჯგუფების შეიარაღებითა და განჯრთნით. თუმცა, ამ მცდელობამ კრაზი განიცადა ძირითადად იმის გამო, რომ 2015 წელს რუსეთი, რომელსაც დიდი ხნის სტრატეგიული კავშირები ჰქონდა სირიასთან, ჩაერია ასადისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად. რეალპოლიტიკამ ჩაშალა შეერთებული შტატების მცდელობები სირიაში. მაგრამ ასადი რომც ჩამოეგდოთ, საბოლოო შედეგი ან კონფლიქტის გაგრძელება იქნებოდა, როგორც ლიბიაში ან კიდევ ერთი დაუნდობელი ავტოკრატის დასმა, როგორც ბოლოს მოხდა ეგვიპტეში მას შემდეგ, რაც 2011 წლის დასაწყისში პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაკი დაამხეს. ლიბერალური დემოკრატია სირიაში არა სერიოზული შესაძლებლობა, არამედ მკვლევლობისა და ქაოსის სიუხვე იყო.

მთავარი სახელმწიფოები მტრებად იქცევიან

საბოლოოდ, ჯვაროსნული აზროვნება, რომელიც ძირს უმაგრებს ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობის მცდელობებს, ურთიერთობებს მოწამლავს ერთ პოლუსს და სისტემის ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს შორის, რომელიც არ არის ლიბერალური დემოკრატია. მართალია, დომინანტი სახელმწიფო ძლიერად იქნება მიდრეკილი, რომ ომი აწარმოოს პატარა სახელმწიფოების წინააღმდეგ ლიბერალური დემოკრატის ხელშესაწყობად, იგი იშვიათად მიიზიდავს მთავარ სახელმწიფოებს ამ მიზნისთვის, განსაკუთრებით, თუ ისინი ბირთვულ იარაღს ფლობენ.⁵⁶ ხარჯები ძალზე დიდი იქნებოდა, წარმატების ალბათობა კი – განსაკუთრებით დაბალი. აქედან გამომდინარე, შეერთებული შტატების პოლიტიკოსები ცივი ომისშემდგომ პერიოდში სერიოზულად არასდროს განიხილავდნენ ჩინეთში ან რუსეთში შეჭრას, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე ამ ქვეყნებიდან.

მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატები იმ პოლიტიკის ერთგულია, რომ ჩინეთი და რუსეთი აქციოს ლიბერალურ დემოკრატებად და ისინი ჩააბას შეერთებული შტატების დომინირებულ ლიბერალურ მსოფლიო წესრიგში. შეერთებული შტატების ლიდერებს ცხადად არასდროს უთქვამთ საკუთარი განზრახვები, მაგრამ ეყრდნობოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვადასხვა დახვეწილ სტრატეგიას, რათა პეკინისა და მოსკოვისათვის ლიბერალური დემოკრატისკენ ბიძგი მიეცათ. ფაქტობრივად, მიზანი რეჟიმის მშვიდობიანი ცვლილებაა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინეთი და რუსეთი ეწინააღმდეგებოდნენ ერთი პოლუსის მცდელობებს იმავე მიზეზით, რომლის გამოც პატარა სახელმწიფოები უპირისპირდებოდნენ შეერთე-

⁵⁶ ნუნო პ. მონტეიროს ნაშრომის საფუძველზე, ერთმანეთისგან ვარჩევ ერთ დიდ სახელმწიფოს, მთავარ სახელმწიფოებს და პატარა სახელმწიფოებს. Monteiro, *Theory of Unipolar Politics* (New York: Cambridge University Press, 2014).

ბული შტატების მცდელობებს, ჩამოეყალიბებინა მათი საშინაო პოლიტიკა და სინამდვილეში იმავე მიზეზით, რის გამოც ახლა ამერიკელები გაურბიან იდეას, რომ რუსეთი ჩაერიოს მათი ქვეყნის პოლიტიკაში. მსოფლიოში, სადაც ნაციონალიზმი უძლიერესი პოლიტიკური იდეოლოგიაა, თვითგამორკვევას და სუვერენიტეტს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისთვის.

ჩინეთი და რუსეთი ლიბერალური წესრიგის გავრცელებას ეწინააღმდეგებოდნენ რეალისტური მიზეზებითაც, ეს შესაძლებლობას მისცემდა შეერთებულ შტატებს, საერთაშორისო სისტემაზე ებატონა ეკონომიკურად, სამხედრო თვალსაზრისით და პოლიტიკურად. მაგალითად, არც პეკინს და არც მოსკოვს უნდა შეერთებული შტატების სამხედრო ძალები თავის სამეზობლოში, გაცილებით ნაკლებად კი თავის საზღვრებთან. ამგვარად, თითქმის არაა გასაკვირი, რომ ჩინეთი საუბრობს დასავლეთ წყნაროკეანეთიდან შეერთებული შტატების სამხედრო ძალების გამოსვლაზე და რომ რუსეთი დიდი ხანია, ძლიერ ეწინააღმდეგება ევროკავშირის და NATO-ის გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპაში. სინამდვილეში, ამ ინსტიტუტების სწრაფვამ რუსეთისკენ, საბოლოოდ, უკრაინის კრიზისი გამოიწვია 2014 წელს. ეს მიმდინარე კონფლიქტი არა მარტო წამლავს ურთიერთობებს რუსეთსა და დასავლეთს შორის, არამედ უზიძგებს მოსკოვს, გზები გამონახოს ევროკავშირისა და NATO-ის დასასუსტებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, ნაციონალისტურმა და რეალისტურმა გათვლებმა ერთპოლუსიანობაში ორ მთავარ სახელმწიფოს უზიძგა, რომ შეწინააღმდეგებოდნენ ერთი პოლუსის მცდელობას, ააშენოს ძლიერი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი.

ლიბერალური დემოკრატიები ლიბერალური წესრიგის წინააღმდეგ ბრუნდებიან

ძლიერი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობა, საბოლოოდ, სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემებს იწვევს თვითონ ლიბერალურ დემოკრატიებში, ვინაიდან თანმხლები პოლიტიკა ეჯახება ნაციონალიზმს. ეს პრობლემები შიდა ფრონტზე, რომლებიც ორი ფორმით იჩენს თავს, საბოლოოდ, ძირს უთხრის თვითონ წესრიგს.

უპირველეს ყოვლისა, ლიბერალურ სახელმწიფოებს მტკიცედ სწამთ საერთაშორისო ინსტიტუტების ღირსებებისა, რაც მათ უზიძგებს, რომ სულ მეტი ძალაუფლება გადასცენ წესრიგის შემადგენელ ამ ინსტიტუტებს. თუმცა, ეს სტრატეგია ფართოდ განიხილება, როგორც საბუთი იმისა, რომ ეს სახელმწიფოები სუვერენიტეტს თმობენ. შეიძლება ამტკიცონ, ეს ლიბერალური ქვეყნები წამდვილად თმობენ თუ არა სუვერენიტეტს, მაგრამ ეჭვი არაა, რომ ისინი გადასცემენ ძალაუფლებას, რათა ამ ინსტიტუტებმა მიიღონ გარკვეული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც სავარაუდოდ სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემას შექმნის თანამედროვე ერ-სახელმწიფოში.⁵⁷ ბოლოს და ბოლოს, ნაციონალიზმი უპირატესობას ანიჭებს თვითგამორკვე-

⁵⁷ „სუვერენიტეტს“ განვსაზღვრავ, როგორც უმაღლეს ხელისუფლებას, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს პოლიტიკური ორგანიზაციისათვის. მჯერა, რომ სუვერენიტეტმა შეიძლება ძალაუფლება გადასცეს გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღებად საერთაშორისო ინსტიტუტებს ისე, რომ არ დათმოს უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც სუვერენიტეტის არსია. ეს

ვას და სუვერენიტეტს და ამგვარად, ფუნდამენტურად ენინააღმდეგება საერთაშორისო ინსტიტუციებს, რომლებიც იღებენ პოლიტიკას, ძლიერ რომ მოქმედებს მათ ნევრ სახელმწიფოებზე.⁵⁸ „საერთაშორისო ხელისუფლების ასეთი გაფართოებების კუმულაციური ეფექტი“, ნერენ ჯეფ კოლგანი და რობერტ კიოჰენი, „უკიდურესად ზღუდავს სუვერენიტეტს და ადამიანებს აძლევს განცდას, რომ უცხოური ძალები აკონტროლებენ მათ ცხოვრებას“⁵⁹.

ამ პრობლემის სერიოზულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამხელა ძალასა და გავლენას ფლობენ შესაბამისი ინსტიტუტები თავიანთ ნევრ სახელმწიფოებზე. რა თქმა უნდა, ლიბერალური მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ინსტიტუტების მიზანია, დიდი ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი ნევრი სახელმწიფოების ქცევაზე. ამგვარი ინსტიტუციური გავლენა გარდაუვლად წამოჭრის ინტერესს „დემოკრატიის დეფიციტის“ მიმართ. ამ ქვეყნებში ამომრჩევლები ფიქრობენ, რომ შორეული ბიუროკრატები, რომლებიც მათთვის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ, მიუდგომენი და უპასუხისმგებლონი არიან.

ამ ფენომენის აშკარა საბუთი არსებობს მთელ ევროპაში.⁶⁰ გავიხსენოთ 2016 წლის ხმის მიცემა ბრექსიტის სასარგებლოდ. იმ უზარმაზარი გავლენის გათვალისწინებით, რომელიც ევროკავშირს აქვს თავისი ნევრების პოლიტიკაზე, არაა გასაკვირი, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ბრიტანეთის მოქალაქეთა უმრავლესობამ ხმა მისცა ბრექსიტს, ისაა, რომ ისინი ფიქრობენ, მათმა ქვეყანამ ძალზე დიდი ძალაუფლება გადასცა ბრიუსელს და რომ ბრიტანეთის სუვერენიტეტის ხელახლა დამტკიცების დრო იყო. კერძოდ, ბევრ ბრიტანელს სჯეროდა, რომ ბრიტანეთმა კონტროლი დაკარდა საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რაც ძირს უთხრიდა დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას.⁶¹ ევროკავშირის ბიუროკრატები ბრიუსელში, რომლებსაც ბრიტანელები არ ირჩევდნენ, ბრიტანეთის ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა პოლიტიკის მთავარ არქიტექტორებად მიიჩნეოდნენ. ამგვარად, ბრექსიტის შესახებ მნიშვნელოვანი კვლევის ავტორები ნერენ: „სუვერენიტეტის

პროცესი აღწერს იმას, რაც ევროპის კავშირში გამოჩნდა. სუვერენებს შეუძლიათ, აგრეთვე, უკან წაიღონ ძალაუფლება, რომელიც გადასცეს. ამასთან ერთად, არ ვფიქრობ, რომ სუვერენიტეტი გასაყოფია. ჩემი ხედვები მიღებულია m Jean Bodin, *On Sovereignty*, trans. and ed. Julian H. Franklin (Cambridge: Cambridge University Press, 1992); Mariya Grinberg, “Unconstrained Sovereignty: Delegation of Authority and Reversibility,” University of Chicago, October 22, 2018; and Carl Schmitt, *Political Theology: Four Chapters on the Concept of Sovereignty*, trans. and ed. George Schwab (Chicago, Ill.: University of Chicago Press, 2005).

⁵⁸ Robert Jackson, *Sovereignty: Evolution of an Idea* (Malden, Mass.: Polity, 2007), pp. 78–113.

⁵⁹ Jeff D. Colgan and Robert O. Keohane, “The Liberal Order Is Rigged: Fix It Now or Watch It Wither,” *Foreign Affairs*, Vol. 96, No. 3 (May/June 2017), p. 42, <https://www.foreignaffairs.com/articles/world/2017-04-17/liberal-order-rigged>.

⁶⁰ Alberto Alemanno, “Beyond Consultations: Reimagining EU Participatory Politics” (Brussels: Reshaping European Democracy project, Carnegie Europe, December 5, 2018), https://carnegieendowment.org/les/Alemanno_EU_Politics_Dec20182.pdf.

⁶¹ Harold D. Clarke, Matthew Goodwin, and Paul Whiteley, *Brexit: Why Britain Voted to Leave the European Union* (New York: Cambridge University Press, 2017), pp. 69–72, 86, 111–115, 141, 166–170, 173.

დაბრუნება – კონტროლის აღდგენა – მთავარი თემა იყო 2016 წლის რეფერენდუმზე“.⁶²

სუვერენიტეტის დათმობასთან დაკავშირებით დასავლეთში არსებული შიშები არ შემოიფარგლებოდა ევროკავშირით. როგორც რობერტ კუტნერი აღნიშნავს, 1990-იან წლებში ჰიპერგლობალიზაციის აყვავებით, IMF-მა და მსოფლიო ბანკმა „ბრეტონ ვუდსში წარმოდგენილი როლების საპირისპირო სახე მიიღეს. ისინი გახდნენ ტრადიციული *laissez-faire*-ის, როგორც საყოველთაო წარმმართველი პრინციპის, განხორციელების ინსტრუმენტები“.⁶³ გასაკვირი არაა, რომ სუვერენიტეტის მიმართ ინტერესები მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეერთებული შტატების უახლეს პოლიტიკაში. კერძოდ, ტრამპი პრეზიდენტობისთვის იბრძოდა იმ პოზიციაზე, რომელიც ხაზს უსვამდა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და იგი უხეშად აკრიტიკებდა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შემადგენელ ყველა ძირითად ინსტიტუტს, ევროკავშირის, IMF-ის და მსოფლიო ბანკის ჩათვლით.⁶⁴

ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი, აგრეთვე, იღებს პოლიტიკას, რომელიც ეჯახება ეროვნულ იდენტობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის მთელ მსოფლიოში, შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ჩათვლით.⁶⁵ თავისი არსით, ლიბერალიზმი ინდივიდუალისტური იდეოლოგიაა, რომელიც დიდ აზრს ანიჭებს ხელშეუხებელი უფლებების ცნებას. ეს რწმენა, რომელიც ამბობს, რომ ყოველ ინდივიდს დედამიწაზე ერთნაირი საბაზისო უფლებები აქვს, ძირს უმაგრებს ლიბერალიზმის უნივერსალისტურ განზომილებას. ეს უნივერსალისტური ან ტრანს-ეროვნული პერსპექტივა ამკარად უპირისპირდება ნაციონალიზმის ღრმა პარტიკულარიზმს, რომელიც დაშენებულია რწმენაზე, რომ მსოფლიო იყოფა ცალკეულ ერებად, რომელთაგან თითოეულს თავისი კულტურა აქვს. და იმის მტკიცებით, რომ კულტურას საუკეთესოდ იცავს საკუთარი სახელმწიფოს არსებობა, რათა ერი გადარჩეს „სხვისგან“ მომდინარე საფრთხეების პირისპირ.⁶⁶

⁶² იქვე., p. 141

⁶³ Robert Kuttner, *Can Democracy Survive Global Capitalism?* (New York: W.W. Norton, 2018), p. 74.

⁶⁴ Secretary of State Michael R. Pompeo, “Restoring the Role of the Nation-State in the Liberal International Order,” address to the German Marshall Fund, Brussels, Belgium, December 4, 2018, <https://www.state.gov/secretary/remarks/2018/12/287770.htm>.

⁶⁵ M.D.R. Evans and Jonathan Kelley, “National Pride in the Developed World Survey Data from 24 Nations,” *International Journal of Public Opinion Research*, Vol. 14, No. 3 (September 2002), pp. 303–338, doi.org/10.1093/ijpor/14.3.303; Michael Keating and John McGarry, eds., *Minority Nationalism and the Changing International Order* (New York: Oxford University Press, 2001); and Mitchell Young, Eric Zuelow, and Andreas Sturm, *Nationalism in a Global Era: The Persistence of Nations* (New York: Routledge, 2007).

⁶⁶ ლიბერალიზმსაც აქვს მნიშვნელოვანი პარტიკულარისტური განზომილება, რომელიც მეტად ეთანხმება ნაციონალიზმს და რომელმაც უნდა გადააფიქრებინოს ლიბერალურ სახელმწიფოებს საკუთარი შეხედულებისამებრ მსოფლიოს გარდაქმნის მცდელობა. კონკრეტულად თუ ვიტყვით, ლიბერალიზმი მაღალ ფასს ადებს ტოლერანტობას, ძირითადად იმიტომ, რომ ის ეფუძნება ჯანსაღ ვარაუდს, რომ შეუძლებელია პირველ პრინციპებთან დაკავშირებით საყოველთაო თანხმობის მიღწევა. Mearsheimer, *The Great Delusion*, pp. 53–54. ამგვარად, შეიძლება არსებობდეს მოლოდინი, რომ ლიბერალური სახელმწიფოები შეიმუშავებენ *modus vivendi*-ს არალიბერალურ სახელმწიფოებთან და არ შეეცდებიან მხოლოდ ლიბერალური დე-

თანასწორი უფლებების მქონე ინდივიდებზე ლიბერალიზმის ხაზგასმის გათვალისწინებით, მის ტენდენციასთან ერთად, შეამციროს, თუ უგულებელყოს, ეროვნული იდენტობა, გასაკვირი არაა, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი ხაზს უსვამს, რომ ქვეყნები აქსიომატურად იღებენ თავშესაფრის მაძიებელ ლტოლვილებს და რომ ინდივიდები დაბრკოლებებს უნდა წააწყდნენ ერთი ერი-სახელმწიფოდან მეორეში გადასვლისას ეკონომიკური ან სხვა მიზეზებით. ასეთი პოლიტიკის პარადიგმული მაგალითია ევროკავშირის შენგენის შეთანხმება, რომელმაც დიდწილად გააუქმა საზღვრები ამ ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობას შორის. გარდა ამისა, ევროკავშირი ძლიერ ერთგულია პრინციპისა, რომ საკუთარი კარი გაუღოს სააფრთხეებისგან გამოქცეულ ლტოლვილებს.

ერთი სიტყვით, სადაც ეროვნული იდენტობა ძალიან მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ხალხის შერევა, რაც მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც ღია საზღვრები და ლიბერალური ლტოლვილთა პოლიტიკაა, როგორც წესი, სერიოზული პრობლემის რეცეპტია. მაგალითად, აშკარაა, რომ იმიგრაცია მთავარი მიზეზი იყო, რის გამოც ბრიტანელმა ამომრჩევლებმა დაუჭირეს მხარი ბრექსიტს. ისინი განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ადამიანები აღმოსავლეთ ევროპიდან ევროკავშირის ღია საზღვრების პოლიტიკას იყენებდნენ ბრიტანეთში მარტივად გადასასვლელად.⁶⁷ ამ თვალსაზრისით, ბრიტანეთი მცირედი გამონაკლისია, რამდენადაც ანტიიმიგრაციული განწყობა ფართოდაა გავრცელებული ევროპაში და მტრულ დამოკიდებულებას ახალისებს ევროკავშირის მიმართ.⁶⁸ ლტოლვილთა დიდ რაოდენობას დიდი ახლო აღმოსავლეთიდან, რომლებმაც 2015 წელს დაიწყეს ევროპაში ჩასვლა, რასაკვირველია არ დახვედრია ისეთი მიღება, როგორსაც იმ სახელმწიფოებისგან ელოდნენ, რომლებიც ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ცენტრში არიან. სინამდვილეში, უზარმაზარი წინააღმდეგობა შეხვდა ამ ლტოლვილების მიღებას, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ გერმანიაშიც, სადაც კანცლერმა მერკელმა პოლიტიკური ზიანი მიაყენა საკუთარ თავს მათი მიღების ინიციატივით. ამ პრობლემამ ღია საზღვრებსა და ლტოლვილებთან დაკავშირებით არა მარტო კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროკავშირის ერთგულება ლიბერალური ფასეულობების მიმართ, არამედ ბზარებიც გააჩინა წევრ სახელმწიფოებს შორის – ბზარები, რომლებმაც ამ პატივსაცემი ინსტიტუტის საძირკველი შეარყია.

მოკრატებისგან შემდგარი მსოფლიოს შექმნას. თუმცა, როდესაც საქმე საერთაშორისო პოლიტიკას ეხება, ლიბერალიზმის უნივერსალისტური თვისება იმარჯვებს პარტიკულარისტულ თვისებაზე, რაც ნიშნავს, რომ ლიბერალური სახელმწიფოები არატოლერანტულები არიან სხვა სახის პოლიტიკური სისტემების მიმართ.

⁶⁷ Clarke, Goodwin, and Whiteley, *Brexit*, pp. 11, 23, 53, 59, 70, 102–103, 109, 113, 122–124, 166–170, 173, 205, 207–208. მართალია, იმიგრაციას და ღია საზღვრებს სუვერენიტეტისგან ცალკე განიხილავენ *ბრექსიტში*, ეს საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბოლოს და ბოლოს, ბრიტანეთი ევროკავშირიდან გამოსვლას ესწრაფის იმისათვის, რომ დაიბრუნოს ხელისუფლება საკუთარ საზღვრებზე, რაც ახლა ძირითადად ევროკავშირის ხელშია.

⁶⁸ იქვე., pp. 222–229; John B. Judis, *The Nationalist Revival: Trade, Immigration, and the Revolt against Globalization* (New York: Columbia Global Reports, 2018), pp. 43, 95–98; and European Commission, “Public Opinion in the European Union,” *Standard Eurobarometer 90*, Autumn 2018 (Brussels: European Commission, November 2018), pp. 12–15.

ჰიპერგლობალიზაციის უარყოფითი მხარე

ეკონომიკური ურთიერთქმედების მკვეთრმა ზრდამ, რომელიც თან ახლდა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის დამყარებას, მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები გამოიწვია სისტემის ლიბერალურ სახელმწიფოებში. ამ პრობლემებმა, თავის მხრივ, წარმოშვა არსებითი პოლიტიკური წინააღმდეგობა ამ წესრიგის მიმართ. როდესაც ეს ხდება დემოკრატიაში, მოსალოდნელია, რომ საზოგადოება ზურგს შეაქცევს ლიბერალურ ელიტებს და აირჩევს ლიდერებს, რომლებიც მხარს უჭერენ ლიბერალური პრინციპების სანაღმდეგო პოლიტიკას.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკა ძლიერ ინტეგრირებული და აშკარად დინამიკურია. ცვლილება უკიდურესად სწრაფად ხდება, ხოლო მთავარ მოვლენებს ერთ ქვეყანაში ყოველთვის მნიშვნელოვანი შედეგები აქვს სხვა ქვეყნებში. ამ ფართოდ გახსნილ სისტემას მნიშვნელოვანი სარგებელი აქვს. მან შთამბეჭდავი ზრდა მოიტანა გლობალურ დონეზე, ხელი შეუწყო მილიონობით ადამიანის გამოსვლას სიღარიბიდან ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, ჩინეთი და ინდოეთი, და უზარმაზარი ეკონომიკური სარგებელი მოუტანა მსოფლიოს უმდიდრეს ხალხებს. იმავე დროს, მან გამოიწვია დიდი პრობლემები, რომელთა მოსაგვარებლად მთავრობები ცუდად არიან მომზადებულნი, სულ მცირე თუკი ისინი ლიბერალური მსოფლიო წესრიგის წესებით თამაშობენ. ამ ფენომენის გაგებისათვის საუკეთესო გზაა დღევანდელი ჰიპერგლობალიზაციის შედარება ზომიერ გლობალიზაციასთან, რომელიც მიღწეული იქნა 1945 წლიდან ბრეტონ ვუდსის კონსენსუსით 1980-იან წლებამდე.⁶⁹

ბრეტონ ვუდსის კონსენსუსი იმისთვის იქნა მიღებული, რომ დახმარებოდა ღია საერთაშორისო ეკონომიკას, მაგრამ მხოლოდ გარკვეულწილად.⁷⁰ მაგალითად, სახელმწიფოთა საზღვრებზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები არსებობდა კაპიტალის ნაკადებზე. და მართალია, GATT განკუთვნილი იყო თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობისათვის, მთავრობებს მნიშვნელოვანი სამანევრო ადგილი ჰქონდათ პროტექციონისტული პოლიტიკის მისაღებად, როდესაც ამის გაკეთება მათ ინტერესში იყო.

⁶⁹ ბრეტონ ვუდსის და ჰიპერგლობალიზაციის - ან რასაც ზოგჯერ ეწოდება ნეოლიბერალიზმი - შემდგომი განხილვა ძირითადად მიღებულია Dani Rodrik, *The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy* (New York: W.W. Norton, 2011). See also Barry Eichengreen, *Globalizing Capital: A History of the International Monetary System*, 2nd ed. (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2008); Kuttner, *Can Democracy Survive Global Capitalism?*; Dani Rodrik, *Has Globalization Gone Too Far?* (Washington, D.C.: Institute for International Economics, March 1997); Dani Rodrik, *One Economics, Many Recipes: Globalization, Institutions, and Economic Growth* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2017); and Joseph E. Stiglitz, *Globalization and Its Discontents Revisited: Anti-Globalization in the Era of Trump* (New York: W.W. Norton, 2017).

⁷⁰ ბრეტონ ვუდსის სისტემა, რომელიც მიღწეული იქნა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, ძირითადად ფოკუსირებული იყო დადგენილი გაცვლითი კურსების ირგვლივ აშენებული სავალუტო წესრიგის შექმნაზე. სისტემის ამ არსებითმა ელემენტმა კრაზი განიცადა 1970-იანი წლების დასაწყისში, თუმცა დასავლეთის ქვეყნები ერთგულნი რჩებოდნენ კაპიტალის მოძრაობის და სავაჭრო ლიბერალიზაციის შეზღუდვის მიმართ. როდრიკი ამ დარჩენილ ვალდებულებებს მოიხსენიებს ბრეტონ ვუდსის კონსენსუსად, და არა - ბრეტონ ვუდსის სისტემად. იხილეთ Rodrik, *The Globalization Paradox*, pp. 69–76, 95–101. ამ სტატიაში ბრეტონ ვუდსის კონსენსუსი გულისხმობს მთლიან პერიოდს 1945 წლიდან 1980-იანი წლების ბოლომდე.

სინამდვილეში, მთავრობებმა შეძლეს იმ პოლიტიკის გატარება, რომელმაც არა მარტო ხელი შეუწყო კეთილდღეობას, არამედ მათი მოქალაქეებიც დაიცვა ბაზრის კაპრიზებისგან. ჯონ რუჯი თვალსაჩინოდ უწოდებს ამ ურთიერთობას ბაზრებსა და მთავრობებს შორის „ჩაშენებულ ლიბერალიზმს“. ⁷¹ ბრეტონ ვუდსის კონსენსუსმა კარგად იმუშავა ოთხ ათწლეულზე მეტ ხანს, თუმცა 1980-იანი წლების ბოლოსთვის მისი დღეები დათვლილი იყო.

ჰიპერგლობალიზაციამ, რომელმაც 1980-იანი წლებში დაიწყო ზრდა და ცივი ომის შემდეგ დაჩქარდა, ფაქტობრივად დაამხო ბრეტონ ვუდსის კონსენსუსი. ახალი წესრიგი, ძირითადად დასავლელი პოლიტიკოსების მიერ შექმნილი, მიზნად ისახავდა გლობალური ბაზრების რეგულაციის მნიშვნელოვნად შემცირებას კაპიტალის ნაკადებზე კონტროლის მოხსნით და GATT-ის ჩანაცვლებას WTO-თი. ეს ახალი სავაჭრო ორგანიზაცია, რომელმაც 1995 წელს დაიწყო მუშაობა, მიზნად ისახავდა ბაზრების გახსნას მთელ მსოფლიოში და მთავრობების პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების განსაკუთრებულად გართულებას. „ნებისმიერი დაბრკოლება თავისუფალი ვაჭრობისთვის“, როგორც დანი როდრიკი აღნიშნავს, მიიჩნეოდა „საძაგლობად, რომელიც უნდა მოსპობილიყო; გაფრთხილებად, რომელიც უნდა დაგმობილიყო“. ⁷² არსებითად, მთავრობის მხრიდან თითქმის ნებისმიერი სახის ჩარევა მსოფლიო ეკონომიკის მუშაობაში საზიანოდ მიიჩნეოდა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისათვის. კვლავ როდრიკის ციტატა რომ მოვიხმოთ, „სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის მსახურიდან იქცა მის მთავარ დამაბრკოლებლად“. ⁷³

ჰიპერგლობალიზაცია და მისი უკმაყოფილებანი

ჰიპერგლობალიზაციამ არაერთი დიდი ეკონომიკური პრობლემა გამოიწვია, რომლებმაც ძირი გამოუთხარეს ლიბერალური მსოფლიო წესრიგის ლეგიტიმურობას იმ სახელმწიფოებში, ამ სისტემის ცენტრს რომ შეადგენენ. დამწყებთათვის ქვეყნის ეკონომიკის სექტორებში განსაკუთრებით ბევრი სამუშაო ადგილი დაიკარგა სწრაფად აუტსორსინგის შედეგად, სამუშაოდან მრავალი ადამიანის დათხოვნით. ⁷⁴ ზოგჯერ მთლიანი რეგიონები ხედავენ საკუთარ ტრადიციულ ეკონომიკურ ბაზისს განადგურებულს. ხშირად რთულია უმუშევართათვის, რომელთაგან მრავალი მცირე მობილობის მქონე არაკვალიფიციური მუშაკია, რომ კარგად ანაზღაურებადი სამუ-

⁷¹ John Gerard Ruggie, “International Regimes, Transactions, and Change: Embedded Liberalism in the Postwar Economic Order,” *International Organization*, Vol. 36, No. 2 (Spring 1982), pp. 379–415, <https://www.jstor.org/stable/2706527>.

⁷² Rodrik, *The Globalization Paradox*, p. 77.

⁷³ იქვე., p. 163.

⁷⁴ ავტომატიზაციაც პასუხისმგებელია სამუშაო ადგილების არსებითი რაოდენობის დაკარგვაზე, თუმცა კი რთულია ავტომატიზაციისა და აუტსორსინგის შედარებითი მნიშვნელობის განსაზღვრა. იხილეთ Susan N. Houseman, “Understanding the Decline of U.S. Manufacturing Employment,” Working Paper 18-287 (Kalamazoo, Mich.: W.E. Upjohn Institute for Employment Research, June 2018), doi.org/10.17848/wp18-287; and Claire Cain Miller, “The Long-Term Jobs Killer Is Not China. It’s Automation,” *New York Times*, December 21, 2016, <https://www.nytimes.com/2016/12/21/upshot/thelong-term-jobs-killer-is-not-china-its-automation.html>.

შაო ადგილები ან საერთოდ რაიმე სახის სამუშაო იპოვონ.⁷⁵ და თუნდაც რომ კარგი სამუშაო იპოვონ, ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ მათ ისევ დაკარგავენ, „შემოქმედებითი განადგურების“ გათვალისწინებით, რომელიც თან ახლავს ჰიპერგლობალიზაციას. ის ადამიანებიც კი, რომლებსაც სამსახური არ დაუკარგავს, სწუხან, რომ ერთ დღესაც დაკარგავენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მსოფლიო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი დინამიზმი არა მარტო საფრთხეს უქმნის სამუშაო ადგილებს, არამედ ხელს უწყობს ადამიანებში მომავალთან დაკავშირებული გაურკვეველობის მწვავე შეგრძნებას ყველგან.

ამასთანავე, ჰიპერგლობალიზაციამ მცირედი გააკეთა ლიბერალურ დასავლეთში დაბალი და საშუალო კლასების რეალური საშემოსავლო დონეების ასამაღლებლად. იმავე დროს, მან მნიშვნელოვნად გაზარდა მაღალი კლასების ხელფასები და სიმდიდრე.⁷⁶ ამის შედეგია საოცარი ეკონომიკური უთანასწორობა თითქმის ყველგან, რაც შერბილების მცირე ნიშნებს აჩვენებს.⁷⁷ სინამდვილეში, პრობლემა, სავარაუდოდ, გაუარესდება.⁷⁸ ბრეტონ ვუდსის კონსენსუსის ფარგლებში მთავრობები კარგ პოზიციაში იმყოფებოდნენ, რომ ამ სახის პრობლემებს გამკლავებოდნენ რედიკალიზებული დაბეგვრის პოლიტიკის, მუშებისთვის გადასამზადებელი პროგრამების და სულგრძელი კეთილდღეობის სარგებლის დადგენით. მაგრამ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგში თითქმის ყველა პრობლემის გადაწყვეტის საშუალებაა ბაზრისთვის უფლების მიცემა, რომ მოაგვაროს ისინი, და არა მთავრობებისთვის, რომლებსაც უფრო მეტად აკუთვნებენ პასუხისმგებლობას, ვიდრე საშუალებას, რომ შეუფერხებლად ამუშაოს გლობალური ეკონომიკა. რამდენადაც წესები საჭიროა გლობალური ეკონომიკის შეუფერხებელი მუშაობის ხელშეწყობისთვის, უკეთესია დაყრდნობა საერთაშორისო ინსტიტუტებზე, ვიდრე მთავრობებზე.

ბაზრები, რასაკვირველია, ვერ მოაგვარებს ამ პრობლემებს; სინამდვილეში, ბაზრებმა გამოიწვია ისინი, უპირველეს ყოვლისა და შესაძლოა, გააუარესოს ისინი იმ პოლიტიკის არარსებობისას, რომელსაც სახელმწიფოები იღებენ თავიანთი მოქალაქეების დასაცავად. როგორც მოსალოდნელია, ამ დაწყულელებულმა პრობლემებმა გამოიწვია ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილება ლიბერალური საერთაშორისო წესრიგით და მთავრობათა მზარდი შეგრძნება, რომ პროტექციონისტული

⁷⁵ David Goodhart, *The Road to Somewhere: The Populist Revolt and the Future of Politics* (London: Hurst, 2017), pp. 147–192. On the human costs of these “progressively worsening labor market opportunities,” see Ann Case and Angus Deaton, “Mortality and Morbidity in the 21st Century,” *Brookings Papers on Economic Activity* (Washington, D.C.: Brookings Institution, Spring 2017), <https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2017/08/casetextsp17bpea.pdf>.

⁷⁶ Drew DeSilver, “For Most U.S. Workers, Real Wages Have Barely Budged in Decades” (Washington, D.C.: Pew Research Center, August 7, 2018), <http://www.pewresearch.org/fact-tank/2018/08/07/for-most-us-workers-real-wages-have-barely-budged-for-decades/>; and Edward N. Wolff, “Inequality and Rising Pro^atability in the United States, 1947–2012,” *International Review of Applied Economics*, Vol. 29, No. 6 (November 2015), pp. 741–769, doi.org/10.1080/02692171.2014.956704.

⁷⁷ Facundo Alvaredo et al., “World Inequality Report, 2018: Executive Summary” (Paris: World Inequality Lab, 2017), <https://wir2018.wid.world/les/download/wir2018-summaryenglish.pdf>.

⁷⁸ . Walter Scheidel, *The Great Leveler: Violence and the History of Inequality from the Stone Age to the Twenty-first Century* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2017).

ეკონომიკური პოლიტიკა მიიღონ, რომელიც ამჟამინდელ სისტემას ძირს გამოუთხრდა. ტრამპმა ასეთი მტრული დამოკიდებულებით ისარგებლა 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიაში არა მარტო საერთაშორისო ინსტიტუტების წინააღმდეგ გალაშქრებით, არამედ პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებითაც. იგი ხაზს უსვამდა ყველა სხვაზე წინ შეერთებული შტატების მშრომელთა დაცვის მნიშვნელობას. რესპუბლიკურ პრაიმერებსა და საყოველთაო არჩევნებში მან დაამარცხა ოპონენტები, რომლებიც ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს იცავდნენ და პროტექციონიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.⁷⁹ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა, ტრამპმა მტკიცედ პროტექციონისტული მიმართულებით გადაინაცვლა. საბოლოოდ, როდესაც ბაზრები ქვეყნის მოქალაქეთა დიდი რაოდენობის ფესვგადგმულ ინტერესებს ეჯახება, მისი პოლიტიკა იმგვარად შეიცვლება, რომ ძირს გამოუთხრის ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს.

არსებობს კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც ჰიპერგლობალიზაციას ახლავს თან. სიმარტივე და სიჩქარე, რომლითაც კაპიტალი მიედინება საზღვრებზე, იმ მნიშვნელობასთან ერთად, რომელსაც ლიბერალური მსოფლიო წესრიგი ანიჭებს სამთავრობო დერეგულაციას, ამ წესრიგს მიაქანებს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისებისკენ ცალკეულ ქვეყნებში ან რეგიონებში ან თუნდაც, მთელ მსოფლიოში. „კაპიტალის მაღალი საერთაშორისო მობილობის პერიოდები“, წერენ კარმენ რეინჰარტი და კენეთ როგოფი, „გამუდმებით ინვევენ საერთაშორისო საბანკო კრიზისებს“.⁸⁰ ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც 1980-იანი წლების ბოლოს ჰიპერგლობალიზაციამ ფესვები გაიდგა, არაერთი კრიზისი მოხდა.⁸¹ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1997-98 წლების აზიის ფინანსური კრიზისი, რომელიც სახიფათოდ თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა და 2007-08 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც უსაშინლესი ეკონომიკური ვარდნა იყო 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ და რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთში ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის დელეგიტიმაციაში.⁸² კაპიტალის უწყვეტი გადაადგილების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ამ სახის მეტი კრიზისი მოხდება, რაც კიდევ უფრო დაასუსტებს ამჟამინდელ წესრიგს და შესაძლოა, განადგუროს კიდევ ის.

წესით, რამდენიმე სიტყვა უნდა შეეხოს ევროს, რომელიც ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მთავარი მახასიათებელია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მკაცრად ევროპული ინსტიტუტის ნაწილია.⁸³ როდესაც 1999 წელს ეს ვალუტა შემოვიდა, ის წინგადადგმული გიგანტური ნაბიჯი იყო წევრ სახელმწიფოებს შორის სავალუტო კავშირის ხელშეწყობაში, თუმცა არც ფისკალური და არც პოლიტიკური კავშირი არსებობდა ევროს განსამტკიცებლად. კრიტიკა დროდადრო პროგნოზირებდა, რომ

⁷⁹ Judis, *The Nationalist Revival*, pp. 47–80, 117–142.

⁸⁰ Carmen M. Reinhart and Kenneth S. Rogoff, *This Time Is Different: Eight Centuries of Financial Folly* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2011), p. 155.

⁸¹ იქვე., pp. 95–96, 344–347; and Rodrik, *The Globalization Paradox*, pp. 108–109.

⁸² Tooze, *Crashed*.

⁸³ Ashoka Mody, *EuroTragedy: A Drama in Nine Acts* (New York: Oxford University Press, 2018); and Joseph E. Stiglitz, *The Euro: How a Common Currency Threatens the Future of Europe* (New York: W.W. Norton, 2016).

ფისკალური და პოლიტიკური კავშირის გარეშე, ევროს, საბოლოოდ, მნიშვნელოვანი პრობლემები დაატყდებოდა თავს.⁸⁴ მრავალი დამცველი აღიარებდა ამ პრობლემას, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ სავალუტო კავშირი საბოლოოდ მოიტანდა კავშირს სამივე ფრონტზე, ამდენად კი მოსპობდა პრობლემას. მაგრამ ასე არ მოხდა, ხოლო ევრო თავის პირველ დიდ კრიზისს შეეჯახა 2009 წელს, რომელმაც არა მარტო ეკონომიკური პრობლემები გამოიწვია, არამედ პოლიტიკური პრობლემებიც. კრიზისმა და მისი მოგვარების შემდგომმა მცდელობებმა მწვავე ნაციონალისტური განწყობა ამოატივიტოვა ევროპაში.

ევროკავშირი დიდ სირთულეს წააწყდა ევროზონის კრიზისთან გამკლავებისას, მაგრამ პრობლემები საბოლოოდ მოგვარდა მასობრივი დახმარებებით ისეთი ინსტიტუტებისგან, როგორცაა, ევროპის ცენტრალური ბანკი და შეერთებული შტატების მთავრობისგან, თუმცა იქამდე არა, ვიდრე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ზიანი არ მიაღწა ევროკავშირს. თუმცა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ევროკავშირი საგრძნობლად არ წასულა წინ ფისკალური და პოლიტიკური კავშირისკენ, რაც ნიშნავს, რომ ეს მდგომარეობა დროებითია და რომ მომავალ წლებში მეტი კრიზისია მოსალოდნელი, რაც კიდევ უფრო გამოუთხრის ძირს არა მარტო ევროკავშირს, არამედ, უფრო ზოგადად, ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს.

ჩინეთის აღმასვლა

არსებობს ჰიპერგლობალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი პრობლემა, რასაც მცირე საერთო აქვს ლიბერალურ ქვეყნებში საერთაშორისო წესრიგის მიმართ მზარდ პოლიტიკურ წინააღმდეგობასთან და ბევრი საერთო – გლობალურ ძალთა ბალანსთან. ვიდრე 2017 წელს ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლამდე, დასავლური ელიტები, ჩინეთის ჩართულობის, და არა შეკავების, ცივი ომისშემდგომი პოლიტიკის შენარჩუნებით, ძლიერ ერთგულნი იყვნენ ჩინეთის ინტეგრირებისა მსოფლიო ეკონომიკაში, ყველა მისი ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტის ჩათვლით. მზარდად აყვავებული და მდიდარი ჩინეთი, ვარაუდობდნენ ისინი, საბოლოოდ გახდებოდა ლიბერალური დემოკრატია და ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის სტაბილური წევრი.

თუმცა, რასაც ამ პოლიტიკის არქიტექტორები ვერ ხვდებოდნენ, ის იყო, რომ ჩინეთის ზრდის აჩქარებისთვის ხელშეწყობით ისინი ნამდვილად ეხმარებოდნენ ლიბერალური წესრიგის ძირის გამოთხრას, რამდენადაც ჩინეთი სწრაფად გადაიქცა მძლავრ ეკონომიკურ სახელმწიფოდ მნიშვნელოვანი სამხედრო შესაძლებლობით. სინამდვილეში, ისინი დაეხმარნენ, რომ ჩინეთი ქცეულიყო დიდ სახელმწიფოდ, ამგვარად კი დაასუსტეს ერთპოლუსიანობა, რომელიც არსებითია ლიბერალური მსოფლიო წესრიგის შესანარჩუნებლად. ეს პრობლემა გაართულა რუსეთის აღ-

⁸⁴ Rudi Dornbusch, "Euro Fantasies," *Foreign Affairs*, Vol. 75, No. 5 (September/October 1996), pp. 110–124, doi.org/10.2307/20047747; Martin Feldstein, "EMU and International Conflict," *Foreign Affairs*, Vol. 76, No. 6 (November/December 1997), pp. 60–73, doi.org/10.2307/20048276; Josef Joffe, "The Euro: The Engine That Couldn't," *New York Review of Books*, December 4, 1997, pp. 26–31; and Paul Krugman, "The Plight of the Hapless EMU," *Fortune*, December 21, 1998, pp. 34–36.

დგენამ, რომელიც კვლავ დიდი სახელმწიფოა, თუმცა აშკარად სუსტია. ჩინეთის აღმასვლით და რუსეთის დაბრუნებით, საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანი გახდა, რაც სამგლოვიარო ზარების რეკვაა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისთვის. საქმეს კიდევ უფრო აუარესებს ის, რომ არც ჩინეთი და არც რუსეთი არ გამხდარა ლიბერალური დემოკრატია.

ჩინეთი და რუსეთი რომც არ გამხდარიყვნენ დიდი სახელმწიფოები და მსოფლიო ერთპოლუსიანად დარჩენილიყო, ლიბერალური წესრიგი დღეს მაინც დაინგრეოდა მისი შიდა დეფექტების გამო. დონალდ ტრამპის არჩევა, რომელიც თავისი საპრეზიდენტო კამპანიის დროს მკაცრად და ხშირად აკრიტიკებდა ცივი ომისშემდგომი წესრიგის ყველა ძირითად ელემენტს, იმის დამამტკიცებელი საბუთია, თუ რამხელა საფრთხეში იყო ის 2016 წლისთვის. ამგვარად, საერთაშორისო სისტემა ერთპოლუსიანად რომ დარჩენილიყო, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი აგნოსტიკურ წესრიგად იქცეოდა პრეზიდენტ ტრამპის ხელში, რამდენადაც ერთპოლუსიანობაში არაა რეალისტური წესრიგების ადგილი. რასაკვირველია, არ არსებობს იმის საბუთი, რომ იგი არსებული ლიბერალური წესრიგის გარდაქმნის მომხრეა. სინამდვილეში, იგი მისი დამარცხებისკენაა მიდრეკილი. ჩინეთთან ერთად თუ მის გარეშე, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი მარცხისთვის იყო განწირული, ვინაიდან ფაქტურად მანკიერი იყო დაბადებისას.

შეჯამება

ზემოთ აღწერილმა სხვადასხვა მიზეზ-შედეგობრივმა პროცესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ნგრევაში. მართალია, თითოეულს ცალკეული ლოგიკა აქვს, ისინი ხშირად მოქმედებდნენ შეთანხმებულად. მაგალითად, ჰიპერგლობალიზაციის უარყოფითმა ეფექტებმა დაბალ და საშუალო კლასებზე, იმიგრაციასთან დაკავშირებით ნაციონალისტურ განწყენებასა და დაკარგული სუვერენიტეტის გრძნობასთან ერთად, ძლიერი პოპულისტური რეაქცია გამოიწვია ლიბერალური წესრიგის პრინციპებისა და პრაქტიკების მიმართ. სინამდვილეში, ასეთი გაბრაზება ხშირად მიმართული იყო ლიბერალური ელიტებისკენ, რომლებიც სარგებელს იღებდნენ ამ წესრიგიდან და რომლებიც მტკიცედ იცავდნენ მას. ამგვარ განაწყენებას, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები ჰქონდა. მან ღრმა პოლიტიკური დაყოფა გამოიწვია შეერთებულ შტატებსა და სხვა დასავლურ დემოკრატიაში, გამოიწვია ბრექსიტი, ხელი შეუწყო ტრამპის მოსვლას თეთრ სახლში და მხარი დაუჭირა ნაციონალისტ ლიდერებს მთელ მსოფლიოში.

საით მივმართებით?

შესაძლოა აღიარონ, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი საბოლოო დაცემის ეტაპზეა, მაგრამ შესაძლოა ისიც ამტკიცონ, რომ მისი ჩანაცვლება შეიძლება უფრო პრაგმატული ვერსიით, რომელიც თავიდან აიცილებს ცივი ომისშემდგომი

ნესრიგის უკიდურესობებს.⁸⁵ ამგვარ უფრო ზომიერ ლიბერალურ ნესრიგს უფრო ნიუანსირებული, ნაკლებად აგრესიული მიდგომა ექნებოდა ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების მიმართ, შეაკავებდა ჰიპერგლობალიზაციას და გარკვეულ მნიშვნელოვან შეზღუდვებს დაუნესებდა საერთაშორისო ინსტიტუტების ძალაუფლებას. ახალი ნესრიგი, ამ ხედვის თანახმად, იქნებოდა რაღაც ცივი ომის დროინდელი დასავლური ნესრიგის მსგავსი, თუმცა კი გლობალური და ლიბერალური იქნებოდა, მაგრამ – არა შეზღუდული და რეალისტური.

თუმცა ამგვარი გადაწყვეტა არაა განხორციელებადი, ვინაიდან ერთპოლუსიანი მომენტი დასრულდა, რაც ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში რაიმე სახის ლიბერალური საერთაშორისო ნესრიგის შენარჩუნების შანსი არ არსებობს. ამასთან, პრეზიდენტ ტრამპს არ განუზრახავს, განახორციელოს „მსუბუქი ლიბერალური“ მსოფლიო ნესრიგი, ხოლო მისი მხარდაჭერის გარეშე ასეთი არჩევანი განუხორციელებელია. მაგრამ ტრამპი რომც არ ყოფილიყო დაბრკოლება და საერთაშორისო სისტემა დარჩენილიყო ერთპოლუსიანად, შეერთებული შტატები დამარცხდებოდა, თუკი მზერას დაბლა დახრიდა და ნაკლებად ამბიციური ლიბერალური ნესრიგის აშენებას შეეცდებოდა. სინამდვილეში, ეს საბოლოოდ აგნოსტიკური საერთაშორისო ნესრიგის მშენებლობით დასრულდებოდა.

შეუძლებელია მნიშვნელოვანი ლიბერალური გლობალური ნესრიგის მშენებლობა ზომიერი ან უფრო პასიური პოლიტიკით. ეს საქმე ძალზე დიდ სოციალურ ინჟინერიას მოითხოვს ძალზე ბევრ ადგილას. თუკი მას წარმატების რაიმე შანსი აქვს (ვფიქრობ, რომ არ აქვს), ლიბერალურმა ერთმა პოლუსმა და მისმა მოკავშირეებმა უწყვეტად უნდა გაატარონ ძალზე ამბიციური გლობალური პოლიტიკა, როგორც შეერთებული შტატები და მისი ლიბერალური პარტნიორები მოქმედებდნენ ცივი ომის კვლავდაკვალ. თუმცა ამგვარი მიდგომა ახლა პოლიტიკურად განუხორციელებელია წარსული წარუმატებლობების გამო. შესაბამისად, ლიბერალურ დემოკრატიებს სხვა არჩევანი არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ მცირე ნაბიჯები გადადგან აქა-იქ საკუთარი ხედვისამებრ მსოფლიოს გარდასაქმნელად, რომ გადარჩნენ და დაუახლოვდნენ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებს. ამგვარი მოკრძალებული მიდგომა ქმედითად მოიტანდა აგნოსტიკურ ნესრიგს. მაგრამ ეს არ მოხდება, ვინაიდან სისტემა მრავალპოლუსიანია, ხოლო დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა კვლავაც აქტუალურია. ამგვარად, მთავარი შეკითხვა ასეთია: რა სახის რეალისტური ნესრიგები გაბატონდება ახალი მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ლანდშაფტზე?

ახალი რეალისტური ნესრიგები

უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, იარსებებს სამი სხვადასხვა რეალისტური ნესრიგი: ერთი თხელი საერთაშორისო ნესრიგი და ორი სქელი შეზღუდული ნესრიგი

⁸⁵ სხვადასხვა ხედვისთვის, თუ როგორ შეიძლება რეფორმირდეს ნესრიგი, იხილეთ Colgan and Keohane, “The Liberal Order Is Rigged”; Daniel Deudney and G. John Ikenberry, “Liberal World: The Resilient Order,” *Foreign Affairs*, Vol. 97, No. 4 (July/August 2018), pp. 16-24, <https://www.foreignaffairs.com/articles/world/2018-06-14/liberal-world>; Mazarr, Summary of the Building a Sustainable International Order Project; and Kori Schake, *America vs the West: Can the Liberal World Order Be Preserved?* (Melbourne, Australia: Penguin Random House, 2018).

– ერთი ჩინეთის ლიდერობით, ხოლო მეორე – შეერთებული შტატების. ახალი თხელი საერთაშორისო წესრიგი ძირითადად დაინტერესებული იქნება შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმებებზე მეთვალყურეობით და გლობალური ეკონომიკის ეფექტურად მუშაობით. სავარაუდოდ ის, აგრეთვე, უფრო სერიოზულ ყურადღებას მიაცქევს, ვიდრე წარსულში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. არსებითად, ამ საერთაშორისო წესრიგის შემადგენელი ინსტიტუტები ფოკუსირებული იქნებიან სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობაზე. ორი შეზღუდული წესრიგი, ამის საპირისპიროდ, ძირითადად დაკავებული იქნება ერთმანეთთან უსაფრთხოების კონკურენციის წარმოებით, თუმცა ეს მაინც მოითხოვს თითოეული წესრიგის წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. ამ ორ წესრიგს შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო კონკურენცია იარსებებს, რისი მართვაც საჭირო იქნება, რის გამოც ისინი სქელი წესრიგები იქნებიან.

ახალი მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ორი ძირითადი მახასიათებელი სიღრმისეულად ჩამოაყალიბებს ახალ წესრიგებს. პირველი, იმ ვარაუდით, რომ ჩინეთი გააგრძელებს თავის შთამბეჭდავ აღმასვლას, იგი დაკავებული იქნება შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების ძლიერი კონკურენციით, რაც ოცდამეერთე საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი იქნება. ეს მეტოქეობა გამოიწვევს ჩინეთისა და შეერთებული შტატების მიერ დომინირებული შეზღუდული წესრიგების შექმნას. ამ ორი წესრიგის ცენტრალური კომპონენტები იქნება სამხედრო ალიანსები, რომლებიც ახლა ფორმირდება და ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წესრიგების მსგავსი იქნება.

და მაინც, პეკინსა და ვაშინგტონს ზოგჯერ ექნებათ მიზეზები, რომ ითანამშრომლონ არჩეულ სამხედრო საკითხებზე, ასეთი ძალისხმევა იქნება საერთაშორისო წესრიგის არეალში, როგორც ცივი ომის დროს ხდებოდა. კვლავაც ორიენტირება მოხდება ძირითადად შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმებებზე და მასში ჩართული იქნება რუსეთი, ასევე ჩინეთი და შეერთებული შტატები. ბირთვულ გავრცელებასთან დაკავშირებით არსებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები სავარაუდოდ დარჩება, ვინაიდან სამივე დიდ სახელმწიფოს ენდომება ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვა. მაგრამ პეკინს, მოსკოვს და ვაშინგტონს მოუწევთ ახალ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკება, რათა შეზღუდონ საკუთარი არსენალები, როგორც ცივი ომის დროს აკეთებდნენ ზესახელმწიფოები.⁸⁶ მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატების და ჩინეთის შეზღუდული წესრიგები დიდწილად იქნებიან პასუხისმგებელი უსაფრთხოების ცენტრალურ საკითხებზე.

⁸⁶ მაგალითად, საშუალორადიუსიანი ბირთვული ძალების ხელშეკრულება შეზღუდვებს უწესებს მხოლოდ შეერთებული შტატებისა და რუსეთის არსენალებს, მაგრამ არა ჩინეთის არსენალს, რაც მისი მარცხის ერთ-ერთი მიზეზია. ხელშეკრულებაზე თავიდან უნდა მოხდეს მოლაპარაკება და სამივე ქვეყანა მოიცვას. Andrew E. Kramer, "The I.N.F. Treaty, Explained," New York Times, October 23, 2018, <https://www.nytimes.com/2018/10/23/world/europe/inf-treaty-russia-united-states-trump-nuclear.html>.

სამხედრო საკითხებში შეერთებული შტატები-ჩინეთის მეტოქეობის ირგვლივ შექმნილი სამივე ახალი წესრიგი აშკარად ცივი ომის სამი წესრიგის მსგავსი იქნება, თუმცა საბჭოთა კავშირის ადგილს ჩინეთი დაიკავებს.

ეკონომიკურ სფეროში ასეთი პარალელები არ არსებობს. ცივი ომის უმეტეს პერიოდში ზესახელმწიფოებს ან მათ შესაბამის წესრიგებს შორის მცირე ეკონომიკური ურთიერთქმედება არსებობდა. ამგვარად, არსებული საერთაშორისო წესრიგი მნიშვნელოვნად არ იყო დაინტერესებული ორ მხარეს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობით. ეკონომიკური გარიგებები ძირითადად შემოიფარგლებოდა შეზღუდული წესრიგებით, ხოლო მთავარი მიზანი იმ პოლიტიკის გატარება იყო, რომელიც მეორე მხარეზე უპირატესობის მოპოვებას დაეხმარებოდა. რაკი ეკონომიკური ძალა ზურგს უმაგრებს სამხედრო ძალას, უსაფრთხოების კონკურენცია წარმოებდა ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში.

ეკონომიკური თანამშრომლობა და მეტოქეობა

მდგომარეობა ეკონომიკურ ფრონტზე დღეს ბევრად განსხვავებულია, ვიდრე ცივი ომის დროს, რაც ახალი მრავალპოლუსიანობის მეორე მნიშვნელოვან მახასიათებელს იძლევა, ადრეულ წესრიგებს რომ შექმნის. ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, ხოლო აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთსა და შეერთებული შტატების მოკავშირეებს შორის უზარმაზარი ეკონომიკური ურთიერთქმედება არსებობს. ჩინეთი და შეერთებული შტატები, აგრეთვე, ვაჭრობენ და ინვესტიციებს დებენ მთელ მსოფლიოში. ორ შეზღუდულ წესრიგს შორის უსაფრთხოების კონკურენცია ალბათ თვალსაჩინოდ შეამცირებს ამ ეკონომიკურ ნაკადებს.⁸⁷ მუდმივი ვაჭრობიდან მიღებული მოგება ძალზე დიდია. შეერთებული შტატები რომც შეეცადოს ჩინეთთან თავისი ვაჭრობის შეზღუდვას, პეკინს ამისი კომპენსირება შეუძლია სხვა პარტნიორებთან, როგორცაა, ევროპა, ვაჭრობის გაზრდით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომავალი, სავარაუდოდ, პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში არსებული მდგომარეობის მსგავსი იქნება, როდესაც არსებობდა უსაფრთხოების ძლიერი კონკურენცია სამთა ალიანსს (ავსტრია-უნგრეთი, გერმანი და იტალია) და სამთა ანტანტას (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი) შორის და მეტიც, უზარმაზარი ეკონომიკური ურთიერთქმედება ამ ექვს ქვეყანას შორის და უფრო ზოგადად, ევროპაში.

რაკი მსოფლიო ეკონომიკა ძალზე ურთიერთდამოკიდებული დარჩება, ახალი საერთაშორისო წესრიგი ცენტრალურ როლს შეასრულებს მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების წარმართვაში. მართალია, ჩინეთი ძლიერ დაინტერესებულია, რომ წესრიგმა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ თანამშრომლობას, ის გამოიყენებს თავის მზარდ ძალას, რომ თავის სასარგებლოდ გარდაქმნას ახალი საერთაშორისო წესრიგი. იგი შეეცდება, ხელახლა დაწეროს წესები წესრიგის

⁸⁷ ფაქტობრივად, ბევრია იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ სახელმწიფოები ხშირად აგრძელებენ ერთმანეთთან ვაჭრობას, როდესაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც უსაფრთხოების კონკურენციის ყველაზე ინტენსიური ფორმაა. Jack S. Levy and Katherine Barbieri, "Trading with the Enemy during Wartime," *Security Studies*, Vol. 13, No. 3 (Spring 2004), pp. 1–47, doi.org/10.1080/09636410490914059.

არსებულ ეკონომიკურ ინსტიტუტებში, რომ მეტი გავლენა მოიპოვოს და შექმნის ახალ ინსტიტუტებს, რომლებიც მის მზარდ ძალას ასახავენ.⁸⁸ ამ უკანასკნელი მიდგომის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია 2015 წელს პეკინის მიერ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დაარსება, რომელსაც ზოგიერთი დამკვირვებელი IMF-ის და მსოფლიო ბანკის პოტენციურ მეტოქედ თვლის. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება ფუნდამენტურად განსხვავდება იმისგან, როგორც საბჭოთა კავშირი იქცეოდა ცივი ომის დროს.

თუმცა ეს არაა ეკონომიკური ამბის დასასრული, ვინაიდან უსათუოდ იქნება ძლიერი ეკონომიკური მეტოქეობა ორ შეზღუდულ წესრიგს შორის, რომლებიც გლობალურ დონეზე უწყვეტი ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო კონტექსტში არსებობს.⁸⁹ ეს კონკურენცია დიდწილად წარმართული იქნება უსაფრთხოების ინტერესებით. ეკონომიკური სიძლიერე, ბოლოს და ბოლოს, სამხედრო ძლიერების საფუძველია, რაც ნიშნავს, რომ ჩინეთს ძლიერი სტრატეგიული მოტივაცია აქვს, რომ დომინანტურ ეკონომიკას ფლობდეს მსოფლიოში, რაც მისი მიზანია. მაგალითად, „დამზადებულია ჩინეთში 2025“ არის პეკინის გეგმა, გაბატონდეს გლობალურ ბაზრებზე მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ფართო წრეში. ჩინეთის სტრატეგიაა, დიდი სამთავრობო სუბსიდიები მისცეს სახელმწიფო კომპანიებს და მათი კვლევა შეავსოს ამერიკული და სხვა დასავლური კომპანიებიდან მოპარული ტექნოლოგიით.⁹⁰ ჩინეთი, აგრეთვე, იყენებს თავის მზარდ ეკონომიკურ ძალას, რომ აიძულოს თავისი მეზობლები აღმოსავლეთ აზიაში, რათა პეკინის მხარე დაიჭირონ ვაშინგტონის წინააღმდეგ.⁹¹

შეერთებული შტატები, რასაკვირველია, წინააღმდეგობას გაუწევს ჩინეთს არა მარტო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზეზებით, არამედ იმიტომაც, რომ

⁸⁸ Michael J. Mazarr, Timothy R. Heat, and Astrid Stuth Cevallos, *China and the International Order* (Santa Monica, Calif.: RAND Corporation, 2018); and Oliver Stuenkel, *Post-Western World: How Emerging Powers Are Remaking Global Order* (Malden, Mass.: Polity, 2016), pp. 120–180.

⁸⁹ WTO, რომელიც სავარაუდოდ ახალი საერთაშორისო წესრიგის ნაწილი იქნება, მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც შეზღუდული წესრიგის ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობას იძლევა. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ქვეყნების ჯგუფს შეუძლია, მიიღოს შეღავათიანი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც შეამცირებს ტარიფებს და გააადვილებს თანამშრომლობას წევრებს შორის, ხოლო არაწევრების მიმართ დისკრიმინაციული იქნება. ასეთი შეთანხმება ქვემოთ განხილული ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობა.

⁹⁰ Martin Feldstein, “Tariffs Should Target Chinese Lawlessness, Not the Trade Deficit,” *Wall Street Journal*, December 28, 2018,

<https://www.wsj.com/articles/tariffs-should-target-chineselawlessness-not-the-trade-deficit-11545955628>. See also Derek Scissors and Daniel Blumenthal, “China Is a Dangerous Rival, and America Should Treat It Like One,” *New York Times*, January 14, 2019, <https://www.nytimes.com/2019/01/14/opinion/us-china-trade.html>; and Adam Segal, “When China Rules the Web: Technology in Service of the State,” *Foreign Affairs*, Vol. 97, No. 5 (September/October 2018), pp. 10-18,

<https://www.foreignaffairs.com/articles/china/2018-08-13/when-china-rules-web>.

⁹¹ Jennifer Lind, “Life in China’s Asia: What Regional Hegemony Would Look Like,” *Foreign Affairs*, Vol. 97, No. 2 (March/April 2018), pp. 71–82, <https://www.foreignaffairs.com/articles/china/2018-02-13/life-chinas-asia>.

შეერთებული შტატების ბიზნესის საზოგადოებას არ სურს ჩინეთთან წაგება.⁹² ტრამპის ადმინისტრაციის უხეში ეკონომიკური პოლიტიკა ჩინეთის მიმართ მხოლოდ დასაწყისია იმისა, რაც, მისივე დაპირებით, შეერთებული შტატებისა და ჩინეთის წესრიგებს შორის ხანგრძლივი და ძლიერი მეტოქეობა იქნება.⁹³ მაგალითად, შეერთებული შტატები უდავოდ შეეცდებოდა ჩინეთისთვის ორმაგი გამოყენების ტექნოლოგიების გადაცემაზე უარის თქმას – იმ დახვეწილი სამოქალაქო ტექნოლოგიების, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სამხედრო მიზნებისთვის. ის, აგრეთვე, შეეცდებოდა ჩინეთთან თავისი, ასევე მოკავშირეების, ვაჭრობისა და ინვესტიციების მართვას, რათა არ შეირყეს მათი პოზიცია ძალთა ბალანსში და, ამის ნაცვლად, გაუმჯობესდეს ის.

ეს ორი შეზღუდული წესრიგი, რომლებიც ფორმირებას იწყებენ, მოიცავენ ინსტიტუტებს, რომელთა მიზანია მათ წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, იმავე დროს კი ცდილობენ ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას მეტოქე წესრიგზე. მაგალითად, ობამას ადმინისტრაციამ მკაფიოდ შეიმუშავა ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობა ამ მიზნით, თუმცა ტრამპმა უარი თქვა მასზე გაპრეზიდენტების შემდეგ. ჩინეთის ძალზე ამბიციური ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომელიც 2013 წელს დაიწყო, იმისთვის შეიქმნა, რომ არა მარტო დაეხმაროს ჩინეთს თავისი შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებაში, არამედ ჩინეთის სამხედრო და პოლიტიკური ძალაც განავრცოს მთელ მსოფლიოში. და რაკი შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან მიერთებაზე, ეს შთამბეჭდავი ინსტიტუტი, სავარაუდოდ, ჩინეთის მიერ მართული შეზღუდული წესრიგის ცენტრალური ნაწილი გახდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინეთისა და შეერთებული შტატების მიერ მართულ წესრიგებს შორის მეტოქეობა მოიცავს ყოვლისმომცველ ეკონომიკურ და სამხედრო კონკურენციას, როგორც ეს მოხდა ცივი ომის დროს მოსკოვისა და ვაშინგტონის

⁹² David A. Lake, “Economic Openness and Great Power Competition: Lessons for China and the United States,” *Chinese Journal of International Politics*, Vol. 11, No. 3 (September 2018), pp. 237–270, doi.org/10.1093/cjip/poy010.

⁹³ იხ., inter alia Edward Luce, “The New Era of US-China Decoupling,” *Financial Times*, December 20, 2018,

<https://www.ft.com/content/019b1856-03c0-11e9-99df-6183d3002ee1>; Raymond Zhong and Paul Mozur, “For the U.S. and China, a Technology Cold War That’s Freezing Over,” *New York Times*, March 23, 2018,

<https://www.nytimes.com/2018/03/23/technology/trumpchina-tariffs-tech-cold-war.html>; Chris Uhlmann and Angus Grigg, “How the ‘Five Eyes’ Cooked Up the Campaign to Kill Huawei,” *Sydney Morning Herald*, December 13, 2018, <https://www.smh.com.au/business/companies/how-the-five-eyes-cooked-up-the-campaign-to-kill-huawei-20181213-p50m24.html>; “U.S.-China Trade Fight Risks Fragmenting Global Market, Says Beijing Ambassador,” *Wall Street Journal*, November 26, 2018,

<https://www.wsj.com/articles/u-s-chinatrade-fight-risks-fragmenting-global-market-says-beijings-ambassador-to-the-u-s-1543228321>; David E. Sanger et al., “In 5G Race with China, U.S. Pushes Allies to Fight Huawei,” *New York Times*, January 26, 2019,

<https://www.nytimes.com/2019/01/26/us/politics/huawei-china-us-5gtechnology.html>; and Martin Wolf, “The Challenge of One World, Two Systems,” *Financial Times*, January 29, 2019, <https://www.ft.com/content/b20a0d62-23b1-11e9-b329-c7e6ceb5ffdf>.

მიერ დომინირებულ შეზღუდულ წესრიგებს შორის.⁹⁴ ამჟამად დიდი განსხვავება ისაა, რომ საერთაშორისო წესრიგი ძირითადად დაკავებული იქნება გლობალური ეკონომიკის თანამშრომლობითი ასპექტების მართვით, რაც არ ხდებოდა ცივი ომის დროს.⁹⁵

რუსეთი და ევროპა

რუსეთზე რას ვიტყვით? რასაკვირველია, ის დიდი სახელმწიფოა, რის გამოც ახალი მსოფლიო მრავალპოლუსიანია და არა ორპოლუსიანი. მაგრამ ის დიდწილად უახლოეს მომავალში სამი დიდი სახელმწიფოდან ყველაზე სუსტი იქნება, ვიდრე შეერთებული შტატების ან ჩინეთის ეკონომიკა მნიშვნელოვან გრძელვადიან პრობლემებს არ წააწყდება. რუსეთთან დაკავშირებით მთავარი შეკითხვა ასეთია: რომელ მხარეს დაიჭერს ის, თუ დაიჭერს რომელიმე შეერთებული შტატები-ჩინეთის მეტოქეობაში? მართალია, რუსეთი ახლა ჩინეთს ემხრობა, სავარაუდოდ ის დროთა განმავლობაში მხარეს შეიცვლის და შეერთებულ შტატებს შეუკავშირდება, უბრალოდ იმიტომ, რომ მზარდად ძლიერი ჩინეთი უფრო დიდი საფრთხეა რუსეთისთვის, მათი გეოგრაფიული სიახლოვის გათვალისწინებით. მოსკოვმა და ვაშინგტონმა რომ ჩამოაყალიბონ უფრო მჭიდრო ურთიერთობები ჩინეთის მიმართ საერთო შიშიდან გამომდინარე, რუსეთი თავისუფლად ინტეგრირდება შეერთებული შტატების მიერ მართულ შეზღუდულ წესრიგში. მოსკოვს კვლავაც რომ ჰქონდეს მეგობრული ურთიერთობები პეკინთან, ვინაიდან მას მეტად ეშინია შეერთებული შტატების, ვიდრე ჩინეთის, რუსეთი თავისუფლად ინტეგრირდება ჩინეთის მიერ მართულ შეზღუდულ წესრიგში. შესაძლებელია, რომ რუსეთი შეეცადოს, რომ არცერთ მხარეს მიემხროს და გვერდით ხაზებზე დარჩეს.⁹⁶

⁹⁴ ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია, აგრეთვე, პირველ მსოფლიო ომამდე ბრიტანეთსა და გერმანიას შორის ეკონომიკური და სამხედრო კონკურენცია. იხილეთ Markus Brunnermeier, Rush Doshi, and Harold James, "Beijing's Bismarckian Ghosts: How Great Powers Compete Economically," *Washington Quarterly*, Vol. 41, No. 3 (Fall 2018), pp. 161-176, doi.org/10.1080/0163660X.2018.1520571.

⁹⁵ მცირე შანსია იმისა, რომ ჩინეთი არ გააგრძელებს თავის შთამბეჭდავ აღმასვლას, ხოლო რუსეთი ძლიერ დასუსტდება შემდგომ ათწლეულებში, შეერთებული შტატები კი სულ მეტად გაძლიერდება. ასეც რომ მოხდეს, საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანობიდან ერთპოლუსიანობას დაუბრუნდებოდა, რაც აშკარა შეკითხვას წამოჭრის: როგორი იქნებოდა საერთაშორისო წესრიგი იმის გათვალისწინებით, რომ ერთი პოლუსი ლიბერალური დემოკრატია იქნებოდა? ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი ნამდვილად შეეცდებოდა კიდევ ერთი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შექმნას, მაგრამ სავარაუდოდ ცოტა დაიცავდა ამბიციური პოლიტიკის გატარებას, რაც ასე ძლიერ დამარცხდა ცივი ომის შემდგომ პერიოდში. ნაცვლად ამისა, ისინი ალბათ მხარს დაუჭერენ მცდელობებს, რომ ნაკლებად ამბიციური ლიბერალური წესრიგი შექმნან. თუმცა, ასეთი მცდელობაც სავარაუდოდ დამარცხდება და აგნოსტიკურ საერთაშორისო წესრიგს მოიტანს.

⁹⁶ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთი საკუთარ შეზღუდულ წესრიგს შექმნის, თუკი გვერდით ხაზებზე დარჩება, რამდენადაც არ ექნებოდა უსაფრთხოების კონკურენცია რომელიმე მხარესთან. ნაკლებად სავარაუდოა ის შემთხვევაც, რომ რუსეთს სჭირდება საკუთარი შეზღუდული წესრიგი, რომ ის გაუძღვება რამდენიმე სუსტ რეგიონულ ინსტიტუციას, რომლებიც შეიძლება ამ წესრიგის საფუძველზე იყვნენ: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანა-

დაბოლოს, რას ვიტყვით ევროპაზე? ევროპაში ქვეყნების უმეტესობა, განსაკუთრებით მთავარი სახელმწიფოები, სავარაუდოდ გახდებიან შეერთებული შტატების მიერ მართული შეზღუდული წესრიგის ნაწილი, თუმცა ისინი ალბათ სერიოზულ სამხედრო როლს შეასრულებენ ჩინეთის შეკავებაში. მათ არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ არსებითი სამხედრო ძალა განალაგონ აღმოსავლეთ აზიაში და მცირე მიზეზი აქვთ მის შესაქმნელად, ვინაიდან ჩინეთი პირდაპირ არ ემუქრება ევროპას და ვინაიდან ევროპისთვის უფრო მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის გადატანა შეერთებულ შტატებსა და მის აზიელ მოკავშირეებზე. თუმცა ამერიკელ პოლიტიკოსებს ევროპელები ენდომებათ თავიანთ შეზღუდულ წესრიგში სტრატეგიულად დაკავშირებული ეკონომიკური მიზეზებით. განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებს ენდომება, რომ ევროპის ქვეყნებმა არ მიჰყიდონ ორმაგი გამოყენების ტექნოლოგიები ჩინეთს და დაეხმარონ პეკინზე ეკონომიკურ ზენოლაში, როდესაც საჭირო იქნება. სამაგიეროდ, შეერთებული შტატების სამხედრო ძალები დარჩებიან ევროპაში, შეინარჩუნებენ NATO-ს და კვლავაც იქნებიან ამ რეგიონში დამამშვიდებლები. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად ყველა ევროპელ ლიდერს სურს, რომ ასე მოხდეს, ნასვლის საფრთხემ შეერთებულ შტატებს უნდა მისცეს მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომ ევროპელები ჩააბას ჩინეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ ფრონტზე თანამშრომლობაში.

დასკვნა

შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა მძლავრი წესრიგი ააშენეს ცივი ომის დროს, მაგრამ ის არც საერთაშორისო ყოფილა და არც ლიბერალური. ეს იყო შეზღუდული წესრიგი, რომლის მთავარი მიზანიც საბჭოთა კავშირის მიერ დომინირებულ მეტოქე შეზღუდულ წესრიგთან უსაფრთხოების კონკურენციის წარმოება იყო. ორივე წესრიგი რეალისტური იყო თავისი არსით, არც ლიბერალური და არც კომუნისტური. ცივი ომის დასრულებისთანავე ერთპოლუსიანობის დადგომამ საშუალება მისცა გამარჯვებულ დასავლეთს – შეერთებული შტატების ლიდერობით – დაეწყო ნამდვილად ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მშენებლობა. იმედოვნებდნენ, რომ ის მშვიდობიანი და აყვავებული მსოფლიოს მსახური იქნებოდა.

1990-იან წლებსა და ახალი საუკუნის პირველ რამდენიმე წელიწადში ჩანდა, რომ ლიბერალური წესრიგი გეგმისამებრ იმუშავებდა და ხანგრძლივი იქნებოდა. მისი დამცველები და არქიტექტორები ბევრ წარმატებაზე მიუთითებდნენ, იმავე დროს კი, გარკვეულ წარუმატებლობებსაც აღიარებდნენ. მაგრამ დაახლოებით 2005 წლიდან წესრიგი სერიოზულ პრობლემებს შეეჯახა, რომლებმაც დროსთან ერთად იმატა იქამდე, რომ დაცემა დაიწყო. ასეთი შედეგი მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც წესრიგს თავის თავშივე ჰქონდა თვითგანადგურების მარცვლები და ამგვარად, ადრევე იყო მარცხისთვის განწირული, ვიდრე მოგვიანებით.

მეგობრობა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევრაზიული საბაჟო კავშირი და ევრაზიული ეკონომიკური კავშირი.

შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მცდელობა, რომ შეექმნათ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი, სამ ძირითად პრობლემას წააწყდა. პირველი, ეს სისტემის ლიბერალური სახელმწიფოებისგან, განსაკუთრებით, შეერთებული შტატებისგან, მოითხოვდა რეჟიმის ცვლილების ძალზე რევიზიონისტულ და ველურად ამბიციური პოლიტიკის გატარებას, რაც თითქმის უდავოდ მარცხისთვის იყო განწინებული იმ ეპოქაში, რომელშიც ნაციონალიზმი, თავისი ხაზგასმით სუვერენიტეტსა და თვითგამორკვევაზე, აშკარად ძლიერ ძალად რჩება. ეს პოლიტიკა ჩიხში შეიყვანა ძალთა ბალანსის პოლიტიკამაც გლობალურ და რეგიონულ დონეებზე.

მეორე, საზღვრებზე ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტებში არსებით გადაწყვეტილებათა მიმღები ხელისუფლების დელეგაციის ნაქეზებით, მზარდმა ლიბერალურმა წესრიგმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემები გამოიწვია თვითონ ლიბერალურ სახელმწიფოებში. შედეგები ხშირად ეჯახებოდა რწმენას ეროვნულ იდენტობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეთა უმრავლესობისათვის თანამედროვე ერ-სახელმწიფოებში.

მესამე, მართალია, ზოგიერთი ხალხი და ქვეყანა სარგებელს იღებდა ჰიპერგლობალიზაციიდან, მან დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები გამოიწვია ლიბერალურ დემოკრატიებში, რამაც, საბოლოოდ, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისადმი მხარდაჭერის სერიოზული ეროზია მოიტანა. იმავე დროს, ეკონომიკური დინამიზმი, რომელიც თან ახლდა ჰიპერგლობალიზაციას, დაეხმარა ჩინეთს, სწრაფად ქვეუღიყო დიდ სახელმწიფოდ, დაახლოებით იმავე დროს კი რუსეთი ხელახლა იმკვიდრებდა თავს დიდ სახელმწიფოდ. ამგვარმა ცვლილებამ გლობალურ ძალთა ბალანსში ბოლო მოუღო ერთპოლუსიანობას, რომელიც ლიბერალური მსოფლიო წესრიგის წინაპირობაა.

ახალ მრავალპოლუსიან მსოფლიოში სავარაუდოდ იარსებებს რეალისტური საერთაშორისო წესრიგი, რომელიც დაინტერესებული იქნება მსოფლიო ეკონომიკის მართვით და აგრეთვე, შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმებათა ხელშეწყობითა და შენარჩუნებით. ამ წესრიგში ხაზგასმული იქნება სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა. ამასთანავე, სავარაუდოდ, იარსებებს ჩინეთისა და შეერთებული შტატების მიერ მართული შეზღუდული წესრიგები, რომლებიც დაეხმარებიან უსაფრთხოების კონკურენციის წარმოებას, რაც თითქმის უდავოდ წარმოიშობა ჩინეთსა და მის მოკავშირეებს, ერთი მხრივ და შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს შორის, მეორე მხრივ. ამ მეტოქეობას ექნება როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო განზომილებები.

როგორ უნდა იმოქმედოს შეერთებულმა შტატებმა, რამდენადაც ის უკან ტოვებს ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს, რომლის მშენებლობისთვისაც ის ასე ბეჯითად მუშაობდა? პირველი, ის უნდა გაუძალიანდეს ნებისმიერ ცდუნებას, რომ კვლავაც შეეცდება ძალისმიერად დემოკრატიის გავრცელებას მთელ პლანეტაზე რეჟიმის ცვლილებით. რაკი შეერთებული შტატები იძულებული იქნება, რომ ჩინეთთან და რუსეთთან ძალთა ბალანსის პოლიტიკაში ჩაებას, საზღვარგარეთ სოციალურ ინჟინერიაში მისი ჩაბმის შესაძლებლობა მკვეთრად შეზღუდული იქნება. თუმცა

მსოფლიოს გარდაქმნის ცდუნება მუდამ იარსებებს, ვინაიდან შეერთებულ შტატებს მგზნებარედ სწამს ლიბერალური დემოკრატიის სიქველევებისა. მაგრამ ის უნდა გაუძალიანდეს ამ ცდუნებას, ვინაიდან ლიბერალური ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება უსათუოდ სერიოზულ ხიფათს მოიტანს.

მეორე, შეერთებული შტატები უნდა შეეცადოს, რომ თავისი გავლენა გაზარდოს ახალი საერთაშორისო წესრიგის შემადგენელ ეკონომიკურ ინსტიტუტებში. ამის გაკეთება მნიშვნელოვანია შეძლებისდაგვარად ხელსაყრელი პოზიციის შესანარჩუნებლად ცვალებად გლობალურ ძალთა გადანაწილებაში. ბოლოს და ბოლოს, ეკონომიკური ძალა სამხედრო ძალის საფუძველია. იმპერატიულია, რომ ვაშინგტონმა ნება არ მისცეს ჩინეთს, ამ ინსტიტუტებში გაბატონდეს და შესაბამისი გავლენა გამოიყენოს ძალის დასაგროვებლად შეერთებული შტატების ხარჯზე.

მესამე, ამერიკელმა პოლიტიკოსებმა უნდა უზრუნველყონ მძლავრი შეზღუდული წესრიგის შექმნა, რომელსაც ჩინეთის ექსპანსიის შეკავება შეუძლია. ეს ამოცანა გულისხმობს ისეთი ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნას, როგორცაა, ტრანსნცენაროკეანური პარტნიორობა, ხოლო აზიაში ისეთი სამხედრო ალიანსის შექმნა, რომელიც ცივი ომისდროინდელი NATO-ს მსგავსი იქნება. ამ პროცესში შეერთებულმა შტატებმა დიდი ხნით უნდა გამოიყვანოს რუსეთი ჩინეთის ორბიტიდან და შეიყვანოს შეერთებულ შტატების მიერ მართულ წესრიგში.

რომ შევაჯამოთ, დადგა დრო შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტისთვის, აღიაროს, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი წარუმატებელი საქმე იყო მომავლის გარეშე. წესრიგები, რომლებსაც მნიშვნელობა ექნებათ უახლოესი მომავლისათვის, რეალისტური წესრიგებია, რომლებიც იმისათვის უნდა შეიქმნას, რომ შეერთებული შტატების ინტერესებს ემსახუროს.

BOUND TO FAIL: THE RISE AND FALL OF THE LIBERAL INTERNATIONAL ORDER

Translated by Irakli Javakhishvili*

Abstract

In his article, John Mearsheimer states that the liberal international order that emerged after the end of the Cold War is on the edge of destruction by 2019. According to the author, it was doomed to failure from the beginning. The spread of liberal democracy around the world, which is a necessary precondition for such an order, has met strong resistance due to nationalism, which is oriented on self-determination. For security reasons, some target states opposed US attempts to support liberal democracy. Problems have also been caused by the fact that a liberal order requires states to delegate the substantial power of decision-making to international and supranational institutions.

Contemporary nation-states prefer sovereignty and national identity, which is a big puzzle when institutions are strengthened and borders are vulnerable. In addition, hyperglobalization, inseparable from the liberal order, creates economic problems among the lower and middle classes in liberal democracies. Finally, the liberal order accelerated China's rise, which in turn transformed the unipolar system in multipolar one.

Liberal international order, according to the author, is possible only in unipolarity. The new multipolar world can be identified by three possible realistic orders: a thin international order that fosters cooperation, and two limited orders: one dominated by China and the other by the United States, which will be balanced by security competition between the two countries.

Keywords: Competition, International, Liberal, Order, Security.

* Ph.D. in Social Sciences, Assistant at Sulxhan-Saba Orbeliani University, Head of the BA Program in International Relations. 0000-0002-9743-4715